

პალატიუმი სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2024, №3

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2024, №3

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2024, №3

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2024, №3

გადაწყვეტილებების შერჩევა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საქიჯელი

1. ვალდებულების შესრულება
ვალდებულების შესრულების მიღება
არაუფლებამოსილი პირის მიერ 4
2. ვალდებულების დარღვევა
ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი 19
უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე 38
3. მოვალის მიერ ვადის გადაცილება
პროცენტის გადახდა ფულადი თანხის
გადახდის ვადის გადაცილებისას 56
4. პირგასამტეხლო
პირგასამტეხლოს შემცირება
სასამართლოს მიერ 64; 73; 84; 117; 173
5. სოლიდარული მოვალეები
სოლიდარული ვალდებულება 185

1. პალატების შესრულება
პალატების შესრულების მიღება
არაუშლავამოსილი პირის მიერ

განჩინება
საქართველოს სახელმწიფო

№ას-1037-2022

18 მაისი 2023 წ., ქ. თბილისი

განჩინება
საქართველოს სახელმწიფო

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის
შემადგენლობა: თ. ძიმისტარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ქოჩიაშვილი
ა. ძაბუნძიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. შპს „უ-მა“ (შემდეგში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელე“, „მონინალმდგე“) ბათუმის საქალაქო სასამართლოში წარადგინა სარჩელი, რომლითაც მოითხოვდა შპს „ფ-ს“ (შემდეგში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხე“, „კასატორი“) მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებოდა იურიდიული მომსახურების ხარჯი – 71 680 ლარის ოდენობით.

2. სარჩელის საფუძვლები

2.1. მოსარჩელის მითითებით, 2015 წლის 10 ივლისს, მოდავე მხარეთა შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება. ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, შპს „ფ-მა“ იკისრა ვალდებულება, 2017 წლის 15 თებერვლამდე, საადვოკატო მომსახურებისათვის 126000 ლარის ასევე, მასზე დარიცხული დღგ-ს გადახდა, რაც საერთო ჯამში შეადგენდა 148 680 ლარს.

2.2 მოპასუხემ თანხის გადახდის ვალდებულება შეასრულა მხოლოდ ნაწილობრივ, კერძოდ, მოსარჩელეს გადაუხადა 77000 ლარი, რის შედეგადაც დარჩენილი დავალიანება შეადგენს 71680 ლარს.

3. მოპასუხის პოზიცია

3.1. შპს „ფ-მა“ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ წინასწარ, იურიდიული მომსახურების თაობაზე ნე-

რილობითი ხელშეკრულება არ გაფორმებულა, ფაქტიურად იყო ზეპირი შეთანხმება, რომ საქმის დამთავრების შემდეგ, შპს „უ. ზ. და გ.“ მიიღებდა შპს „ფ-ზე“ დარიცხული ძირითადი გადასახადის თანხიდან დაკლებული თანხის 10%-ს. მაგრამ იურიდიული ფირმა არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და შედეგის მისაღწევად თითქმის არ განუხორციელებია სამართლებრივად მნიშვნელოვანი მოქმედებები.

3.2. შესაგებელში აღნიშნულია, რომ შპს „ფ-ის“ ხელმძღვანელობამ „ალტერნატიული არხების“ მეშვეობით იმოქმედა, რის შედეგადაც, 2016 წლის ივლისის თვეში, გამოიკვეთა შემოსავლების სამსახურთან საგადასახადო შეთანხმების გაფორმების რეალური პერსპექტივები, ხოლო 2016 წლის ოქტომბრის თვეში, შედგა საგადასახადო შეთანხმება შპს „ფ-სა“ და შემოსავლების სამსახურს შორის.

3.3. მოპასუხის მტკიცებით, მოსარჩელე იურიდიული კომპანია სწორედ ამ დროიდან გააქტიურდა და მოპასუხე აიძულა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება გაეფორმებინა ძველი თარიღით (2015 წელი), საბოლოოდ შპს-ს დირექტორს ამ ხელშეკრულებაზე მოტყუებით მოაწერივნეს ხელი. მოპასუხის მტკიცებით, მოსარჩელის მხრიდან ზენოლისა და შანტაჟის შედეგად, შპს „ფ-ის“ მიერ, უკვე გადახდილი იყო 138000 ლარი.

4. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

4.1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად, მოპასუხე, შპს „ფ-ს“ მოსარჩელე, შპს „უ-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა 71680 ლარის გადახდა.

4.2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს „ფ-მა“.

5. სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება

5.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 08 ივნისის განჩინებით, შპს „ფ-ს“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელი.

5.2. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოპასუხემ სადავოდ გახადა შემდეგი გარემოებები: გარიგება დაიდო მოტყუებით, მოგვიანებით, სხვა დროს, ვიდრე ხელშეკრულებაში დაფიქსირებული თარიღია; 2) ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვალდებულება შეასრულა „სხვა“ პირმა და არა მოსარჩელემ; 3) ხელშეკრულებაში დაფიქსირებული თანხები სრულად გადახდილია.

5.3. თანხის სრულად გადახდის ფაქტის დასადასტურებლად მო-

პასუხემ მიუთითა შემდეგ მტკიცებულებებზე: საკონსულტაციო კომპანია გ. და პარტნიორებისათვის 5900 ლარის ჩარიცხვის დოკუმენტი; ფიზიკური პირის – თ. ს-ის ანგარიშზე 8000 ლარის ჩარიცხვის დოკუმენტი (მიზნობრიობა მითითებულია პირადი გადა-რიცხვა); 2014 წლის 11 დეკემბერს გ. უ-ს ანგარიშზე 5100 ლარის ჩარიცხვის დოკუმენტი (ანგარიშზე თანხის შემოტანა) ასევე, შპს ფ-ის გასავლის ორდერების საფუძველზე, ამავე კომპანიის წარ-მომადგენლების – რ. ა-სა და მ. ბ-ის სახელზე სულ, 31800 ლარის გაცემის თაობაზე სალაროს გასავლის ორდერებზე.

5.4. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, და მიუთითა, რომ სადავო არ იყო ის ფაქტი, რომ შპს „ფ-ს“ არსებუ-ლი საგადასახადო დავალიანება შეუმცირდა 2000000 ლარით, ხო-ლო მოპასუხეს რაიმე სახის მტკიცებულება, რაც დაადასტურებ-და, რომ ეს შედეგი გამოიწვია სხვა პირთა მომსახურებამ არ წარ-მოუდგენია. ამასთან, თავად მოპასუხის შედაცება, რომ მოსარჩე-ლისათვის გადახდილი აქვს 138000 ლარი მიანიშნებს იმ გარემოე-ბაზე, რომ მოსარჩელეს ვალდებულება სრულად შესრულებული აქვს.

5.5. სააპელაციო პალატამ დასძინა, რომ ვინაიდან, მოპასუხემ გარდა ზეპირი განმარტებისა და მონმეთა ჩვენებისა, ვერ წარმო-ადგინა მოსარჩელისათვის 77000 ლარზე მეტი თანხის გადახდის დადასტურებელი სათანადო მტკიცებულება, გაზიარებული უნ-და იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ მო-პასუხის დარჩენილი დავალიანება შეადგენდა 71680 ლარს, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია.

5.6. პალატა არ დაეთანხმა აპელანტის მსჯელობას იმასთან და-კავშირებით, რომ მოცემული დავა უნდა გადაწყდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამი-სად, რომლითაც ადვოკატის ჰონორარი მოგებულ საქმეზე შეად-გენს მოგებული თანხის არაუმეტეს 4%-ს. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი არის სპეციალური რეგულირების იმპერატიული ნორმა, რომელიც ითვალისწინებს სა-სამართლოში საქმის წარმოების დროს, დავაში მონაწილე მხარეთა შორის ხარჯების განაწილების წესს, ხოლო დავალების ხელშეკ-რულება არის პირთა თავისუფალი ნების საფუძველზე დადებული გარიგება, რომელიც უშუალოდ კლიენტსა (დავალების მიმცემი-მარწმუნებელი) და მომსახურე პირს (წარმომადგენელი, დავალე-ბის მიმღები) შორის ურთიერთობას არეგულირებს და შეზღუდუ-ლი არ არის გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრის თვალსაზრი-სით.

5.7. ზემოაღნიშნული მსჯელობის შესაბამისად, სააპელაციო პა-

ლატამ სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და გასაჩივრებუ-
ლი გადაწყვეტილება ძალაში დარჩა. თბილისის სააპელაციო პალა-
ტის განჩინება საკასაციო წესით, გაასაჩივრა შპს „ფ-მა“.

6. კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები

6.1. კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმე-
ბასა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. კასატორი აპე-
ლირებს, რომ იურიდიულმა ოფისმა შეადგინა მხოლოდ ერთადერ-
თი განცხადება, სხვა რაიმე სახის პროცესუალური მოქმედება არ
განხორციელებულა.

6.2. კასატორი სადავოდ ხდის მასზე სასამართლოს მიერ დაკის-
რებული თანხის ოდენობას. იგი მოიხმობს სამოქალაქო საპროცე-
სო კოდექსის 53-ე მუხლსა და უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას
(ას-792-1114-07; ას-1161-1116-2016) და განმარტავს, რომ ადვო-
კატისთვის დასაკისრებელი ჰონორარის ოდენობა შეადგენს მოგე-
ბული თანხის 4%-ს. მაშინ როდესაც მას გადასახდელად გაცილე-
ბით მეტი დაეკისრა. კასატორის მტკიცებით, რეალურად საწარ-
მოს გააჩნდა სახელმწიფოს წინაშე დავალიანება 2 626 762 ლარის
ოდენობით, რაზეც მოხდა საგადასახადო შეთანხმება და კომპანი-
ას ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 250 000 ლა-
რის გადახდის ვალდებულება. შესაბამისად, ჰონორარის გამოთ-
ვლის მიზნებისთვის თავდაპირველად გადასახდელ თანხას უნდა
გამოკლებოდა კომპანიის მიერ რეალურად გადახდილი თანხა (2
626 762-250 000=2 376 762), რაც ნიშნავდა, რომ 2 376 762 ლარის
4% არის – 95 070 ლარი, მაშინ როდესაც მას რეალურად მოსარჩე-
ლისთვის გადახდილი ჰქონდა 138 100 ლარი მას დამატებით თან-
ხის გადახდის ვალდებულება აღარ უნდა დაკისრებოდა.

6.3. კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ უმართე-
ბულოდ არ ჩათვალა სათანადო გადახდის მტკიცებულებად საბან-
კო გადარიცხვის ბეჭედდასმული ქვითრები და საბუღალტრო დო-
კუმენტები. კასატორის მტკიცებით, მხოლოდ საბანკო გადახდის
ქვითრებით უ-ს ოფისს გადარიცხული აქვს 96 000 ლარი, ხოლო ორ-
განიზაციის ბეჭედდასმული გასავლის ორდერებით, გ. უ-ის დაჟი-
ნებული მოთხოვნით, ხელზე გადაცემული აქვს 42 100 ლარი და
მიუთითებს შესაბამის მტკიცებულებებზე: საბანკო გადარიცხვის
ქვითრებზე, გასავლის ორდერებსა და მონმეთა ჩვენებებზე.

7. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

7.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა პალატის 2022 წლის 12 სექტემბრის განჩინებით, საკასაციო
საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კო-
დექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

7.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2023 წლის 11 იანვრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნტის საფუძველზე, დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, ასევე, მტკიცებულებების შეჯერებისა და გაანალიზების, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

8.8. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა სსსკ-ის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას სწორედ საკასაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიების შესაბამისად შეამოწმებს.

8.9. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვევულად ითვლება, თუ სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

8.10. საკასაციო პალატის შეფასების საგანია კასატორის შედავებების საფუძვლიანობა, კერძოდ, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი მატერიალური და პროცესუალური ნორმების დარღვევით, რაც გამოიხატა საქმეზე მტკიცებულებათა არასრული და არასწორი შეფასებით, რამაც საბოლოოდ გამოიწვია უკანონო განჩინების მიღება. სახელდობრ, სააპელაციო პალატამ უმართებულოდ არ ჩათვალა

სათანადო გადახდის მტკიცებულებად საბანკო გადარიცხვის ბეჭედდასმული ქვითრები და საბუღალტრო დოკუმენტები. კასატორი ამტკიცებს, რომ მოსარჩელის წინაშე არსებული ვალდებულება შესრულებულია სრულად, რაც დასტურდება საბანკო გადახდის ქვითრებით, ორგანიზაციის ბეჭედდასმული გასავლის ორდერებით, მონმეთა ჩვენებებით.

8.11. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელით მხარე დავობს სახელმეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე, კერძოდ აცხადებს, რომ მოპასუხეს სრულად არ შეუსრულებია ნაკისრი ფულადი ვალდებულება და გადასახდელად დარჩენილი აქვს 71 680 ლარი. აღნიშნულის საპირისპიროდ, მოპასუხის მიერ წარდგენილი შესაგებლით დგინდება, რომ მხარე ვალდებულების არსებობას ორი მოტივით უარყოფს, პირველი: იგი აცხადებს, რომ მოსარჩელეს მის მიმართ არ შეუსრულებია ნაკისრი ვალდებულება რის გამოც თანხის გადახდის ვალდებულება არ უნდა დაკისრებოდა, და მეორე: იმ შემთხვევაში თუ სასამართლო ფულადი თანხის გადახდის ვალდებულებას დაადგენდა, მას დამატებით აღარ უნდა დაკისრებოდა თანხის გადახდა, ვინაიდან, მართალია მისი ნების საწინააღმდეგოდ მაგრამ, სრულად ჰქონდა შესრულებული ნაკისრი ვალდებულება. სახელდობრ, შესაგებელში მითითებულია, რომ საბანკო გადახდის ქვითრებით უ-ს ოფისს გადარიცხული აქვს 96 000 ლარი, ხოლო ორგანიზაციის ბეჭედდასმული გასავლის ორდერებით, გ. უ-ის დაჟინებული მოთხოვნით, ხელზე გადაცემული აქვს 42 100 ლარი.

8.12. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის თანახმად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. ამავე კოდექსის 710-ე მუხლის შესაბამისად კი, მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო მხოლოდ ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველზე, სახელდობრ, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მოპასუხისგან მოითხოვს დავალების ხელშეკრულებით შეთანხმებული გასამრჯელოს (პონორარის) გადახდის დაკისრებას.

8.13. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემოწმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორ-

მის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვეოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

8.14. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ შპს „ფ-ს“ სამენარმეო საქმიანობიდან გამომდინარე, ძირი თანხისა და მასზე დარიცხული საურავების ჩათვლით ერიცხებოდა საგადასახადო დავალიანება 2 700 000 ლარის ოდენობით. ამ ფაქტზე ასევე, მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის წესით.

8.15. შპს „ფ-მა“ იურიდიული დახმარებისათვის მიმართა შპს „უ., ზ. და გ.“, რის საფუძველზეც შეთანხმდნენ და დადეს გარიგება კერძოდ, გააფორმეს იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რაც დათარიღებულია 2015 წლის 10 ივლისით. ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, მოპასუხემ იკისრა ვალდებულება, 2017 წლის 15 თებერვლამდე, საადვოკატო მომსახურებისათვის 126000 ლარის ასევე, მასზე დღგ-ს გადახდა, რაც საერთო ჯამში შეადგენდა 148680 ლარს. ხელშეკრულების 7.3 პუნქტის თანახმად, მისი ცალმხრივად მოშლა დასაშვებია მეორე მხარისათვის ხელშეკრულების შეწყვეტამდე 10 დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. მოპასუხეს რაიმე წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების მოშლის, შეწყვეტის შესახებ მოსარჩელისათვის არ გაუგზავნია.

8.16. 2015 წლის 10 ივლისის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მოსარჩელემ დაიწყო იურიდიული მომსახურების განევა კერძოდ: 1) 2016 წლის 16 აგვისტოს მიმართა შემოსავლების სამსახურს განცხადებით საგადასახადო შეთანხმების გაფორმების მოთხოვნით; 2) შპს „ფ-ის“ დამფუძნებლები პროკურატურაში რამდენჯერმე დაიკითხნენ, სადაც მათი ადვოკატი მოსარჩელის იურისტი თ. ს. ესწრებოდა დაკითხვებს; 3) მოსარჩელის ადვოკატებმა მთლიანად შეისწავლეს მოპასუხე კომპანიის საქმიანობა, ახორციელებდნენ მის წარმომადგენლობას და ინტერესების დაცვას პროკურატურაში, შემოსავლების სამსახურში. 4) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 03 ოქტომბრის №2028 განკარგულებით, შპს „ფ-ს“ გაუფორმდა საგადასახადო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, საგადასახადო დავალიანება შემცირდა.

8.17. საკასაციო პალატა, იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მოსარჩელის მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებასთან დაკავშირებით, კერძოდ, მხარეთა შორის წერილობით გაფორმებულ 2015 წლის 10 ივლისის იურიდიული მომსა-

ხურების ხელშეკრულება ითვალისწინებდა შპს „ფ-ის“ წარმომადგენლობას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მიმდინარე დავაში, ასევე სასამართლოსა და სამართალდამცავ ორგანოებში. საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს „ფ-ს“ არსებული საგადასახადო დავალიანება შეუმცირდა, ხოლო მოპასუხეს რაიმე სახის მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ შედეგი გამოიწვია სხვა პირთა მომსახურებამ, არ წარმოუდგენია. თავად მოპასუხის შედეგება, რომ მოსარჩელისათვის გადახდილი აქვს 138 000 ლარი, მიაწინებებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეს ვალდებულება სრულად შესრულებული აქვს. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ამ ნაწილში არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო შედეგება, ვინაიდან დადასტურებულია მხარეთა შორის დავალების სახელშეკრულებო ურთიერთობა არსებობა და ასევე, გაფორმებული დავალების ხელშეკრულების ფარგლებში, დავალებული (მინდობილი) მოქმედებების განხორციელების ფაქტი.

8.18. რაც შეეხება შეთანხმებული ჰონორარის ანაზღაურებას, მოსარჩელე მიუთითებს, რომ 2015 წლის 10 ივლისის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მოპასუხემ მოსარჩელეს საბანკო ანგარიშზე ჩაურიცხა ჯამში 77 000 ლარი, კერძოდ: 1. 2016 წლის 27 ნოემბერს – 15000 ლარი; 2. 2016 წლის 08 დეკემბერს – 7000 ლარი; 3. 2017 წლის 09 მარტს – 20000 ლარი; 4. 2017 წლის 16 მარტს – 20000 ლარი; 5. 2017 წლის 18 აპრილს – 5000 ლარი; 6. 2017 წლის 26 აპრილს – 5000 ლარი; 7. 2017 წლის 02 ივნისს – 5000 ლარი; ხოლო, საკასაციო საჩივრის ავტორი(მოპასუხე) ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების ჯეროვნად შესრულებაზე (თანხის სრულად ანაზღაურებაზე) მიუთითებს და აღნიშნულის დასტურად კასატორი აპელირებს საქმეში წარმოდგენილ საბუღალტრო დოკუმენტებზე – გასავლის ორდერებსა და მოწმეთა ჩვენებებზე, რომელთა საფუძველზე დასტურდება კრედიტორის მიერ თანხის მიღების ფაქტი.

8.19. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს შემდეგს: სამოქალაქო პროცესში სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრვენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ევალება სასარჩელო განცხა-

დებაში ასახული ფაქტების მტკიცება, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ მოპასუხის ზეპირი განმარტება მოსარჩელის პოზიციას ვერ გადანონის და მხარისათვის არახელსაყრელ მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს. ამასთან, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება, დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლები).

8.20. სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. საკასაციო პალატის განმარტებით, მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ კრედიტორი ყოველთვის ვალდებულია მისცეს მოვალეს მის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ამას მოვალე მოითხოვს, თუმცა კანონმდებელი ასეთივე მომთხოვენი არ არის მოვალის მიმართ. მას შეუძლია, არ მოითხოვოს ხსენებული საბუთი კრედიტორისაგან. კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია ვალდებულებიდან გამომდინარე მხარეთა მდგომარეობით. დოკუმენტის (ვალის გადახდის თაობაზე საბუთის) ფლობა აუცილებელია მოვალისათვის, რადგან მას მხოლოდ ასეთი დოკუმენტით შეუძლია იმის დადასტურება, რომ ვალი გადაიხადა, რასაც ვერ ვიტყვით კრედიტორზე. ამდენად, იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე კრედიტორისაგან არ ითხოვს საბუთს ვალდებულების შესრულების შესახებ, უნდა ითქვას, რომ ამით ის იჩენს გარკვეულ წინდაუხედაობას ან ზედმეტ ნდობას კრედიტორის მიმართ. საბოლოოდ, ეს ფაქტორი მთლიანად უკავშირდება მის რისკს და განაპირობებს მისი მხრიდან ვალდებულების არსებობა-არარსებობის ფაქტს (მდრ. იხ. სუსგ საქმე №ას-570-541-2015, 11 ნოემბერი, 2015 წელი).

8.21. მოსარჩელის მიერ ფულადი ვალდებულების დადასტურების შემთხვევაში და ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე მისი მითითების პირობებში, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ მოპასუხეს ვალდებულება შესრულებული არ აქვს. ამდენად, ფულადი ვალდებულების დადასტურების ტვირთი აკისრია მოსარჩელეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე. ამ პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი (ვალდებულების შესრულების ტვირთი) აკისრია მოპასუხეს. ფულადი ვალდებულებების შესრულების თა-

ობაზე წერილობითი მტკიცებულებების არ არსებობის პირობებში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი) მოწმეების ჩვენება დასაშვებია მხოლოდ სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

8.22. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების დადასტურებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები. მოწმეთა ჩვენებებთან ერთად აუცილებელია ისეთი მტკიცებულების არსებობა, რაც ერთობლივად მაღალი ალბათობით დაადასტურებდნენ სადავო ფაქტს (მაგალითად, უშუალოდ კრედიტორის წერილი, თუნდაც მესამე პირისადმი მიმართული, რომელშიც მითითებული ინფორმაცია ვალდებულების შესრულების თაობაზე, ან/და კრედიტორის მოქმედებები, რომლებიც მიუთითებენ ვალდებულების მიღებაზე და სხვა). სსკ-ის 429-ე მუხლის დანაწესი ზღუდავს მხარეებს არა გარიგების ფორმის, არამედ მტკიცებითი საშუალებების არჩევანში, შესაბამისად, ფულადი ვალდებულების შესრულება ვერ დადასტურდება მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით. ფულადი ვალდებულების შესრულებისას კანონი „არ ენდობა“ მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებს (ამ შემთხვევაში, მოწმის ჩვენების, როგორც არაპირდაპირი (ინდიციური) მტკიცებულების შეფასება, ემპირიული წესების საფუძველზე ხორციელდება სხვა მტკიცებულებთან შეფასების გზით).

8.23. საკასაციო პალატა, საკასაციო საჩივრის ავტორის ყურადღებას გაამახვილებს საქმეში წარმოდგენილ ბეჭედდასმულ სალაროს გასაფლავის ორდერებზე, რომელიც წარმოადგენს შიდა აღრიცხვის დოკუმენტს. ამ დოკუმენტით ცალსახად დასტურდება შპს ფ-ს დამფუძნებელი პარტნიორებსა და თანამშრომლებზე, კომპანიიდან საქვეანგარიშოდ თანხის გაცემის ფაქტი, თუმცა ამ მტკიცებულებით ვერ დგინდება შეთანხმებული ჰონორარის ფარგლებში, მოსარჩელისთვის თანხის ნაწილობრივ ან სრულად გადაცემის ფაქტი. ასეთი ვალდებულების შესრულება ასევე ვერ დადგინდება მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე. რაც შეეხება საბანკო გადარიცხვებს, სადაც ცალსახად დაფიქსირებულია თანხის მიმღები პირი და თანხის დანიშნულება, უტყუარად დასტურდება 77000 ლარის ნაწილში, ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების ფაქტი. რაც შეეხება ასანაზღაურებელ 71 680 ლარს (იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება განისაზღვრა 126 000 ლარით, დღე-ს ჩათვლით, რაც შეადგენს 148 680 ლარს) საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოპასუხემ ვერ წარმოადგინა სსკ-ის 429-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულება – მოსარჩელის მიერ თანხის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა სააპელაციო სასამართლოს სათანადოდ არ შეუფასებია საქმეში არსებული ის მტკიცებულებები, რომელიც მიუთითებს თ. ს-ის მიერ მიღებული 28 000

ლარის ოდენობით თანხის ნაწილში, სამოქალაქო კოდექსის 373.2 მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილი პირის თანხმობით, არაუფლებამოსილი პირის მიმართ განხორციელებულ შესრულებაზე.

8.24. საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოვალე ვალდებულია შეუსრულოს ვალდებულება კრედიტორს ან იმ პირს, რომელიც კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამოსილია მიიღოს შესრულება. იმავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად კი, თუ ვალდებულების შესრულება მიიღო იმ პირმა, რომელიც არ იყო უფლებამოსილი, ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად მაშინ, როცა კრედიტორმა მისცა ამის თანხმობა ან ამ შესრულებისგან მიიღო სარგებელი.

8.25. აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს შესრულებული ვალდებულების მიღებაზე უფლებამოსილ პირთა წრეს. ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შედეგი ვალდებულების შეწყვეტაა, თუმცა, ვალდებულების ყოველი შესრულება არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, არამედ მხოლოდ კრედიტორის სასარგებლოდ შესრულება ვალდებულების შეწყვეტას არ იწვევს. ასეთი შესრულება ნამდვილია, ანუ სამართლებრივი შედეგის წარმომშობია მხოლოდ მაშინ, თუ უფლებამოსილი პირი თანახმაა არაუფლებამოსილი პირის მიერ შესრულების მიღებაზე. წინასწარ თანხმობას უთანაბრდება შემდგომი მოწონება. პროცესუალურ სამართლებრივი კუთხით, თუ სამართალწარმოების მხარეები არიან მოვალე და უფლებამოსილი კრედიტორი, ასეთ შემთხვევაში მოვალეს ეკისრება ვალდებულება დაადასტუროს, რომ არაუფლებამოსილი პირის მიმართ შესრულება უფლებამოსილი კრედიტორის თანხმობით ან შემდგომი მოწონებით განახორციელა ან უფლებამოსილმა სუბექტმა აღნიშნული შესრულებისგან სარგებელი მიიღო (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, მუხლი 373, www.gecc.ge)

8.26. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მოსარჩელის იურიდიული ოფისის ადვოკატის თ. ს. ის მოწმის სახით მიცემულ ჩვენებაზე, რომელმაც დაადასტურა მოპასუხისაგან, ჯამში 28 000 ლარის მიღების ფაქტი. მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში, სწორედ თ. ს. ანარმოებდა შპს „ფის“ საქმეს.

8.27. სამოქალაქო სამართალწარმოებაში დამკვიდრებული პრინციპის გათვალისწინებით, რომლის თანახმადაც სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს მტკიცებულებათა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური შეფასების შედეგად, საკასაციო პალატა მო-

იხმობს 2019 წლის 13 ნოემბერს, ბათუმის საქალაქო სასამართლო სხდომაზე გამოკითხული თ. ს-ს ჩვენებას, რომელმაც დაადასტურა, რომ ზეპირი გარიგება ჰქონდა იურიდიულ ოფისთან და შპს „ფ-სა“ და ოფისს შორის დადებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, ახორციელებდა წარმომადგენლობას. ოფისს უნდა აენაზღაურებინა შესაბამისი თანხა, რაზედაც უარი ეთქვა, რადგან შპს „ფ-ი“ არ რიცხავდა იურიდიული მომსახურების თანხას. შპს „ფ-სა“ და უ-ის საკონსულტაციო ოფისს შორის გარკვეული უთანხმოება არსებობდა, რის გამოც მან გ. უ-სგან აიღო თანხმობა, რომ მის მიერ შპს „ფ-სთვის“ გაწეული საადვოკატო მომსახურების თანხას თავად აიღებდა ამ კომპანიისგან. ამ მოტივით იგი ჩავიდა ბათუმში და შეხვდა შპს „ფ-ის“ მხრიდან თანხის გადახდაზე უფლებამოსილ პირებს. მისივე განმარტებით, მათგან ნაღდი ანგარიშსწორებისა და გადარიცხვის გზით, ჯამში მიღებული აქვს 28 000 ლარი. მოწმემ ასევე განმარტა, რომ ბათუმში ჩასვლის შესახებ იცოდა ოფისის დირექტორმა და როცა დაბრუნდა, ასევე საქმის კურსში ჩააყენა. აქვე საკასაციო პალატა ყურადღებას მიაპყრობს საქმის მასალებში წარმოდგენილ კიდევ ერთ მტკიცებულებას, კერძოდ, საბანკო ანგარიშიდან ამონაწერს, საიდანაც ირკვევა, რომ შპს „ფ-ის“ თანამშრომელს გ. ნ-ეს, შპს „ფ-სგან“ საქვეანგარიშოდ ჩარიცხული აქვს 11 000 ლარი, საიდანაც 8 000 ლარი გადარიცხულია თ. ს-სთვის.

8.28. კასატორი, ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ დადასტურების მიზნით უთითებს მოწმეთა ჩვენებებზე. სახელდობრ, საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2019 წლის 13 ნოემბერს, გამოკითხული კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორის რ. ა-ს ჩვენებას, სადაც იგი ადასტურებს, რომ კომპანიიდან საქვეანგარიშოდ, გასავლის ორდერის საშუალებით, ბუღალტერი მის სახელზე წერდა თანხას, რომელსაც იგი მატერიალური სახით იღებდა სალაროდან და ხელზე აძლევდა თ. ს-ს. ამავე სხდომაზე მოწმე რ. ა-მ, განმარტა, რომ კომპანიიდან საქვეანგარიშოდ სამჯერ აქვს თანხა გამოტანილი 8 000 ლარის, 2000 ლარის და 10 000 ლარის ოდენობით, რაც გ. უ-ს თანხმობით, გადასცა თ. ს-ს. საკასაციო პალატა მოხმობილი მოწმის ჩვენების კვალდაკვალ, ყურადღებას მიაპყრობს საქმის მასალებში წარმოდგენილ სალაროს გასავლის ორდერებს, რომლებითაც დგინდება, რომ 2017 წლის 07 ივნისს, რ. ა-მ შპს „ფ-ს“ სალაროდან გაიტანა 8 000 ლარი, თანხის გადახდის საფუძველად მითითებულია შპს „უ. ზ. და გ. საკონსულტაციო ჯგუფისთვის იურიდიული მომსახურების საფასური“, ასევე, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებიდან იკვეთება, რომ 2016 წლის 2

ოქტომბერს, რ. ა-მ შპს „ფ-ს“ სალაროდან გაიტანა 10 000 ლარი, თანხის გადახდის საფუძვლად მითითებულია შპს „უ. ზ. და გ. საკონსულტაციო ჯგუფისთვის იურიდიული მომსახურების საფასური“, ამასთან, საქმეში წარმოდგენილი მესამე სალაროს ორდერიდან, რომელიც დათარიღებულია 2017 წლის 01 ივლისით, იკვეთება, რომ რ. ა-მ შპს „ფ-ს“ სალაროდან გაიტანა 2 000 ლარი, თანხის გადახდის საფუძვლად მითითებულია შპს „უ. ზ. და გ-ს საკონსულტაციო ჯგუფისთვის იურიდიული მომსახურების საფასური“.

8.29. საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ მოხმობილი მტკიცებულებათა ერთობლიობა ადასტურებს, რომ კომპანიიდან საქვეანგარიშოდ გატანილია ზუსტად 28 000 ლარი, რომლის ხელზე (20 000 ლარი) და საბანკო გადარიცხვის გზით (8 000 ლარი) თ. ს-თვის გადაცემის შესახებ აპელირებდნენ შპს „ფ-ს“ დამფუძნებელი რ. ა-ე და თანამშრომელი გ. ნ-ძე, ამ ოდენობის თანხის პირადად, გ. უ-ს თანხმობით, მიღებას კი, ასევე ადასტურებს საქმის წარმმართველი ადვოკატი – თ. ს-ც.

8.30. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს. მტკიცებულებათა შეფასება ეფუძნება შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას და არა – სასამართლოს სუბიექტურ მოსაზრებებს. სასამართლო ობიექტურ სანყისებზე მტკიცებულებათა ყოველმხრივი და სრული გამოკვლევის შედეგად ადგენს მათ იურიდიულ ძალას, კერძოდ, განსაზღვრავს – თუ რა გარემოების დადგენა ან პირიქით, უარყოფა შესაძლებელი. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მტკიცებულებათა შეფასება მათი უტყუარობის თვალსაზრისით, რისთვისაც საჭიროა ამ მტკიცებულებათა ყოველმხრივი შემოწმება, მათი დაპირისპირება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან. მტკიცებულებათა შეფასებას კი პროცედურულად მოჰყვება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში (სსსკ-ის 105-ე მუხლი) (სუსგ. №ას-400-2020, 15.02.2022).

8.31. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოთ მოყვანილი სამართლებრივი მსჯელობის გათვა-

ლისწინებით, შეჯერებული მტკიცებულებების, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების, შესაგებელში გაჟღერებული კვალიფიციური შედავების, საქმეზე დართული სხვა მტკიცებულებებისა და მტკიცების ტვირთის ობიექტური განაწილების პირობებში, საქმის ხელახლა განხილვის შედეგად, სააპელაციო პალატამ უნდა შეამოწმოს შეთანხმებული საზღაურის გადახდის თაობაზე დავის გადასაწყვეტად საუკეთესო საშუალებას ხომ არ წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლი, რომლის თანახმად, მოვალე ვალდებულია შეუსრულოს ვალდებულება კრედიტორს ან იმ პირს, რომელიც კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამოსილია მიიღოს შესრულება. თუ ვალდებულების შესრულება მიიღო იმ პირმა, რომელიც არ იყო უფლებამოსილი, ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად მაშინ, როცა კრედიტორმა მისცა ამის თანხმობა ან ამ შესრულებისგან მიიღო სარგებელი.

8.32. მტკიცებულებათა სრული, ობიექტური და კრიტიკული შეფასების შედეგად, სასამართლომ ხელახლა უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს შემდეგი გადამწყვეტი გარემოება: იმ პირობებში როდესაც, როგორც მოსარჩელის ინიციატივით გამოკითხული მოწმე ასევე, მოპასუხის ინიციატივით გამოკითხული მოწმეები (მაგ. მ. ბ. და ვ. კ., რ. ა. და თ. ს.) ადასტურებენ, რომ შპს „ფ-ს“ მიერ 28 000 ლარის გადახდა თ. ს-სათვის ხდებოდა გ. უ-თან შეთანხმებით და არასდროს განხორციელებულა მისი ინფორმირების გარეშე, აღნიშნული მოქმედებები ხომ არ განიხილება სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლით განსაზღვრულ ვალდებულების შესრულებად. საბოლოოდ კი, ამ ფაქტობრივი გარემოების დადგენა სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას განსაზღვროს კასატორის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების/შეუსრულებლობის ფაქტი.

8.33. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტისთვის არასწორი დამფუძნებელი ნორმის არჩევას, საქმეზე გამოკითხული მოწმეების ჩვენებების შეფასების გარეშე დატოვებას ასევე, მოწმეთა ჩვენებებისა და საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს შორის შესაძლო ურთიერთკავშირის არსებობის კრიტიკულ შეუფასებლობას, საქმეზე არასწორი შედეგის დადგომა მოჰყვა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლიდან გამომდინარე კი, უზენაესი სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტობრივი გარემოებების დამდგენ სასამართლოს. ამდენად, საკითხის სწორად გადასაწყვეტად საქმეზე დამატებით შესასწავლი და დასადგენია ფაქტობრივი გარემოება – მოპასუხის მიერ გადახდილი თანხის ოდენობა, ამასთან, დამფუძნებელი ნორმის სწორ განსაზღვრაზე, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის მართებულ გადანაწილებასა

და გადახდილი თანხის ზუსტ დადგენაზეა დამოკიდებული სარჩელის დაკმაყოფილების საკითხის გადაწყვეტაც.

8.34. აქედან გამომდინარე, საქმის ხელახლა განხილვისას, სააპელაციო პალატამ საკასაციო სასამართლოს მიერ წინამდებარე განჩინებაში მოყვანილი სამართლებრივი შეფასების გათვალისწინებით, დავის გადაწყვეტისთვის საჭირო დამფუძნებელი ნორმის სწორი შერჩევით, ხელახლა უნდა გამოიკვლიოს მტკიცებულებები და მტკიცების ტვირთის სამართლიანი გადანაწილების საფუძველზე, ყოველმხრივი შეფასება უნდა მისცეს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს.

8.35. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე¹“ ქვეპუნქტების თანახმად, გაუქმების საფუძველი და საქმე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლიდან გამომდინარე, ხელახლა განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

8.36. საკასაციო სასამართლო, ასევე, მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულის ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. მაშასადამე, საქმის ხელახლა განხილვისას, საპროცესო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ასევე 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ფ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ვალდებულების დარღვევა

ხელშეკრულების მისაღებად შეცვლილი გარემოებებისადმი

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1063-2021

21 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ლ. ქოჩიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ა. ძაბუნაძე
თ. ძიმისტარაშვილი

დავის საგანი: პროცენტის სახით დარიცხული თანხის გადახ-
დისაგან გათავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი: სასარჩელო მოთხოვნა:

1. ა. ა-მა (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „მოსარჩელე“, „აპელანტი“, „კასატორი“, „კრედიტის ამლეები“) სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ს.ს. „ს. ბ-ი“-ს (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „მოპასუხე“, „მონინალმდეგე მხარე“, „კასატორი“, „კრედიტის გამცემი“) მიმართ, 2019 წლის 2 ივლისის საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დარიცხული პროცენტის – 2760 ლარის გადახდისაგან გათავისუფლების მოთხოვნით.

სარჩელის საფუძვლები:

2.1. 2019 წლის 2 ივლისს ს.ს. „ს. ბ-სა“ და ა. ა-ს შორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, 2023 წლის 17 ივლისამდე მოსარჩელემ აიღო სესხი 20 000 ლარის ოდენობით, წლიური 18%-ის სარგებლით. კრედიტის ამლებს ბანკისათვის უნდა დაებრუნებინა კრედიტის თანხა, მასზე დარიცხულ სარგებელთან ერთად – 28532 ლარი, რომელიც უნდა დაფარულიყო ეტაპობრივად, ყოველთვიური გადახდებით. ყოველთვიურად გადასახდელი თანხა შეადგენდა 588.20 ლარს. მოსარჩელეს ხელშეკრულებაში ცვლილებები არ შეუტანია, მიუხედავად ამისა, მოპასუხე 2020 წლის 15 სექტემბრიდან სთხოვს 597.19 ლარის გადახდას 2024 წლის 15 მაისამდე, რაც ზიანს აყენებს მოსარჩელეს, ვინაიდან ნაცვლად 28 532 ლარისა, ბანკი მას ავალდებულებს ჯამში 31 292 ლარის გადახდას,

შესაბამისად, სხვაობა შეადგენს 2760 ლარს.

2.2. მოსარჩელეს პროცენტის გადახდა დაეკისრა 2015 წლის 15 მარტიდან 2015 წლის 15 სექტემბრამდე ყოველთვიური გადახდების გადავადების გამო, რაც მოსარჩელეს მიაჩნია კანონსაწინააღმდეგოდ, ვინაიდან ხსენებულ პერიოდში ყოველთვიური გადასახდელების გადავადება არ იყო გამოწვეული მოვალის ბრალით.

2.3. საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ 2020 წლის მარტიდან გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და შეიზღუდა მთელი რიგი ეკონომიკური საქმიანობები, რამაც ზეგავლენა იქონია ბიზნესის აქტიურობასა და შესაბამისად, მოვალეთა გადახდისუნარიანობაზე, მნიშვნელოვნად შემცირდა შემოსავალი, რამაც შეუძლებელი გახადა ვალდებულებათა შესრულება მოვალეთაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, რისი დასტურია თავად ბანკის ქმედებაც ყოველთვიური გადახდების 2020 წლის სექტემბრამდე გადავადების სახით, აგრეთვე მოსარჩელისთვის, როგორც დაზარალებული თვითდასაქმებულისათვის, სახელმწიფოს მიერ 300 ლარიანი დახმარების გაცემა 2020 წლის 21 აგვისტოს.

მოპასუხის პოზიცია:

3.1. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა შემდეგი: მსოფლიოში არსებული ახალი კორონავირუსის პანდემიად გამოცხადების შედეგად, ბანკის მხრიდან მიღებული იქნა გადანაცვეტილება მსესხებულებისათვის მიეცათ შესაძლებლობა ესარგებლათ სამთვნიანი საშელავათო პერიოდით, რის შესახებაც ინფორმაცია გავრცელდა როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ისე ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდის, სოციალური ქსელებისა და თითოეულ მსესხებელთან ინდივიდუალურად გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.

3.2. 2020 წლის 17 მარტს მოსარჩელე ა. ა-ს ბანკის მიერ გაეგზავნა „SMS“ შეტყობინება, შემდეგი შინაარსით: „ს. ბ-ი“: გაცნობებთ, რომ ფილიალში მოსვლის გარეშე, ყველა სესხზე ისარგებლებ 3 თვნიანი საშელავათო პერიოდით, სესხის დასაფარი თვეების რაოდენობა გაიზრდება და საშელავათო პერიოდში დასაფარი თანხა გადანაწილდება განახლებულ ვადაზე. ვადის ცვლილება მობილ-ბანკსა და ინტერნეტბანკში აისახება 3 დღის განმავლობაში, ამ დროის განმავლობაში სესხზე შესატანი თანხა არ ჩამოგეჭრება. იმ შემთხვევაში, თუ არ გსურს ამ შელავათით სარგებლობა, გამოაგზავნე ამავე SMS-ზე პასუხი: NOGRACE. დეტალებისთვის ეწვიე: <http://bit.ly/info-BoG.03224444>..“ მისი მხრიდან საპასუხო შეტყობინება საშელავათო პერიოდით სარგებლობაზე უართან დაკავშირებით ბანკს არ მიუღია, რამაც გამოიწვია მომხმარებლის ინტერნეტ ბანკში სესხის დაფარვის გრაფიკის კორექტირება.

3.3. იმისათვის, რომ მომხმარებელს მარტივად აღექვა საშელავათო პერიოდით სარგებლობის დეტალები, ბანკის ოფიციალურ საიტზე განთავსებულ ინფორმაციაზე ბმულის სახით იყო მითითება ხშირად დასმულ საკითხებზე, რომლებიც ამომწურავ პასუხს იძლეოდა მომხმარებლისათვის საინტერესო საკითხებზე. პირველ მნიშვნელოვან საკითხად განსაზღვრული იყო ის გარემოება, რომ საშელავათო პერიოდით სარგებლობის გამო ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილების შესატანად არ იყო საჭირო მომხმარებლის ვიზიტი ბანკში. დეტალურ აღწერაში აღნიშნული იყო, რომ უნდა შედგენილიყო ახალი გრაფიკი, რომელიც არ იქნებოდა ძველის იდენტური არც ვადის და არც გადასახდელი თანხის კუთხით. ცალსახად და ნათლად იყო დაფიქსირებული, რომ საშელავათო პერიოდის განმავლობაში საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გაგრძელდებოდა. საშელავათო პერიოდის გააქტიურება მოხდებოდა ავტომატურად. ავტომატურ გააქტიურებას არ დაეკემდებარებოდნენ მხოლოდ მომხმარებლები, რომლებიც უარს განაცხადებდნენ საშელავათო პერიოდით სარგებლობაზე. განმარტებული იყო ასევე იმ ალტერნატიულ არხებზე, რომლის საშუალებითაც კლიენტს ეძლეოდა შესაძლებლობა უარი განეცხადებინა საშელავათო პერიოდით სარგებლობაზე, ეს საშუალებები იყო ბანკის სატელეფონო ცენტრი ან მომსახურე ბანკირის მეშვეობით უარის დაფიქსირება, განახლებული გრაფიკის ინტერნეტ და მობილბანკში ასახვა განხორციელდებოდა ! კვირის განმავლობაში. ვინაიდან გრაფიკის ნახვის შემდეგ, კლიენტი უფრო ნათლად აღიქვავდა ხელშეკრულებაში შეტანილ ცვლილებას, მას ამის შემდეგაც არ ეკარგებოდა შესაძლებლობა უარი განეცხადებინა საშელავათო პერიოდზე. დისტანციურად მოხდებოდა სამთვლიანი პერიოდის კორექტირება, შესაბამისად, ძველ გრაფიკში ბრუნდებოდა, მიუხედავად იმისა, თანხმობა ექნებოდა თუ არა განცხადებული საშელავათო პერიოდით სარგებლობაზე. ა. ა-ის მიერ არცერთი ზემოაღნიშნული ფორმით არ დაფიქსირებულა უარი საშელავათო პერიოდით სარგებლობაზე.

3.4. არსებული საფრთხის გამო, ბანკმა კვლავ მიიღო გადაწყვეტილება 3 თვიანი საშელავათო პერიოდის მიცემის შესახებ იმ პირებისათვის, რომლებმაც ბანკის ინფორმაციით დაკარგეს ან შეუმცირდათ შემოსავალი. ზემოაღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია განთავსდა ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2020 წლის 19 ივნისს. საშელავათო პერიოდის დაწესების დეტალური პირობები მოცემული იყო ამავე ლინკზე. ვინაიდან ა. ა-ი იღებდა სახელმწიფოსაგან კომპენსაციას, მასზე ვრცელდებოდა საშელავათო პერიოდის დაწესების დეტალური პირობების ის ნაწილი, სადაც საუბარია იმ მომ-

ხმარებლებზე, რომლებიც იღებენ კომპენსაციას შემოსავლების დაკარგვის ან შემცირების გამო. ამავე პირობების 1.2.2. ქვეპუნქტის თანახმად, საშელავათო პერიოდის განმავლობაში საპროცენტო სარგებლისა და დაზღვევასთან დაკავშირებული საკომისიოების დარიცხვა გრძელდება და მათი გადახდა უნდა განხორციელდეს ახალი გრაფიკის შესაბამისად, ეს ყოველივე კი თავისთავად იწვევს გადასახდელი თანხის ცვლილებას. 1.2.3.1. ქვეპუნქტის თანახმად, ცალსახად განსაზღვრულია, რომ იცვლება ყოველთვიურად გადასახდელი თანხა, რომელიც სესხის მოქმედების ვადის გაზრდის ხარჯზე მაქსიმალურად მიახლოებული იქნება ძველი გრაფიკით განსაზღვრულ გადასახდელ თანხასთან. 1.2.3.2. ქვეპუნქტის თანახმად, საშელავათო პერიოდის განმავლობაში დარიცხული/დაგროვილი საპროცენტო სარგებელი და დაზღვევასთან დაკავშირებული საკომისიოები გადანაწილდება საშელავათო პერიოდის მომდევნო რამდენიმეთვიან პერიოდზე. რაც შეეხება საშელავათო პერიოდის განმავლობაში დარიცხულ თანხას, მისი გადანაწილება მოხდება სესხის დარჩენილ პერიოდზე ანუ 1.2.3.2. პუნქტში მითითებული პერიოდის დასრულებიდან სესხის მთლიან პერიოდზე.

3.5. პირველი საშელავათო პერიოდის დასრულების შემდეგ, 2020 წლის 19 ივნისსვე მოსარჩელე ა. ა-ს ბანკის მიერ გაეგზავნა „SMS“ შეტყობინება იმავე ნომერზე, შემდეგი შინაარსით: „ს. ბ-ი: გაცნობებთ, რომ შენს ყველა საკრედიტო პროდუქტზე, ფილიალში მისვლის გარეშე, გაგიაქტიურდება 3 თვიანი საშელავათო პერიოდი. დეტალურად გაეცანი საშელავათო პერიოდით სარგებლობის პირობებს ბმულზე: <http://bit.ly/info-BoG>. თუ არ გსურს აღნიშნული პირობებით სარგებლობა, 3 დღის მანძილზე გამოგზავნე SMS ტექსტით NOGRACE ნომერზე 44..., დამატებითი კითხვების შემთხვევაში, დაგვიკავშირდი: 0322444....“ მოსარჩელის მხრიდან ბანკს საპასუხო შეტყობინება არ მიუღია, რამაც შესაბამისად გამოიწვია მომხმარებლის ინტერნეტბანკში სესხის დაფარვის გრაფიკის კორექტირება, რაც ა. ა-ს აესახა კიდევ ინტერნეტ ბანკში. ფაქტია, ის გაეცნო კიდევ ამ ცვლილებას, თუმცა მოსარჩელე არ დაკავშირებია ბანკს არსებული ცვლილების გაუქმების მოთხოვნით.

3.6. მხარეებს შორის გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულება ითვალისწინებს ბანკის მიერ ხელშეკრულების პირობების ცალმხრივად ცვლილებასაც, რომლის შესაბამისად ბანკმა 30 დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის გზით უნდა აცნობოს მომხმარებელს. ეს ჩანაწერი შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის №151/04 ბრძანებასთან „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესთან“. პანდემიის საფრთხი-

დან გამომდინარე, კომერციულ ბანკებს 2020 წლის 31 მარტს გამოეზავნათ საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება კორონავირუსის გამო განვითარებულ მოვლენებზე საპასუხოდ კომერციული ბანკის მიერ სესხებზე საშელავათო პერიოდის დაწესების შემთხვევაში ესარგებლათ დოკუმენტში მითითებული პირობებით, რომლის ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების პირობების ცვლილების შემთხვევაში დამატებით ან/და ცვლილების ხელშეკრულების გაფორმება სავალდებულო არ იყო ამავე დოკუმენტით დასტურდება, რომ მომხმარებლები წინსწრებით ვერ იქნებოდნენ ინფორმირებულები საშელავათო პერიოდით სარგებლობის შეცვლილ პირობებთან დაკავშირებით და გადახდის გრაფიკის შეცვლის შემდეგ (ანუ მას შემდეგ რაც მხარე დეტალურად გაეცნობოდა /უნდა გაცნობოდა ცვლილების პირობებს) სწორედ მომხმარებლის სურვილით შესაძლებელი იყო ძველ გადახდის გრაფიკზე დაბრუნება, თუ მომხმარებელი გააგრძელებდა გადახდებს ძველი პირობების შესაბამისად.

3.7. მეორე საშელავათო პერიოდის ამოქმედებასთან ერთად საქართველოს ეროვნული ბანკის 2020 წლის 4 ივნისის მიმართვის თანახმად, დადასტურებულია, რომ სესხის გადახდის თავდაპირველი გრაფიკით გათვალისწინებული გადასახდელები შესაძლოა უმნიშვნელოდ გაიზარდოს, ამავე მიმართვით განისაზღვრა, რომ ცვლილება არ საჭიროებს დამატებით დოკუმენტის გაფორმებას და ცვლილებით გამოწვეული ახალი გადახდების შესახებ დეტალური ინფორმაცია/დაფარვის გრაფიკი მომხმარებლებს უნდა მიენიჭოთ ელექტრონული არხების მეშვეობით. ელექტრონული არხის ერთ-ერთი ფორმაა ინტერნეტ ბანკი. ამ ინფორმაციის ასახვის შემდეგ, თუ უარს განაცხადებდა მომხმარებელი საშელავათო პერიოდით განსაზღვრულ პირობებზე, ბანკი ვალდებული იქნებოდა დაებრუნებინა მომხმარებელი ძველი გადახდის გრაფიკზე, რაც არ მომხდარა ა. ა-ის მიერ. ასეთ შემთხვევაში, მხარეს უნდა განეხორციელებინა გადახდები ძველი გრაფიკის შესაბამისად, მოსარჩელეს გადახდები არ გაუგრძელებია.

3.8. ყოველთვიურად გადასახელი თანხის ოდენობა გაიზარდა 8.99 ლარით. კრედიტის მოქმედების ვადა გაგრძელდა 45 თვით. თავდაპირველად ხელშეკრულებაზე დართული გრაფიკის მიხედვით გადასახდელი თანხა შეადგენდა 28 482.45 ლარს, საიდანაც ძირითადი თანხაა – 20000 ლარი, პროცენტი – 8482.45 ლარი. ცვლილების შედეგად, საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გადასახდელი თანხა შეადგენს 30 992.54 ლარს, აქედან პროცენტია – 10 992.54 ლარი. შესაბამისად, სხვაობის თანხამ შეადგინა 2510.09 ლარი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით, ა. ა-ის სარჩელი ს.ს. „ს. ბ-ი“-ს მიმართ არ დაკმაყოფილდა.

5. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ა. ა-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 18 ივნისის განჩინებით, ა. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება.

7. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

7.1.1. 02.07.2019 წელს ს.ს. „ს. ბ-სა“ და ა. ა-ს შორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება №1015956, რომლის თანახმად, ბანკმა იკისრა ვალდებულება, მსესხებელზე გაეცა კრედიტი 20 000 ლარის ოდენობით, 2023 წლის 17 ივლისამდე (48 თვის ვადით). ხელშეკრულების საფუძველზე, წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა 18%-ით, წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი – 20.60%-ით. ხელშეკრულებით, ყოველთვიურად გადასახდელი თანხა განისაზღვრა ჯამში 588.20 ლარით, რაც მოიცავდა როგორც ძირ თანხას, ასევე პროცენტს.

7.1.2. საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით, ბანკი უფლება-მოსილია კლიენტისათვის 30 კალენდარული დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის გზით, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები (მათ შორის და არა მხოლოდ კრედიტის თანხის მოცულობა, მოქმედების ვადა ან/და საპროცენტო განაკვეთის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს ან/და სხვა გადასახდელის მოცულობა/ოდენობა ან/და მათი დარიცხვის წესი ან/და გადახდის ვადა/პირობები და ა.შ.) კლიენტისთვის აღნიშნული შეტყობინების გაგზავნა განხორციელდება ბანკში დაფიქსირებული კლიენტის შესაბამის მისამართზე, წერილობით ან/და ელექტრონულად (რაც ერთმნიშვნელოვნად მოიცავს კურიერის ან რეგისტრირებული ფოსტის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, მოკლეტექსტური შეტყობინების, ასევე დისტანციური საბანკო მომსახურების (მათ შორის მობილ ბანკის, ინტერნეტ ბანკის ან/და სხვა)

საშუალებით შეტყობინების გაგზავნას).

7.2.1. COVID19-ის ეკონომიკურმა შედეგებმა, რომელიც ნეგატიურად აისახა მსესხებლების გადახდისუნარიანობაზე, განაპირობა სესხებზე საშელავათო პერიოდის წახალისება, კომერციული ბანკების მიერ სესხების გადახდის 3-თვიანი გადავადების დაწესება.

7.2.2. „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის“ მიხედვით, სესხი რესტრუქტურიზაციის შემთხვევაში, როგორც წესი, კლასიფიცირდება ნეგატიურად და ინვესსიის სარეზერვო ხარჯს. ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ეროვნულმა ბანკმა გადაწყვიტა ასეთი სესხები ავტომატურად არ დაკლასიფიცირებულიყო ნეგატიურ სესხებად და შემდგომში თუ უპრობლემოდ გაგრძელდებოდა გადახდები, ამ სესხებს შეუნარჩუნდებოდათ სტანდარტული კატეგორია. აღნიშნული მნიშვნელოვნად შეამცირებდა ბანკებისათვის საზედამხედველო ტვირთს. ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებს ნება დართო: გაეხანგრძლივებინათ დებულებით განსაზღვრული მაქსიმალური ვადიანობა 12 თვით და მაქსიმალური საშელავათო პერიოდი 6 თვით; ამ გადავადებით გამოწვეული PTI-ს მაქსიმალური ზღვარის გადაცდენა არ ჩათვლილიყო დარღვევად; იმ სესხებისათვის, რომელთაც დაუწესდათ საშელავათო პერიოდი, არ იყო აუცილებელი უძრავი ქონების გადაფასება; არ განეხორციელებინათ უძრავი ქონების ადგილზე შემოწმება; „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ გარკვეული მოთხოვნები შეესრულებინათ განსხვავებულად. აღნიშნული საშელავათო პერიოდები არ დაეკლასიფიცირებინათ ვადაგადაცილებად საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში.

7.3. ს.ს. „ს. ბ-მა“ 2020 წლის 17 მარტს მოსარჩელე ა. ა-ს გაუგზავნა მოკლეტექსტური შეტყობინება, შემდეგი შინაარსით: „ს. ბ-ი“: გაცნობებთ, რომ ფილიალში მოსვლის გარეშე, ყველა სესხზე ისარგებლებ 3 თვიანი საშელავათო პერიოდით, სესხის დასაფარი თვეების რაოდენობა გაიზრდება და საშეთავათო პერიოდში დასაფარი თანხა გადანაწილდება განახლებულ ვადაზე. ვადის ცვლილება მობილბანკსა და ინტერნეტბანკში აისახება 3 დღის განმავლობაში, ამ დროის განმავლობაში სესხზე შესატანი თანხა არ ჩამოგეჭრება. იმ შემთხვევაში, თუ არ გსურს ამ შელავათით სარგებლობა, გამოგზავნე ამავე SMS-ზე პასუხი: „NOGRACE“. დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიე: „<http://bit.ly/info-BoG.03224444>...“.

7.4. ს.ს. „ს. ბ-მა“ 2020 წლის 19 ივნისს მოსარჩელე ა. ა-ს გაუგზავნა მოკლეტექსტური შეტყობინება, შემდეგი შინაარსით: „ს. ბ-

ი“: გაცნობებით, რომ შენს ყველა საკრედიტო პროდუქტზე, ფილიალში მისვლის გარეშე, გაგიაქტიურდება 3-თვიანი საშელავათო პერიოდი. დეტალურად გაეცანი საშელავათო პერიოდით სარგებლობის პირობებს ბმულზე: <http://bit.ly/info-BoG>. თუ არ გსურს აღნიშნული პირობებით სარგებლობა, 3 დღის მანძილზე გამოაგზავნე SMS ტექსტით NOGRACE ნომერზე 44..., დამატებითი კითხვების შემთხვევაში, დაგვიკავშირდი: 03224444...”

7.5. მოსარჩელე მხარე სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ მან მოპასუხისაგან მიიღო ამ შინაარსის შეტყობინებები და დაეთანხმა ბანკის შეთავაზებას საშელავათო პერიოდით სარგებლობასთან დაკავშირებით. ამასთან, საქმის მასალებით დასტურდება ის გარემოება, რომ მოსარჩელეს მარტიდან გრაფიკით გადასახდელი ყოველთვიური თანხა არ გადაუხდია.

7.6. 2019 წლის 02 ივლისის საკრედიტო ხელშეკრულებაზე დართული გრაფიკის მიხედვით, გადასახდელი თანხა შეადგენდა 28 482.45 ლარს, საიდანაც ძირითადი თანხაა – 20 000 ლარი, პროცენტი – 8482.45 ლარი, ხოლო, ცვლილების შედეგად, საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადასახდელი თანხა შეადგენს 30 992.54 ლარს, აქედან პროცენტია – 10 992.54 ლარი. შესაბამისად, სხვაობის თანხა შეადგენს 2510.09 ლარს.

8. დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სააპელაციო პალატამ მისცა შემდეგი შეფასება:

8.1.1. ხელშეკრულებით შეთანხმებული გადახდის გრაფიკის ცვლილებაზე მხარეთა შეთანხმების არსებობა დადასტურებულია საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმის დაცვით, ბანკის მხრიდან SMS შეტყობინების გაგზავნით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327.1 და 328-ე მუხლის შესაბამისად. ს.ს. „ს. ბ-ის“ მიერ 2020 წლის 24 ივლისს გაცემული ინფორმაციის თანახმად დასტურდება, რომ კრედიტის დაფარვის გრაფიკში ცვლილებების შესახებ ინფორმაცია ა. ა-ის ინტერნეტ ბანკში აისახა 2020 წლის 24 მარტს. სადავო არ არის ის ფაქტი, რომ 2013 წლის 28 მაისიდან მოსარჩელე სარგებლობს ინტერნეტ ბანკის მომსახურებით.

8.1.2. გაზიარებული არ უნდა იქნეს მოსარჩელე მხარის განმარტება, რომ ახალი გრაფიკი ხელშეკრულებაში ცვლილებასთან დაკავშირებით მის ინტერნეტ ბანკში აისახა აპრილში. ამასთან, ამ გარემოების დადასტურების პირობებშიც კი, მას არც ამის შემდეგ განუცხადებია უარი 3-თვიანი საშელავათო პერიოდით სარგებლობაზე და უფრო მეტიც, შემდეგი სამი თვით კრედიტის გადავადების თაობაზე ბანკის წინადადებასაც დაეთანხმა.

8.1.3 ამდენად, მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრედიტის დაბრუნების გრაფიკის ცვლილებაზე და-

დასტურებულია საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმის დაცვით, კერძოდ, ბანკის მხრიდან SMS შეტყობინების გაგზავნით, მსესხებლის მხრიდან საშელავათო პერიოდით სარგებლობაზე უარის განუცხადებლობითა და საშელავათო პერიოდში პირვანდელი გრაფიკით გადასახდელი თანხის გადაუხდელობით.

8.2. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის აპელირება საშელავათო პერიოდის ვადაზე პროცენტის დარიცხვის შესახებ ინფორმაციის არარსებობის გამო სადავო თანხის მოთხოვნის უსაფუძვლობის შესახებ, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლის მიხედვით, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო თანხის გადახდა აპელანტს ევალებოდა 316(I)-ე, 317-ე, 361(II)-ე, 867-ე, 868 (I)-ე მუხლებზე დაყრდნობით.

9. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ა-მა და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება ახალი გადაწყვეტილების მიღების გზით, შემდეგ გარემოებათა გამო:

9.1. 2020 წლის მარტიდან აგვისტოს ჩათვლით კასატორს არ შეეძლო ბანკის წინაშე საკრედიტო ვალდებულების შესრულება იმ მიზეზით, რაც მისი ბრალით არ იყო გამოწვეული. არაბრალეული ვადაგადაცილებისას ვალდებულება არც კი ითვლება ვადამოსულად, შესაბამისად, არ წარმოშობს არანაირ დამატებით ვალდებულებას, მათ შორის, ვალდებულების შესრულების გადავადებისათვის პროცენტის დარიცხვის უფლებას. ამ მოცემულობაში, ბანკმა, რომელსაც ვადაგადაცილებისთვის/სესხის გადავადებისთვის პროცენტის დაკისრების უფლება ისედაც არ გააჩნდა, მსესხებლებს თავად შესთავაზა სესხის გადავადება სასყიდლით, ხოლო მასზე უარის თქმა დაუკავშირა ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში, დათქმული ოდენობით, გადახდების გაგრძელებას.

9.2. კასატორის მიერ სესხის გადაუხდელობა განხორციელდა არა იმ მიზეზით, რომ ბანკის შემოთავაზებული შეღავათით სარგებლობას დათანხმდა, არამედ იმიტომ, რომ მას კანონმდებელი 2020 წლის მარტიდან აგვისტოს ჩათვლით ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების პერიოდში ისედაც ათავისუფლებდა ვალდებულების შესრულებისგან. კასატორი მიუთითებს, რომ მან გადავადებაზე თანხმობა გამოხატა, მაგრამ არა ბანკის შემოთავაზებული პირობით, არამედ სარგებლის გადახდის გარეშე. ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლი და გამოიყენა კანონები, რომლებიც არ უნდა გამოყენებინა.

9.3. პანდემიის პირობებში შეუძლებელი იყო, მსესხებელს ბანკთან დაეზუსტებინა, თუ რა პირობით იყო თანახმა სესხის გადავადებაზე, რამეთუ ბანკი კრედიტის ამლებათვის საშელავათო პირობის შეთავაზებას ახორციელებდა SMS შეტყობინებებით, ხოლო გადავადების პირობების გასაცნობად ამისამართებდა ბანკის ვებ-გვერდზე ხშირად დასმული შეკითხვების პასუხების განყოფილებაში, რასაც ადამიანებთან ფიზიკური ურთიერთობის გაძნელებით ხსნიდა.

9.4. არასწორად არის დადგენილი ფაქტობრივი გარემოება მასზედ, რომ საკრედიტო ხელშეკრულებით გადასახდელ თანხას და გადავადებისთვის დარიცხულ თანხას შორის სხვაობა 2510 ლარია, სინამდვილეში ის შეადგენს 2760 ლარს.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 2022 წლის 24 მაისის განჩინებით, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად, მიღებულ იქნა განსახილველად და დადგინდა მისი განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

11. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

11.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

11.2. წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას მასზედ, რომ 02.07.2019 წლის საკრედიტო ხელშეკრულებაზე დართული გრაფიკით გადასახდელ თანხასა და ცვლილების შედეგად გადასახდელ თანხას შორის სხვაობა შეადგენს არა 2760, არამედ 2510.09 ლარს.

11.3. იმ პირობებში, როდესაც 2019 წლის 02 ივლისს დადებული ხელშეკრულებაზე თანდართული გადახდის გრაფიკი მოიცავდა 47 გადახდას 588.20 ლარის ოდენობით, ხოლო 48-ე გადახდას 837.05 ლარის ოდენობით, ცვლილების გარეშე ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელი ძირითადი თანხისა და საპროცენტო სარგებლის ჯამი შეადგენდა 28482.45 ლარს ($588.20 \times 47 + 837.05 = 28482.45$). სადავო ცვლილების განხორციელების მომენტში, მსესხებელს უკვე ჰქონდა დაფარული პირველი 7 თვის ნაწილი თანხა, რაც შეადგენს 4117.40 ლარს, ხოლო ცვლილების შედეგად, დადგინდა რა ახალი გრაფიკი 45 თვეზე განაწილებული გადახდებით, საიდანაც 44-ჯერ გადასახდელია თანხა 597.19 ლარის ოდენობით, ხოლო 45-ე ჯერზე – 598.78 ლარის ოდენობით, უკვე გადახდილმა და სამომავლოდ გადასახდელმა თანხებმა ჯამურად შეადგინა 30 992.54 ლარი ($44 \times 597.19 + 598.78 + 4117.40 = 30992.54$). ამრიგად, სხვაობამ გრაფიკის ცვლილებამდე გადახდილ და გადასახდელ თანხასა და გრაფიკის ცვლილების შემდეგ გადახდილ და გადასახდელ თანხას შორის შეადგინა 2510.09 ლარი ($30992.54 - 28482.45 = 2510.09$). ამრიგად, წარმოდგენილ საკასაციო პრეტენზიას დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე არ გააჩნია საფუძველი და გაზიარებული ვერ იქნება.

11.4. საკასაციო საჩივარში გაცხადებული პრეტენზიები, მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურად ისინი მოთავსებულია საკასაციო საჩივრის ფაქტობრივ უსწორობათა გრაფაში, შინაარსით წარმოადგენს შედავებას არა ფაქტობრივ გარემოებებზე, არამედ სამართლებრივ შეფასებაზე. კერძოდ, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მიზნით კრედიტის გამცემის შეთავაზებაზე კრედიტის ამღების დუმილის აქცეპტად კვალიფიკაცია და პანდემიური პერიოდის ფორს-მაჟორად განუხილველობა არის არა ფაქტის, არამედ სამართლის საკითხი, ამრიგად, საკასაციო სასამართლო დავის გადაწყვეტისათვის ეყრდნობა სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ ფაქტებს, რომლებიც ასახულია წინამდებარე განჩინების 7.1.1.-7.6. პუნქტებში.

11.5. უნინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ვალდებულებითი სამართალი ეყრდნობა უზოგადეს წესს – „pacta sunt servanda“ („ხელშეკრულება უნდა შესრულდეს“), რომლის თანახმად, ხელშეკრულების მხარემ, რომელმაც იკისრა ვალდებულება, უნდა შეასრულოს მისივე ნებით შეთანხმებული უფლება-მოვალეობები. შესრულების ვალდებულება, პირველ რიგში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შედეგს გულისხმობს. სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (იხ. სუსგ. №ას-925-2022, 30.09.2022წ).

11.6. ხსენებული პრინციპის მიუხედავად, სამოქალაქო ბრუნვისთვის უცხო არ არის გარემოებათა იმგვარი ცვლილება, რომელიც ხელშეკრულების განუხრელად შესრულებას ხდის შეუძლებელს ან აქცევს იმდენად მძიმე და არაგონივრულ ტვირთად, რომ შესრულების მოთხოვნა ეწინააღმდეგება სამოქალაქო ურთიერთობის ქვაკუთხედს – კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლის მიხედვით, ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.

11.7. იმის მიხედვით, რამდენად, არსებითია გარემოების ცვლილება ხელშეკრულების დადების შემდეგ, იურიდიული ლიტერატურა ერთმანეთისგან მიჯნავს 1) ფორსმაჟორისა (რომანულ სამართალში – vis major) და 2) შესრულების გართულების (Hardship) კონცეფციებს თანმდევი სამართლებრივი შედეგებით.

11.8. „შესრულების გართულება არსებობს მაშინ, როდესაც ხელშეკრულების დადების შემდგომ აღმოცენებული გარემოებების გავლენით ვალდებულების აღსრულება მოულოდნელად არაგონივრულად მძიმე ტვირთს აკისრებს მოვალეს. შესრულების გართულება გულისხმობს ობიექტურად განხორციელებადი ვალდებულების შესრულების უკიდურეს დამძიმებას, რომელიც ობიექტურად არ გამორიცხავს შესრულების შესაძლებლობას და რომლის პირობებშიც მხარეთა ინტერესების უპირველესი სამართლებრივი დაცვის საშუალება შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებაა. ფორსმაჟორი (შესრულების არაბრალეული შეუძლებლობა) კი განსხვავებული სამართლებრივი წინაპირობებით წარმოიშობა, რომელიც თანმდევ შედეგად შესრულების ვალდებულებისაგან განთავისუფლებას მოიაზრებს“ (იხ. ჩიტაშვილი ნ., სადისერტაციო ნაშრომი თემაზე „შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე“, თბილისი, 2014, გვ.16-17).

11.9. განსახილველ შემთხვევაში, კორონავირუსის პანდემიად გამოცხადების თანმდევ შედეგებზე მითითებით, მოსარჩელე ასაბუთებდა კრედიტად მიღებული ფულადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დადგენილი გრაფიკით დაბრუნების შეუძლებლობას.

11.10. იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს პოზიცია, რომლის თანახმად, ფულადი ვალდებულებისა და შესრულების შეუძლებლობის ურთიერთმიმართება შემდეგია – „როგორც ყველაზე მკაცრი გვაროვნული ვალდებულება, ფულადი ვალდებულება ყოველთვის უნდა შესრულდეს“ (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი).

სის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2019, გვ. 639). ფულის არქონის ფაქტი მოვალეს არ ათავისუფლებს ფულადი ვალდებულების შესრულებისგან, მიუხედავად მისი არქონის წარმომშობი მიზეზისა. გამონაკლისი დაიშვება ვალუტის კონვერტაციასა და მიმოქცევასთან დაკავშირებული შეზღუდვების არსებობისას ან სახელმწიფოს მიერ დაწესებული საქმიანობის აკრძალვისას.

11.11. ფული, როგორც ღირებულებათა საყოველთაო ეკვივალენტი, შესაძლოა, მოვალეს არ გააჩნდეს, თუმცა ნებისმიერი უძრავ-მოძრავი ქონების, მოთხოვნისა და უფლების მის საკუთრებაში არსებობა ქმნის ვარაუდს, რომ ამგვარი აქტივი შესაძლოა ტრანსფორმირდეს ფულად – ვალდებულების შესრულების საგნად. მაშინაც კი, როდესაც მოვალე ქონებრივ სიკეთეთა არმქონე სუბიექტია, ივარაუდება, რომ არსებობს ფულის გამომუშავების შესაძლებლობაც.

11.12. ამრიგად, იქ, სადაც ვალდებულების შესრულება ხდება ფულით, მხარისგან დამოუკიდებელმა გარემოებებმა, რომლებიც უკიდურესად ართულებენ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შესაძლოა წარმოშვას არა ვალდებულების შესრულებისგან განთავისუფლების, არამედ შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნის უფლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად. აღნიშნული ინსტიტუტის არსი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულება მხოტველია იმდენად, რამდენადაც სახეზეა ის პირობები, რომლებშიც ხელშეკრულება დაიდო, ხოლო თუ ეს პირობები იცვლება, მხარეს, რომლის ინტერესებიც შეცვლილი პირობების შედეგად შეუსაბამოდ ირღვევა, არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების მკაცრად დაცვა (იხ. ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 212).

11.13. ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებთან მისადაგების კუმულატიური წინაპირობები შემდეგია: 1) ხელშეკრულების დადების შემდეგ შეიცვალა გარკვეული გარემოებები (ობიექტური საფუძველი – სსკ-ის 398-ე მუხლის I ნაწილი) ან ერთობლივი წარმოდგენები არასწორი აღმოჩნდა (სუბიექტური საფუძველი – სსკ-ის 398 მუხლის II ნაწილი); 2) ეს გარემოებები ან წარმოდგენები იქცა ხელშეკრულების საფუძვლად; 3) გარემოებათა ცვლილება იყო მოულოდნელი; 4) ცვლილებათა გათვალისწინების შემთხვევაში მხარეები არ დადებდნენ ხელშეკრულებას ან დადებდნენ ხელშეკრულებას სხვა შინაარსით; 5) ცვლილება იმდენად არსებითია, რომ ერთ-ერთ მხარეს არ შეიძლება ვალდებულების უცვლელად შესრულება ან ხელშეკრულებაში დარჩენა მოეთხოვოს. (იხ. ვაშაკიძე

გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, 2010, გვ. 213).

11.14. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მიუთითებდა შემდეგს: საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ 2020 წლის მარტიდან გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და შეიზღუდა მთელი რიგი ეკონომიკური საქმიანობები, რამაც ზეგავლენა იქონია ბიზნესის აქტიურობასა და შესაბამისად, მოვალეთა გადახდისუნარიანობაზე.

11.15. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მსოფლიო პანდემია და მის საფუძველზე დაწესებული შიდასახელმწიფოებრივი შეზღუდვები წარმოადგენს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს, თუმცა პანდემიის არსებობა თავისთავად არ გულისხმობს, რომ ყველა სახელშეკრულებო ურთიერთობა, რაც იმ პერიოდში წარმოიშვა ან რომლიდან გამომდინარეც ვალდებულების შესრულების ვადა დადგა, უნდა დაექვემდებაროს სსკ-ის 398-ე მუხლით ცვლილებას ან მოვალე უპირობოდ უნდა გათავისუფლდეს ვალდებულების შესრულებისგან. ვალდებულმა პირმა შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენით უნდა დაადასტუროს, რომ პანდემიისა და სახელმწიფოს მხრიდან დაწესებული შეზღუდვების შედეგები მასზე უარყოფითად აისახა და აღნიშნული გარემოებები პირდაპირ კავშირშია მოვალის მიერ შესასრულებელ ვალდებულებასთან.

11.16. საკუთარი გადამხდელუნარიანობის გაუარესების დასაბაბუთებლად მოსარჩელე მიუთითებდა 2020 წლის აგვისტოს თვეში სახელმწიფოს მიერ მასზე, როგორც თვითდასაქმებულზე 300 ლარის ოდენობით კომპენსაციის გაცემის ფაქტზე, თუმცა გარემოებას მასზედ, თუ როგორი იყო მისი შემოსავლები საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე, არც ძირითადი და არც დაზუსტებული სარჩელი არ შეიცავს, ამდენად, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, სამართლებრივად შეაფასოს გარემოებათა ცვლილების ზეგავლენის არსებითობა მოსარჩელის ფინანსურ მდგომარეობაზე. ამავდროულად, სარჩელი არ შეიცავს არავითარ მითითებას მასზედ, რომ მოსარჩელის საქმიანობა საგანგებო მდგომარეობის მოქმედებისას აკრძალულ ეკონომიკურ საქმიანობათა კატეგორიაში მოექცა, რაც განაპირობებდა შემოსავლის მიღების შეუძლებლობას.

11.17. ამრიგად, პოზიცია, რომ პანდემიის საფუძველით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა 2020 წლის მარტიდან ამავე წლის სექტემბრამდე მოსარჩელეს თავისთავად ათავისუფლებდა საკრედიტო ხელშეკრულების გრაფიკით განსაზღვრული გადახდე-

ბისაგან, სამართლებრივად წონადი არგუმენტებით მოსარჩელის მხრიდან გამყარებული არ არის, შესაბამისად, ამ ნაწილში საკასაციო პრეტენზია ექვემდებარება უარყოფას.

11.18. კრედიტის გადახდის გადავადების შესახებ ბანკის შეთავაზებებში გადადების პერიოდზე პროცენტის დარიცხვის მართებულობასა და მოვალის მოლოდინის მართლზომიერებასთან მიმართებით საკასაციო პალატა გადამწყვეტ მნიშვნელობას სძენს მხარეთა კეთილსინდისიერების ფაქტორს, რომელიც სამართლის სუბიექტთა ქცევის მართლზომიერების შეფასების უნივერსალური საზომია.

11.19. საკასაციო პალატას მრავალჯერ განუმარტავს, რომ ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. იგი თანამედროვე სამართლის, ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია და თანამედროვე ქართულ სამოქალაქო სამართალში მატერიალურ სამართლებრივ ნორმად მოქმედებს. კეთილსინდისიერების პრინციპი თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასა და დოქტრინაში დიდწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, სამართლიანობას, ვალდებულებების მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას. კეთილსინდისიერება, როგორც სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპი, გულისხმობს კეთილსინდისიერებას ობიექტური გაგებით. სამოქალაქო ბრუნვის სიმყარე და სტაბილურობა მისი მონაწილეების კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. კეთილსინდისიერება გამოხატავს სამოქალაქო ბრუნვაში, ე.ი. უფლებათა შეძენის, განხორციელების, დაცვის, ასევე ვალდებულებათა შესრულებისას, – სამართლის სუბიექტის ზნეობრივად მოქმედების შესახებ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ წარმოდგენებს (მრავალთა შორის, იხ. სუსგ. №ას-1016-2021, 20.09.2022წ).

11.20. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, ამკარად უსამართლო შედეგების თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობას და სიმყარეს (მრავალთა შორის, იხ. სუსგ. №ას-1252-2020, 29.09.2021წ).

11.21. მართალია, ხელშეკრულებით კრედიტის გამცემს უფლება მიენიჭა, ცალმხრივად შეეტანა ცვლილებები საკრედიტო ხელ-

შეკრულებაში კრედიტის ამღების ინფორმირების გზით, თუმცა რამდენად კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულა ბანკმა ცვლილებების შინაარსის გამჟღავნების ვალდებულება, ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. წარმოდგენილ საქმეში, წინამდებარე განჩინების 7.3.-7.4. პუნქტებში აღწერილი შინაარსით მოსარჩელის მიმართ გაგზავნილი „SMS“ შეტყობინება, მიუხედავად იმისა, რომ შეიცავდა ზოგად ინფორმაციას გადავადების პირობებსა და გადავადებაზე უარის თქმის ნესზე, ამავდროულად, დამატებითი ინფორმაციის მომხმარებლისათვის მიწოდების მიზნით, შეტყობინების ადრესატს ამისამართებდა დეტალურ ინფორმაციაზე, რომელიც, განზოგადებული სახით, მოიცავდა საშელავათო პერიოდის გამოყენების საკითხზე მომხმარებელთა ძირითადი შეკითხვების განზოგადებულ პასუხებს, ე.ი. მნიშვნელოვან პირობებს, ერთ-ერთი ასეთი კი მე-6 ჰიპოთეტური კითხვა და მასზე გაცემული პასუხია, შემდეგი შინაარსით: „გრძელდება თუ არა საშელავათო პერიოდში სესხზე პროცენტის დარიცხვა? დიახ, საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გრძელდება საშელავათო პერიოდში.“

11.22. ამრიგად, პალატის მოსაზრებით, კრედიტის გამცემმა კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით, გაამჟღავნა საშელავათო პერიოდის სასყიდლიანი ბუნება. რაც შეეხება კრედიტის ამღების ქცევის კეთილსინდისიერებას, პალატის შეფასებით, მიღებული შეტყობინების ხასიათიდან თავისთავად ვლინდებოდა, რომ შეტყობინება დეტალურად არ აღწერდა საშელავათო პირობით სარგებლობის შინაარსს და ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად არსებობდა მითითებული ვებ-გვერდის მისამართზე გადასვლის აუცილებლობა პირობების სრულყოფილად გაცნობის მიზნით.

11.23. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეს მიღებული ჰქონდა არა სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლით განსაზღვრული სესხი, რომელზეც, შესაძლოა, პროცენტი არც იყოს დადგენილი, არამედ საბანკო კრედიტი, რომელიც ყოველთვის ემყარება დაბრუნებადობის, ფასიანობისა და ვადიანობის საწყისებს არ შეიძლება არსებობდეს უსასყიდლო ფორმით, არამედ სასყიდლიანობა მისი ცნების განუყოფელი ნაწილია (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლის თანახმად, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით). ამრიგად, მოვალეს, რომელსაც მოგებაზე ორიენტირებული სამეწარმეო სუბიექტისგან სასყიდლიანი საბანკო კრედიტი აქვს მიღებული, არ წარმოეშება დაცვის ღირსი მოლოდინი საიმისოდ, რომ ბანკისგან ინიცირებული რაიმე შეღავათი დაუკავშიროს უსასყიდლო, ალტრუისტულ გადანაცვეტილებას, არამედ მას კეთილსინდისიერი ქცევის

სტანდარტი აკისრებს ვალდებულებას, გაეცნოს შემთავაზებლის მიერ ინდივიდუალურად მისთვის გაგზავნილი შეტყობინებით ხელმისაწვდომ ინფორმაციას და მიიღოს გაცნობიერებული გადაწყვეტილება შეღავათით სარგებლობის ან მასზე უარის თქმის შესახებ.

11.24. 2020 წლის 17 მარტს და 19 ივნისს მიღებული შეტყობინებები წარმოადგენს რა ინდივიდუალურად ა. ა-ისთვის ს.ს. „ს. ბ-ი“-სგან წინამდებარე განჩინების 7.1.2. პუნქტში აღწერილი სახელშეკრულებო დათქმის დაცვით გაგზავნილ შეთავაზებას არსებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე, გამოვლენილი ნება წარმოადგენს ოფერტს სსკ 329-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსით („ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება (ოფერტი) ითვლება შეთავაზებულად, თუ ამ წინადადებაში, რომელიც მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირისადმი, გამოხატულია, რომ წინადადების მიმცემი (ოფერენტი) თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში მზადაა შეასრულოს თავისი წინადადება“). ხსენებული შეტყობინებების მიღების ფაქტი ან „SMS“ შეტყობინების გაგზავნით ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის დასაშვებობა მოსარჩელეს სადავოდ არ აქვს ქცეული.

11.25. ამავე შეტყობინებაში განსაზღვრული იყო, რომ ოფერტი ჩაითვლებოდა აქცეპტირებულად და შესაბამისად, ხელშეკრულებაში ცვლილება შეიტანებოდა, თუ კრედიტის ამღები მის უარყოფას აქტიური მოქმედებით – მიღებულ შეთავაზებაზე „SMS“-ის ფორმით ბანკის მიმართ საპასუხო შეტყობინებას ტექსტით „NOGRACE“ არ განახორციელებდა. მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ ბანკის მიმართ კრედიტის ამღებს შეტყობინებაში შემოთავაზებული ან სხვა ფორმით, აქტიური მოქმედებით, საშეღავათო შემოთავაზებაზე უარი არ უთქვამს, ამდენად, განმარტებას საჭიროებს კრედიტის ამღების დუმილით გამოვლენილი ნების სამართლებრივი შინაარსი.

11.26. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან.

11.27. გამოვლენილი ნების განმარტების საკითხი დგება მაშინ, როდესაც მხარეები საკუთარ ან/და ერთმანეთის სიტყვებს ან/და ქმედებებს განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, შესაბამისად, მოვლენათა განვითარებას აღწერენ განსხვავებულად. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს ვალია, გამოარკვიოს, რეალურად რას გულისხმობდა მხარე სადავო სიტყვასა თუ ქცევაში. განმარტების მიზანი არ არის არსებული სამართალური თეროებისათვის ახალი, მხარეთა მიერ მოუაზრებელი შინაარსის მინიჭება, არამედ განმარტე-

ბით მიღწეულ უნდა იქნეს მხარეთა ქმედებებისა და გამოთქმების ერთიან, ლოგიკურ ჯაჭვში მოქცევა, რომლითაც რომელიმე სახელშეკრულებო პირობას ძალა კი არ დაეკარგება, არამედ იმოქმედებს სხვა პირობებთან კოორდინირებულად (მრავალთა შორის იხ. სუსგ. №ას-425-425-2018, 18.02.2021წ; №ას-1144-1090-2014, 23.02.2015წ).

11.28. ნების გამოვლენის განმარტებისას იურიდიული ლიტერატურა და სასამართლო პრაქტიკა თანხმდება მასზედ, რომ ნება უნდა განიმარტოს ნების მიმღების და არ მისი გამომვლენის თვალსაწიერიდან, ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს. (იხ. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, გვ. 251-256; სუსგ. №ას-1190-2021, 22.02.2022წ; №ას-950-2022, 30.09.2022წ). ნების გამოვლენის განმარტებისას ფრაზისა თუ ქმედების შინაარსის შესაფასებლად სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო ბრუნვის ჰიპოთეტური, გონიერი მონაწილის სტანდარტით, ჩაყენებული ნების მიმღების მდგომარეობაში.

11.29. პალატის მოსაზრებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულებით შეთანხმებული წესით მიღებული შეთავაზება ადრესატს არ უარუყვია, შეთავაზებულისგან განსხვავებული პირობის (ე.ი. საშელავათო პერიოდში პროცენტის დარიცხვის შეწყვეტის) ამოქმედების მოთხოვნით ბანკისთვის არ მიუმართავს, საბანკო კრედიტის დაფარვა არც საკრედიტო ხელშეკრულებაზე თანდართული გრაფიკით გაუგრძელებია, არამედ სრულად გამოიყენა ბანკის მიერ დაშვებული საშელავათო პერიოდი 2020 წლის მარტის თვიდან ამავე წლის სექტემბრის თვემდე, ნების მიმღებს აძლევდა გონივრული მოლოდინის საფუძველს მასზედ, რომ კრედიტის ამღებმა დაადასტურა ბანკის შეთავაზება, რითაც დაეთანხმა განახლებული პირობებით სახელშეკრულებო თვითბოჭვას სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. ამრიგად, უსაფუძვლოა მტკიცება მასზედ, რომ საპროცენტო სარგებელი საშელავათო პერიოდზე დარიცხულია კანონშეუსაბამოდ.

შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა:

12.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

12.2. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება, მიუხედავად იმისა, რომ არ შეიცავს დასაბუთებულ მსჯელობას სააპელაციო საჩივრის ყველა არგუმენტზე, არსებითად სწორია და საპროცესო ან მატერიალურსამართლებრივი საფუძველი მის გასაუქმებლად და სარჩელის დასაკმაყოფილებლად არ არსებობს.

საპროცესო ხარჯები:

13.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად კი საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამრიგად, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს პირველი ინსტანციის სასამართლოში მოქმედი საქმის განხილვის წესებით, თუ მათი გამოყენება არსობრივად არ ეწინააღმდეგება საკასაციო ინსტანციისთვის დამახასიათებელ საქმის განხილვის სპეციფიკას.

13.2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

13.3. მოცემულ შემთხვევაში, კასატორს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი აქვს 150 ლარი, რომელიც არ აუნაზღაურდება, რადგან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 53-ე, 394-ე, 407-ე, 408-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ა-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 18 ივნისის განჩინება.

3. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-1905-2018

7 ივლისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელსა“ (ყოფ. სსიპ „საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობა“) (შემდგომში – „მოსარჩელე“) და შპს „ს.კ.რ.“-ს (შემდგომში – „მოპასუხე“, „აპელანტი“ ან „კასატორი“) შორის 2004 წლის 21 მაისს გაფორმდა სუბლიცენზიის სამაუწყებლო კავშირიდან შეძენილი, ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის, „ევრო-2004“-ის ლუნჯი ნუმერაციის მატჩების საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენების უფლება დაუთმო მოპასუხეს, რის სანაცვლოდაც ამ უკანასკნელს ორ ეტაპად უნდა გადაეხადა 224 687,50 შვეიცარიული ფრანკი და 17 500 ევრო. კერძოდ: მომსახურების ღირებულების 50% უნდა გადაეხადა – 2004 წლის 30 ნოემბრამდე, ხოლო დარჩენილი 50% – 2004 წლის 01 დეკემბრამდე (ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღეს არსებული კურსით). ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის მხარეები შეთანხმდნენ პირგასამტეხლოზე – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,2%-ის ოდენობით.

2. მხარეთა შორის 2005 წლის 03 ივნისს კვლავ გაფორმდა სუბ-

ლიცენზიის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელემ „INFRONT SPORTS & MEDIA AG“-სა და „INFRONT WM AG“-ს მიერ მინიჭებული ლიცენზიის ფარგლებში მოპასუხეს დაუთმო შემდეგი ექსკლუზიური უფლებები:

- ფეხბურთში მსოფლიო თასის ძირითადი ტურნირების მატჩების სატელევიზიო ტრანსლაცია;

- კონფედერაციის თასის გათამაშების მატჩების სატელევიზიო ტრანსლაცია;

- 2005 წლის გალა-წარმომადგენლობის ტრანსლაცია;

- 2006 წლის ფიფას მსოფლიო თასის ოფიციალური მიმოხილვის სერიების (16 ეპიზოდი) ყოველი მეორე ეპიზოდის ტრანსლაცია.

3. მიღებული პროდუქტის სანაცვლოდ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა გადაეხადა 400 000 ევროს ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის გრაფიკის შესაბამისად. კერძოდ:

- 255 000 ევრო ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 07 კალენდარული დღისა;

- 75 000 ევრო არაუგვიანეს 2005 წლის 05 დეკემბრისა;

- 70 000 ევრო არაუგვიანეს 2006 წლის 05 მარტისა.

4. 03.06.2005წ. სუბლიცენზიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის გადაუხდელობისათვის მხარეები შეთანხმდნენ პირგასამტეხლოზე – ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.

5. მხარეთა შორის 2012 წლის 25 იანვარს გაფორმდა ურთიერთშედარების აქტი, რომლის საფუძველზეც, მხარეებმა წერილობით დაადასტურეს ვალდებულების არსებობა და მოცულობა. კერძოდ, მოპასუხის ვალდებულება განისაზღვრა შემდეგი სახით: 21.05.2004წ. სუბლიცენზიის ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 224 687,50 შვეიცარიული ფრანკი და 17 500 ევრო, ხოლო 03.06.2005წ. სუბლიცენზიის ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 2 892,26 ევრო. ამასთან, ხანმოკლე დროში, 06 თებერვალს მიაღწიეს შეთანხმებას დავალიანების რესტრუქტურისაციის შესახებ.

6. დავალიანების რესტრუქტურისაციის შესახებ შეთანხმებით მოპასუხემ 25.01.2012წ. შედარების აქტით დადასტურებული ფულადი დავალიანება აღიარა და იკისრა მისი გადახდის ვალდებულება შეთანხმებული გრაფიკის (№1) შესაბამისად, 11.10.2012 წლიდან – 10.10.2022 წლამდე. მხარეებმა გადახდის გრაფიკის დარღვევისათვის გაითვალისწინეს პირგასამტეხლო – გრაფიკით გათვალისწინებული შესაბამისი პერიოდისათვის დავალიანების სახით გადასახდელი თანხის 1%-ის ოდენობით.

7. მხარეთა შორის 2008 წლის 03 იანვარს 03 წლის ვადით გა-

ფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მოსარჩელემ მოპასუხეს იჯარით გადასცა ქ. თბილისში, ... მდებარე, მისი კუთვნილი შენობის მე-3 კორპუსში არსებული ფართი და ყოფილი საცხოვრის ფართი, რომელშიც შედიოდა დარბაზი და დამხმარე ნაგებობა. მოპასუხეს საიჯარო ქირის სახით ყოველთვიურად უნდა ეხადა 17 650,50 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, რაც უნდა გადახდილიყო წინასწარ, ყოველი თვის დასაწყისში, არაუგვიანეს თვის 10 რიცხვისა. მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის გადახდის ვადის დარღვევისათვის მხარეები შეთანხმდნენ პირგასამტეხლოზე – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საიჯარო ქირის 0,3%-ის ოდენობით.

8. იჯარის ხელშეკრულება შეწყდა 2010 წლის 01 სექტემბერს.

9. მხარეთა შორის 2010 წლის 01 მარტს გაფორმდა №31-4 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მოპასუხეს ერთჯერადი ჩვენების უფლებით (ლოგოს გარეშე) გადაეცა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული, არქივში დაცული მასალების ჩანაწერები (ლოგოს გარეშე), კერძოდ, საფეხბურთო კლუბი „გ-ს“ და ბერძენი მომღერლის, ი-ს ამსახველი კადრები, რის სანაცვლოდაც მოპასუხეს უნდა გადაეხადა 100 ლარი, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 საბანკო დღის განმავლობაში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასურის გადაუხდელობისათვის მხარეები შეთანხმდნენ პირგასამტეხლოზე – ხელშეკრულების საფასურის 0,5%-ის ოდენობით.

10. მხარეთა შორის 2010 წლის 01 მარტს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დასტურდება №31-4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩანაწერის მიღების ფაქტი.

11. მხარეთა შორის 2010 წლის 01 აპრილს გაფორმდა №50-18 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მოსარჩელემ მოპასუხეს გაუწია სატელიტური სიგნალის საშუალებით მომსახურება. კერძოდ, 2010 წლის 4-5 აპრილს სამების საკათედრო ტაძარში განხორციელებული ლიტანიობის ამსახველი კადრების გადაცემა, რომლის მიწოდებაც განხორციელდა პირდაპირი ტრანსლაციის ფორმით 03 აპრილს 11 საათიდან ლიტანიობის ცერემონიალის დამთავრებამდე.

12. მიღებული მომსახურების სანაცვლოდ მოპასუხეს უნდა გადაეხადა მომსახურების საფასური – 4 800 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში. ანგარიშსწორება უნდა განხორციელებულიყო მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე, მათი წარდგენიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში. ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ პირგასამტეხლოზე, რომელიც მიმღებს დაეკისრებოდა მომსახურების

საფასურის გადაუხდელობისათვის და რომლის საპროცენტო განაკვეთი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის შეადგენდა გადასახდელი თანხის 0,3%-ს.

13. მხარეებმა 2010 წლის 07 აპრილს გააფორმეს მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დაადასტურეს 01.04.2010წ. ხელშეკრულების (№50-18) საფუძველზე მომსახურების მიღების ფაქტი.

14. მოპასუხემ დაარღვია ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით (03.01.2008წ. №1-1 იჯარის ხელშეკრულება; 01.04.2010წ. №50-18 ხელშეკრულება; 01.03.2010წ. №31-4 ხელშეკრულება; 06.02.2012წ. შეთანხმება) ნაკისრი ვალდებულებები, რაც ცალკეულ შემთხვევაში თანხის გადაუხდელობაში, ხოლო სხვა შემთხვევაში შეთანხმებულ ვადებში შეთანხმებული თანხის გადაუხდელობაში გამოიხატა.

15. 06.02.2012წ. დავალიანების რესტრუქტურიზაციის შესახებ შეთანხმების ფარგლებში მოპასუხემ 2012 წლის 08 ნოემბრიდან 2016 წლის 27 ივლისამდე ჯამში გადაიხადა 196 665,10 ლარი, რასაც მოსარჩელე არ უარყოფს.

16. საიჯარო ურთიერთობის ფარგლებში მოპასუხე საიჯარო ქირის სახით 23.04.2008 წლიდან – 16.08.2010 წლამდე იხდიდა გარკვეულ თანხებს, თუმცა იგი არაჯეროვნად ასრულებდა საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებას.

17. მოსარჩელის გენერალურმა დირექტორმა 2014 წლის 30 სექტემბერს, 2015 წლის 24 თებერვალსა და 2016 წლის 04 ივლისს წერილობით მიმართა მოპასუხეს და მოსთხოვა დავალიანების დაფარვა 10 სამუშაო დღის ვადაში.

18. მხარეებმა 2017 წლის 01 მარტს გააფორმებული ურთიერთშედარების აქტით დაადასტურეს, რომ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ ერიცხებოდა შემდეგი დავალიანება:

- 13 575,47 აშშ დოლარი, გადახდის დღეს არსებული შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში;
- 100 ლარი;
- 12 828,68 ევრო, გადახდის დღეს არსებული შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში;
- 141 087,50 შვეიცარიული ფრანკი, გადახდის დღეს არსებული შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში.

19. მოსარჩელემ 2017 წლის 06 მარტსა და 21 აპრილს დამატებით მიმართა მოპასუხეს დავალიანების გადახდის მოთხოვნით, თუმცა უშედეგოდ.

20. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა მისთვის:

– ძირითადი დავალიანების დაკისრება შემდეგი ოდენობით: 13 575,47 აშშ დოლარი (გადახდის დღეს არსებული შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში); 100 ლარი; 12 828,68 ევრო (გადახდის დღეს არსებული შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში); 141 087,50 შვეიცარიული ფრანკი (გადახდის დღეს არსებული შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში);

– 03.01.2008წ. №1-1 იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, 2008 წლის 11 იანვრიდან 2017 წლის 02 ივნისის ჩათვლით პირგასამტეხლოს დაკისრება 100 100,35 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში) ოდენობით, ხოლო 2017 წლის 02 ივნისიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე დღეში 26,33 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში) ოდენობით;

– 01.04.2010წ. №50-18 ხელშეკრულების საფუძველზე, 2010 წლის 22 აპრილიდან 2017 წლის 02 ივნისის ჩათვლით პირგასამტეხლოს დაკისრება 37 425,60 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში) ოდენობით, ხოლო 2017 წლის 02 ივნისიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე დღეში 14,40 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში) ოდენობით;

– 01.03.2010წ. №31-4 ხელშეკრულების საფუძველზე, 2010 წლის 22 მარტიდან 2017 წლის 02 ივნისის ჩათვლით პირგასამტეხლოს დაკისრება 1 315 ლარის ოდენობით, ხოლო 2017 წლის 02 ივნისიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე დღეში 0,50 ლარის ოდენობით;

– 06.02.2012წ. შეთანხმების საფუძველზე, 2013 წლის 11 მაისიდან 2017 წლის 02 ივნისის ჩათვლით პირგასამტეხლოს დაკისრება 77 112,31 შვეიცარიული ფრანკისა (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში) და 6 055,43 ევროს (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში) ოდენობით, ხოლო 2017 წლის 02 ივნისიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე დღეში 209,49 შვეიცარიული ფრანკისა (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში) და 17,86 ევროს (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში) ოდენობით.

21. მოსარჩელის განმარტებით, 13 575,47 აშშ დოლარის ოდენობით ძირითადი დავალიანება გამომდინარეობს მხარეთა შორის დადებული 03.01.2008წ. №1-1 და 01.04.2010წ. №50-18 ხელშეკრულებებიდან; 100 ლარის ოდენობით დავალიანება 01.03.2010წ. №31-4 ხელშეკრულებიდან; ხოლო 12 828,68 ევროს და 141 087,50 შვეიცარიული ფრანკის ოდენობით დავალიანება 06.02.2012წ. დავალიანების რესტრუქტურის შესახებ შეთანხმებიდან.

22. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

23. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი

დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა:

– 01.03.2010წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითადი დავალიანება – 100 ლარი;

– 01.04.2010წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითადი დავალიანება – 4 800 აშშ დოლარი (ექვივალენტი ლარში, გადახდის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად);

– 03.01.2008წ. იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითადი თანხა – 8 775,48 აშშ დოლარი (ექვივალენტი ლარში, გადახდის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად);

– 06.02.2012წ. შეთანხმებიდან გამომდინარე ძირითადი თანხა – 141 087,50 შვეიცარიული ფრანკი და 12 828,68 ევრო (ექვივალენტი ლარში, გადახდის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად);

– 01.03.2010წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირგასამტეხლო – 92,05 ლარის ოდენობით და 02.06.2017წ.-დან აღსრულებამდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლო დავალიანების ძირითადი თანხის (100 ლარი) 0,07%-ის ოდენობით, რაც ყოველდღიურად შეადგენს – 0,07 ლარს;

– 01.04.2010წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირგასამტეხლო – 2 619,79 აშშ დოლარი (ექვივალენტი ლარში, გადახდის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად) და 02.06.2017წ.-დან გადანყვებილების აღსრულებამდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლო დავალიანების ძირითადი თანხის (4 800 აშშ დოლარი) 0,07%-ის ოდენობით, რაც ყოველდღიურად შეადგენს – 1,68 აშშ დოლარს (ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში);

– 03.01.2008წ. იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე პირგასამტეხლო – 7 007,02 აშშ დოლარი (ექვივალენტი ლარში, გადახდის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად) და 02.06.2017წ.-დან გადანყვებილების აღსრულებამდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლო დავალიანების ძირითადი თანხის (8 775,48 აშშ დოლარი) 0,07%-ის ოდენობით, რაც ყოველდღიურად შეადგენს – 6,14 აშშ დოლარს (ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში);

– 06.02.2012წ. შეთანხმების საფუძველზე პირგასამტეხლო – 5 456,38 შვეიცარიული ფრანკი და 6 423,88 ევრო (ექვივალენტი ლარში, გადახდის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად) და 02.06.2017წ.-დან

ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლო დავალიანების ძირითადი თანხის (141 087,50 შვეიცარიული ფრანკის) 0,07%-ის ოდენობით, რაც ყოველდღიურად შეადგენს – 98,76 შვეიცარიულ ფრანკს (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში) და დავალიანების ძირითადი თანხის (12 828,68 ევრო) 0,07%-ის ოდენობით, რაც ყოველდღიურად შეადგენს – 8,98 ევროს (ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში) (გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის მე-4 აბზაცი).

24. მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა.

25. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის მე-4 აბზაცის შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის მე-4 აბზაცი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლო: 06.02.2012 წლის შეთანხმების საფუძველზე 5 456,38 შვეიცარიული ფრანკისა და 6 423,88 ევროს (ეკვივალენტი ლარში, გადახდის დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად) ოდენობით და 02.06.2017წ.-დან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ძირითადი თანხის – 141 087,50 შვეიცარიული ფრანკის 0,07% და ძირითადი თანხის – 12 828,68 ევროს 0,07% მის სრულ გადახდამდე, მაგრამ არაუმეტეს 2022 წლის 10 ოქტომბრისა. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

26. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-19 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

27. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე, 105-ე მუხლებით და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საგნის გადაცემის ფაქტი, შემხვედრი ვალდებულების – თანხის გადახდის დადასტურების მტკიცების ტვირთი მოპასუხის ვალდებულებას წარმოადგენდა, თუმცა მას აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარუდგენია (სსკ-ის 429-ე, 386-ე მუხლები) და კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, არც ვალდებულების

არარსებობის ან/და გათავისუფლების შესახებ მიუთითებია.

28. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ სასამართლომ მხარეს ვალის რესტრუქტურისა და ხელშეკრულების საფუძველზე იმ თანხის გადახდა დააკისრა, რომლის გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა და განმარტა შემდეგი: მხარეთა შორის გაფორმებული 06.02.2012წ. დავალიანების რესტრუქტურისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლებლობა, რომლის მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2022 წლის 10 ოქტომბრამდე, განხილულ უნდა იქნეს სსკ-ის 399-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ნორმატიულ ფარგლებში. დასახელებული ნორმით განსაზღვრული მოთხოვნის წარმოშობისათვის აუცილებელია, სახეზე იყოს გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობა და პატივსაღები მიზეზი, რომლის არსებობისას მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების გაგრძელება და ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაცვა. სსკ-ის 399-ე მუხლით განსაზღვრულია პატივსაღები საფუძველები, რომელთა შორის მოიაზრება დაუძლეველი ძალა და ორმხრივი ინტერესი, მაგრამ აღნიშნული არ გამოორიცხავს სხვა მიზეზებსაც, რომელთა საფუძველზეც ხელშეკრულების მხარეს, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება. ასეთ დროს სასამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს არის თუ არა სახეზე ისეთი „კონკრეტული ვითარება“, რაც ხელშეკრულების შეწყვეტის პატივსაღებ საფუძველს წარმოადგენს.

29. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხის მიერ დარღვეულია ოთხივე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რაც კრედიტორს ამ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე შესრულების მიღების – გადაუხდელი თანხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს. სასამართლოს განმარტებით, 06.02.2012წ. დავალიანების რესტრუქტურისა და ხელშეკრულების შესახებ შეთანხმების მიხედვით, მოპასუხეს ვალდებულება უნდა შეესრულებინა შეთანხმებული გრაფიკის (№1) შესაბამისად, 11.10.2012 წლიდან – 10.10.2022 წლამდე, რაც მის მიერ არ შესრულდა. კერძოდ, მოპასუხეს 2016 წლის ივლისის შემდგომ გადახდები აღარ უწარმოებია, რის გამოც კრედიტორის მიერ არაერთხელ იქნა გაფრთხილებული, თუმცა უშედეგოდ. ამდენად, დადგენილი ვადისა და ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის გამო, კრედიტორის უფლება – შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს არსებული დავალიანების გადახდა, ლეგიტიმურია. შესაბამისად, თითოეული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითადი თანხის მოთხოვნის ნაწილში სარჩელი საფუძველიანია.

30. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო კოდექსის 417-ე, 418-ე მუხლებით და მიაჩნია, რომ პირ-
ველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის დაკისრე-
ბული პირგასამტეხლოს მოცულობა გონივრულია (შენიშვნა: პირ-
ველი ინსტანციის სასამართლომ მხარეთა შორის დადებული ხელ-
შეკრულებებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს საპროცენტო
განაკვეთი 0,07%-მდე შეამცირა) და არ არსებობს მისი შემცირე-
ბის წინაპირობა, თუმცა მისი გადახდა უნდა მოხდეს ძირითადი თან-
ხის სრულად გადახდამდე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ვა-
დისა – 2022 წლის 10 ოქტომბრისა.

31. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ წარად-
გინა საკასაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და საქმის ხე-
ლახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება
მოითხოვა.

32. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სა-
სამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

32.1. მიუხედავად კასატორის მითითებისა, სააპელაციო სასა-
მართლომ არ გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ სარ-
ჩელში სასარჩელო მოთხოვნები ბუნდოვნად იყო ჩამოყალიბებუ-
ლი. სასარჩელო მოთხოვნების ფორმულირება სარჩელში არის უმ-
ნიშვნელოვანესი საკითხი და ამ ნაწილში ტვირთი მთლიანად მო-
სარჩელეზეა. დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინცი-
პიდან გამომდინარე, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ჩაე-
რიოს სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებაში. სასამართლო უფ-
ლებამოსილია თავად მოიძიოს შესაბამისი სამართლებრივი ნორ-
მები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსარჩელე არასწორ სამართლებ-
რივ საფუძვლებზე უთითებს, სასამართლო თავად ადგენს რომე-
ლი სამართლებრივი ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული და რო-
გორ უნდა იქნეს ეს ნორმები განმარტებული. პირველ სასარჩელო
მოთხოვნაში მოსარჩელე მხოლოდ თანხების მოცულობას უთითი-
თებს, თუმცა არ განსაზღვრავს – რომელი ხელშეკრულებიდან
კონკრეტულად რა თანხის გადახდა უნდა დაეკისროს მოპასუხეს.
იგივე ეხება მეორე სასარჩელო მოთხოვნას, სადაც მოსარჩელე ით-
ხოვს პირგასამტეხლოს დაკისრებას. აღნიშნული სასარჩელო მოთ-
ხოვნაც ბუნდოვანი და განუსაზღვრელია. მოსარჩელემ სასამარ-
თლოს დანართების სახით წარუდგინა დოკუმენტაცია პირგასამ-
ტეხლოს დაანგარიშებასთან დაკავშირებით, თუმცა სასარჩელო
მოთხოვნაში არ არის მითითებული, თუ როგორ იანგარიშა მოსარ-
ჩელემ მისი ოდენობა. მიუხედავად აღნიშნული ბუნდოვანებისა,
სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასა-
მართლოს პოზიცია სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებას-

თან დაკავშირებით. ამასთან, არც სასამართლო გადაწყვეტილებაში ასახულა კონკრეტულად რა თანხიდან და რა პერიოდიდან იანგარიშა სასამართლომ მოპასუხისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა. კასატორისთვის უცნობია, რატომ დაეკისრა კონკრეტულად იმ მოცულობის პირგასამტეხლოს გადახდა, რაც გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში აისახა;

32.2. სააპელაციო სასამართლომ რესტრუქტურიზაციის შეთანხმების მოშლასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლი და დაასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობდა ხელშეკრულების მოშლის პატივსადები მიზეზი. აღნიშნული მსჯელობა არასწორია, რადგან სასამართლომ გამოიყენა ნორმა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში არარელევანტურია, ანუ სასამართლომ გამოიყენა ნორმა, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. შესაბამისად, კასატორს არასწორად დაეკისრა იმ თანხების გადახდა, რომელთა გადახდის ვადაც რესტრუქტურიზაციის შეთანხმების საფუძველზე ჯერ არ დამდგარა;

32.3. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მხარეთა შორის 21.05.2004 წელსა და 03.06.2005 წელს სუბლიცენზიის ხელშეკრულებების დადების ფაქტი, თუმცა არ გაიზიარა კასატორის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ხელშეკრულებების არსებობა იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ. გამომდინარე იქიდან, რომ საქმე ეხებოდა 13 წლის წინანდელ კონტრაქტებს, კასატორმა ვერ შეძლო შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება. სარჩელის აღძვრის მომენტიდან გასული იყო საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შენახვის ვადა და, შესაბამისად, მოპასუხემ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით განადგურა ძველი დოკუმენტაცია;

32.4. სასამართლომ ასევე შეფასების გარეშე დატოვა ის გარემოება, რომ არ დასტურდებოდა მოსარჩელის მხრიდან მომსახურების გაწევის ფაქტი, კერძოდ, მან არ წარადგინა მიღება-ჩაბარების აქტები ან მომსახურების გაწევის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებები. რეალურად, აღნიშნული საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია ორი გარემოების გათვალისწინებით: ერთი მხრივ, ასეთი აქტების არარსებობა კიდევ უფრო ზრდის ეჭვებს ხელშეკრულებების არსებობის თაობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ასეთი ხელშეკრულებები მართლაც რომ ყოფილიყო მხარეთა შორის დადებული, მათი შინაარსის გათვალისწინებით, მოპასუხეს თანხის გადახდის ვალდებულება წარმოეშობოდა მოსარჩელის მიერ მომსახურების გაწევის შემთხვევაში. შესაბამისად, ვინაიდან მოსარჩელეს მომსახურების გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წა-

რუდგენია, აღნიშნული მოპასუხისთვის ანაზღაურების დაკისრებას გამორიცხავს;

32.5. სასამართლომ სათანადო გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის გარეშე დადგენილად მიიჩნია მხარეთა შორის 2008 წლის 03 იანვარს იჯარის ხელშეკრულების დადების ფაქტი იმ შინაარსით რაც მოსარჩელემ დაურთო სარჩელს. ამ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი ხელშეკრულება არ არის სათანადო წესით ხელმოწერილი და ამ დოკუმენტით არ ირკვევა მხარეთა ნება. კერძოდ, მხოლოდ ბოლო ფურცელზე, სადაც არცერთი შინაარსობრივად მნიშვნელოვანი დებულება არ არის, შესრულებულია მხარეთა ხელმოწერა. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულება ვერ ადასტურებს სასამართლოს მიერ მითითებული შინაარსით მხარეთა შორის იჯარის ხელშეკრულების გაფორმების ფაქტს. მიუხედავად აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა ეს გარემოებები და დაადგინა კასატორის ვალდებულება ამ ხელშეკრულების საფუძველზე აუნაზღაუროს მონინა-ალმდეგე მხარეს შესაბამისი თანხა.

33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა და საშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

34. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

35. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია მოპასუხისათვის მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, ძირითადი დავალიანებისა და პირგასამტეხლოს დაკისრების მართლზომიერება.

36. საკასაციო სასამართლო თავდაპირველად იმსჯელებს კასატორის პრეტენზიაზე სასარჩელო მოთხოვნების ბუნდოვანებასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძ-

ვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მე-
თოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს
ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეე-
საბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს
შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეო-
რე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შე-
მადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს (იხ.
სუსგ საქმე №ას-1529-1443-2012, 09 დეკემბერი, 2013 წელი; დიდი
პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017 წე-
ლი, §187).

37. მოსარჩელის მიერ დავის საგნის განსაზღვრა დისპოზიციუ-
რობის პრინციპის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინებაა. ეს იმას
ნიშნავს, რომ სასამართლოს უფლება არ აქვს გაცდეს სასარჩელო
მოთხოვნის ფარგლებს, შეცვალოს სარჩელის საგანი და საფუძვე-
ლი, გაადიდოს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა (იხ. თ. ლილუაშ-
ვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კო-
დექსის კომენტარი, მუხლი 3, გვ. 4). ამდენად, სასამართლოს რო-
ლი სამოქალაქო სამართალწარმოებაში განისაზღვრება მხარეთა
მიერ განსაზღვრული მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებით
მათ მიერვე წარმოდგენილი მტკიცებულებების ფარგლებში. ამ მო-
საზრებას საფუძვლად უდევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის
248-ე მუხლი, რომლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს
მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთ-
ხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

38. ზემოაღნიშნული მსჯელობის ნორმატიული საფუძველია სა-
ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე და 186-ე
მუხლები, რომელთა მიხედვით, მოსარჩელემ სარჩელში უნდა მიუ-
თითოს სასარჩელო მოთხოვნა, ასევე, კონკრეტული ფაქტები და
გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე თავის მოთხოვნებს ამ-
ყარებს. აღნიშნულის მიუთითებლობა იმავე კოდექსის 186-ე მუხ-
ლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სარჩელის წარ-
მოებაში მიღებაზე უარის თქმის წინაპირობას წარმოადგენს.

39. წინამდებარე საქმეში მოსარჩელის პირველ სასარჩელო
მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხისათვის ძირითადი დავალიანე-
ბის დაკისრება შემდეგი ოდენობით: 13 575,47 აშშ დოლარი, 100
ლარი, 12 828,68 ევრო და 141 087,50 შვეიცარიული ფრანკი. სარ-
ჩელში მითითებულია, რომ 13 575,47 აშშ დოლარის გადახდევინე-
ბის მოთხოვნა გამომდინარეობს მხარეთა შორის 03.01.2008 წელს
დადებული №1-1 იჯარის ხელშეკრულებიდან და 01.04.2010 წელს

დადებული №50-18 ხელშეკრულებიდან; 100 ლარის გადახდევინების მოთხოვნა მხარეთა შორის 01.03.2010 წელს დადებული №31-4 ხელშეკრულებიდან; ხოლო, 12 828,68 ევროს და 141 087,50 შვეიცარიული ფრანკის გადახდევინების მოთხოვნა მხარეთა შორის 06.02.2012 წელს დადებული დავალიანების რესტრუქტურიზაციის შესახებ შეთანხმებიდან (იხ. სარჩელის მე-8 ფაქტობრივი გარემოება). რაც შეეხება მეორე სასარჩელო მოთხოვნას პირგასამტეხლოსთან დაკავშირებით, სარჩელს ერთვის CD დისკი, რომელზეც ასახულია ინფორმაცია პირგასამტეხლოს დაანგარიშების თაობაზე და აღნიშნულის შესახებ მითითებულია სარჩელში. ამდენად, საკასაციო სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს კასატორის პრეტენზიას სასარჩელო მოთხოვნების ბუნდოვანებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმეში სარჩელში ნათლად და გარკვევით არის ჩამოყალიბებული სასარჩელო მოთხოვნა და მითითებულია მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლები. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა გადაწყვეტილება გამოიტანეს სარჩელში მითითებული სასარჩელო მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლით დადგენილი პრინციპის დაცვით.

40. კასატორი აგრეთვე დავობს, რომ სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლი და, შესაბამისად, არასწორად დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო რესტრუქტურიზაციის შესახებ ხელშეკრულების მოშლის პატივსადები მიზეზი. შედეგად, მოპასუხეს დაეკისრა იმ დავალიანების გადახდა, რომლის გადახდის ვადაც ჯერ არ დამდგარა.

41. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით რეგლამენტირებულია გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე უარის თქმის სამართლებრივი წინაპირობები. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე, უარი თქვას გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. პატივსადებია საფუძველი, როცა ხელშეკრულების მოშმულ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ შორის, დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ საფუძველი სახელშეკრულებო ვალდებულებით

ბათა დარღვევა(ცაა, ხელშეკრულების მოშლა დასაშვებია მხოლოდ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის დადგენილი ვადის უშუალოდ გასვლის ან უშუალოდ გაფრთხილების შემდეგ. შესაბამისად, გამოიყენება 405-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

42. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობებისთვის დამახასიათებელია ვალდებულებათა შესრულების უწყვეტობა და განგრძობა. ისინი, როგორც წესი, ხანგრძლივი ან განუსაზღვრელი ვადით იდება. ამასთან, ამგვარი ხელშეკრულებები, მას შემდეგ, რაც მათი შესრულება დაიწყება, ექვემდებარება მხოლოდ შეწყვეტას და არა გასვლას (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2019, მუხლი 399, გვ. 626-627). ხელშეკრულების მოშლა და ხელშეკრულებიდან გასვლა, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, ვალდებულების ცალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე შეწყვეტას გულისხმობს, მაგრამ მოშლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ წყდება სამომავლო შესრულების ვალდებულება, ხოლო უკვე შესრულებული მხარეებს არ უბრუნდებათ (გარდა სსკ-ის 399.4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა), ხელშეკრულებიდან გასვლა კი, ნატურით დაბრუნებას გულისხმობს (იხ. სუსგ საქმე №ას-779-746-2014, 30 აპრილი, 2015 წელი).

43. ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმის მიხედვით, გრძელვადიანი ხელშეკრულების ვადაზე მოშლა მხოლოდ პატივსადები საფუძვლით დაიშვება. პატივსადები საფუძველი კი სახეზეა, თუ ხელშეკრულების მომშლელ მხარეს შექმნილი ვითარებისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების მოშლისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე. პატივსადები საფუძველი შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური გარემოებებიდან. იგი შესაძლოა, მეორე მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა, მათ შორის გულისხმიერების ვალდებულებათა, დარღვევითაც გამოიხატოს. პატივსადები საფუძვლის საკითხი ბრალზე არ არის დამოკიდებული, თუმცა თუ პატივსადები საფუძვლის წარმოშობა მთლიანად ან დიდწილად თავად დაინტერესებული პირის ბრალით არის გამოწვეული, ორმხრივი ინტერესების შეჯერებისას ამან შეიძლება მის საპირისპიროდ იმოქმედოს.

44. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2012 წლის 06 თებერვალს მხარეთა შორის დაიდო შეთანხმება დავალიანების რესტრუქტურულიზაციის შესახებ, რომლის საფუძველზეც მოპასუხემ აღიარა 25.01.2012წ. შედარების აქტივ დადასტურებული ფუ-

ლადი ვალდებულება, კერძოდ, მხარეთა შორის 21.05.2004 წელს და 03.06.2005 წელს დადებული სუბლიცენზიის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავალიანება და იკისრა მისი გადახდის ვალდებულება შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, 11.10.2012 წლიდან – 10.10.2022 წლამდე. ამდენად, მოპასუხეს აღნიშნული შეთანხმებით გათვალისწინებული დავალიანება, გრაფიკით დადგენილი წესით, უნდა გადაეხადა 10 წლის განმავლობაში. შესაბამისად, მხარეთა შორის წარმოიშვა გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობა.

45. დადგენილია ასევე, რომ მოპასუხემ 06.02.2012წ. დავალიანების რესტრუქტურისზაციის შესახებ შეთანხმების საფუძველზე, 2012 წლის 08 ნოემბრიდან 2016 წლის 27 ივლისამდე ჯამში გადაიხადა 196 665,10 ლარი, თუმცა მას 2016 წლის ივლისის შემდგომ დავალიანება აღარ გადაუხდია; მოსარჩელემ წერილობით არაერთხელ გააფრთხილა მოპასუხე დავალიანების დაფარვის შესახებ და მის შესასრულებლად დამატებითი ვადა განუსაზღვრა, თუმცა უშედეგოდ. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები კასატორს სადავოდ არ გაუხდია. შესაბამისად, ვინაიდან სახეზეა მოპასუხის მხრიდან გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის დარღვევა, რომელიც ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის მიცემის მიუხედავად, არ შესრულებულა, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ განსახილველ შემთხვევაში კრედიტორის/მოსარჩელის უფლება – შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს არსებული დავალიანების გადახდა, ლეგიტიმურია.

46. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, 21.05.2004წ. და 03.06.2005წ. სუბლიცენზიის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავალიანებები აღიარებულია მხარეთა შორის 2012 წლის 06 თებერვალს დადებული შეთანხმებით დავალიანების რესტრუქტურისზაციის შესახებ, შესაბამისად, ამ შეთანხმებიდან გამომდინარე დავალიანების გადახდევინების მოთხოვნის მართლზომიერებაზე გავლენას ვერ მოახდენს 21.05.2004წ. და 03.06.2005წ. ხელშეკრულების ნამდვილობა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულების ნამდვილობა არაა დამოკიდებული იმ სამართალურ ურთიერთობის ნამდვილობაზე, რომლის აღიარებაც მოხდა ამ უკანასკნელით. ვალის აღიარება ყოველთვის გულისხმობს იმას, რომ მხარეთა შორის არსებობდა ვალდებულებითი ურთიერთობა, რომლის საფუძველზეც მოხდა ასეთი აღიარება. ვალის აბსტრაქტული აღიარების მნიშვნელობა სწორედ იმით გამოიხატება, რომ მოთხოვნა მაშინაც არის ნამდვილი, როცა მის საფუძველად არსებული ურთიერთობა სადავოა (მაგ., მოთხოვნა

ხანდაზმულია, ვალდებულება სადავოა) (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2019, მუხლი 341, გვ. 175). აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა კასატორის მითითება 21.05.2004წ. და 03.06.2005წ. ხელშეკრულებების არარსებობაზე, ვინაიდან ვალის არსებობის აღიარებას სწორედ აღნიშნული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებითი ურთიერთობები ედო საფუძვლად.

47. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას მხარეთა შორის 03.01.2008წ. დადებული იჯარის ხელშეკრულების ნამდვილობასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა (სსსკ-ის მე-5 მუხლი) და შეჯიბრებითობის (სსსკ-ის მე-4 მუხლი) ფუნდამენტურ პრინციპებზე დაყრდნობით. სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ მათი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა (სსსკ-ის 102-ე მუხლი). მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. ამ გარემოებების დამტკიცება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შეიძლება მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

48. მტკიცების ტვირთი – ესაა სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს (იხ. სუსგ საქმე №ას-833-833-2018, 16 ნოემბერი, 2018 წელი; №ას-867-834-2016, 22 ნოემბერი, 2018 წელი).

49. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეთა შორის 2008 წლის 03 იანვარს 03 წლის ვადით გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა იჯარის საგანი. მოპასუხეს საიჯარო ქირის სახით ყოველთვიუ-

რად უნდა ეხადა 17 650,50 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში. სარჩელს ერთვის წერილობითი ფორმით შედგენილი იჯარის ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ. მოპასუხეს, მისი მტკიცების ტვირთის ფარგლებში, არ წარუდგენია აღნიშნულის საწინააღმდეგო, სათანადო მტკიცებულება, მხოლოდ მისი ახსნა-განმარტება კი, იჯარის ხელშეკრულების არარსებობის დამადასტურებელ საკმარის მტკიცებულებას არ წარმოადგენს.

50. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც. იმავე კოდექსის 361-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

51. წინამდებარე საქმეში დადგენილია, რომ მხარეთა შორის სხვადასხვა დროს დაიდო ოთხი ხელშეკრულება (03.01.2008წ. №1-1 იჯარის ხელშეკრულება; 01.04.2010წ. №50-18 ხელშეკრულება; 01.03.2010წ. №31-4 ხელშეკრულება; 06.02.2012წ. შეთანხმება); დადგენილია ასევე, რომ მოსარჩელემ სრულად შეასრულა აღნიშნული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები, ხოლო მოპასუხემ ვერ უზრუნველყო მისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება და ვალდებულების შესრულების ან/და მისი არარსებობის ფაქტის დადასტურება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხეს მართებულად დაეკისრა დასახელებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ძირითადი დავალიანების გადახდა. ამასთან, ვინაიდან დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით მხარეები შეთანხმდნენ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებაზე (სსკ-ის 417-ე-418-ე მუხლები), სახეზე იყო ასევე პირგასამტეხლოს დაკისრების წინაპირობა.

52. რაც შეეხება პირგასამტეხლოს ოდენობას, ამ ნაწილში საკასაციო საჩივარი არის არაკვალიფიციური, დაუსაბუთებელი და არ შეიცავს კონკრეტულ გარემოებებზე მითითებას, რის გამოც საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს აღნიშნული პრეტენზიის მართებულობაზე.

53. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანევვტილებას სა-

ფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

54. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება სწორია, რაც მისი ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია.

55. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

56. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორის მიერ გაღებული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები. შესაბამისად, აღნიშნული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ს.კ.რ.-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. მოვალის მიერ ვადის გადაცილება

პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას

განმინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-250-2022

28 აპრილი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ა. ნულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
გ. მიქაუტაძე

დავის საგანი: სააღსრულებო ფურცლის ნაწილობრივ გაუქმე-
ბა, აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობის განსაზღვრა,
პირგასამტეხლოს შემცირება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შ. ჩ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ი. ლ-ის მიმართ, სა-
აღსრულებო ფურცლის ნაწილობრივ გაუქმების, აღსასრულებელი
ვალდებულების მოცულობის განსაზღვრისა და დარიცხული პირ-
გასამტეხლოს შემცირების მოთხოვნით.

2. მოსარჩელე სააღსრულებო ფურცელში ცვლილებების შეტა-
ნის განმარტებულ გარემოებად მიუთითებდა, რომ მას შესრუ-
ლებული ჰქონდა ვალდებულება ძირითადი თანხის – 26 586,65 ლარის
ნაწილში. შესაბამისად, შ. ჩ-ს ი. ლ-ის სასარგებლოდ გადასახდე-
ლად უნდა დაკისრებოდა სესხის ძირითადი თანხის – 48 413,75 ლარის
გადახდა (ნაცვლად 75 000 ლარისა). ამასთან, მოსარჩელის მოსაზ-
რებით, უნდა შემცირებულიყო შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხ-
ლო და უნდა განსაზღვრულიყო ყოველ ვადაგადაცილებულ დღე-
ზე 0,01%-ით, რომლის დაანგარიშებაც მოხდებოდა 48 413 75 ლა-
რიდან.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიის 2020 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით შ. ჩ-ის სარ-
ჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ნოტარიუსის მიერ გაცემულ
სააღსრულებო ფურცელში შევიდა ცვლილება და შემცირდა პირ-
გასამტეხლოს ოდენობა (0,085%-ის ნაცვლად, ყოველ ვადაგადა-
ცილებულ დღეზე განისაზღვრა 0,042%).

4. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. 2017 წლის 7 სექტემბერს ნოტარიუს ლ. გ-ის სანოტარო ბიუროში ი. ლ-სა და შ. ჩ-ს შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება (რეგ. №...);

4.2. №... ხელშეკრულების თანახმად, შ. ჩ-მა ი. ლ-ისაგან სესხის სახით აიღო 80 000 ლარი, ყოველთვიურად 3%-ის დარიცხვით, სესხის ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეადგენდა სამ თვეს, სესხის ძირი თანხა უნდა დაბრუნებულიყო 2017 წლის 7 დეკემბრისათვის, სარგებლის გადახდა უნდა მომხდარიყო ყოველი თვის 7 რიცხვში;

4.3. სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა შ. ჩ-ის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონება (ს/კ №...);

4.4. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში სესხის დაუბრუნებლობისას სესხს დაერიცხებოდა პირგასამტეხლო – გადასახდელი თანხის 0,085% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის აღსრულებამდე;

4.5. მსესხებელმა სესხის ძირითადი თანხა სრულად არ დააბრუნა;

4.6. ნოტარიუსმა, ი. ლ-ის მიმართვის საფუძველზე, გამოსცა №... სააღსრულებო ფურცელი, რომლის მიხედვითაც, აღსრულების ვალდებულების მოცულობა შეადგენდა 75 000 ლარს, პირგასამტეხლო – ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის სესხის ძირითადი თანხის 0,085%-ს აღსრულებამდე, რაც ყოველი დღისათვის შეადგენდა 63,75 ლარს;

4.7. სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად წარდგენის დროისათვის კრედიტორის მოთხოვნა შეადგენდა 96 120 ლარს, ხოლო სააღსრულებო ფურცლის გაცემის ხარჯი – 120 ლარს;

4.8. სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების უკანა გვერდზე გაკეთებულია მინაწერები, სადაც აღნიშნულია, რომ 07.10.2017 წ; 07.11.2017 წ; 07.12.2017 წ; 07.01.2018 წ; 15.02.2018 წ; 17.09.2019 წ. მოსარჩელისაგან გაცემული და მოპასუხისაგან მიღებული თანხა (ძირითადად – 800 აშშ დოლარი, ხოლო უკანასკნელი – 400 აშშ დოლარის ოდენობით) ჩათვლილი იყო სარგებლის ოდენობაში.

5. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოება:

5.1. მხარეთა ზეპირსიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, სესხისა და იპოთეკის №... ხელშეკრულების ძირითადი თანხის დაბრუნების ვალდებულების შესასრულებლად მოვალეს მიეცა დამატებითი ვადა, კონკრეტული თარიღის მითითების გარეშე (ვალდებულების სრულ შესრულებამდე); მხარეთა შორის არ შეცვლილა თან-

ხის დაბრუნებამდე მისი სარგებლის ოდენობის გადახდისა და ძირითადი თანხის დაბრუნების ვალდებულება, თანხის დაბრუნების თარიღი, პირგასამტეხლოს დარიცხვის წესი.

6. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 286-ე, 623-ე, 625-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ მხარეთა შორის დადებული იყო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომელიც მოვალემ ჯეროვნად არ შეასრულა; მოვალის მიერ გადახდილი თანხა კი წარმოადგენდა სარგებელს და არა სესხის ძირითად თანხას. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ დაუსაბუთებლად მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნა სესხის ძირითადი მოთხოვნის ოდენობის შემცირების თაობაზე.

7. ამასთანავე, სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან სესხის ძირითადი ვალდებულება კვლავ შესასრულებელი იყო, არსებობდა პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველიც, თუმცა სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლოს განაკვეთი შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად მიიჩნია. აქედან გამომდინარე, სასამართლომ პირგასამტეხლოს ოდენობა ყოველი ვადაგადაცემული დღისთვის დაიანგარიშა 0,042%-ის ოდენობით.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით მხოლოდ შ. ჩ-მა გაასაჩივრა. შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების – პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირების ნაწილში გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 3 დეკემბრის განჩინებით შ. ჩ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება.

10. სააპელაციო პალატამ მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და გაიზიარა საქალაქო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება.

11. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოდავე მხარეთა შორის წარმოშობილი სესხისა და იპოთეკის სახელშეკრულებო ურთიერთობა მხარეთა კონკლუდენტური მოქმედებებით გაგრძელდა უვადოდ – ძირითადი თანხის გადახდამდე, ვალდებულების შესრულებამდე (კონკრეტული თარიღის მითითების გარეშე). შესაბამისად, მხარეთა ნება იყო, ამ საშუავათო პერიოდის მანძილზე ძალაში დარჩენილიყო სარგებლის დარიცხვა. ამ მხრივ სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სესხისა და იპოთეკის ხელშეკ-

რულებაზე გაკეთებულ მინაწერებზე, რომელთა მიხედვითაც, ბოლო 4 გადახდის შესახებ ჩანაწერი გაკეთებულია ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, რაც პალატის მოსაზრებით, სწორედ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე მიუთითებდა.

12. ამასთან, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ დამატებითი ვადა ვერ ჩაითვლებოდა ძირითადი თანხის დაბრუნების ვადის სხვა ვადით შეცვლად, რომელიც მხოლოდ სანოტარო წესით უნდა მომხდარიყო და მსგავსი ქმედება არ განხორციელებულა.

13. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „თ. ფ-ის“ მეშვეობით ელექტრონულად ერთსა და იმავე დღეს ნაწარმოები გადახდები ჯამში იძლეოდა 800 აშშ დოლარის მოცულობას, რაც ადასტურებდა ანგარიშებზე შეტანილი თანხის სარგებლის ჯამში შეტანას და არა ძირითადი თანხის გადახდას.

14. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის მე-400, 417-ე, 429-ე, 623-ე, 625-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია ძირითადი თანხის ნაწილში ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების თაობაზე და მიიჩნია, რომ აპელანტს თანხის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება ამ ნაწილში არ წარუდგენია – წარუდგენილი გადახდის ქვითრებითა და ხელნაწერებით დასტურდებოდა მხოლოდ სარგებლის გადახდა. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არსებობდა პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველიც, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, მართებულიად შეამცირა პირველი ინსტანციის სასამართლომ.

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 3 დეკემბრის განჩინება შ. ჩ-მა საკასაციო წესით გაასაჩივრა.

16. კასატორმა მიუთითა, რომ მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია გამსესხებლისთვის სესხის ძირითადი თანხის ნაწილის დაბრუნება. აღნიშნული თანხა კი ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასწორად შეაფასეს სარგებლად, რადგან მხარეები ხელშეკრულების მოქმედების და სარგებლის დარიცხვის ვადების გაგრძელების თაობაზე არ შეთანხმებულან.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 3 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2022 წლის 24 ნოემბრის განჩინებით – განსახილველად იქნა დაშვებული, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ამასთან, მხარეებს განემარტათ, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი გა-

ნიხილებოდა მათი დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

18. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

19. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს სესხის ხელშეკრულების შეუსრულებელი ნაწილის ოდენობის განსაზღვრა.

20. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. ამასთან, მსესხებლის მიერ ვალდებულების შესრულების თაობაზე დავის წარმოშობის შემთხვევაში, „მტკიცების ტვირთი მოვალეს აკისრია. მან უნდა დაამტკიცოს, რომ ვალდებულება შეასრულა და ამით ვალდებულება შეწყდა. მოვალეს ესაჭიროება სათანადო მტკიცებულება, რომ შეწყვეტის მიზნით ვალდებულების შესრულების ფაქტი დაამტკიცოს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 14 ივლისის №ას-346-2021 განჩინება). ამასთან, მართალია, სესხის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები არ უთითებს გადახდის სავალდებულო ფორმაზე, თუმცა, უზენაესი სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის დანაწესი. ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გაცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამრიგად, შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი წერილობითი ფორმით უნდა იქნეს შედგენილი, რათა დავის შემთხვევაში, გამოყენებულ იქნეს მოვალის მიერ, როგორც ვალდებულების შეწყვეტის დამადასტურებელი მტკიცებულება. მოვალემ უნდა წარმოადგინოს უნაღდო ან ნაღდი ანგარიშსწორების გზით თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 22 თებერვლის №ას-1755-2018, 2021 წლის 14 ივლისის №ას-346-2021 და 2021 წლის 29 სექტემბრის №ას-488-2021 განჩინებები).

21. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2017 წლის 7 სექტემბერს ი. ლ-სა (გამსესხებელი) და შ. ჩ-ს (მსესხებელი) შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველ-

ზეც შ. ჩ-მა ი. ღ-ისაგან სესხის სახით მიიღო 80 000 ლარი. ასევე, დადგენილია, რომ მსესხებელმა სესხის თანხა სრულად არ გადაიხადა, რის გამოც ნოტარიუსმა გამოსცა სააღსრულებო ფურცელი. სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობაა 75 000 ლარი.

22. მოსარჩელე არ ეთანხმება სააღსრულებო ფურცელში დაფიქსირებულ ოდენობას, რადგან, მისი განმარტებით, შესრულებული აქვს ვალდებულება ძირითადი თანხის – 26 586,65 ლარის ნაწილში.

23. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოსარჩელეს მართლაც აქვს წარმოდგენილი მტკიცებულებები გამსესხებლისთვის თანხის ჩარიცხვის შესახებ (ქვითრების ასლები; ხელწერილი), რომლებიც სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტებად – თანხის გადახდის დამადასტურებელ სათანადო მტკიცებულებებად შეიძლება შეფასდეს, თუმცა ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მათ საფუძველზე თანხის გადახდა სარგებლის (და არა სესხის ძირითადი ვალდებულების) დაფარვად განიხილეს.

24. საკასაციო პალატა, მოსარჩელის მიერ თანხის გადახდის მიზნობრიობის საკითხის შეფასებისას, ყურადღებას გაამახვილებს მასზე, რომ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება დაიდო სანოტარო წესით, 3 თვის ვადით, ყოველთვიურად 3 %-ის დარიცხვით. ამრიგად, მხარეებმა გამოიყენეს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული, სესხისათვის პროცენტის შეთანხმების შესაძლებლობა. რაც შეეხება სარგებლის ასანაზღაურებელ პერიოდს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლიდან გამომდინარე „სარგებლის (პროცენტის) გადახდის ვალდებულება, რომელიც მხარეებმა გაითვალისწინეს სესხის ხელშეკრულებისათვის, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში. სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტი, რომელიც თავისი შინაარსით სარგებელია, განსხვავდება 403-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტისაგან, რომელიც ის ზიანია, რაც განიცადა კრედიტორმა ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების დარღვევის გამო. ამასთან, 403-ე მუხლით სარჩელის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: მოვალეს შესასრულებელი უნდა ჰქონდეს ფულადი ვალდებულება; ფულადი ვალდებულების შესრულების ვადა უნდა იყოს დარღვეული; ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის უნდა არსებობდეს მხარეთა შეთანხმება პროცენტის თაობაზე“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ოქტომბრის

№ას-1701-1685-2011 გადაწყვეტილება და 2017 წლის 30 ივნისის №ას-408-381-2017 განჩინება). ვინაიდან სადავო შემთხვევაში არ მომხდარა პროცენტის გათვალისწინება ვადის გადაცილებისთვის, ამასთანავე, სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლის შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება გაგრძელებულიყო მხოლოდ წერილობითი შეთანხმებით, რაც არ განხორციელებულა, მოსარჩელეს ევალეზოდა მხოლოდ სამი თვის სარგებლის გადახდა. სამი თვის სარგებლის ოდენობის დაფარვის შემდგომ გადახდილი თანხა კი უნდა ჩათვლილიყო სესხის ძირი ვალდებულების ნაწილში. მაშასადამე, სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომ ხელშეკრულების მინაწერითა და ქვითრებით გათვალისწინებული თანხა უნდა ჩათვლილიყო სარგებლად და არ უნდა გამოკლებოდა სესხის ძირითად ვალდებულებას, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია (მსგავს სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით, ასევე, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 22 მარტის №ას-1034-2020 განჩინება).

25. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ, მართალია, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა მოსარჩელის მიერ თანხის გადახდის ფაქტი (რომელიც არასწორად განიხილა სარგებლად), თუმცა მიუხედავად მოსარჩელის მითითებებისა, სააპელაციო პალატას არ დაუდგენია გადახდილი თანხის ოდენობა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლიდან გამომდინარე კი, უზენაესი სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტობრივი გარემოებების დამდგენ სასამართლოს. ამდენად, საკითხის სწორად გადასაწყვეტად საქმეზე დამატებით შესასწავლი და დასადგენია ფაქტობრივი გარემოება – განსასაზღვრია მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხის ოდენობა, რომლითაც შემცირდება სადავო სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებული აღსასრულებელი ვალდებულება. ამასთან, აღსასრულებელი მოთხოვნის ზუსტ დადგენაზეა დამოკიდებული პირგასამტეხლოს დაკისრების საკითხის გადაწყვეტაც. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გაუქმების საფუძველი და საქმე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლიდან გამომდინარე, ხელახლა განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

26. საკასაციო სასამართლო, ასევე, მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო და-

აბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. მაშასადამე, საქმის ხელახლა განხილვისას, საპროცესო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 3 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები განაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. პირგასამტეხლო

პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-770-2020

11 მაისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
მ. ერემაძე

დავის საგანი: საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2017 წლის 7 ივნისს, სს „ს-ს რ-ასა“ (შემდეგში – მოსარჩელე, კასატორი ან მეიჯარე) და შპს „მ-ლს“ (შემდეგში – მოპასუხე, მონინალმდეგე მხარე ან მოიჯარე) შორის იჯარის ხელშეკრულება (შემდეგში – სადავო ხელშეკრულება ან ხელშეკრულება) დაიდო, რომლითაც მოპასუხემ დროებით სარგებლობაში მიიღო მოსარჩელის საკუთრებაში არსებული სატვირთო სანყოფი (საერთო ფართი, 1 080 კვ.მ).

2. ხელშეკრულების 1.4 და 2.1 პუნქტების მიხედვით, იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადა 1 წლით, ხოლო საიჯარო ქირა – ყოველთვიურად 5 500 ლარით (დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით) განისაზღვრა, რომელიც მოპასუხეს მოსარჩელისთვის ყოველი საანგარიშსწორებო თვის 10 რიცხვამდე უნდა გადაეხადა.

3. ხელშეკრულების 2.3 პუნქტის თანახმად, საიჯარო ქირის ან/და დავალიანების ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში სრულად და ჯეროვნად გადაუხდელობის შემთხვევაში, მოიჯარეს დაეკისრებოდა პირგასამტეხლო – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

4. 2017 წლის 10 ივლისიდან მოპასუხემ დაარღვია იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, ყოველთვიური საიჯარო ქირის გადახდის შესახებ.

5. 2017 წლის 15 აგვისტოს და 2017 წლის 3 ოქტომბერს, მოპასუხემ მოსარჩელეს გაუგზავნა მიმართვები დავალიანების ნებაყოფლობით გადახდის მოთხოვნით.

6. 2018 წლის 25 ოქტომბერს, საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების შესასრულებლად, მოპასუხემ მოსარჩელეს გადაუხადა 5 000 ლარი. 2018 წლის 27 ოქტომბერს, ამავე მიზნით, მოიჯარემ მეიჯარეს 5 000 ლარი აუნაზღაურა.

7. 2018 წლის 11 იანვარს, იჯარის ხელშეკრულების მოქმედება შეწყდა.

8. მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ ერიცხება საიჯარო ქირის დავალიანება – 28 984.97 ლარი.

9. 2018 წლის 24 იანვარს, მოპასუხემ მოსარჩელეს წერილობითი შეტყობინება გაუგზავნა – იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დარიცხული დავალიანების – 31 052.64 ლარის გადახდის მოთხოვნით.

10. მოიჯარის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი აღძრა მეიჯარემ, რომელმაც მოითხოვა მოპასუხისათვის საიჯარო ქირის დავალიანების – 28 984.97 ლარის, ასევე, 2017 წლის 10 აგვისტოდან 2018 წლის 10 იანვრამდე დარიცხული პირგასამტეხლოს – 2 608.34 ლარისა და 2018 წლის 10 იანვრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე პირგასამტეხლოს დაკისრება, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 28.98 ლარის ოდენობით.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით:

- სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
- მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 28 984.97 ლარის ანაზღაურება;
- მოიჯარეს მეიჯარის სასარგებლოდ ასევე დაეკისრა, 2017 წლის 10 აგვისტოდან 2018 წლის 10 იანვრამდე დარიცხული პირგასამტეხლო, 652 ლარი;
- გარდა ამისა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაევალა გადაწყვეტილების აღსრულებამდე მაგრამ მხოლოდ 2019 წლის 3 აგვისტოს ფარგლებში, პირგასამტეხლოს სახით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 7.20 ლარის ანაზღაურება.

12. სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც ხსენებულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 12 თებერვლის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

13.1. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო წინამდებარე განჩინების 1-9 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალი და არაგონივრული იყო (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის 417-ე, 418-ე, 420-ე მუხლები).

14. სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით.

საკასაციო საჩივარი შემდეგნაირადაა დასაბუთებული:

14.1. სსკ-ის 420-ე მუხლის შინაარსით პირგასამტეხლოს შემცირება საქმის გარემოებების გათვალისწინებითაა დასაშვები. ეს იმას გულისხმობს, რომ სასამართლომ ყურადღება უნდა მიაქციოს ხელშეკრულების მონაწილე სუბიექტებს, გარიგების შინაარსს და ყველა დეტალის კვლევის შედეგად უნდა შეაფასოს, პირგასამტეხლოს შემცირების აუცილებლობა. რაკი მოსარჩელე ქვეყნის სტრატეგიული ობიექტია, მის გამართულ მუშაობაზე დამოკიდებული არაერთი ფიზიკური და იურიდიული პირის მიმართ კეთილსინდისიერად შესასრულებელი ვალდებულებები. შესაბამისად, მოპასუხესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლით, მოსარჩელეს ნდობა გაუჩნდა, რომ მოიჯარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას კეთილსინდისიერად შეასრულებდა. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარესთან შეთანხმებით კასატორმა გაითვალისწინა პირგასამტეხლო, რომელიც მოსალოდნელი სანქციების რისკს უზრუნველყოფდა.

14.2. მოპასუხის მიერ გადაუხდელი საიჯარო ქირის დავალიანება 28 984.97 ლარია, რაც მოსარჩელის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მოპასუხეს არ აუნაზღაურებია. მოიჯარეს მხოლოდ ორი თვის საიჯარო ქირა (ჯამურად, 10 000 ლარი) აქვს გადახდილი.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსკ) 391-ე მუხლის მიხედვით, მოსარჩელის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესაბამისად.

2022 წლის 4 მაისის განჩინებით, სსკ-ის 391.5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკასაციო პალატამ მითითებული საკასაციო საჩივარი დასაშვებად ცნო და დაადგინა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის

საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

16. პირველ რიგში, პალატა მიუთითებს სსკ-ის 404-ე მუხლის პირველ წინადადებაზე, რომლის შინაარსით: საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. აღნიშნული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, პალატისათვის ამოსავალი სწორედ კასატორის მიერ სადავოდ გამხდარი მოთხოვნაა.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორის მოთხოვნა – პირგასამტეხლოს ნაწილში სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ე.ი. კასატორის იურიდიული ინტერესი ისაა, რომ არ მოხდეს პირგასამტეხლოს შემცირება და მისი მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდეს.

ამდენად, საკასაციო პალატის მიერ განსახილველი საკითხი შემდეგია: რამდენად მართლზომიერია მოსარჩელის მიერ სარჩელით მოთხოვნილი პირგასამტეხლოს (2017 წლის 10 აგვისტოდან 2018 წლის 10 იანვრამდე – 2 608.34 ლარი და 2018 წლის 10 იანვრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე – 28.98 ლარი) მოპასუხისათვის დაკისრება.

17. კასატორის განსახილველი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი სსკ-ის 581-ე (იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზეც), მე-400 (მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება, თუ: ა. შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდება; ბ. შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც იგი არ ასრულებს ვალდებულებას) და 417-ე-418-ე (პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შესრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის; ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ, თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება, აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, გარდა ამ კოდექსის 625-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა; შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას) მუხლებშია წარმოდგენილი.

18. მოცემულ საკითხზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, საკასაციო პალატის არა-

ერთ განჩინებაში განმარტებულია შემდეგი:

პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა უკავშირდება ვალდებულების დარღვევას. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან, ანუ პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის გააჩნია, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია, ვალდებულების დარღვევის ფაქტი...; პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცავს თავის თავში ზიანის ანაზღაურებას. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა (შდრ. იხ. სუსგ: №ას-1373-2018, 17.01.2019; №ას-848-814-2016, 28.12.2016; №ას-816-767-2015, 19.11.2015; №ას-953-918-2016, 22.11.2016).

„პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან... პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება, ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა: ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა“ (შდრ. იხ. სუსგ №ას-176-157-2014).

„მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით პირგასამტეხლო მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით მიღწეული შეთანხმებაა, იგი არ წარმოადგენს მხარეთა აბსოლუტურ უფლებას და კვალიფიციური შედავების პირობებში, სასამართლო უფლებამოსილია შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობით პირგასამტეხლოს თანაზომიერება ვალდებულების დარღვე-

ვასთან მიმართებით. სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწეულ შეთანხმებაში ჩარევის კანონის-მიერ საფუძველს წარმოადგენს სასამართლოსათვის დაკისრებული ერთგვარი საჯარო წესრიგის უზრუნველყოფელი ვალდებულება და რაც მთავარია ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინება, სახელდობრ, ის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, როგორიცაა: მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, ვალდებულების დარღვევის ხარისხი, და ა.შ. (იხ.სუსგ-ები: №ას-708-678-2016, 27.01.2017; №ას-1199-1127-2015, 13.04.2016; №ას-222-209-2015, 6.05.2015).

ამრიგად, კანონმდებლის მიერ ხელშეკრულების მხარეთათვის პირგასამტეხლოს თავისუფლად განსაზღვრის უფლების მინიჭება იმას არ ნიშნავს, რომ ეს თავისუფლება ხელშეუხებელია. მოვალის შესაგებლის არსებობისას, სასამართლო უფლებამოსილია შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს გონივრულობა და საქმის გარემოებების გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. ამ მიზანს ემსახურება სსკ-ის 420-ე მუხლი, რომლის საფუძველზეც, სასამართლოს უფლება აქვს, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, რაც შეფასებითი კატეგორიაა და, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება.

19. საკასაციო პალატის შეფასებით, კასატორის მიერ სარჩელით მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა, სამართლიანი, გონივრული და დასაბუთებულია. აღნიშნული დასკვნის გაკეთებისას, პალატა მხედველობაში იღებს რამდენიმე გარემოებას, კერძოდ:

ა). სადავო სახელშეკრულებო ურთიერთობის სუბიექტები კერძო სამართლის იურიდიული პირები არიან, რომელთაგან ერთ-ერთი (მეიჯარე) – სტრატეგიული ობიექტია და მის გამართულად მუშაობაზეა დამოკიდებული, როგორც ქვეყნის სარკინიგზო მომსახურების ნორმალურად ფანქციონირება, ასევე, არაერთი ფიზიკური და იურიდიული პირის მიმართ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

ბ). ვალდებულების დარღვევის შინაარსი ასეთია: იჯარის ხელშეკრულება მხარეებმა 2017 წლის 7 ივნისს დადეს, ხოლო საიჯარო ქირის (ყოველთვიურად 5 000 ლარი) გადახდის ვალდებულება მოიჯარემ 2017 წლის 10 ივლისიდან დაარღვია და აქედან წარმოშობილი დავალიანება 28 984.97 ლარია.

გ). ჯამურად მოპასუხის მიერ გადახდილი საიჯარო ქირის მოცულობა 10 000 ლარს შეადგენს, ე.ი. მოიჯარეს ძირითადი ვალდებულება მხოლოდ მითითებული თანხის ფარგლებში აქვს შესრულებული.

დ). პირველი ინსტანციის სასამართლოში მოპასუხეს სარჩელზე შესაგებელი არ წარუდგენია, უფრო მეტიც, იგი არც პირველი ინსტანციის სასამართლოში გამართულ სხდომაზე არ გამოცხადებულა. ეს გარემოება იმის მაუწყებელია, რომ სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს მოპასუხე არ შედავებია, მაშინ როდესაც მისი მტკიცების ტვირთში შედიოდა ამ ფაქტების უარყოფაც და მათი გაქარწყლება.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის ვალდებულება – განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე (სსსკ-ის 201.1 მუხლი). ამასთან, პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს (სსსკ-ის 201.4 მუხლი). გარდა ამისა, სსსკ-ის 4.1 (სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები) და 102-ე მუხლები (თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს; ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მონმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით; საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით) იმის ნათელი დადასტურებაა, რომ მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადების მიზნით აქტიურად იმოქმედოს, რაც, უპირველესად, სასამართლოსათვის სარჩელზე მისი წერილობითი მოსაზრებების წარდგენაში გამოიხატება. მოპასუხის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა, მას უფლებას ართმევს, ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს შეასრულოს (ანუ, სასამართლოს სხდომაზე მხა-

რისაგან მტკიცებულების მიღება აღარ ხდება). ამ შემთხვევისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს (შდრ. იხ.: სუსგ №ას-664-635-2016, 2.03.2017). ამდენად, შექმნილი მოცემულობა იმაზე მიუთითებს, რომ მოპასუხე სარჩელში მითითებულ ფაქტებს მათ შორის პირგასამტეხლოს მოცულობის ნაწილში სრულად დაეთანხმა.

ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო პალატი-სათვის საყალბედულოა, რადგან მათ წინააღმდეგ კასატორის დასაშ-ვეები და დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია (სსსკ-ის 407.2 მუხლი). ამასთან, დასახელებული გარემოებების ერთობლიობაში შეფასების შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ მხარეთა მიერ შე-თანხმებული პირგასამტეხლო (ყოველ ვადაგადაცელებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%) – ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებაა. უფ-რო კონკრეტულად, რომ ვთქვათ: იჯარის ხელშეკრულებაში მითი-თებული პირგასამტეხლო, ვალდებულების დარღვევის საპირწონეა, იგი სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას ასრულებს და იმ მიზანს ემსახურება, რომ თავიდან აიცილოს დამატებით ვალ-დებულების დამრღვევი მოქმედებები. საკითხის ამგვარად გადან-ყვეტა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასთან შესა-ბამისია (შდრ. იხ. სუსგ: №ას-189-2020, 20.04.2021).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის პრეტენზიას პირგასამტეხლოს შემცირების მიზანშეუწონლობაზე აქვს სამარ-თლებრივად ვარგისი საფუძველი. შესაბამისად, კასატორის მიერ პირგასამტეხლოს ანგარიშში მოთხოვნილი თანხა ის თანხაა, რომ-ლის კასატორის სასარგებლოდ გადახდაც მოპასუხეს უნდა დაე-კისროს.

20. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა გან-სახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნე-ბის საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამა-ტებით გამოკვლევა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლე-ბამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

სსსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარ-ჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გა-დანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გან-თავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარ-

ჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, რაკი წინამდებარე გადაწყვეტილებით პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა, ამიტომ მოწინააღმდეგე მხარეს მოსარჩელის სასარგებლოდ სრულად უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება. ამასთან, მოპასუხისათვის დასაკისრებელ თანხას უნდა გამოაკლდეს 1 012.2 ლარი, რომლის მოსარჩელის სასარგებლოდ გადახდაც მოპასუხეს უკვე დაეკისრა ამავე საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით (რომლითაც საიჯარო ქირის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილდა), მოსარჩელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად. ზემომითითებული გაანგარიშებით მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ დასაკისრებელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა 2 165.75 ლარს შეადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, მე-8, 264.3, 257.1, 253-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. სს „ს-ს რ-ას“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 12 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 22 მარტის გადაწყვეტილების მე-3 და მე-4 პუნქტები სს „ს-ს რ-ას“ სარჩელი შპს „მ-ის“ წინააღმდეგ პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს სრულად;

4. შპს „მ-ს“ სს „ს-ს რ-ას“ სასარგებლოდ დაეკისროს 2017 წლის 10 აგვისტოდან 2018 წლის 10 იანვრამდე დარიცხული პირგასამტეხლო – 2 608,34 ლარი;

5. შპს „მ-ს“ სს „ს-ს რ-ას“ სასარგებლოდ დაეკისროს 2018 წლის 10 იანვრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე – 28.98 ლარი.

6. შპს „მ-ს“ სს „ს-ს რ-ას“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში, თბილისის სააპელაციო სასამართლოში და საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟები სულ – 2 165,75 (874,55+574,84+716,36) ლარი;

7. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-189-2022

16 სექტემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: გ. მიქაუტაძე (თავმჯდომარე),
რ. ნადარაია (მომხსენებელი),
ა. წულაძე**

დავის საგანი: პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (შემდეგში – მოსარჩელემ) სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „ნ-რის“ (შემდეგში – მოპასუხის) მიმართ, პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნით.

1.1. მოპასუხემ წერილობით წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი შპს „ნ-რის“ მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 22 281.8 ლარის გადახდა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს მხარეებმა. მოსარჩელემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო მოპასუხემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 21 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.1. მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაეკისრებოდა შემსყიდველისათვის შემდეგი ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა: საქონლის მიწოდებლობისათვის (მათ შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, უზარისხო, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0.2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.2. უდავოა, რომ მოპასუხის მიერ დარღვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება ხელშეკრულების საგნის განსაზღვრულ ვადაში მიწოდების შესახებ. მოპასუხე დაეთანხმა მოსარჩელის მიერ პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ 2018 წლის 26 დეკემბრის აქტში მითითებული ვადადარღვეული დღე-

ბის ოდენობას, თუმცა არ დაეთანხმა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გამო მისთვის დაკისრებულ პირგასამტეხლოს ოდენობას და მიიჩნია, რომ მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო ნაცვლად მოთხოვნილი 0.2%-სა, უნდა დაკისრებოდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0.02%, ჯამში კი 15595 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება:

5.3. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. პალატამ განმარტა რომ, მიუხედავად იმისა რომ კანონმდებლობით პირგასამტეხლო მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით მიღწეული შეთანხმებაა, იგი არ წარმოადგენს მხარეთა აბსოლუტურ უფლებას და კვალიფიციური შედავების პირობებში, სასამართლო უფლებამოსილია შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობით პირგასამტეხლოს თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით.

5.4. სააპელაციო პალატის მითითებით, ვინაიდან, ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენდა 1 385 910 ლარს, ხოლო მოპასუხემ გადააცილა მიწოდების ვადები ოთხ ეტაპზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობის და დარღვევების გათვალისწინებით, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა იყო შეუსაბამოდ მაღალი და არაგონივრული. პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განსაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა 50 000 ლარით და მოსარჩელის მიერ საბანკო გარანტიის მეშვეობით უკვე ანაზღაურებული 27 718.2 ლარის გათვალისწინებით, მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა 22 281.8 ლარის გადახდა.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 21 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

საკასაციო საჩივრის მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

6.1. კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია მხარის ქონებრივი მდგომარეობა და დაზარალებულის ინტერესები, ანუ ის გარემოებები, რომლებიც საფუძვლად უნდა დასდებოდა პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებას.

6.2. კასატორის მოსაზრებით, პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრა თავად მხარეთა შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე და არ არსებობს მისი შემცირების სამართლებრივი საფუძვლები, მითუმეტეს, რომ სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების ფაქტი.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 25 თებერვლის განჩინებით სსსკ-ის 396-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 2022 წლის 04 აგვისტოს განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

8. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებზე და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსა-მართლებრივი ნორმის გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და ნაწილობრივ დასაბუთებული

პრეტენზია (შედავება).

10. მოსარჩელის მოთხოვნაა, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის გამო (ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ იქნა მიწოდებული ხელშეკრულების საგანი), ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მოპასუხისათვის დაკისრება. ეს სამართლებრივი შედეგი მიიღება 417-ე-418-ე (პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის; ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, გარდა ამ კოდექსის 625-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა; შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას) მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობების შესრულების შემთხვევაში. კერძოდ, ეს წინაპირობები შემდეგია: ა) მხარეთა შორის ხელშეკრულების დადება; ბ) პირგასამტეხლოზე წერილობითი შეთანხმება; გ) ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.

11. მოცემულ შემთხვევაში, კასატორის ძირითადი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა მხარეთა მიერ შეთანხმებული პირგასამტეხლოს ოდენობა დაუსაბუთებლად შეამცირეს.

12. განსახილველ შემთხვევაში უდავოა, რომ მხარეთა შორის 2018 წლის 25 აპრილს დაიდო №270 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში 30 000 კომპლექტი კომუფლირებული ფორმის შესყიდვა ხელშეკრულების დანართების შესაბამისად. სადავო არაა მხარეთა შეთანხმებით დადებული ხელშეკრულების პირობები, უფლებები და ვალდებულებები. უდავოა ასევე მოსარჩელის მიერ პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ 2018 წლის 26 დეკემბრის აქტში მითითებული ვადადარღვეული დღეების რაოდენობა. სადავოა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გამო მოპასუხისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა.

13. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს, ანუ პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირ-

ზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს იძულებითი ხასიათის სანქცია ეკისრება. პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად (იხ. სუსგ №ას-428-428-2018, 13 ივლისი, 2018 წელი).

14. რაც შეეხება პირგასამტეხლოს ოდენობას, მისი განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება“ (იხ. სუსგ № ას-816-767-2015, 19.11.2015წ.).

15. სსკ-ის 420-ე მუხლის (სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო) მიხედვით, პირგასამტეხლოს შემცირების უფლება სასამართლოს აქვს მინიჭებული. მართალია, პირგასამტეხლოს განსაზღვრა მხარეთა უფლებაა და აღნიშნული კუთხით მოქმედებს სახელშეკრულებო ურთიერთობებში დამკვიდრებული მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპი, თუმცა, აღნიშნული მუხლი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, მხარის მოთხოვნის საფუძველზე იმსჯელოს და შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების მიუხედავად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს შემცირება არ გულისხმობს მის გაუქმებას. პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველია, ერთი მხრივ, ის, რომ კრედიტორი პირგასამტეხლოს მიღებით არ გამდიდრდეს და მოვაღეს არ დაანვეს მძიმე ტვირთად პირგასამტეხლოს გადახდა, (შესაბამისად, პირგასამტეხლო არ იქცეს ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებად), ხოლო მეორე მხრივ კი, – პირგასამტეხლო იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირწონე და გონიერული. აღნიშნულში მოიაზრება სახელშეკრულებო თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით პირგასამტეხლოს გონიერულ ოდენობამდე შემცირება. აღსანიშნავია, რომ პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ, ყოველ კონ-

კრეტულ შემთხვევაში გარემოებათა ყოველმხრივი შეფასების შედეგად დგინდება და რაიმე განსხვავებული სტანდარტი, რომელიც განაზოგადებს პირგასამტეხლოს მათემატიკურ მაჩვენებელს სასამართლო პრაქტიკით არ არის დადგენილი. სასამართლომ უნდა დაიცვას ის სამართლიანი ბალანსი, რომელიც სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების დარღვევას მოჰყვას.

16. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლოს შემცირების კანონისმიერი შესაძლებლობა ემსახურება სახელშეკრულებო ურთიერთობებში იმ სუსტი მხარის ინტერესების დაცვას, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას ვერ აცნობიერებს პირგასამტეხლოს შინაარსსა და მის თანმდევ სამართლებრივ თუ ეკონომიკურ შედეგებს. შესაბამისად, პირგასამტეხლოს შემცირებისას, მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, თუ რამდენად აცნობიერებდა მითითებულ პირობას მხარე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას.

17. საკასაციო პალატა პირველ რიგში შეაფასებს თუ რამდენად კვალიფიციური შედავება განახორციელა მოპასუხემ მოსარჩელის მიმართ და აღნიშნავს, რომ სასამართლო მხოლოდ კვალიფიციური შედავების არსებობის შემთხვევაშია უფლებამოსილი შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობის თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით. ამდენად, პირგასამტეხლოს გონივრულობის კვლევას სასამართლო მოვალის კვალიფიციური შესაგებლის არსებობის შემთხვევაში ახორციელებს და მის გარეშე შეუძლებელია დადგინდეს რამდენად შეუსაბამო და არაგონივრულია პირგასამტეხლოს ოდენობა სახელშეკრულებო ინტერესის ხელყოფის მასშტაბთან.

18. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე ძირითად აქცენტს აკეთებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციაზე და ითხოვს პირგასამტეხლოს განსაზღვრას ამ რეკომენდაციის შესაბამისად. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2016 წლის 29 ივნისის რეკომენდაციაში კი მითითებულია, რომ ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შესაძლებელია განსაზღვრონ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0.02%-ის ოდენობით. პალატა მიუთითებს, რომ მითითებული დოკუმენტი არის სარეკომენდაციო ხასიათის და მას ვერ ექნება სავალდებულო ძალა ხელშეკრულების მხარეებისთვის ან სასამართლოსათვის. ამდენად, მოპასუხე, რომელიც მენარმე სუბიექტია, მხოლოდ ხსენებულ რეკომენდაციაზე მითითებით ვერ ასაბუთებს ხელშეკრულებით განსაზ-

ღვრული პირგასამტეხლოს 0,02%-მდე შემცირების აუცილებლობას.

19. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება და გარკვეულ ნიშნულამდე დაყვანა არ წარმოადგენს საერთო სტანდარტს. კანონის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგადაც, მაღალი პირგასამტეხლო არ მცირდება. შემცირებას მხოლოდ „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლო ექვემდებარება. პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია თუ არა, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს კონკრეტული საქმის თავისებურების გათვალისწინებით, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების მხედველობაში მიღებით, როგორიცაა: სახელშეკრულებო ურთიერთობათა მხარეები, ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, ვალდებულების დამრღვევის ბრალეულობის ხარისხი, დარღვევის სიმძიმე და მოცულობა, კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხე და კრედიტორის მოლოდინი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. იმ შემთხვევაში თუ სასამართლო დაკისრებულ პირგასამტეხლოს შეაფასებს როგორც შეუსაბამოდ მაღალს, მან უნდა განსაზღვროს პირგასამტეხლოს ისეთი ოდენობა, რომელიც იქნება დარღვევის თანაზომიერი და გონივრული. რაც შეეხება დარღვევის თანაზომიერი და გონივრული ოდენობის პირგასამტეხლოს განსაზღვრას, აღნიშნულიც ასევე უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ზემოთმითითებული გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად.

20. პალატას მიაჩნია, რომ როდესაც ხელშეკრულების მხარე არის მენარმე სუბიექტი, მისი პასუხისმგებლობის ხარისხი ბევრად აღემატება ფიზიკური პირის პასუხისმგებლობის ხარისხს, რომელიც შესაძლებელია იყოს ხელშეკრულების სუსტი მხარე, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას ვერ აცნობიერებს პირგასამტეხლოს შინაარსს და მის თანმდევ სამართლებრივ შედეგს. ამდენად, როდესაც საკითხი ეხება მენარმე სუბიექტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას, დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა არ უნდა იყოს მინიმალური ოდენობის. პალატა აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევებში უმნიშვნელოვანესია დარღვევის პროპორციული პირგასამტეხლოს განსაზღვრა, რაც იქნება გარანტი იმისა, რომ პირგასამტეხლომ არ დაკარგოს თავისი ძირითადი ფუნქცია – ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველყოფის პრევენცია და განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურების შესაძლებლობა.

21. განსახილველ შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს მენარმე სუბიექტი,

რომელიც თავისუფალი და გაცნობიერებული ნების გამოვლენის საფუძველზე დათანხმდა პირგასამტეხლოს კონკრეტულ ოდენობას და როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობაში კონტრაპირებულ მენარმე სუბიექტს, მისი სტატუსიდან გამომდინარე, ფიზიკური პირისგან განსხვავებული პასუხისმგებლობითა და სტანდარტით მოეთხოვება ვალდებულების სამართლებრივ შედეგებზე პასუხისგება. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2018 წლის 25 აპრილის №270 ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულების საგნის მიწოდება უნდა დაწყებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 90 დღეში და პროდუქციის მიწოდება უნდა გაგრძელებულიყო ყოველი მომდევნო 30 დღის ინტერვალით, პროდუქციის სრულად მიწოდება უნდა დასრულებულიყო 180 დღეში. სადავო არ არის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა და ვადადარღვეული დღეების რაოდენობა, ასევე დგინდება რომ დარღვევას ჰქონდა მრავალჯერადი ხასიათი, დაირღვა როგორც თითოეული მიწოდების ინტერვალი, ასევე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის პერიოდში პროდუქცია პრაქტიკულად არ მიწოდებულა. კერძოდ, პირველი მიწოდება ნაცვლად არაუმეტეს 90 დღისა, განხორციელდა საბოლოო შესრულების ვადის ამონურვისას. მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დარღვევის გამო 2018 წლის 26 დეკემბრის №270-1 აქტით პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ, მოპასუხეს დაეკისრა პირგასამტეხლო 155949.88 ლარი, ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული ოდენობა დაანგარიშებულია არა ხელშეკრულების საერთო საორიენტაციო ღირებულების (1385400 ლარი), არამედ მხარის მიერ არაჯეროვნად შესრულებულები ვალდებულების გათვალისწინებით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკა, კერძოდ, არაერთ განჩინებასა და გადაწყვეტილებაში განმარტებულია შემდეგი: ვალდებულების ნაწილის შესრულების ვადის გადაცილებისთვის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან დაანგარიშება ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისა და კეთილსინდისიერების მინიმალურ სტანდარტს, რადგან პირგასამტეხლოს ასეთი ოდენობით დაკისრება, როგორც კრედიტორის დარღვეული უფლებების და ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთგვარი სანქცია, თავის ნორმატიულ დანიშნულებას ვერ შეასრულებს. პირგასამტეხლო უნდა დაანგარიშდეს არა ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან, არამედ მხარის მიერ ფაქტობრივად შეუსრულებელი ან არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულებიდან (იხ. სუსგ: №ას-971-2019, 28.10.2019; №ას-581-

2019, 31.07.2019; №ას-164-160-2016, 28.07.2016). ასევე გასათვალისწინებელია კრედიტორის მოლოდინი ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულების მიმართ, ვინაიდან, შემსყიდველი იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტრო და ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა კომუფლირებული ფორმის მიწოდება. შესაბამისად, მიმწოდებელს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეთხოვებოდა ვალდებულების შესრულება. ამდენად მოპასუხეს არ მიუთითებია ისეთ გარემოებებზე, რაც შექმნიდა დარიცხული პირგასამტეხლოს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ განსაზღვრულ ოდენობამდე შემცირების საფუძველს.

22. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სარჩელით მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა ქვემდგომი სასამართლოების მიერ არაპროპორციულად შემცირდა, რის გამოც უნდა განისაზღვროს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირწონე და გონივრული ოდენობა, რომელიც არ გამოიწვევს კრედიტორის გამდიდრებას. საკასაციო პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ვალდებულების შეუსრულებლობას არ ჰქონია ადგილი, მოპასუხის მიერ ხელშეკრულება ვადის დარღვევით, მაგრამ სრულად შესრულდა, რის გამოც მიიჩნევს, რომ პირგასამტეხლოს თანაზომიერ, საპირწონე და გონივრულ ოდენობად უნდა ჩაითვალოს მიუწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0.15% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

23. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და 2018 წლის 26 დეკემბრის №270-1 აქტით დაფიქსირებული დარღვევისათვის პირგასამტეხლოს გონივრული ოდენობა განისაზღვროს 116962.41 ლარით (77974940 ლარის 0.15%), ხოლო უკვე ანაზღაურებული 27718.2 ლარის გათვალისწინებით, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 89244.21 ლარის გადახდა.

24. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხ-

ლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

25. სსსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან გათავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. განსახილველ შემთხვევაში, რაკი მოსარჩელე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან და, ამასთან, მისი საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 10709.29 (2677.32+3569.76+4462.21) ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ე ბ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 21 დეკემბრის განჩინება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. შპს „ნ-რს“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისროს პირგასამტეხლოს გადახდა 89 244.21 ლარის ოდენობით;
5. შპს „ნ-რს“ (...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, დაე-

კისროს სამივე ინსტანციის სასამართლოში გადასახდელი სახელ-
მწიფო ბაჟის – 10709.29 (2677.32+3569.76+4462.21) ლარის გადახ-
და;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ
საჩივრდება.

პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ

გადანყვითლება საქართველოს სახელით

№ას-1205-2022

23 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
მ. ერემაძე**

დავის საგანი: პირგასამტეხლოს დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:
სასარჩელო მოთხოვნა:**

1. საქართველოს პროკურატურამ (შემდგომ – მოსარჩელე) სარ-
ჩელო აღძრა სასამართლოში ინდივიდუალური მენარმე „ქ. ს-ტ-ოს“
(შემდგომ – მოპასუხე) მიმართ და მოითხოვა 2019 წლის 4 ივნისის
№138 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვე-
ვისათვის, ამავე ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1 პუნქტით
გათვალისწინებული პირგასამტეხლოს – ხელშეკრულების საერ-
თო ღირებულების 0.2%-ის გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ
დღეზე, რაც თანხობრივად შეადგენს 41.639.28 ლარს.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2019 წლის 4 ივნისის მხარეთა შო-
რის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №138 ხელშეკ-
რულება, რომლის საფუძველზეც მიმწოდებელმა ორგანიზაციამ
იკისრა ვალდებულება, შეესრულებინა ქ. ახალქალაქში, ... ქუჩა
№30-ში მდებარე ახალქალაქი-ნინოწმინდის რაიონული პროკურა-
ტურის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები 2019
წლის 4 ივნისიდან 70 კალენდარული დღის ვადაში. ხელშეკრულე-
ბის მე-10 მუხლის 10.1 პუნქტის თანახმად, განისაზღვრა შესყიდ-

ვის ობიექტის ვადის გადაცილებით მოწოდების შემთხვევაში შემსყიდველის მიერ მომწოდებლისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის დაკისრება. მომწოდებელმა შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა დაარღვია, კერძოდ, შენობის სარემონტო სამუშაოები ნაცვლად 2019 წლის 13 აგვისტოსა, დასრულდა 2019 წლის 18 ნოემბერს, 97 კალენდარული დღის დაგვიანებით.

3. ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადის გადაცილებისათვის შემსყიდველის მიერ მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 225235.47 ლარის 0.2%-ის ოდენობით, რამაც თანხობრივად შეადგინა 43.695.68 ლარი. შესყიდვის ობიექტის შესრულების ვადის გადაცილებისათვის პირგასამტეხლოს ოდენობისა და ნებაყოფლობითი გადახდის თაობაზე მოსარჩელემ მოპასუხეს აცნობა, თუმცა მხარეს დაკისრებული პირგასამტეხლო არ გადაუხდია.

4. მოსარჩელის მითითებით, 2019 წლის 4 ივნისის მდგომარეობით №138 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენდა 225 927, 99 ლარს, 2019 წლის 5 აგვისტოს №138/1 შეთანხმებით – 225 235, 47 ლარს, ხოლო 2019 წლის 20 დეკემბრის №138/2 შეთანხმებით – 214 635,44 ლარს.

მოპასუხის პოზიცია:

5. მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის განხორციელების გამომრიცხველი შესაგებელი და მიუთითა, რომ მხარეთა შორის 2019 წლის 4 ივნისს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №138 ხელშეკრულება ნამდვილად დაიდო. შამწუხაროდ, წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში არ იქნა გათვალისწინებული და არ იქნა შედგენილი გეგმა/გრაფიკი, რომლის მიხედვითაც უნდა განსაზღვრულიყო შესასრულებელი სამუშაოების ეტაპები და შესაბამისი ანაზღაურება. მაგალითად: ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებულია შენობის გარკვეული ნაწილების დემონტაჟი, მაგრამ არ არის გათვალისწინებული ვადები და ეტაპები. მოპასუხემ მოითხოვა ამგვარი გეგმა/ გრაფიკის შედგენა, მაგრამ უარი მიიღო.

6. მოპასუხის განმარტებით, სადავო ვადის გადაცილება გამოიწვია მისგან დამოუკიდებელმა საპატიო მიზეზებმა. პირველ რიგში ხარჯთაღრიცხვაში არ იქნა გათვალისწინებული აუცილებლად ჩასატარებელი სამუშაოები, რომელთა გარეშეც შეუძლებელი გახდებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრულყოფილი სარემონტო სამუშაოების შესრულება აღნიშნულ შენობაზე. მოპა-

სუხემ მოახდინა შენობის ფასადის დემონტაჟი, სამუშაო მოითხოვდა ფრთხილ და ფაქიზ მოპყრობას, რასაც დასჭირდა ხანგრძლივი დრო, ასევე, საჭირო გახდა ტიხრების მოწყობა წვრილი საკედლე ბლოკით, სარდაფში არსებული სინესტის გამო, გვიან მოხდა ფითხით დამუშავებული კედლების გამოშრობა, მოახდინეს ცოკოლის კედლების დემონტაჟი და შემდეგ ბაზალტის ფილებით მისი მონტაჟი.

7. მოპასუხემ მიიჩნია, რომ პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია და უკანონო, ხელშეკრულების დადების დროს მხარე პირგასამტეხლოს ოდენობაში ჯეროვნად არ გაარკვიეს, ამავდროულად, ვადის გადაცილება მოჰყვა მოცემული პროექტის შემდგენლის მხრიდან შესასრულებელი სამუშაოების არაჯეროვან განსაზღვრას. პირგასამტეხლო არ უნდა დაანგარიშდეს მთლიანი თანხიდან, რადგან ძირითადი სამუშაოები შესრულდა დადგენილ ვადაში, მაგალითად დემონტაჟი და ა.შ.

8. მოპასუხის მითითებით, 2020 წლის 3 თებერვლის №1405 წერილით საქართველოს გენერალურ პროკურატურას მიაწოდეს ინფორმაცია იმ საპატიო მიზეზების შესახებ, რის გამოც სარემონტო სამუშაოების დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვერ მოხდა. აღნიშნული ინფორმაცია მოსარჩელისათვის ცნობილი იყო მანამდეც, სანამ სამუშაოების ვადა ამოიწურებოდა, ინფორმაცია ზეპირი ფორმით გადაეცა მოსარჩელეს, რომელიც ამავე სახით დათანხმდა ვადის გაგრძელებაზე, შემდეგ კი პირობა დაარღვია და პირგასამტეხლო დააკისრა მოპასუხეს.

9. მოპასუხემ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე მხარეს არც სამუშაოების შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ და არც ფაქტობრივად სამუშაოების მიმდინარეობის ვადაში მოპასუხისათვის წერილობით არ უცნობებია, რომ ვადა ირღვეოდა და შესაძლებელი იყო სანქციების განსაზღვრა, ანუ არანაირი გაფრთხილება მოპასუხისათვის არ მიუცია.

10. პირველი ინსტანციის სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხემ გამოთქვა თანხმობა, პირგასამტეხლოს სახით გადაეხადა 500 ლარი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

11. ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს სახით 1500 ლარის გადახდა, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელა-

ციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 4163,028 ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო:

13. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელზე დავის საგანს წარმოადგენდა, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების დარღვევის გამო, პირგასამტეხლოს დაკისრება. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 477-ე, 417-ე, 418-ე და 420-ე მუხლები.

14. აღნიშნულ მოთხოვნასთან მიმართებით სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტები: 2019 წლის 4 ივნისს მხარეთა შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №138 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მიმწოდებელმა ორგანიზაციამ იკისრა ვალდებულება შეესრულებინა ქ. ახალქალაქში, ... ქუჩა №30-ში მდებარე ახალქალაქი-ნინოწმინდის რაიონული პროკურატურის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 4 ივნისიდან, 70 კალენდარული დღის ვადაში.

15. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მოპასუხემ ნაკისრი ვალდებულება ვერ შეასრულა. მიმწოდებელმა დაარღვია შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, კერძოდ, შენობის სარემონტო სამუშაოები, ნაცვლად 2019 წლის 13 აგვისტოსა, დასრულდა (მიწოდებულ იქნა) 2019 წლის 18 ნოემბერს, 97 კალენდარული დღის დაგვიანებით. ამასთან, მოპასუხე მხარემ ვადაგადაცილების ფაქტი არ უარყო.

16. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების 4.2, 7.3 პუნქტებითა და მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით. ამდენად, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნა პირგასამტეხლო.

17. ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდე-

ბის ვადის გადაცილებისათვის შემსყიდველის მიერ მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 225 235, 47 ლარის 0,2%-ის ოდენობით, რამაც თანხობრივად შეადგინა 43 695,68 ლარი; №138 ხელშეკრულების საერთო ღირებულება 2019 წლის 4 ივნისის მდგომარეობით შეადგენდა 225 927, 99 ლარს, 2019 წლის 5 აგვისტოს №138/1 შეთანხმებით – 225 235, 47 ლარს, ხოლო 2019 წლის 20 დეკემბრის №138/2 შეთანხმებით – 214 635,44 ლარს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 214 635,44 ლარის 0,2%-ის ოდენობით ვადაგადაცილებულ 97 დღეზე შეადგენს 41 639,28 ლარს ($214\ 635,44 \cdot 0,2\% \cdot 97$).

18. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ ვალდებულება შესრულდა ვადაგადაცილებით, კერძოდ, მიმწოდებელმა მიწოდების ვადას გადააცილა 97 დღით. მხარეთა შორის სადავოა მხოლოდ პირგასამტეხლოს ოდენობა.

19. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტაბილური პრაქტიკით და გაითვალისწინა საქმის კონკრეტული გარემოებები, შესრულების ღირებულება, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა დარღვევების გათვალისწინებით და დაასკვნა, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა, ხელშეკრულების საერთო ღირებულების – 214 635,44 ლარის 0,2% ოდენობით შეუსაბამოდ მაღალი და არაგონივრულია, შესაბამისად, მისი ოდენობა უნდა განისაზღვროს 214 635,44 ლარის 0,02%-ით, რაც შეადგენს – 4163,028 ლარს.

20. ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებისა და მატერიალურ-სამართლებრივი წინაპირობების შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ საფუძვლიანია.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

21. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

22. კასატორმა განმარტა, რომ პროკურატურის კომპეტენცია რეგლამენტირებულია „საქართველოს პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. პროკურატურა, თავისი ფუნქციის განხორციელების მიზნით, ასრულებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვადასხვა საგამოძიებო და

საპროცესო მოქმედებებს, მაგალითად, მონმის დაკითხვა და სხვა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, პროკურატურის ოფისი უზრუნველყოფდეს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩატარდა ბაზრის კვლევა, გამოცხადდა ტენდერი შენობის სარემონტო სამუშაოების თაობაზე და გაწეულ იქნა სახელმწიფო ხარჯი. მოცემულ შემთხვევაში კი, ხელშეკრულება შესრულდა და შენობა ჩაბარდა მოსარჩელეს არათუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 70 დღის ვადაში, ან რამდენიმე დღის დარღვევით, არამედ 97 დღის დაგვიანებით.

23. კასატორმა მიუთითა სსკ-ის 316-ე, 319-ე, 361-ე, 417-ე-418-ე მუხლების დანაწესებზე და მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში არ იმსჯელა, კონკრეტულად რა გარემოებების საფუძველზე დაასკვნა, რომ საქართველოს პროკურატურის საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო, უნდა შემცირებულიყო საპროცენტო განაკვეთი, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ევროსასამართლოს დადგენილ პრაქტიკას, რომელიც გულისხმობს გადაწყვეტილების დასაბუთებას, ვინაიდან სასამართლომ მხოლოდ თავისი შეხედულებით გადაწყვიტა, რომ უნდა შემცირებულიყო პირგასამტეხლოს ოდენობა. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში დასაბუთებული არ არის, რა ფაქტობრივი თუ სამართლებრივი საფუძვლები გააჩნდა აღნიშნულ მსჯელობას. სააპელაციო სასამართლომ მხოლოდ მიუთითა, რომ ითვალისწინებს საქმის კონკრეტულ გარემოებებს, შესრულების ღირებულებას, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობას პირგასამტეხლოს ოდენობასთან, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობას დარღვევების დათვალისწინებით.

24. კასატორის მოსაზრებით, საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, შესრულების ვალდებულება პირველ რიგში ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის დადგომას გულისხმობს. ამავდროულად, პირველადი ვალდებულების შეუსრულებლობისას წარმოიშობა ნაწარმოები შესრულების (ზიანის ანაზღაურება, პირგასამტეხლო) ვალდებულება. სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯერონად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა. სამოქალაქო კანონმდებლობა ვალდებულების დარღვევის პრევენციისათვის ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით სამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც ვალდებულების შესრულებას ემსახურებიან და რომელთა შერჩევა მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. ასეთ საშუალებათა რიგს განეკუთ-

ვნება ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება – პირგასამტეხლო.

25. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა.

26. კასატორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში საქმეში არ არის წარმოდგენილი მონინალმდეგე მხარის მიერ რაიმე სახის მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც დადასტურდებოდა ვალდებულების დროულად შესრულების შეუძლებლობა. შესაბამისად, შესაგებელში მითითებული გარემოება, რომ მონინალმდეგე მხარემ, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დროულად ვალდებულება ვერ შეასრულა, არ გულისხმობს კვალიფიციურ შესაგებელს და არ უნდა იქნეს გაზიარებული, როგორც მტკიცებულება.

27. ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სადავო პირგასამტეხლოს ოდენობა დაუსაბუთებლად შეამცირა, შესაბამისად, მოპასუხეს უნდა დაეკისროს 41 639.28 ლარის გადახდა.

28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 30 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე განჩინებით დადგინდა, რომ კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია. ამავე წლის 9 ნოემბრის განჩინებით კი საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით.

სამოტივაციო ნაწილი:

29. საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, ასევე, მტკიცებულებების შეჯერებისა და გაანალიზების, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იუ-

რიდიული დასაბუთების განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებული უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

30. მოცემულ საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ:

31. 2019 წლის 4 ივნისს მხარეთა შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №138 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მიმწოდებელმა ორგანიზაციამ იკისრა ვალდებულება, შეესრულებინა ქ. ახალქალაქში, ... ქუჩა №30-ში მდებარე ახალქალაქი-ნინოწმინდის რაიონული პროკურატურის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 4 ივნისიდან, 70 კალენდარული დღის ვადაში.

32. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მოპასუხემ ნაკისრი ვალდებულება ვერ შეასრულა. მიმწოდებელმა დაარღვია შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, კერძოდ, შენობის სარემონტო სამუშაოები, ნაცვლად 2019 წლის 13 აგვისტოსა, დასრულდა (მიწოდებულ იქნა) 2019 წლის 18 ნოემბერს, 97 კალენდარული დღის დაგვიანებით. ამასთან, მოპასუხე მხარემ ვადაგადაცილების ფაქტი არ უარყო.

33. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების 4.2, 7.3 პუნქტებითა და მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით. ამდენად, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნა პირგასამტეხლო.

34. ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის ვადაგადაცილებისათვის შემსყიდველის მიერ მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების 225 235,47 ლარის 0,2%-ის ოდენობით, რამაც თანხობრივად შეადგინა 43 695,68 ლარი; №138 ხელშეკრულების საერთო ღირებულება 2019 წლის 4 ივნისის მდგომარეობით შეადგენდა 225 927, 99 ლარს, 2019 წლის 5 აგვისტოს №138/1 შეთანხმებით – 225 235, 47 ლარს, ხოლო 2019 წლის 20 დეკემბრის №138/2 შეთანხმებით – 214 635,44 ლარს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების

214 635,44 ლარის 0,2%-ის ოდენობით ვადაგადაცილებულ 97 დღეზე შეადგენს 41 639,28 ლარს ($214\ 635,44 \cdot 0,2\% \cdot 97$).

35. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამონმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პალატის შეფასების საგანი იქნება კასატორის შედავებების საფუძვლიანობა, კერძოდ, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება ემყარება კანონდარღვევას, რადგან სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა საპროცესო და მატერიალური ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით.

36. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ: არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

37. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც ითვალისწინებს იმ შედეგს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი ნა-

ნამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველ სამართლებრივ შედეგს (სუსგ №ას-189-2020, 20 აპრილი, 2022, პ.13).

38. სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. სამოქალაქო კანონმდებლობა ვალდებულების დარღვევის პრევენციისათვის ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებითსამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც ვალდებულების შესრულებას ემსახურება და რომელთა შერჩევაც მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. ასეთ რიგს განეკუთვნება ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება – პირგასამტეხლო.

39. განსახილველი დავის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს მიერ შეფასების საგანს წარმოადგენს კასატორისათვის (მოსარჩელე) ხელშეკრულების დარღვევის გამო პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრა. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემოწმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

40. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითო-

ბის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

41. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შეზღუდული ქვემდგომი ინსტანციის სამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოებები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. თუ ასეთი შემონგების შედეგად სასამართლო იმ დასკვნას გამოიტანს, რომ საჩივრის მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ არა საჩივარში მითითებული, არამედ მატერიალურსამართლებრივი ნორმის (კანონის) სხვა დარღვევის გამო, სასამართლომ უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში კი, თუ არასწორი სამართლებრივი შეფასების შედეგად, ანუ კანონის (სსსკ-ის 393.2 მუხლის) დარღვევით მიღებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შესაძლებელია სხვაგვარი სამართლებრივი შეფასებით, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, თავისი განჩინებით ძალაში დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ან ამ გადაწყვეტილების შეცვლით მიიღოს ახალი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 386-ე მუხლი). ასეთივე შესაძლებლობითაა აღჭურვილი საკასაციო სასამართლოც, კერძოდ, მას შეუძლია, არ გააუქმოს გადაწყვეტილება და ძალაში დატოვოს იგი (სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) ან ახალი გადაწყვეტილებით დაადგინოს სხვა სამართლებრივი შედეგი (სსსკ-ის 411-ე და 412-ე მუხლები).

42. სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გარკვეოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის

სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრებიდან თუ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიდან.

43. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს მხარისათვის განჭვრეტადი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადაწყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც ამკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე Seryavin and Others v. Ukraine §§ 55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. Kraska v. Switzerland, § 30; Van de Hurk v. the Netherlands, § 59; Perez v. France, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ. Milatova and others v. The Czech republic §59; Niderost-huber v. Switzerland, § 24; K.S. v. finland § 21;).

44. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-

ის 417-ე მუხლი (პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის).

45. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემოწმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

46. განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე საკასაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს პირგასამტეხლოს თავისებურებაზე.

47. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა თუ არაჯეროვნად შესრულება. (მდრ. სუსგ №ას-1274-2022, 22 ნოემბერი, 2022 წელი; №ას-1299-2022, 22 ნოემბერი, 2022 წელი; №ას-1451-1371-2017, 13 ნოემბერი, 2018;

48. პირგასამტეხლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული. ქართულ კა-

ნონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება. პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად (შდრ. სუსგ №ას-428-428-2018, 13 ივლისი, 2018; №ას-1158-1104-2014, 06.05.2015; №ას-1265-1187-2015, 10.02.2016).

49. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან ანუ, პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის გააჩნია, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია ვალდებულების დარღვევის ფაქტი. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კრედიტორის ერთი და იმავე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ არიან მიმართული, დამოუკიდებელ მოთხოვნებად რჩებიან. პირგასამტეხლოს მოთხოვნა კრედიტორს ყოველთვის გააჩნია მიუხედავად იმისა განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია ვალდებულების დარღვევის ფაქტი. პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის მას ასევე არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მიუხედავად იმისა, რომ ისინი კრედიტორის ერთი და იგივე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ არიან მიმართულნი, დამოუკიდებელ მოთხოვნებად რჩებიან. (იხ: ირაკლი რობაქიძე, სახელმეკრულებო სამართალი /ზურაბ ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია/ გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014წ., გვ. 590).

50. ამდენად, პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან,

როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა.

51. საკასაციო პალატამ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ: „პირგასამტეხლოს მიზანია ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების დარღვევის თავიდან აცილება, ხოლო ვალდებულების დარღვევის პირობებში ე.წ. „პრეზუმირებული მინიმალური ზიანის“ ანაზღაურების უზრუნველყოფა, რაც, რაღა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ფაქტობრივი ზიანის ეკვივალენტ ფულად თანხას და არც ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას ემსახურება“ (შეადრ: სუსგ №ას-1597-2019, 13 დეკემბერი, 2019 წელი).

52. პირგასამტეხლოს მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვევის საკითხი წინასწარაა განსაზღვრული, კერძოდ, ვალდებულების დარღვევის როგორც იდენტიფიცირება, ისე მისი დადგენა უნდა იყოს შესაძლებელი, ხოლო ასეთი მოთხოვნის დაყენება კი არ უნდა მოდიოდეს შეუსაბამოებაში საკანონმდებლო დანაწესებთან. პირგასამტეხლოს მოთხოვნის თვალსაზრისით ყურადსაღებია მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის საკითხი. ვალდებულების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს როგორც ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებაში, ასევე ვალდებულების შეუსრულებლობაში. პირგასამტეხლოს დაკისრებისათვის ვალდებულების დარღვევა (შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება) აუცილებლად მოვალის ბრალეულობით უნდა იქნეს გამოწვეული. თუ არ დადგინდება მოვალის ბრალი, მაშინ მის მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნაც არ ექნება სამართლებრივი საფუძველი (იხ. სერგი ჯორბენაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 417, ველი 23-26).

53. პირგასამტეხლო წარმოადგენს ერთგვარ სანქციას, სასჯელს მხარისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. შესაბამისად, აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა

წარმოიშობა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ხოლო ვალდებულების დარღვევად მიიჩნევა, როგორც ვალდებულების არა-ჯეროვნად, არასრულად შესრულება, ასევე მისი შეუსრულებლობაც (შდრ: სუსგ №ას-1432-1351-2012, 20 მაისი, 2013 წელი.) პირგასამტეხლოს დაკისრება ხდება ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. შესაბამისად, პირგასამტეხლოს დაკისრება მოაზრებულია მხოლოდ ძირითადი ან/და დამატებითი ვალდებულების დარღვევისას (იხ. გიორგი ვაშაქიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, გვერდი. 232). მტკიცების ტვირთის განაწილების მხრივ კრედიტორმა უნდა ამტკიცოს ვალდებულების დარღვევა და პირგასამტეხლოს თაობაზე წერილობითი შეთანხმების არსებობა, ხოლო მოვალის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს ვალდებულების ჯეროვანი შესრულება ან მისი ბრალეულობის გამორიცხვა. იხ. ქეთევან მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020, გვერდი 93).

54. სსკ-ის 420-ე მუხლის მიხედვით, პირგასამტეხლოს შემცირების უფლება სასამართლოს აქვს მინიჭებული. ეს ის იშვიათი გამონაკლისთაგანია, როდესაც კანონი სახელშეკრულებო თავისუფლებაში ჩარევას დასაშვებად მიიჩნევს, თუმცა, ამგვარი ჩარევა გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება (იხ. ს. ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, 2019 წელი, გვ. 800). კანონის ლიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად, მაღალი პირგასამტეხლო არ მცირდება. შემცირებას მხოლოდ „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლო ექვემდებარება. პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია თუ არა, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება. ამასთან, შეფასების მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება პირგასამტეხლოს აშკარა შეუსაბამობა ვალდებულების დარღვევის შედეგებთან, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს პირგასამტეხლოს განსაკუთრებით მაღალი პროცენტიდან, ზიანის უმნიშვნელო ოდენობიდან, ვალდებულების დარღვევის მოკლე ვადიდან და ა.შ. მნიშვნელობა ენიჭება ნაკისრი ვალდებულების დარღვევაში მოვალის ბრალის ხარისხსაც, აგრეთვე გასათვალისწინებელია მოვალის ეკონომიკური მდგომარეობა. თუ მოსამართლე მივა იმ დასკვნამდე, რომ პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, იგი შეამცირებს მას იმ ოდენობამდე, რომელსაც ვალდებულების დარღვევის თანაზომიერად და სამართლიანად მიიჩნევს. (შდრ. ირ. რობაქიძე, სახელშეკრულებო სამართალი, თანაავტორობით, თბილისი, 2014, გვ. 604, 605.).

55. სასამართლოს სსკ-ის 420-ე მუხლის საფუძველზე, უფლება

აქვს, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, რაც შეფასებითი კატეგორიაა და, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება. პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, მოიხმოს პირგასამტეხლოს შემცირების საფუძვლიანობის თაობაზე დამკვიდრებული სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკაც. საკასაციო სასამართლომ პირგასამტეხლოს თაობაზე არაერთ საქმეზე განმარტა, რომ კანონმდებლობით პირგასამტეხლო მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით მიღწეული შეთანხმებაა, თუმცა იგი არ წარმოადგენს მხარეთა აბსოლუტურ უფლებას და კვალიფიციური შედავების პირობებში, სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობით პირგასამტეხლოს თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით. სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწეულ შეთანხმებაში ჩარევის კანონისმიერ საფუძველს წარმოადგენს სასამართლოსათვის დაკისრებული ერთგვარი საჯარო წესრიგის უზრუნველყოფელი ვალდებულება (იხ. სუსგ.-ებები: №ას-1292-2019, 24.12.2020წ.; №ას-386-2019, 02.04.2021წ.; №ას-1199-1127-2015, 13.04.2016წ.). პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება, ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა: ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა (სუსგ №ას-1511-2018, 26.03.2019წ.). პირგასამტეხლოს შემცირება არ გულისხმობს მის გაუქმებას. პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველია, ერთი მხრივ, ის, რომ კრედიტორი პირგასამტეხლოს მიღებით არ გამდიდრდეს და მოვალეს არ დაანვეს მძიმე ტვირთად პირგასამტეხლოს გადახდა, (შესაბამისად, პირგასამტეხლო არ იქცეს ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებად), ხოლო მეორე მხრივ კი – პირგასამტეხლო იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირწონე და გონივრული. აღნიშნულში მოიაზრება სახელშეკრულებო თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება (სუსგ. №ას-186-2021, 25.03.2021წ.). პირგასამტეხლო, როგორც უპირველესად კრედიტორის სახელშეკრუ-

ლებო ინტერესის უზრუნველმყოფი მექანიზმი, ძალმოსილი შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ის ამავედროულად უზრუნველყოფს მოვალის გონივრული ფარგლებით დაცვას. სახელშეკრულებო თანასწორობის დაცვის პროცესში ბალანსი, თანაზომიერება დასაცავია, ერთი მხრივ, პირგასამტეხლოს ოდენობას, როგორც სახელშეკრულებო თავისუფლების (შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების) გამოხატულებას და, მეორე მხრივ, მოვალის დაცვას, როგორც ამ თავისუფლების ლეგიტიმურ შეზღუდვას შორის (იხ. ნათია ჩიტაშვილი, პირგასამტეხლოსა და ზიანის მოთხოვნათა სახელშეკრულებო ინტერესის უზრუნველმყოფი ფუნქცია. შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020, გვ.7.).

56. კანონის მითითებული დანაწესი განპირობებულია იმითაც, რომ ხელშეკრულების დადებისას შესაძლებელია, უფრო ძლიერმა ხელშემკვრელმა მხარემ ისარგებლოს მეორე მხარის სურვილით, გააფორმოს ხელშეკრულება და უკარნახოს შეთანხმების არახელსაყრელი პირობები, განსაზღვროს გონივრულზე უფრო მაღალი პირგასამტეხლო. ასეთ შემთხვევაში კანონმდებელმა დაანესა დაცვის მექანიზმი, რომელიც სასამართლოს აღჭურავს უფლებამოსილებით, დააკორექტიროს პირგასამტეხლოს ოდენობა და დაიყვანოს იგი სამართლიან და გონივრულ მოცულობამდე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს შემცირება არ გულისხმობს მის გაუქმებას. პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველია, ერთი მხრივ, ის, რომ კრედიტორი პირგასამტეხლოს მიღებით არ გამდიდრდეს და მოვალეს არ დაანვეს მძიმე ტვირთად პირგასამტეხლოს გადახდა, (შესაბამისად, პირგასამტეხლო არ იქცევა ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებად), ხოლო მეორე მხრივ კი, – პირგასამტეხლო იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირწონე და გონივრული. აღნიშნულში მოიაზრება სახელშეკრულებო თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება. აღსანიშნავია, რომ პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებათა ყოველმხრივი შეფასების შედეგად დგინდება და რაიმე განსხვავებული სტანდარტი, რომელიც განაზოგადებს პირგასამტეხლოს მათემატიკურ მაჩვენებელს სასამართლო პრაქტიკით არ არის დადგენილი. სასამართლომ უნდა დაიცვას ის სამართლიანი ბალანსი, რომელიც სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების დარღვევას მოჰყვა.

57. იმისათვის, რომ სასამართლომ შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, კრედიტორის მოთხოვნა პირგასამტეხლოს გადახდაზე წარმომობილი უნდა იყოს, ე.ი. ძირითადი ვალდებულება უნდა იქნეს დარღვეული. პირგასამტეხლოს შემცირება მის წარ-

მოშობამდე ანუ ძირითადი ვალდებულების დარღვევამდე, დაუშვებელია (შდრ. Friesecke, in Palandt, BGB Komm., 78 Aufl., 2018., §343, Rn.5). სწორედ დარღვევის მომენტიდან ეკისრება მოვალეს პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება და სწორედ ამ მომენტიდან ხდება იგი შესასრულებლად მძიმე ან შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. გარდა ამისა, სსკ-ის 420-ე მუხლის გამოყენებისათვის აუცილებელ წინაპირობად გვევლინება ის გარემოება, რომ პირგასამტეხლო არ უნდა იყოს უკვე გადახდილი მოვალის მიერ. უკვე გადახდილი პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ, გამორიცხულია. აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოვალის მხრიდან პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნა ეფუძნება სწორედ იმას, რომ დაკისრებული პირგასამტეხლო შესასრულებლად მძიმეა მოვალისათვის. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მოვალე ნებაყოფლობით იხდის პირგასამტეხლოს, ამ გადახდით იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პირგასამტეხლო მას შეუსაბამოდ მაღლად არ მიაჩნია (შდრ. სუსგ №ას-1527-2018, 31 იანვარი, 2019 წელი).

58. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 420-ე მუხლის დანაწესი იმპერატიულია, შესაბამისად, მხარეებს არ გააჩნიათ უფლებამოსილება, თავიანთი შეთანხმებით გამორიცხონ იგი. სსკ-ის 420-ე მუხლით გათვალისწინებული მოწესრიგება, არ გამოიყენება კანონით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოსთან მიმართებით.

59. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლო პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე, მოპასუხის მიერ დაყენებული მოთხოვნის საფუძველზე მსჯელობს. ასეთი მოთხოვნა შეიძლება მითითებული იქნეს, როგორც შესაგებელში, ასევე პირველ ინსტანციაში საქმის მომზადების დამთავრებამდე მოპასუხის მიერ აღძრულ შუამდგომლობაში. ცალკეულ შემთხვევებში ასეთი მოთხოვნის დაყენება სარჩელითაცაა შესაძლებელი, მაგალითად, ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში ცვლილებების შეტანა (პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება). პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე მოთხოვნის დაყენებასთან ერთად, მხარემ უნდა დაასაბუთოს, რას ეფუძნება ასეთი მოთხოვნა, ანუ მტკიცების ტვირთი პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირების თაობაზე, ეკისრება ვალდებულ პირს (მოვალეს) (იხ. სუსგ №ას-888-2020, 10 დეკემბერი, 2020).

60. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს ხელშეკრულება წარმოადგენს. საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილი და დაცულია ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, კერძოდ, სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „კერძო

სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება კანონს“.

61. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების თავისუფლება მოიცავს ისეთ ორ ძირითად პრინციპს, როგორიცაა ხელშეკრულების დადების თავისუფლება და ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება. ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს იმპერატიული ხასიათის ნორმებით. იმპერატიული ხასიათის ნორმები ორ ძირითად მიზანს ემსახურება: ა) მხარეთა მიერ განსაზღვრული პირობები შეიძლება ჩაითვალოს ბათილად, თუ მათი შინაარსი ეწინააღმდეგება სამართლებრივ მართლწესრიგს; ბ) იმპერატიული ნორმები აწესებენ გარკვეულ შეზღუდვებს და უზრუნველყოფენ, რომ ხელშეკრულების დადება კანონის მოთხოვნათა დაცვით განხორციელდეს.

62. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგჯერ თავად ნორმის მიზნიდან გამომდინარე დგინდება მისი იმპერატიული ხასიათი. ნორმისათვის გვერდის ავლას, სწორედ ამ ნორმის მიზანი შეიძლება კრძალავდეს. მაგალითის სახით გამოდგება სსკ-ის 420-ე მუხლი, რომლის თანახმად, „სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო“. აღნიშნული ნორმა იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ აუცილებელია მხარეები გონივრული ოდენობის პირგასამტეხლოზე შეთანხმდნენ.

63. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, შესაძლებელია ისინი იმ ოდენობის პირგასამტეხლოზე შეთანხმდნენ, რისი გადახდევინებაც შემდგომ მძიმე ტვირთად დაანგება მოვალეს. სასამართლო ასეთ შემთხვევაში ახდენს პირგასამტეხლოს „სამართლიან“ შემცირებას ანუ სასამართლოს ამოცანაა მხარეები დაიცვას უსამართლო და სამოქალაქო ბრუნვისათვის მიუღებელი ტვირთისაგან, ვინაიდან ხელშეკრულების დადებისას მხარეები ყოველთვის ვერ საზღვრავენ მათი თავისუფალი ნების მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებს, შესაბამისად, სსკ-ის 420-ე მუხლი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, საქმის გარემოებების გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების მიუხედავად, რადგან პირგასამტეხლოს უმთავრესი მიზანი კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენაა და არა მისი უსაფუძვლო გამდიდრება მოვალის ხარჯზე.

64. ამდენად, კანონმდებელმა დააწესა მექანიზმი, რომელიც სასამართლოს აღჭურავს უფლებამოსილებით, დააკორექტიროს პირგასამტეხლოს ოდენობა და დაიყვანოს იგი სამართლიან და გონივრულ მოცულობამდე იმ შემთხვევაში, როდესაც პირგასამტეხლოს ოდენობა გონივრულ და სამართლიან ფარგლებს სცდება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საგულისხმოა პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირების საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, კერძოდ, არაერთ სამოქალაქო დავაზე განმარტა საკასაციო სასამართლომ: „მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით პირგასამტეხლო მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით მიღწეული შეთანხმებაა, იგი არ წარმოადგენს მხარეთა აბსოლუტურ უფლებას და კვალიფიციური შედავების პირობებში, სასამართლო უფლებამოსილია შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობით პირგასამტეხლოს თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით. სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწეულ შეთანხმებაში ჩარევის კანონისმიერ საფუძველს წარმოადგენს სასამართლოსათვის დაკისრებული ერთგვარი საჯარო წესრიგის უზრუნველყოფელი ვალდებულება და რაც მთავარია ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინება, სახელდობრ, ის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები, როგორიცაა: მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, ვალდებულების დარღვევის ხარისხი, კრედიტორის მოლოდინი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ და ა.შ. (იხ. სუსგ-ები: №ას-708-678-2016, 27 იანვარი, 2017 წელი; №ას-708-662-2017, 11.01.2017 წელი);).

65. როგორც ვალდებულების დარღვევის მნიშვნელობა, სახელშეკრულებო ინტერესის შინაარსისა და ფარგლების განმარტება და დადგენილ პირგასამტეხლოს ოდენობასთან მისი ადეკვატურობა (კრედიტორის მტკიცების ტვირთი), ისე ვალდებულების დარღვევის ხარისხის შეუსაბამოა პირგასამტეხლოს ოდენობასთან (მოვალის მტკიცების ტვირთი), არის უმნიშვნელოვანესი შეფასებითი კატეგორიები, რომელზეც თავად მხარეებმა უნდა შეუქმნან მოსამართლეს დასაბუთებული წარმოდგენა და მიაჩნტონ მას მხარეთა ნების განმარტების შესაძლებლობა (იხ: ნათია ჩიტაშვილი. პირგასამტეხლოსა და ზიანის მოთხოვნათა სახელშეკრულებო ინტერესის უზრუნველყოფი ფუნქცია. შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020, გვ. 17; ასევე იხ.: სუსგ №ას-827-2021, 03.12.2021წ.).

66. პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველია, ერთი მხრივ, ის რომ კრედიტორი პირგასამტეხლოს მიღებით არ გამდიდრდეს და მოვალეს არ დააწევს მძიმე ტვირთად პირგასამტეხლოს გადახ-

და (შესაბამისად, პირგასამტეხლო არ იქცეს ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებად), ხოლო მეორე მხრივ კი – პირგასამტეხლო იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირწონე და გონივრული. აღნიშნულში მოიაზრება სახელშეკრულებო თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება (შდრ: სუსგ №ას-186-2021, 25.03.2021წ.; სუსგ №ას-535-2021, 29.10.2021წ.).

67. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პირგასამტეხლო, უპირველესად, კრედიტორის ინტერესების უზრუნველყოფი საკანონმდებლო მექანიზმია, რომელიც კრედიტორის სახელშეკრულებო რისკებს ამცირებს, თუმცა იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული კრედიტორის მხრიდან ამ ინსტიტუტის ფარგლებში უფლების ბოროტად გამოყენება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაფასებელი და ამავდროულად დასაცავი ღირებულებაა სახელშეკრულებო წონასწორობა/ბალანსი, ერთი მხრივ, პირგასამტეხლოს, როგორც სახელშეკრულებო თავისუფლების გამოხატულებას და, მეორე მხრივ, მოვალის დაცვას, როგორც ამ თავისუფლების ლეგიტიმურ შეზღუდვას შორის. ამდენად, პირგასამტეხლოს იურიდიული ძალა მხოლოდ მაშინ აქვს, თუ ის ამავდროულად უზრუნველყოფს მოვალის გონივრული ფარგლებით დაცვას (შდრ: სუსგ №ას-1336-2019, 30 მარტი, 2022; №ას-1928-2018, 31 ოქტომბერი, 2019წ.).

68. შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირებისათვის მოვალის შუამდგომლობა აუცილებელია, რადგან არ დაირღვეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განმტკიცებული დისპოზიციურობისა და შეფხიბებითობის პრინციპები.

69. საკასაციო პალატა კასატორის პრეტენზიებთან დაკავშირებით განმარტავს, რომ საკანონმდებლო მოწესრიგებას საფუძვლად უდევს კონკრეტული სოციალური პროცესების მართვის სამართლებრივ-პოლიტიკური მოდელი ანუ, როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევას სავალდებულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნების მიღწევა. ასეთ შემთხვევაში, კანონმდებელს მინიჭებული აქვს უფლებამოსილებები ერთი მხრივ, დასახული მიზნის მიღწევასთან, ხოლო მეორე მხრივ, ამ მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელი სამართლებრივი საშუალებების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. კანონის ინტერპრეტაცია უნდა ემსახურებოდეს ამ კანონის მიზანს. კანონის ცალკეული დებულებები გააზრებული უნდა იქნეს სხვადასხვა დებულებათა ურთიერთდამოკიდებულებაში. კანონის ინტერპრეტაცია მთლიანობაში წარმოადგენს არგუმენტების შერჩევისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, რომელიც ხშირად სხვადასხვა, ერთმანეთთან

კონკურენციაში მყოფ მიზნებზე არის ორიენტირებული. სამართლებრივი გადაწყვეტილებები დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციებზე, რადგან განსხვავებულ, თუნდაც ტიპურ სიტუაციებში, მიზნები და მათთან დაკავშირებული ინტერესები სხვადასხვა მოცულობითა და კონსტელაციაში გარკვეულ როლს თამაშობენ.

70. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლიანობის მიღწევის გარდა, სამართლის ამოცანაა, უზრუნველყოს სამართლებრივი უსაფრთხოება და ინტერესთა ოპტიმალური და მიზანშეწონილი დაკმაყოფილება. ყოველივე ეს მიზანი გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონის ინტერპრეტაციისა და განვრცობის პროცესში. კანონის ინტერპრეტაცია სამართლიან მოწესრიგებასა და ოპტიმალურ დაკმაყოფილებას უნდა იწვევდეს.

71. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კვალიფიციური შედავების გარეშე შეუძლებელია დადგინდეს რამდენად არაგონივრული, შეუსაბამოა პირგასამტეხლოს ოდენობა სახელშეკრულებო ინტერესის ხელყოფის მასშტაბთან. ამდენად, როგორც ვალდებულების დარღვევის მნიშვნელობა, სახელშეკრულებო ინტერესის შინაარსისა და ფარგლების განმარტება და დადგენილ პირგასამტეხლოს ოდენობასთან მისი ადეკვატურობა (კრედიტორის მტკიცების ტვირთი), ისე ვალდებულების დარღვევის ხარისხის შეუსაბამობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან (მოვალის მტკიცების ტვირთი), არის უმნიშვნელოვანესი შეფასებითი კატეგორიები, რომელზეც თავად მხარეებმა უნდა შეუქმნან მოსამართლეს დასაბუთებული წარმოდგენა და მიანიჭონ მას მხარეთა ნების განმარტების შესაძლებლობა (იხ. ნათია ჩიტაშვილი, პირგასამტეხლოსა და ზიანის მოთხოვნათა სახელშეკრულებო ინტერესის უზრუნველყოფი ფუნქცია. შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020, გვ. 17; ასევე იხ.: სუსგ №ას-827-2021, 03.12.2021წ.). ამდენად, რადგან მოვალეს ენიჭება პირგასამტეხლოს ოდენობის კვალიფიციური შეცდილების უფლება, ხოლო სასამართლოს მისი შემცირების უფლებამოსილება – მნიშვნელოვანია კრედიტორის ვალდებულების დარღვევის ნაწილში წარმოდგენილი შეფასება დარღვევის მნიშვნელობასთან, ხანგრძლივობასთან და დარღვეულ სახელშეკრულებო ინტერესთან მიმართებით, რაც კრედიტორის მისცემს კვალიფიციურ შესაძლებლობას, შეამციროს სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირების პერსპექტივა. სასამართლოს ხელშეკრულების განმარტების პროცესში სახელმძღვანელოდ ექნება არა მხოლოდ მოვალის კვალიფიციური შეცდილება პირგასამტეხლოს ოდენობის არაგონივრულობის შესახებ, არამედ კრედიტორის პერსპექტივიდან წარმოჩენილი მისივე სახელშეკრულებო

ინტერესის რღვევის ხარისხი (იხ. ნათია ჩიტაშვილი, პირგასამტეხლოსა და ზიანის მოთხოვნათა სახელშეკრულებო ინტერესის უზრუნველყოფი ფუნქცია. შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020, გვ.17).

72. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მოპასუხის შესაგებელზე, სადაც მოპასუხე მიუთითებს, მხარის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლო არის შეუსაბამოდ მაღალი. (იხ. წინამდებარე განჩინების პ.7).

73. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალება მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში. მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი ასევე ერთგვარი გამოხატულებაა დისპოზიციურობის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპისა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულწილად დავაში შესვლას და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან.

74. ვიდრე საქმის არსებითად განხილვა დაიწყება სასამართლოში, მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს საქმის მომზადება, რომელიც მათ შორის მხარეთა წერილობითი პოზიციების გაცვლას მოიცავს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება, ერთი მხრივ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის, ხოლო მეორე მხრივ, შესაგებლისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოსარჩელისთვის ჩაბარება. სასამართლომ მკაცრად უნდა გააკონტროლოს ამ კონტექსტში მხარეთა საპროცესო უფლებების დაცვა (წერილობითი დოკუმენტაციის სრულყოფილად მიღება და პასუხის გასაცემად გონივრული ვადის დადგენა), წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. მოპასუხეს მისთვის გზავნილის (სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები) ჩაბარების შემდეგ წარმოეშობა შესაგებლის წარდგენის ვალდებულება.

75. კანონმდებლის ამგვარი მოთხოვნა გამომდინარეობს წერილობითი სამართალწარმოების პრინციპიდან, რაც წინა ეტაპია ზეპირი სამართალწარმოებისა და რასაც ვერ ჩაანაცვლებს მხარეთა მოსმენის პრინციპი, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო პრო-

ცესი დაკარგავდა განსაზღვრულობის სახეს და მივიღებდით საპროცესო მოქმედებების ქაოსს. მხარეს უფლება აქვს წინასწარ, საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე იცოდეს, რაზე აფუძნებს მეორე მხარე თავის მოთხოვნას ან რა საპროცესო საშუალებებით აპირებს თავის დაცვას. მხარეებს უნდა მიეცეთ ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება, რათა დაიცვან საკუთარი სამოქალაქო უფლებები, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნაა.

76. ამგვარი მიდგომა სრულადაა შესაბამისობაში სამართლებრივი სიცხადის პრინციპთან. ამიტომაცაა კანონმდებელი ასეთი მკაცრი მოპასუხის მხრიდან თავისი საპროცესო მოვალეობის დარღვევის მიმართ და სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის წარუდგენლობის შედეგს უკავშირებს არა სამართალწარმოების გაგრძელებას, არამედ ზეპირი მოსმენის გარეშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. (ივარაუდება, რომ მხარემ დაკარგა იურიდიული ინტერესი დავის მიმართ). დასაბუთებულობის მოთხოვნა გამოიყენება შესაგებელთან მიმართებაშიც, ამ დროს მონმდება როგორი შესაგებელი წარადგინა მოპასუხემ (მოთხოვნის შემწყვეტი, შემაფერხებელი, გამომრიცხავი). შესაგებლის შინაარსიდან უნდა მიხვდეს მოსამართლე, რომელია უდავო და რომელია სადავო მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები. შესაგებლის ინსტიტუტი, სარჩელის ინსტიტუტთან ერთად ერთგვარი გზამკვლევაა მტკიცების სტადიისა, რომელზე გადასვლაც არ ხდება, ვიდრე არ ამოინურება მხარეთა პოზიციების (სარჩელი; შესაგებელი; მოპასუხის მხრიდან არსებითი შედავების შემთხვევაში მოსარჩელის პასუხი და ა.შ.) ურთიერთგაცვლა და უდავო გარემოებების იდენტიფიცირება. საქმის განმხილველი მოსამართლის გადასანყვეტია, თუ რა ფაქტობრივი აღწერილობა (ფაბულა) უნდა დაუდოს საფუძვლად საკუთარ მსჯელობას, თავის მხრივ მთავარ როლს ფაბულის შექმნაში მხარეები ასრულებენ, რაც სრულად პასუხობს შეჯიბრებითობის პრინციპის მოთხოვნებს. ერთი მხრივ რელევანტური ფაქტების დახარისხება ხდება სამართლის ნორმის მიხედვით, ხოლო მეორე მხრივ, ფაქტები განსაზღვრავენ, რომელია მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა. აქედან გამომდინარე, დავის გადაწყვეტაში სარჩელთან ერთად შესაგებლის, როგორც საპროცესო ინსტიტუტის როლი, უაღრესად მნიშვნელოვანია.

77. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებლის ზოგადი კლასიფიკაცია შემდეგია: მატერიალური და საპროცესო შესაგებელი; აბსტრაქტული (ზოგადი) და კონკრეტული შესაგებელი; მართივი და კვალიფიციური (არსებითი) შესაგებელი. რა ტიპის შესაგებელს წარადგენს მოპასუხე, სრულად თავსდება ამ უკანასკნელის

ნების ავტონომიის ფარგლებში. კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება გამომდინარეობს 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან (ივარაუდება, რომ შედავებული უნდა იყოს დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ფაქტები და არა სამართლებრივი მოსაზრებები, ე.ი. ისეთი ფაქტები, რომელთა არსებობა წარმოშობენ მოთხოვნას), წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მიუთითებული ფაქტები, დამტკიცებულად ითვლება. მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პირველ რიგში საპროცესო შესაგებელს, ხოლო ამის შემდეგ მატერიალურ შესაგებელს.

78. მატერიალური შედავება მიმართულია სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი შედეგის მიღწევის წინააღმდეგ, რაც გულისხმობს მოპასუხის მხრიდან ისეთ ფაქტებზე (წინაპირობებზე) მიუთითებას, რომლებიც გამოორიცხავენ, წყვეტენ ან აფერხებენ (განუხორციელებელს ხდიან) სარჩელით მოთხოვნილი შედეგის დადგომას.

79. საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ სსსკ-ის 201-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილების თანახმად, „პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მიუთითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მიუთითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები). სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი, რომელიც წარმოადგენს სადავო მატერიალურსამართლებრივ ფაქტებს, რომელზეც მიუთითებენ მოსარჩელე და მოპასუხე, მოთხოვნის თუ შესაგებლის დასაბუთების ან გაქარწყლებისათვის, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მტკიცებითი საქმიანობის გარეშე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადების მიზნით აქტიურად იმოქმედოს, რაც, უპირველესად, სასამართლოსათვის სარჩელზე მისი წერილობითი მოსაზრებების წარდგენაში გამოიხატება. მოპასუხის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა, სსსკ-ის 206-ე მუხლის შესაბამისად, ართმევს მას უფლებას,

შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს (ანუ, სასამართლოს სხდომაზე მხარისაგან მტკიცებულების მიღება აღარ ხდება). ამ შემთხვევისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს“ (შდრ. სუსგ დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 02 მარტი, 2017, პ.201).

80. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შესაგებლის სახეებიდან განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია კვალიფიციურ შედეგებს. კვალიფიციური შედეგება იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაირად: „მოპასუხე მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვლენათა განვითარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოს ხდის მოსარჩელის მოხსენებას“. (შდრ. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შ. შმიტი, ჰ. რიჰტერი, (GIZ), 2013წ., გვ.19.) კვალიფიციურ შედეგებას არსებით შედეგებადაც მოიხსენიებენ. ამგვარი შედეგება, ერთი მხრივ, შეიძლება გამორიცხავდეს სარჩელის დაკმაყოფილებას უსაფუძვლოების გამო, ხოლო მეორე მხრივ, ცვლიდეს მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციას, საიდანაც მოსარჩელეს დამატებითი მოხსენების (ფაქტების მითითების) გარეშე გაუჭირდება იმ შედეგის მიღწევა, რომელიც სარჩელით აქვს მოთხოვნილი. კვალიფიციური (არსებითი) შედეგება მოსამართლეს ცალკეულ შემთხვევაში ავალდებულებს მოიძიოს მოთხოვნის სხვა დამფუძნებელი ნორმა, ასევე შეამოწმოს საგამონაკლისო ნორმები.

81. მას შემდეგ, რაც მოსამართლე მოიძიებს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, განსაზღვრავს ნორმის ფაქტობრივ ელემენტებს (წინაპირობებს), ამ წინაპირობებს მიუსადაგებს მოსარჩელის მიერ მოხსენებულ ფაქტებს და თითოეულ წინაპირობაზე გასცემს დადებით პასუხს, იგი ამოწმებს რომელ ფაქტებს ხდის მოპასუხე სადავოდ (მოპასუხის სტადია). თუ მოპასუხეს არ აქვს წარდგენილი კვალიფიციური (არსებითი) შედეგება, არამედ მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების უარყოფით შემოიფარგლება, მოსამართლე გადადის მტკიცების სტადიაზე, რაც ნიშნავს სადავოდ გამხდარი ფაქტების დადგენის პროცესს. მოპასუხის მხრიდან არსებითი ხასიათის შედეგების შემთხვევაში, მოსამართლემ ასევე უნდა მოიძიოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც გამორიცხავს, წყვეტს ან აფერხებს მოთხოვნის განხორციელებას, ხოლო ნორმის წინაპირობების შემოწმება იმავე წესით ხორციელდება. აქაც მნიშვნელოვანია რას პასუხობს მოსარჩელე მოპასუხის არსებით შედეგებას, არ არის გამორიცხული მოსარჩელემაც კვალიფიციური პასუხი გასცეს მოპასუხის ამგვარ განმარტებას. ამდე-

ნად მოსამართლე ასე უწვევად გადადის მოსარჩელის სტადიიდან მოპასუხის სტადიაზე და პირიქით, ვიდრე არ დასრულდება მხარეთა განმარტებების ურთიერთგაცვლის პროცესი, რომლის შედეგადაც უნდა გაირკვეს უდავო და სადავო (მტკიცების საგანში შემავალი) ფაქტები.

82. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს მიზანია კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა გამდიდრება. შესაბამისად, პირგასამტეხლო უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას.

83. საკასაციო პალატის მოსაზრებით, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება, მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის. ასეთ შემთხვევაში, ორივე მხარე იქნება კმაყოფილი: კრედიტორი – ვალდებულების შესრულების მიღებით, ხოლო მოვალე – ვალდებულები-საგან გათავისუფლებით.

84. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ხელშეკრულების ყოველ მხარეს ვალდებულების შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ავალდებულებს გამოიჩინოს მეორე მხარის ქონებისა და უფლებებისადმი გულისხმიერება. გულისხმიერების ვალდებულება მხარეებისათვის დამატებითი ვალდებულების დაკისრებას არ გულისხმობს, ყოველთვის ვალდებულების შინაარსშივე მოიაზრება და ერთგვარ მორალურ კატეგორიას განეკუთვნება. იგი შეიძლება გულისხმობდეს ასევე წინასახელშეკრულებო პერიოდში მხარის მიერ განხორციელებული ქმედებებისადმი პატივისცემას, აგრეთვე მისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასაც.

85. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. იგი თანამედროვე სამართლის, ფილოსოფიისა და ბიზნესის ერთ-ერთი ფუძემდებლური დებულებაა. თანა-

მედროვე ქართულ სამართლებრივ სივრცეში კეთილსინდისიერება მატერიალურ სამართლებრივ ნორმად გადაიქცა და სამართლიანობასა და თანასწორობაზე დამყარებულ სამართლებრივ სისტემაში გაერთიანდა, რითაც უფრო ვრცელი დატვირთვა შეიძინა. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, სამართლიანობას, ვალდებულებების მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას. კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს (სუსგ №ას-1338-1376-2014, 29.06.2015წ.). სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების ქცევის მასშტაბს – კეთილსინდისიერების ვალდებულებას, ინდივიდის მოქმედებას სამართლიანობის კრიტერიუმთან ურთიერთკავშირში (ლადო ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, მუხ.8, ველი 1, 10-12). სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კოდექსის ეს დანაწესი, რომელსაც ავსებს სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი, მოიცავს მთელ კერძო სამართალს. აღნიშნული მუხლების მოქმედება ცალსახა და იმპერატიულია, ამიტომაც მხარეებს არ აქვთ უფლება, ხელშეკრულებით ან შეთანხმებით გამორიცხოვონ მათი მოქმედება. სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს კეთილსინდისიერებას, როგორც ვალდებულების ძირითად და აუცილებელ კომპონენტს და მხოლოდ ვალდებულებათა შესრულებით არ შემოიფარგლება, ხოლო 361-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი იმის შესახებ, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, წარმოადგენს კანონისმიერ მოთხოვნას და გულისხმობს, ზოგადად, სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება (სუსგ №ას-1338-1376-2014, 29.06.2015წ.).

86. სახელშეკრულებო სამართალში შეიძლება გამოვყოთ კეთილსინდისიერების რამდენიმე ფუნქცია: 1) კანონისა და ხელშეკრულების ხარვეზის შევსება, რაც გულისხმობს მხარეთათვის დამატებით ვალდებულებების დადგენას, ანუ სახელშეკრულებო ვალდებულებების განვრცობას, გაფართოებას, შევსებას; 2) ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების შეზღუდვა; 3) ხელშეკრულების კორექტირება; 4) ხელშეკრულების განმარტება (ნინო ხუნაშვილი, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი, 2016, გვ.102, 103). მოსამართლე ვალდებული

ლია, გამოავლინოს და მხედველობაში მიიღოს ყველაფერი ის, რაც მხარეებმა არ გაამხილეს, მაგრამ ხელშეკრულების საბოლოო მიზნის გათვალისწინებით, მასში დაფიქსირებული უნდა ყოფილიყო, თუ ხარვეზიანი ადგილები მოწესრიგდებოდა სამართლიანობის პრინციპისა და საქმიანი ბრუნვის ჩვეულებათა შესატყვისად (ალექსანდრე იოსელიანი, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), ჟ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბ., 2007, 54). ამა თუ იმ ხელშეკრულებაში, შესაძლოა, არც კი იყოს ჩამოყალიბებული განსაზღვრულად ქცევის წესი, მაგრამ განსაზღვრული წესით ქცევის, განსაზღვრული მოქმედების შესრულების ვალდებულება კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნებიდან გამომდინარეობდეს (მაგ.: ინფორმაციის გაცემისა და ზრუნვის ვალდებულება). კეთილსინდისიერების პრინციპი მხარეებს ავალდებულებს სახელშეკრულებო ურთიერთობებში ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებას. თუ უფლება იმდაგვარად გამოიყენება, რომ მხარეთა ინტერესების ურთიერთგათვალისწინების ვალდებულება (მოთხოვნა) ირღვევა, უფლების ასეთი გამოყენება ბოროტ განზრახვად უნდა დაკვალიფიცირდეს (Christian Eckl, Treu und Glauben im spanischen Vertragsrecht, Mohr Siebeck, Tübingen, 2007, 34, მითითებულია ნინო ხუნაშვილი, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი, 2016, გვ.117, 118). შეზღუდვის ფუნქცია მოქმედებს ნდობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაშიც, კერძოდ, როდესაც მხარე მოქმედებს საკუთარი ადრინდელი ქცევის საწინააღმდეგოდ (მაგალითად, კრედიტორს არ წარმოეშობა მოთხოვნის უფლება ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის, თუ მან მანამდე მოვალეს შეუქმნა ნდობა, რომ იგი ვადის გადაცილებას ნეგატიურ სამართლებრივ შედეგებს არ დაუკავშირებდა) (ნინო ხუნაშვილი, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი, 2016, გვ.118). რაც შეეხება ე.წ. ხელშეკრულების კორექტირებას (მისადაგებას შეცვლილი გარემოებებისადმი), ანუ ხელშეკრულების ადაპტაციას, მან უნდა ასახოს მხარეთა ის ნება, რომელიც კონტრაპენტებს ექნებოდათ შეცვლილი გარემოებების ხელშეკრულების დადების ეტაპზე ცოდნის შემთხვევაში (ვრცლად იხ.: ნათია ჩიტაშვილი, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებაზე და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე (შედარებით ანალიზი), თბილისი, 2015).

87. საკასაციო პალატას მიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის შედავების ფარგლებში განმსაზღვრელია სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილის კეთილსინდისიერებისა და მეო-

რე მონაწილის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება და არა მარტოოდენ პირგასამტეხლოს მოთხოვნა.

88. საკასაციო პალატას საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილად მიაჩნია, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარემონტო სამუშაოები შეასრულა 2019 წლის 18 ნოემბერს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის – 2109 წლის 13 აგვისტოს ნაცვლად. თუმცა ასევე დადგენილია და საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ შემკვეთმა (მოსარჩელე) ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ მენარდეს (მოპასუხე) აცნობა მხოლოდ 2019 წლის 12 დეკემბრისა და 2020 წლის 21 იანვრის წერილებით. შესაბამისად, გასაზიარებელია მოპასუხის შედავება, რომ მოსარჩელე მხარეს არც სამუშაოების შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ და არც ფაქტობრივად სამუშაოების მიმდინარეობის ვადაში მოპასუხისათვის წერილობით არ უცნობებია, რომ ვადა ირღვეოდა და შესაძლებელი იყო სანქციების განსაზღვრა, ანუ არანაირი გაფრთხილება მოპასუხისათვის არ მიუცია.

89. საკასაციო პალატა განმარტავს, პირგასამტეხლოს დაკისრების სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევა. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოპასუხემ მხარეთა შორის დადებული წარდობის ხელშეკრულების პირობა დაარღვია და მას წარმოეშვა პირგასამტეხლოს გადახდის მოვალეობა. აღნიშნული გარემოების საწინააღმდეგოდ კასატორის მოწინააღმდეგე მხარეს დასაბუთებული საკასაციო შესაგებელი არ წარმოუდგენია.

90. სსსკ-ის 105-ე მუხლი ადგენს სასამართლოს მხრიდან მხარეთა მიერ მითითებული გარემოებების შეფასების პირობებს, კერძოდ, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძველად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში. ამდენად, სადავო გარემოებების დადგენისას სასამართლო იმსჯელებს საქმეში წარმოდგენილ მხარეთა განმარტებებზე, წერილობითი დოკუმენტებსა და სხვა მტკიცებულებებზე ერთობლიობაში, რისი ურთიერთშეჯერებით გადანყვეტს, სარწმუნოდ მიიჩნის თუ არა ამა თუ იმ ფაქტის არსებობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მტკიცების ტვირთის განაწილების მხრივ, კრედიტორმა უნდა ამტკიცოს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა და პირგასამტეხლოს თაობაზე წერილობითი შეთანხმების არსებობა, ხოლო მოვალის მტკიცების ტვირთის წარმოდგენის ვალდებულების ჯეროვანი შესრულება ან ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, რაც მოვალის ბრალით არ არის განპირობებული (შდრ. სუსგ 9 მარტი, 2020 წელი, საქმე №ას-1633-2019).

91. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მოპასუხემ მოსარჩელის წინაშე სამუშაოს დროულად შესრულების ვადა 97 დღით დაარღვია, შესაბამისად, მას წარმოუშვა მოსარჩელისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის მოვალეობა.

92. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობის დადგენა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტული მაჩვენებლების ჯამით (ხელშეკრულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტი) კანონით განსაზღვრულ პირგასამტეხლოს მიზნებს სცდება და მოვალის მიმართ გადაჭარბებული სანქციის დანესებას გამოიწვევს, თუმცა საკასაციო პალატის მოსაზრებით, ქვემდგომი ინსტანციების სასამართლოების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობაც არ შეესაბამება სადავო შემთხვევაში პირგასამტეხლოს ობიექტურ და სამართლიან მოცულობას.

93. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, მოპასუხისათვის დარიცხული პირგასამტეხლოს 10-ჯერ შემცირების საფუძველი არ არსებობდა, ამიტომაც სააპელაციო სასამართლოს დასკვნა შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს აღნიშნული ოდენობით შემცირებასთან დაკავშირებით, დაუსაბუთებელია. შესაბამისად, კასატორის (მოსარჩელე) საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ საფუძლიანია, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება კი ნაწილობრივ დაუსაბუთებელი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

94. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო

სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე.

95. საკასაციო პალატა მიაჩნია, რომ კრედიტორის და მოვალის მტკიცების ფარგლების, ვალდებულების დარღვევის შინაარსის, მოპასუხის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებებისადმი დამოკიდებულების და ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირგასამტეხლოს ოდენობა ნაწილობრივ არაგონივრულია, შესაბამისად, სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 20819,64 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდა, რაც განსახილველ შემთხვევაში წარმოადგენს მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების ადეკვატურ, გონივრულ და სამართლიან ოდენობას.

96. სსსკ-ის 55-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან გათავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. ვინაიდან სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, ხოლო კასატორი (მოსარჩელე) გათავისუფლებულია საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, მოპასუხეს უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით 832,57 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მესამე ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს პროკურატურის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. საქართველოს პროკურატურის სარჩელი ინდივიდუალური მენარმე „ქ. ს-ტ-ოს“ მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

4. ინდივიდუალური მენარმე „ქ. ს-ტ-ოს“ საქართველოს პროკუ-
რატურის სასარგებლოდ დაეკისროს პირგასამტეხლოს სახით
20819,64 ლარის გადახდა.

5. ინდივიდუალური მენარმე ქ. ს-ს (პირადი №...) სახელმწიფო
ბიუჯეტის (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი
TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სასარგებ-
ლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 832,57 ლარის გადახდა.

6. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასა-
ჩივრდება.

პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-328-2023

20 ივნისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიჭაშვილი,
მ. ერემაძე**

დავის საგანი: პირგასამტეხლოს დაკისრება (თავდაპირველ
სარჩელში), თანხის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება (შეგებებულ
სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

1. სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ (შემდეგში-სააგენტო,
მოსარჩელე, კასატორი) სარჩელი აღძრა შპს „მ.“-ის (შემდეგში –
კომპანია, მოპასუხე, შეგებებული სარჩელით მოსარჩელე, მოწი-
ნააღმდეგე მხარე) მიმართ, რომლითაც მოითხოვა, 2017 წლის 8 ივ-
ნისის სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე
ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისა და ვადის გადაცილე-
ბისთვის, პირგასამტეხლოს სახით – 43 419,21 ლარის დაკისრება.

2. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2017 წლის 8 ივნისს მხარეთა შო-
რის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, რომლის
საფუძველზე მოპასუხე კომპანიას უნდა განეხორციელებინა იმე-
რეთის რეგიონში, სავარაუდოდ 14 000 ჰექტარ ფართობზე დაავა-
დებული ნაბლნარი ტყეების აღდგენა-განახლების პროგრამის ფარ-

გლებში, არსებული მდგომარეობის შესაფასებლად საპროექტო ტერიტორიის სპეციალური გამოკვლევა და ტყის ეკოსისტემის აღდგენის პროექტის შემუშავება ხელშეკრულების პირობების და მისი დანართების შესაბამისად, ეტაპობრივად (4 ეტაპად). ხელშეკრულება მოქმედებდა ხელმოწერიდან (08.06.2017 წლიდან) არანაკლებ 2018 წლის 1 მარტამდე ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე. ხელშეკრულების ღირებულება 147 498.40 ლარით განისაზღვრა.

3. მოპასუხე კომპანიამ ხელშეკრულების მე-2 და მე-3 ეტაპებით გათვალისწინებული ვალდებულება არაჯეროვნად შეასრულა, ხოლო მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაო საერთოდ არ შეასრულა, კერძოდ, ტყის აღრიცხვისა და კვლავწარმოების დეპარტამენტის 2017 წლის 7 ნოემბრის დასკვნით, 7 ნოემბრის მდგომარეობით დასრულებული უნდა ყოფილიყო მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები – ტყის მოვლის ღონისძიებების განხორციელების მიზნით შპს „დ. ვ-ს“ ყოფილ სამოქმედო ტერიტორიაზე სანიტარული ჭრებისა და ძირნაყარი ხე-ტყის მონიშნული ტყეკაფების აღრიცხვის მასალების მომზადება. ამ ეტაპისთვის კი, შესრულებული იყო მეორე ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების ნაწილი – კომპანიამ წარმოადგინა ძირნაყარი ხე-ტყის აღრიცხვის მასალები, სადაც დაფიქსირდა ხარვეზი კოორდინატებში, ხოლო სანიტარული ჭრების მონიშნული ტყეკაფები საერთოდ არ წარმოდგენილა. გარდა ამისა, 2017 წლის 18 ოქტომბრის, 2017 წლის 07 ნოემბრის, 2017 წლის 23 დეკემბრის, 2018 წლის 20 მარტისა და 2018 წლის 5 აპრილის შემოწმების აქტების შესაბამისად, სამუშაოები შესრულდა არასრულად, კერძოდ, მეორე ეტაპის სამუშაოები, რაც 120 დღეში უნდა განხორციელებულიყო, ნაწილობრივ შესრულდა ძირნაყარი ხე-ტყის აღრიცხვის კუთხით, ხოლო სანიტარული ტყეკაფები გამოყოფილი საერთოდ არ არის, ასევე, შესამჩნევია უნებართვო ტყით სარგებლობის შედეგად დარჩენილი ძირკვები, რომელთაც არ ეტყობოდათ აღრიცხვის ნიშნები, რისი აღრიცხვაც კომპანიას ევალებოდა. ტყეკაფებში დაფიქსირდა მონიშვნის ხარვეზები, ასევე, საველე აქტებში დაფიქსირდა განხორციელებული სამუშაოების ხარვეზები, ჯამში მე-2 და მე-3 ეტაპებით გათვალისწინებული სამუშაოები ვერ შესრულდა ვადებში, ხოლო მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები სააგენტოში საერთოდ არ წარმოდგენილა.

4. 2018 წლის 29 მაისს შედგა საბოლოო შემოწმების აქტი, რომლის თანახმად, დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ, სანიტარული ჭრის ტყეკაფის აღრიცხვის მასალები წარმოდგენილია მხოლოდ 144,8 ჰა-ზე, მაშინ როდესაც შპს „დ. ვ-ს“ ყოფილი სამოქმედო ტე-

რიტორია 5 825ჰა-ს. შეადგენდა. შემონმეზულ კვარტლებში დაფიქ-სირდა დაავადებული ნაბლის კორომები, სადაც კანონმდებლობის შესაბამისად არ იყო მონიშნული ზეხმელი, ძლიერ ფაუტი და მავ-ნებლებით ძლიერ დაზიანებული ხეები. 2018 წლის 4 ივნისს საა-გენტომ ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება და მოპასუხეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, ჯამში 43 419.21 ლარი დააკისრა.

5. მოპასუხე კომპანიამ წარადგინა, როგორც შესაგებელი, ასე-ვე, შეგებებული სარჩელი. კერძოდ, მოპასუხე კომპანიამ მოთხოვ-ნის გამომრიცხავი შესაგებლით სარჩელი არ ცნო, იმ საფუძვლით, რომ მან მე-2 და მე-3 ეტაპებით გათვალისწინებული ვალდებულე-ბები სრულად შეასრულა. რაც შეეხება მე-4 ეტაპით გათვალისწი-ნებულ სამუშაოებს, სააგენტოს მიერ ხელშეკრულებისა და კანო-ნის მოთხოვნათა დარღვევით დახარვეზდა წინა ეტაპებით გათვა-ლისწინებული სამუშაოები, რის გამოც, მოპასუხეს აღარ მიეცა შე-საძლებლობა, დროულად დაესრულებინა და ჩაებარებინა საბოლოო ეტაპით გათვალისწინებული მომსახურება. (იხ. შესაგებელი).

6. მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მოითხოვა: ხელშეკრუ-ლებიდან გამომდინარე მე-2 და მე-3 ეტაპებით გათვალისწინებუ-ლი შესრულებული სამუშაოს ღირებულების – 81 124.40 ლარის ანაზ-ღაურება, ასევე მიუღებელი შემოსავლის სახით მე-4 ეტაპით გათ-ვალისწინებული მომსახურების ღირებულების 39 824.40 ლარის ანაზღაურება.

7. შეგებებულ სარჩელში მოპასუხე კომპანიამ აღნიშნა, რომ მე-2 ეტაპით გათვალისწინებული მომსახურების ნაწილის (2017 წელს ტყის მოვლის ღონისძიებების განხორციელების მიზნით შპს „დ. ვ-ს“ ყოფილ სამოქმედო ტერიტორიაზე ძირნაყარი ხე-ტყის მონიშ-ნული ტყეკაფების აღრიცხვა) მასალები სრულყოფილი ფორმით 2017 წლის 11 დეკემბერს წარუდგინა მხარეს. ასევე, მესამე ეტა-პით გათვალისწინებული საველე სამუშაოები სრულყოფილი ფორ-მით დასრულდა 2017 წლის 11 დეკემბერს. მისი ხარისხი და შესაბა-მისობა გადამოწმდა 19-23 დეკემბრის საველე და კამერალური შეს-ნავლით და დადასტურდა 2017 წლის 23 დეკემბრის აქტით. მოპა-სუხე კომპანიას 2018 წლის 29 იანვრის წერილით ეცნობა წარდგე-ნილ ტყეკაფების აღრიცხვის დოკუმენტაციაში აღმოჩენილ ხარ-ვეზზე, რომლითაც მოთხოვნილ იქნა დაკორექტირებული დოკუ-მენტაციის წარდგენა. აღნიშნულთან დაკავშირებით მოპასუხე კომპანიამ 2018 წლის 19 თებერვლის დასაბუთებული წერილით სა-აგენტოს აცნობა, რომ შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, შესრულება ხარვეზიანად არ უნდა მიენიანთ. საა-გენტომ, კომპანიის სპეციალური კვლევების პარალელურად, დაი-

ქირავა ავსტრიის ტყის კვლევითი ცენტრის ტყის დაცვის დეპარტამენტი, რომელთა დასკვნა პრაქტიკულად სრულ თანხვედრაშია კომპანიის მიერ დაგეგმილ ტყის მოვლა-აღდგენის სატყეო სამეურნეო ღონისძიებებთან, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მოპასუხის მიერ ჩატარებული სამუშაოები და დაგეგმილი სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები არ შეიძლება ხარვეზიანად მიჩნეულიყო. კომპანიამ 2018 წლის 2 აპრილს სააგენტოში წარადგინა მე-2 ეტაპის (მონიშნული სანიტარული ჭრების) კორექტირებული დოკუმენტაცია და 4-5 აპრილს განხორციელდა სამუშაოების საველე და დოკუმენტალური შემოწმება, ხოლო 5 აპრილს სააგენტოს მიერ დაიდო აქტი, რომლითაც დასტურდება 2017 წლის 23 დეკემბრის აქტით დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრა. მიუხედავად ამისა, სააგენტომ არ გააფორმა სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი და მოითხოვა კომპანიის წარმომადგენლის მონაწილეობით კიდევ ერთ საველე შემოწმებაში მონაწილეობა. ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის მიერ 2018 წლის 24 მაისს შედგენილ აქტში სააგენტოს წარმომადგენლებმა დააფიქსირეს ახალი ხარვეზი, რაც სანიტარული ჭრების საერთო მოცულობას ეხებოდა, თუმცა, რის საფუძველზე და რა სპეციალური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დადგინეს სანიტარული ჭრების მონიშვნის აუცილებლობა, არ განმარტეს. შედგენილ აქტს არ დაეთანხმა კომპანიის წარმომადგენელი. სააგენტომ 2018 წლის 4 ივნისის წერილით შეწყვიტა ხელშეკრულება, სადაც განმარტა, რომ ყოველგვარი დამატებითი ვადის განსაზღვრა მიმდინარე ეტაპზე შედეგის მომტანი არ იქნებოდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მინისტრის 2018 წლის 12 ივლისის ბრძანებით შეიქმნა იმერეთის რეგიონში „მელნისებური ავადმყოფობით“ გამოწვეული წაბლის ტყის კორომების ძლიერ დეგრადაციასთან დაკავშირებული საკითხის შემსწავლელი კომისია, რომელმაც დეტალურად შეისწავლა საკითხი და დასკვნისა და რეკომენდაციის სახით დაადგინა: ა) დაუსაბუთებელია სააგენტოს მიერ 5 828 ჰა-ზე ტყეკაფის მონიშვნის მოთხოვნა, ასევე, სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფის 2018 წლის 24 მაისის აქტი; ბ) მართვის ორგანომ შეუფერხებლად გააგრძელოს მოვლის ღონისძიებები ავსტრიის ტყის კვლევითი ცენტრის მიერ შემოთავაზებული დასკვნებისა და ადგილობრივი სპეციალისტების მიერ წარდგენილი მიდგომების გათვალისწინებით. მართვის ორგანოს მიერ წაბლნარი კორომების მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით, ნებისმიერი სახის მანიპულაცია უნდა მოხდეს მხოლოდ მეცნიერულად დადასტურებული კვლევების საფუძველზე. კომისიის აღნიშნული დასკვნები და რეკომენდაციები უშუალოდ ეხება ხელ-

შეკრულებით განსაზღვრულ სახელმწიფო ტყის ფონდის ფართობებს (14 000 ჰა), კომპანიის მიერ განხორციელებულ სპეციალურ გამოკვლევას და დაგეგმილ ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებებს და შეფასებულია, როგორც კანონმდებლობის დაცვით განხორციელებული ქმედებები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, ხელშეკრულებისა და ტექნიკური დავალების ფარგლებში, კომპანიის მხრიდან ჯეროვნად და ხარისხიანად განეულ მომსახურებას. სააგენტო არასწორად გავიდა ხელშეკრულებიდან, რის გამოც, მას უნდა დაეკისროს მე-2 და მე-3 ეტაპებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოების ღირებულების 81 124.40 ლარის ანაზღაურება. გარდა ამისა, სააგენტოს მიერ ხელშეკრულებიდან უკანონო გასვლით, კომპანიამ დაკარგა მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულების 39 824.40 ლარის მიღების შესაძლებლობა, რომლის გადახდაც მოპასუხეს უნდა დაეკისროს, როგორც მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურება.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 03 აპრილის გადაწყვეტილებით სააგენტოს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე კომპანიას სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლო – 17 263.95 ლარი. შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და სააგენტოს კომპანიის სასარგებლოდ დაეკისრა მესამე ეტაპის შესრულებული სამუშაოს ღირებულება – 40 562.20 ლარი.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხე კომპანიამ შეიტანა სააპელაციო საჩივარი და მოითხოვა: გაუქმდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხე კომპანიას სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრა მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებლობისათვის პირგასამტეხლო – 9775.49 ლარი და ასევე დაკმაყოფილდეს შეგებებული სარჩელი მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ღირებულების – 40562.20 ლარის გადახდის ნაწილში.

10. სააგენტომ წარადგინა შეგებებული სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვა პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ სააგენტოს სარჩელის სრულად დაკმაყოფილება და მოპასუხე კომპანიის შეგებებული სარჩელის უარყოფა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა კომპანიის სააპელაციო საჩივარი და უარყოფილი იქნა სააგენტოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი. შეიცვალა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სააგენტოს სარჩელი დაკმაყოფილდა ნა-

ნილობრივ და კომპანიას სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრა პირ-გასამტეხლო – 12 488.46 ლარი. კომპანიის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სააგენტოს კომპანიის სასარგებლოდ დაეკისრა 81 124.40 ლარი.

12. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2017 წლის 8 ივნისს სააგენტოს და კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა იმერეთის რეგიონში, სავარაუდოდ, 14 000ჰა. ფართობზე, დაავადებული ნაბლნარი ტყეების აღდგენა-განახლების პროგრამის ფარგლებში, არსებული მდგომარეობის შესაფასებლად საპროექტო ტერიტორიის სპეციალური გამოკვლევა და ტყის ეკოსისტემის აღდგენის პროექტის შემუშავება. ხელშეკრულების თანახმად, შესრულება უნდა განხორციელებულიყო 4 ეტაპად: 1-ლი ეტაპით გათვალისწინებული იყო მოსამზადებელი სამუშაოები, საკვარტალე ქსელის პროექტი და ორთოფოტო გეგმების დეშიფრირების კონტურების შპპ-ფაილები; მე-2 ეტაპით – 2017 წელს ტყის მოვლის ღონისძიებების განხორციელების მიზნით შპს „დ. ვ“-ს ყოფილ სამოქმედო ტერიტორიაზე (ხელშეკრულების დანართი №1-ის თანახმად, 2005 წლის 10 აგვისტოს ჩატარებული კონკურსის საფუძველზე შეირჩა შპს „დ.ვ.“ და მისი სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა 5 830 ჰექტარით. მოგვიანებით, გაუქმდა შპს „დ.ვ“-სთან დადებული ხელშეკრულება) სანიტარული ჭრებისა და ძირნაყარი ხე-ტყის მონიშნული ტყეკაფების აღრიცხვის მასალების მომზადება; მე-3 ეტაპით – საველე სამუშაოების დასრულება; მე-4 ეტაპით – საბოლოო ანგარიშის შედგენა, რაც მოიცავდა: ა) საკვლევი ტერიტორიის თემატურ რუკებს; ბ) ტყის მოვლის ღონისძიებების (სანიტარული ჭრები და ძირნაყარი ხე-ტყის) განხორციელების გეგმასა და მოცულობებს; გ) შპს „დ.ვ“-ს ყოფილ სამოქმედო ტერიტორიაზე უნებართვო ჭრების აღრიცხვის მონაცემებს; დ) ტყის აღდგენისათვის იდენტიფიცირებული პრიორიტეტული ფართობები აღდგენის ღონისძიებების მიხედვით; ე) ტყის აღდგენის პროექტებს; ვ) მომავალი 10 წლიანი პერიოდისთვის ტყის მართვის გეგმას.

13. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 147 498.40 ლარით. აქედან, პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაო შეფასდა 26 549.60 ლარით. მე-2 და მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები, ორივე ერთად – 81 124.4 ლარით, ხოლო მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები – 39 824.40 ლარით.

14. 1-ლი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა შესრულებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში; მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები – ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 კალენდარული დღის გან-

მავლობაში; მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები – ხელშეკრულების გაფორმებიდან 150 დღის განმავლობაში და მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები – ხელშეკრულების გაფორმებიდან 210 დღის განმავლობაში.

15. ხელშეკრულება ძალაში შევიდა მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებდა არანაკლებ 2018 წლის 1 მარტამდე ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

16. ანგარიშსწორება უნდა განხორციელებულიყო ეტაპობრივად, მომსახურების განევის შემდეგ, თითოეული ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, მიმწოდებლის მიერ წარდგენილი ორმხრივად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე. მომსახურების მიღება უნდა წარმოებულიყო ასევე ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის სახით. ამასთან, აქტი გაფორმდებოდა კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების მხოლოდ დადებითი დასკვნის საფუძველზე. თუ გამოვლინდებოდა, რომ მომსახურება არ აკმაყოფილებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება ჰქონდა არ მიეღო ნაკლოვანი მომსახურება.

17. ხელშეკრულების მე-11 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ პირგასამტეხლოზე, რაც გათვალისწინებული იყო როგორც არაჯეროვანი შესრულების, ასევე, შესრულების ვადადარღვევით მიწოდებისთვის, კერძოდ: ხელშეკრულების 11.1 პუნქტის თანახმად, შემსყიდველი უფლებამოსილი იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებლისათვის დაეკისრებინა პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით (ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობაში არ ჩაითვლებოდა იმ დღეების რაოდენობა, რომელიც საჭირო იყო კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ დასკვნის მომზადებისათვის); ხელშეკრულების 11.2 პუნქტის თანახმად, შემსყიდველი უფლებამოსილი იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არაჯეროვანი შესრულებისთვის, ყოველ კონკრეტულ ფაქტზე მიმწოდებლისათვის დაეკისრებინა პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით. ამ პუნქტის მოქმედების დროს გამოირიცხებოდა 11.1 პუნქტის მოქმედება.

18. კომპანიამ შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაო.

19. კომპანიას არ შეუსრულებია მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები, რადგან სააგენტომ 2018 წლის 04 ივნისის წერილის საფუძველზე ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების დროს გამოვლენილი იმ ხარვეზების მიმწოდებლის მხრიდან გამოუსწორებლობის გამო, რაც მითითებული იყო სააგენტოს 2018 წლის 24 მაისის აქტში.

20. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას სააგენტოს წარმომადგენელმა დაადასტურა მიმწოდებლის მხრიდან მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება, თუმცა, განმარტა, რომ ვინაიდან ხელშეკრულებით მე-2 და მე-3 ეტაპები ერთიანად იყო დაანგარიშებული (ხელშეკრულების თანახმად, მე-2 და მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის ღირებულება განისაზღვრება ჯამში 81 124.4 ლარით, ისე, რომ არ არის დაკონკრეტებული ამ ორი ეტაპიდან თითოეულის ღირებულება), სააგენტო ვერ მოახდენდა მის ნაწილობრივ ანაზღაურებას.

21. სააგენტოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში დაქვემდებარებულ ტყის ფონდში მიმდინარე ტყის ინვენტარიზაციის შესახებ 2017 წლის 18 ოქტომბრის აქტის თანახმად, (აქტი შედგა ადგილზე მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე) კონტრაქტორის (მოპასუხე კომპანია) მიერ მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები ნაწილობრივ შესრულდა – მხოლოდ ძირნაყარი ხე-ტყის აღრიცხვის კუთხით, ხოლო სანიტარული ჭრის ტყეკაფები საერთოდ არ იყო გამოყოფილი. ამასთან, ყველა შესწავლილ კვარტალში შესამჩნევი იყო უნებართვო ტყით სარგებლობის შედეგად დარჩენილი ძირკვები, რომელთაც არ ეტყობოდა აღრიცხვის ნიშნები (საღებავი, ჩამონათალი ან სხვა), რისი აღრიცხვაც კონტრაქტორს ტექნიკური დავალების თანახმად ევალებოდა. ამასთან, სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე, არსებობდა დავალების დაგვიანებით შესრულების საფრთხე.

22. სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფის 2017 წლის 07 ნოემბრის აქტის თანახმად, 2017 წლის 08 ივნისის ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 კალენდარული დღეში, ანუ 2017 წლის 8 ოქტომბერს უნდა დასრულებულიყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მე-2 ეტაპის სამუშაოები – შპს „დ. ვ-ს“ ყოფილ სამოქმედო ტერიტორიაზე სანიტარული ჭრების და ძირნაყარი ხე-ტყის აღრიცხვის მასალების წარმოდგენა. დღეის მდგომარეობით ეს სამუშაო შესრულებულია მხოლოდ ნაწილობრივ – წარმოდგენილია ძირნაყარი ხე-ტყის აღრიცხვის მასალები (დაფიქსირდა ხარვეზი კოორდინატებში, ეცნობა №06/23964 წერილით), ხოლო სანიტარული ჭრების მოწოდებული ტყეკაფები წარმოდგენილი არ იყო.

23. 2017 წლის 11 დეკემბერს №12/11 წერილით მოპასუხე კომ-

პანამ სააგენტოს აცნობა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მე-2 ეტაპი, კერძოდ, ზესტაფონის სატყეო უბნის ტყის ინვენტარიზაციის საველე სამუშაოები, ძირნაყარი ხე-ტყის აღრიცხვა-დოკუმენტირება და სანიტარული ჭრების მონიშვნა-დოკუმენტირება დასრულებულია და მოითხოვა, მე-2 ეტაპის შესრულების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

24. 2017 წლის 23 დეკემბერს სააგენტომ შეამოწმა კომპანიის მიერ წარმოდგენილი მასალები. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კომპანიის მიერ წარმოდგენილი სანიტარული ჭრის ტყეკაფებში ფიქსირდებოდა ხარვეზები, კერძოდ, რიგ ხეებზე დამლა-ნუმერაცია არასწორად იყო დატანილი (მონიშვნა განხორციელებული იყო ფესვის ყელის ზემოთ და სხვ.). ამ აქტის საფუძველზე 2018 წლის 29 იანვრის №06/1936 წერილით კომპანიას მოეთხოვა კორექტირებული მასალების წარმოდგენა.

25. 2018 წლის 19 თებერვალს კომპანიამ სააგენტოს წერილით მიმართა, სადაც მიუთითა, რომ სანიტარული ჭრების ჩატარება ამ ეტაპზე დააჩქარებდა სახეობათა ცვლის პროცესს და გამოიწვევდა სავალალო შედეგებს. დაავადების პრევენციის მიზნით სანიტარული ჭრები უშედეგო იქნებოდა. კომპანია ასევე უთითებდა, რომ სანიტარული ჭრების განხორციელება ამ ეტაპზე აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

26. სააგენტოს 2018 წლის 21 მარტის №06/5711 წერილით კომპანიას ეცნობა, რომ სააგენტო რჩებოდა იგივე პოზიციაზე, რაც დააფიქსირა 2018 წლის 29 იანვრის წერილში. კომპანიამ 2018 წლის 2 აპრილს სააგენტოს დამატებით წარუდგინა მასალები და მიუთითა, რომ მის მიერ აღმოფხვრილი იყო სააგენტოს 2018 წლის 29 იანვრის №06/1936 წერილით დაფიქსირებული ხარვეზები. აღნიშნული წერილის საფუძველზე შემსყიდველმა კვლავ განახორციელა გასვლითი შემოწმებები და 2018 წლის 5 აპრილის აქტით დაადგინა, რომ ტყეკაფებში (ლიტერის ფარგლებში) აღრიცხული იყო სხვადასხვა ჯიშის ყველა ზეხმელი, ფაუტი დაზიანებული ხეები, ასევე, ძირნაყარი. ტყეკაფებში აღრიცხვის სამუშაოები შესრულებული იყო კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, ტყეკაფში არ იყო აღრიცხული ხმოზადი ხეები.

27. სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფის 2018 წლის 24 მაისის აქტის თანახმად, ჯგუფის მიერ შერჩევით ნანახი იქნა ხელშეკრულების შესაბამისად, სამუშაო გეგმით გათვალისწინებული შპს „დ. ვ-ს“ ყოფილ სამოქმედო ტერიტორიაზე – კვარტლებში არსებული კორომების სანიტარული მდგომარეობა და მიჩნეულ იქნა, რომ „ტყის მოვლისა და აღდგენის წესის შესახებ“ საქართველოს მთავ-

რობის 2010 წლის 13 აგვისტოს №241 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, არ იყო მონიშნული ზეხმელი, ძლიერ ფაუტი და მავნებლებით ძლიერ დაავადებული ხეები. შესაბამისად, არ იყო მონიშნული სანიტარული ჭრის ტყეკაფები, რომელიც მხარეთა შორის 2017 წლის 08 ივნისის №1 ხელშეკრულების მე-2 ეტაპით იყო გათვალისწინებული. ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის მიერ 2018 წლის 24 მაისს შედგენილ აქტში სააგენტოს წარმომადგენლებმა დააფიქსირეს ასევე ხარვეზი, რაც სანიტარული ჭრების საერთო მოცულობას ეხებოდა. აღნიშნულ აქტს არ დაეთანხმა მოპასუხე კომპანიის დირექტორი გ. ბ-ია.

28. 2018 წლის 4 ივნისის №06/04 წერილით სააგენტომ მოპასუხე კომპანიას აცნობა, რომ ვინაიდან, კომპანია არ ეთანხმებოდა სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფის მიერ 2018 წლის 24 მაისის აქტში გამოთქმულ შენიშვნებს და ხარვეზებს, ყოველგვარი დამატებითი ვადის განსაზღვრა მიმდინარე ეტაპზე შედეგის მომტანი არ იქნებოდა, რის გამოც, სააგენტო 2018 წლის 4 ივნისიდან ცალმხრივად წყვეტდა ხელშეკრულებას. ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.1 და 11.2 პუნქტების შესაბამისად კი, კომპანიას ეკისრებოდა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით და არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით, კერძოდ: მეორე ეტაპის სამუშაოებისათვის – 2017 წლის 06 ოქტომბრიდან 2018 წლის 04 ივნისის ჩათვლით პერიოდში ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა შეადგენდა 241 დღეს, შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულება კი – 81 124.40 ლარს; მესამე ეტაპის სამუშაოებისათვის – 2017 წლის 05 ნოემბრიდან 2018 წლის 04 ივნისის ჩათვლით პერიოდში ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა შეადგენდა 211 დღეს, შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულება – 81 124.40 ლარს; მეოთხე ეტაპის სამუშაოებისათვის – 2018 წლის 04 იანვრიდან 2018 წლის 04 ივნისის ჩათვლით პერიოდში ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა შეადგენდა 151 დღეს, შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულება – 39 824.40 ლარს. შესაბამისად, დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა, ჯამში, 43 419.21 ლარს შეადგენდა.

29. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 12 ივლისის ბრძანებით შექმნილი იმერეთის რეგიონში „მელნისებური ავადმყოფობით“ გამოწვეული წაბლის ტყის კორომების ძლიერ დეგრადაციასთან დაკავშირებული საკითხის შემსწავლელი კომისიის 2018 წლის 31 ივლისის დასკვნის/რე-

კომენდაციის თანახმად, კომპანიის 2018 წლის 4 ივნისის №06/04 წერილით დასმული საკითხის შესწავლის მიზნით კომისიამ იმსჯელა სატყეო სააგენტოს რიგი გადაწყვეტილებებისა და პროცესების მიზანშეწონილობაზე, მათ შორის, მიუთითა შემდეგი: „...კომისიისათვის გაუგებარი რჩება, რატომ არ გაითვალისწინა ინსპექტირების ჯგუფმა კომპანიის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, სადაც ახსნილი იყო ტყეკაფების მონიშვნის საფუძვლები, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კომპანიისათვის მიცემულ დავალებაში განსაზღვრული იყო მიზნობრიობა – სანიტარული ჭრისთვის ტყეკაფის მონიშვნა, რაც ამ უკანასკნელმა კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელა. კომისიამ ვერ მიიღო დასაბუთებული პასუხი, რა მიზანს ემსახურებოდა მთლიანი ტერიტორიის (5828 ჰა) მონიშვნის მოთხოვნა კომპანიისაგან და ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის მიზეზით ხარვეზის დადგენა. მხოლოდ ის არგუმენტი, რომ ხელშეკრულებით კომპანიას ევალებოდა 5 828 ჰა-ზე ტყეკაფის მონიშვნა, არ არის საკმარისი. კითხვაზე თუ რამდენად არის მიზანშეწონილი მთლიანობაში სააგენტოს ქმედებები და გაწეული ხარჯები, როგორც სააგენტო აცხადებს, უცხოელი ექსპერტების კვლევა მათი თხოვნით ჩატარდა, რომლის შედეგები საბოლოოდ მან არ გაიზიარა. ასევე არ გაიზიარა, თავად ამ კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია (რაც დიდ წილად ემთხვეოდა ზემოხსენებული კვლევის შედეგებს), ამის პარალელურად სააგენტო აცხადებს, რომ შესაძლოა დამატებით სხვა ალტერნატიული კვლევები ჩაატაროს. მით უფრო, გაუგებარი ხდება, ასეთი თუნდაც მომავალში დაგეგმილი კვლევების გაუთვალისწინებლად ტყეკაფების მონიშვნის მოთხოვნა სრულ ტერიტორიაზე“. კომისიამ მიიჩნია, რომ 2018 წლის 24 მაისის ინსპექტირების ჯგუფის შედგენილი აქტი მიზანშეწონილი და დაუსაბუთებელი იყო, არ იკვეთებოდა კონკრეტული არგუმენტები, რატომ ჩათვალა ჯგუფმა ისეთი გარემოება (მონიშნული ტყეკაფების მოცულობა), რომელიც კომპანიის მხრიდან დასაბუთებულად იყო ჩატარებული სპეციალური გამოკვლევის, სპეციალისტების დასკვნების მიხედვით და კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. კომისია დაეთანხმა ავსტრიის ტყის კვლევითი ცენტრის მიერ წარმოდგენილ კვლევასა და ასევე, ადგილობრივი სპეციალისტების (იგულისხმება მოპასუხე კომპანია) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ინფორმაციას ნაბლის დავადებასთან დაკავშირებით ეფექტური მოვლითი ღონისძიებების თაობაზე. კომისიამ მიიჩნია, რომ საკითხი იყო ძალიან სენსიტიური და საჭიროებდა ფრთხილ მიდგომას. საქმეში არსებულმა ავსტრიელი სპეციალისტების კვლევამ და ადგილობრივი სპეციალისტების პოზიციამ ნათლად აჩვენა, რომ სანიტარული ჭრის გაუაზრებელი და-

გეგმვა მიზანშეუწონელი იყო და საჭიროებდა ხანგრძლივ დაკვირვებას. კომისიამ მიიჩნია, რომ 2017 წლის 08 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროს, რაც მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ სააგენტოს მიერ თავიდანვე არასწორად იქნა შეფასებული სამუშაოთა მოცულობა და ამ სამუშაოებისათვის საჭირო დრო, ასევე, მოპასუხე კომპანიამ ვერ შეაფასა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის საჭირო დრო და მონაწილეობა მიიღო ტენდერში. საბოლოოდ, კომისიამ წარმოადგინა შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები: ა) დაუსაბუთებელია სააგენტოს მიერ 5 828 ჰა-ზე ტყეკაფის მონიშვნის მოთხოვნა, ასევე სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფის 2018 წლის 24 მაისის აქტი; ბ) მართვის ორგანომ შეუფერხებლად გააგრძელოს მოვლის ღონისძიებები ავსტრიის ტყის კვლევითი ცენტრის მიერ შემოთავაზებული დასკვნებისა და ადგილობრივი სპეციალისტების მიერ წარდგენილი მდგომარეობის გათვალისწინებით. მართვის ორგანოს მიერ წაბლნარი კორომების მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით, ნებისმიერი სახის მანიპულაცია უნდა მოხდეს მხოლოდ მეცნიერულად დადასტურებული კვლევების საფუძველზე.

30. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააგენტომ სარჩელით მოითხოვა კომპანიისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება ხელშეკრულების მე-2, მე-3 და მე-4 ეტაპებით გათვალისწინებული სამუშაოების არაჯეროვანი შესრულებისა და ვადაგადაცილებისთვის, ხოლო კომპანიის შეგებებული სარჩელის მოთხოვნა სააგენტოსათვის მე-2 და მე-3 ეტაპებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების საფასურის ანაზღაურების დაკისრება (რაც შეეხება მიუღებელი შემოსავლის სახით, მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებას, გასაჩივრებული გადანყევითებით შეგებებული სარჩელის ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რაც კომპანიას სააპელაციო საჩივრით აღარ გაუსაჩივრებია).

31. პირველი ინსტანციის სასამართლომ უარყო სააგენტოს მოთხოვნა მომსახურების მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნის ნაწილში. სარჩელი საფუძვლიანად იქნა მიჩნეული მომსახურების მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნის ნაწილში.

32. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მე-2 და მე-3 ეტაპებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება განსაზღვრული იყო, ჯამში, 81 124.4 ლარით ისე, რომ არ იყო დაკონკრეტებული

ამ ორი ეტაპიდან თითოეულის ღირებულება, სასამართლომ მიიჩნია, რომ თითოეული ეტაპის ღირებულება უნდა განსაზღვრულიყო თანაბრად – 40 562.2 – 405 62.2 ლარით. შესაბამისად, პირგასამტეხლოს დაანგარიშებაც (ხელშეკრულების 11.1 პუნქტით გათვალისწინებული 0.1% ყოველ დღეზე) 40 562,2 ლარიდან უნდა მომხდარიყო, რაც 241 დღიანი ვადაგადაცილების გათვალისწინებით, 9 775,49 ლარს შეადგენდა. ამასთანავე, სასამართლომ მიიჩნია, რომ კომპანიას დამატებით უნდა დაკისრებოდა ხელშეკრულების 11.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო – ხელშეკრულების საერთო ღირებულების (147 498.4 ლარის) 0.5%-ის ოდენობით – 737.492 ლარი.

33. პირველი ინსტანციის სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია სააგენტოს მოთხოვნა მომსახურების მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ. მე-4 ეტაპის სამუშაოების ღირებულების (39 824.4 ლარი) და ვადაგადაცილებულ დღეთა რაოდენობის (151 დღე) გათვალისწინებით, მოპასუხეს დაეკისრა ხელშეკრულების 11.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო (0.1% ყოველ დღეზე) – 6 013.48 ლარი და ხელშეკრულების 11.2 პუნქტით გათვალისწინებულ პირგასამტეხლო (ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%) 737.492 ლარი.

34. კომპანიამ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა მხოლოდ მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაგადაცილების გამო, ხელშეკრულების 11.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს – 9 775.49 ლარის დაკისრების ნაწილში. გადაწყვეტილება სადავოდ არ არის გამხდარი იმ ნაწილში, რომლითაც კომპანიას პირგასამტეხლო დაეკისრა ამავე (მე-2) ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების არაჯეროვანი შესრულებისათვის (ხელშეკრულების 11.2 პუნქტის შესაბამისად – 737.492 ლარი). ასევე, კომპანიის მიერ სადავოდ არ არის გამხდარი მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების გამო, პირგასამტეხლოს დაკისრება ხელშეკრულების 11.1 (ვადაგადაცილებით შესრულება) და 11.2 (არაჯეროვანი შესრულება) პუნქტების საფუძველზე ($6\ 013.48 + 737.492 = 6\ 750.922$ ლარი).

35. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ კომპანიის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შეაფასა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა ხელშეკრულების მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაგადაცილების გამო, კომპანიისათვის ხელშეკრულების 11.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს – 9 775.49 ლარის დაკისრების ნაწილში.

36. ამასთან, სააპელაციო პრეტენზიის არარსებობის გამო, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა ხელშეკრულების 11.2 პუნქტით გათვალისწინებული (არაჯეროვანი შესრულებისათვის) და მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების გამო ხელშეკრულების 11.1 და 11.2 პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს, ჯამში, 6 750.922 ლარის დაკისრების მართლობიერებაზე.

37. გასაჩივრებულ ნაწილში სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა შემდეგი:

38. – კომპანიამ მომსახურების მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები შეასრულა 2018 წლის 02 აპრილს – 174 დღის ვადაგადაცილებით, კერძოდ:

39. – დადგენილია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო მოპასუხეს უნდა შეესრულებინა 4 ეტაპად, საიდანაც მე-2 ეტაპი მოიცავდა ორ ვალდებულებას: 2017 წელს ტყის მოვლის ღონისძიებების განხორციელების მიზნით შპს „დ.ვ-ს“ ყოფილ სამოქმედო ტერიტორიაზე (5 825 ჰა – სამოქმედო ტერიტორია) სანიტარული ჭრების ტყეკაფების აღრიცხვის მასალების მომზადებას და ძირნაყარი ხე-ტყის მონიშნული ტყეკაფების აღრიცხვის მასალების მომზადებას.

40. – მეორე ეტაპის სამუშაოები უნდა დასრულებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 კალენდარული დღეში, ანუ 2017 წლის 8 ოქტომბერს.

41. – საქმეში წარმოდგენილი 2017 წლის 7 ნოემბრის აქტით ირკვევა, რომ 2017 წლის 7 ნოემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ მე-2 ეტაპის სამუშაოები შესრულებული იყო ნაწილობრივ, კერძოდ, წარმოდგენილი იყო ძირნაყარი ხე-ტყის აღრიცხვის მასალები, ხოლო სანიტარული ჭრების მონიშნული ტყეკაფების მასალები წარმოდგენილი არ იყო.

42. – მოპასუხემ მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების დაზუსტებული მასალები სააგენტოს წარუდგინა 2017 წლის 11 დეკემბერს, რომელიც სააგენტომ 2017 წლის 23 დეკემბერს შეამოწმა. სააგენტოს 2017 წლის 23 დეკემბრის აქტით დგინდება, რომ 2017 წლის 11 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჯეროვნად ჰქონდა შესრულებული მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების ერთი ნაწილი – ძირნაყარი ხე-ტყის აღრიცხვის მასალების მომზადება და ხარვეზი დაუდგინდა მხოლოდ მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების იმ ნაწილს, რომელიც სანიტარული ჭრების მონიშნული ტყეკაფების მასალების მომზადებას ითვალისწინებდა. ამასთან, ხარვეზი მდგომარეობდა იმაში, რომ არასწორად იყო მარკირებული ხე-მცენარეები (რიგ ხეებზე დამღა-ნუმერაცია დაფიქსირებული იყო ფესვის ყელის ზემოთ).

43. – კომპანიამ 2018 წლის 2 აპრილს სააგენტოს წარუდგინა მე-2 ეტაპის (მონიშნული სანიტარული ჭრების) კორექტირებული დოკუმენტაცია და მიუთითა, რომ მის მიერ აღმოფხვრილი იყო სააგენტოს 2018 წლის 29 იანვრის №06/1936 წერილით დაფიქსირებული ხარვეზი (ხემცენარეების არასწორი დამლა-წუმერაცია). აღნიშნული წერილის საფუძველზე შემსყიდველმა კვლავ განახორციელა სამუშაოების საველე და დოკუმენტალური შემოწმება და 2018 წლის 5 აპრილის აქტით დაადგინა, რომ სანიტარული ჭრების ტყე-კაფებში აღრიცხული იყო სხვადასხვა ჯიშის ყველა ზეხმელი, ფაუტი დაზიანებული ხეები, ასევე, ძირნაყარი. ტყეკაფებში აღრიცხვის სამუშაოები შესრულებული იყო კანონმდებლობის შესაბამისად. თუმცა, ტყეკაფში არ იყო აღრიცხული ხმობადი ხეები.

44. – სააგენტოს 2018 წლის 29 იანვრის №06/1936 წერილი, რომლითაც მოპასუხეს მიეთითა გამოსასწორებელი ხარვეზი, ხმობადი ხეების სანიტარული ჭრებისათვის აღრიცხვის შესახებ მითითებას არ შეიცავდა.

45. ამდენად, სააგენტოს 2018 წლის 5 აპრილის აქტით დგინდება, რომ კომპანიამ 2018 წლის 2 აპრილისათვის გამოასწორა სააგენტოს 2018 წლის 29 იანვრის №06/1936 წერილით დადგენილი ხარვეზი, თუმცა, სააგენტომ მიიჩნია, რომ შესრულება კვლავ ნაკლები იყო და შესრულების ნაკლი მდგომარეობდა მასში, რომ სანიტარული ჭრების ტყეკაფში არ იყო აღრიცხული ხმობადი ხეები. ხოლო, 2018 წლის 24 მაისის აქტში სააგენტომ მიუთითა, რომ მოპასუხეს არ ჰქონდა მონიშნული ზეხმელი, ძლიერ ფაუტი და მავნებლებით ძლიერ დაავადებული ხეები შპს „დ. ვ-ს“ ყოფილ მთელ სამოქმედო ტერიტორიაზე (5825 ჰა ფართობი), რაც სააგენტოს პირდაპირ ინტერესს წარმოადგენდა.

46. – სანიტარული ჭრების ტყეკაფში ხმობადი ხეების აღურიცხაობის საფუძვლად აპელანტმა/მოპასუხემ მიუთითა შემდეგი გარემოებები: სადავო ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანიამ განახორციელა ტყის დეტალური ინვენტარიზაცია და ფიტოპათოლოგიური კვლევა, რის საფუძველზეც სრულად 5 825 ჰა ფართობზე სათითაოდ ტყის უზნების მიხედვით დაიგეგმა ტყის აღდგენა-განახლების (გადარჩენის) სატყეო სამეურნეო ღონისძიებები გაბატონებული სახეობების გათვალისწინებით. ამ ღონისძიებების წეს-ხაში ერთ-ერთ ღონისძიებად დადგენილია სანიტარული ჭრა, რისთვისაც ხორციელდება მოსაჭრელი ხეების აღრიცხვის და მონიშვნის სამუშაოები (ტყეკაფის მონიშვნა დოკუმენტირება).

47. – ხელშეკრულებისა და ტექნიკური დავალების მიხედვით კომპანიას 5 825 ჰა ფართობზე უნდა შეესწავლა ტყის მდგომარეობა და მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით და დასაბუთებული

აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა აღერიცხა და მოენიშნა სანიტარიული ჭრით მოსაჭრელი ხეები (სანიტარიული ტყეკაფის მონიშვნა-დოკუმენტირება). ამასთან, უნდა დაედგინა ამ ღონისძიების განხორციელების აუცილებლობა, როგორც ეს მოთხოვნილია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს „ტყის მოვლისა და აღდგენის ნების შესახებ“, №241 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე („ე“) სანიტარიული ჭრა – უნდა განხორციელდეს სპეციალური გამოკვლევისა და წინასწარი აღრიცხვის საფუძველზე კორომების სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობის შემთხვევაში და გულისხმობს განსაზღვრული უზნის ტერიტორიაზე ზეხმელი, ხმობადი, ძლიერ ფაუტი და მავნებლებით ძლიერ დაუზიანებული – ხეების მოჭრას“). სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობა გულისხმობს ტყის ჯანსაღი ნაწილის გადარჩენას დაავადებული ხეების მექანიკური მოშორების (სანიტარიული ჭრა) გზით. იმის გათვალისწინებით, რომ ნაბლის სახეობის ხე-მცენარეები სამოქმედო ტერიტორიაზე 100% დაზიანებულია (დაავადებულია) ნაბლის კიბოთი და დაავადების ხარისხი ვარირებს ძლიერიდან – საშუალომდე სანიტარიული ჭრების, როგორც პირველი რიგის სატყეო სამეურნეო ღონისძიებად დაგეგმვის დასაბუთებული აუცილებლობა არ არსებობს, რაც დასტურდება ნაბლის დაავადების მართვის თანამედროვე პრაქტიკით და მათ შორის შემსყიდველის მიერ დაქირავებული ავსტრიელი ექსპერტების ექსპერტიზის დასკვნით (იხ: შესაგებლის დანართი: 6). აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა მომზადდა უშუალოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული 5 825 ჰა ფართობის შესწავლაზე დაყრდნობით და დასკვნით ნაწილში სანიტარიული ჭრა შეფასებულია როგორც ნაბლის ტყის გადარჩენის კონტრპროდუქტიული ღონისძიება. შესაბამისად, კომპანია ვალდებულია შესრულებას მოეკიდა განსაკუთრებული სიფრთხილით. სანიტარიული ჭრა, როგორც ტყის მოვლის ღონისძიება დაიგეგმა და განხორციელდა (სანიტარიული ჭრის ტყეკაფების მონიშვნა) მხოლოდ 144,8 ჰა ფართობზე და მხოლოდ ისეთ კორომებში, სადაც ღონისძიებას ექნებოდა შედეგი.

48. ყოველივე ზ/აღნიშნული გამორიცხავდა სატყეო-სამეურნეო ღონისძიების დაგეგმვის გარეშე სანიტარიული ჭრის ტყეკაფების მონიშვნის შესაძლებლობას ან აუცილებლობას. ამასთანავე, არც ხელშეკრულებით და არც ტექნიკური დავალებით არ განსაზღვრულა მოსანიშნ ტყეკაფების ფართობი (ან მოცულობა) და განისაზღვრა მხოლოდ სამოქმედო ტერიტორია 5 825 ჰა ოდენობით. ამასთან, ამ ფართობზე დაავადებული ნაბლის ტყის კორომე-

ბი შეადგენს დაახლოებით ნახევარს ანუ 2 900ჰა-ს და გაურკვეველია რის საფუძველზე ითხოვდა შემსყიდველი მთელი ფართობის მონიშვნას, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ მხოლოდ 2018 წლის 24 მაისის აქტში დააფიქსირა ინსპექტირების ჯგუფმა სანიტარიული ჭრის ტყეკაფების ფართობების სიმცირესთან დაკავშირებული პრეტენზია-ხარვეზი. თავად სააგენტოს ინიციატივით მოწვეული ავსტრიელი ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნაში დაფიქსირდა, რომ შესაძლებელია ნაბლის კორომების გადარჩენა დაავადების მართვის გზით და ნებისმიერი სანიტარული ჭრების განხორციელება, სპეციალური ლაბორატორიული კვლევის გარეშე, დაავადებასთან ბრძოლაში კონტრპროდუქტიულად არის მიჩნეული. იმ გარემოების შესაფასებლად, დაარღვია თუ არა მოპასუხე კომპანიამ სანიტარული ჭრებისთვის ხმობადი ხეების აღრიცხვის განუხორციელებლობით მომსახურების მე-2 ეტაპით გათვალისწინებული ვალდებულება, მხედველობაში იქნა მიღებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმერეთის რეგიონში „მელნისებური ავადმყოფობით“ გამოწვეული ნაბლის ტყის კორომების ძლიერ დეგრადაციასთან დაკავშირებული საკითხის შემსწავლელი კომისიის 2018 წლის 31 ივლისის დასკვნა, რომლითაც დარგის კომპეტენტური სპეციალისტებით დაკომპლექტებული კომისია დაეთანხმა ავსტრიის ტყის კვლევითი ცენტრის მიერ წარმოდგენილ კვლევასა და ასევე, კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ინფორმაციას ნაბლის დაავადებასთან დაკავშირებით ეფექტური მოვლითი ღონისძიებების თაობაზე. კომისიამ მიიჩნია, რომ საკითხი იყო ძალიან სენსიტიური და საჭიროებდა ფრთხილ მიდგომას. კომისიის დასკვნის თანახმად, საქმეში არსებულმა ავსტრიელი სპეციალისტების კვლევამ და ადგილობრივი სპეციალისტების (მოპასუხე კომპანიის) პოზიციამ ნათლად აჩვენა, რომ სანიტარული ჭრის გაუზრებელი დაგეგმვა მიზანშეუწონელი იყო და საჭიროებდა ხანგრძლივ დაკვირვებას, კერძოდ, კომისიამ, სადავო საკითხის დეტალური შესწავლის შედეგად, დასკვნისა და რეკომენდაციის სახით დაადგინა: ა) დაუსაბუთებელია სააგენტოს მიერ 5 828 ჰა-ზე ტყეკაფის მონიშვნის მოთხოვნა, ასევე, სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფის 2018 წლის 24 მაისის აქტი; ბ) მართვის ორგანომ შეუფერხებლად გააგრძელოს მოვლის ღონისძიებები ავსტრიის ტყის კვლევითი ცენტრის მიერ შემოთავაზებული დასკვნებისა და ადგილობრივი სპეციალისტების მიერ წარდგენილი მიდგომების გათვალისწინებით. მართვის ორგანოს მიერ წაბლნარი კორომების მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით, ნებისმიერი სახის მანიპულაცია უნდა მოხდეს მხოლოდ მეცნიერულად დადასტურებული კვლევების საფუძველზე.

49. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზ/აღნიშნული დასკვნით კომისიურად არის განმტკიცებული კომპანიის პოზიცია იმის შესახებ, რომ მე-2 ეტაპით გათვალისწინებული „სამუშაოების დახარვეზება“ (2018 წლის 24 მაისის აქტით) სააგენტოს მხრიდან იყო დაუსაბუთებელი, რაც სააგენტოს 2018 წლის 24 მაისის აქტს არა-ლეგიტიმურად აქცევდა. დამკვეთმა კი, 2018 წლის 4 ივნისის წერილით სწორედ, 24.05.2018 წლის აქტით გათვალისწინებული ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვიტა.

50. კომპანიის ზემოაღნიშნული პოზიცია მე-2 და მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოებთან დაკავშირებით (იხ: გადაწყვეტილების 37-ე ფაქტობრივი გარემოება) ასევე დასტურდება საქმეში წარმოდგენილი ავსტრიელი ექსპერტების დასკვნითაც, რომელიც ადასტურებს სააგენტოს მხრიდან ხელშეკრულების ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტის დაუსაბუთებლობას.

51. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების ფარგლებში სანიტარული ჭრის ტყეკაფებში ხმობადი ხეების აღურიცხავობა არ უნდა შეფასდეს შესრულების ხარვეზად, რადგან კომპანიის სახელშეკრულებო ვალდებულებას წარმოადგენდა დაავადებული ნაბლნარის ტყეების აღდგენა-განახლების პროგრამის ფარგლებში არსებული მდგომარეობის შესაფასებლად საპროექტო ტერიტორიის სპეციალური გამოკვლევა და ტყის ეკოსისტემის აღდგენის პროექტის შემუშავება (იხ: ხელშეკრულების პირველი მუხლი), რომლის ფარგლებშიც კომპანიამ მიიჩნია, რომ ხმობადი ნაბლის ხეების სანიტარული ჭრის ღონისძიება იყო გაუმართლებელი.

52. მოპასუხის ამგვარი პოზიცია გაზიარებულია როგორც უცხოელი (ავსტრიელი) სპეციალისტების, ისე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმერეთის რეგიონში „მელნისებური ავადმყოფობით“ გამოწვეული ნაბლის ტყის კორომების ძლიერ დეგრადაციასთან დაკავშირებული საკითხის შემსწავლელი კომისიის 2018 წლის 31 ივლისის დასკვნით.

53. ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ ხელშეკრულების მე-2 და მე-3 ეტაპებით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებულად ჩათვალა 2018 წლის 2 აპრილს, როდესაც კომპანიამ გამოასწორა სააგენტოს 2018 წლის 29 იანვრის №06/1936 წერილით დადგენილი ხარვეზი და მოსარჩელეს კორექტირებული მასალები წარუდგინა (გასაჩივრებული გადაწყვეტილება).

54. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 629-ე მუხლის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე

კისრულობს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. ამავე კოდექსის 636-ე მუხლის მიხედვით კი, შემკვეთს უფლება აქვს სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

55. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს იმ გარემოების კვლევის საფუძველი, 2018 წლის 04 ივნისს ხელშეკრულების შეწყვეტისათვის არსებობდა თუ არა სსკ-ის 352-ე, 405-ე მუხლებით დადგენილი წინაპირობები, რადგანაც განსახილველ შემთხვევაში დავა გამომდინარეობს ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან, რა დროსაც სააგენტო, როგორც (შემკვეთი), აღჭურვილია უფლებით ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება. სსკ-ის 636-ე მუხლი სახელშეკრულებო სამართალში ე.წ. საგამონაკლისო დანაწესია, რომელიც შემკვეთს ნებისმიერ დროს, უპირობოდ ანიჭებს უფლებას, ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება (იხ. სუსგ №ას-697-663-2015, 15 დეკემბერი, 2015 წელი; №ას-901-851-2015, 5 თებერვალი, 2016 წელი; №ას-981-926-2015, 11 მარტი, 2016 წელი). თუმცა, ამავე ნორმის საფუძველზე შემკვეთს წარმოეშობა მენარდისათვის შესრულებული სამუშაოსა და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

56. სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია გარემოება, რომ მომსახურების/ნარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე, 2018 წლის 02 აპრილის მდგომარეობით მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გაწეულია მე-2 და მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები, რომელთა ჯამური ღირებულება 81 124.40 ლარს შეადგენს. შესაბამისად, სსკ-ის 636-ე მუხლების საფუძველზე, შემსყიდველს წარმოეშვა მიღებული მომსახურების საფასურის ანაზღაურების ვალდებულება.

57. რაც შეეხება, პირგასამტეხლოს, უდავოა, რომ კომპანიას მე-2 ეტაპის სამუშაოები უნდა დაესრულებინა 2017 წლის 8 ოქტომბერს, ხოლო მე-3 ეტაპის სამუშაოები 30 დღის შემდეგ, ანუ 2018 წლის 09 ნოემბერს. დადგენილია, რომ 2017 წლის 8 ოქტომბრიდან 2018 წლის 02 აპრილამდე ვადაგადაცილებულ დღეთა რაოდენობა შეადგენს 174 დღეს და ხელშეკრულების 11.1 პუნქტით დადგენილი პირგასამტეხლოს დაანგარიშებაც, სწორედ, აღნიშნულ პერიოდზე უნდა მოხდეს, რაც განსახილველ შემთხვევაში, 7 057.80 ლარს შეადგენს (40562.2-ის 0.1% * 174 დღეზე).

58. ასევე, დადგენილია, რომ მე-3 ეტაპით გათვალისწინებული

სამუშაოების შესრულების ვადაგადაცილება (2017 წლის 09 ნოემბრიდან 2018 წლის 02 აპრილამდე) შეადგენს 144 დღეს, რომლის გათვალისწინებითაც ხელშეკრულების 11.1 პუნქტით დადგენილი პირგასამტეხლოს ოდენობა 5 840.95 ლარს ($40562.2\text{-ის } 0.1\% \cdot 144$ დღეზე) შეადგენს. ჯამში, მე-2 და მე-3 ეტაპებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაგადაცილებისათვის პირგასამტეხლოს ოდენობა 12 898.75 ლარს შეადგენს.

59. მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაგადაცილებისა და არაჯეროვანი შესრულებისთვის კომპანიისათვის დაკისრებულ პირგასამტეხლოსთან (6 103.48 ლარი + 737.492 ლარი) დაკავშირებით, ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზე, რომ, რადგან ნარდობის ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი თავად შემკვეთი იყო, ზემოთ აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით კომპანიას ამ ნაწილში, პირგასამტეხლო საერთოდ არ უნდა დაკისრებოდა, თუმცა, ვინაიდან გადანყვეტილება აღნიშნულ ნაწილში კომპანიას სააპელაციო საჩივრით არ გაუსაჩივრებია, სააპელაციო პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის საფუძველზე, ვერ გადასინჯა გასაჩივრებული გადანყვეტილების დასაბუთებლობა აღნიშნულ ნაწილში.

60. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 420-ე, 417-ე, 418-ე მუხლების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე აღნიშნა, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სააგენტოს ვალდებულების შეუსრულებლობით რაიმე ზიანი არ მისდგომია კომპანიას არამართლზომიერად დაეკისრა მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების ვადაგადაცილებისათვის პირგასამტეხლო (6013.48 + 737.49 ლარი).

61. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მე-2 და მე-3 ეტაპებით გათვალისწინებული სამუშაოების ვადაგადაცილებისათვის პირგასამტეხლოს სახით 12 898.75 ლარის მოთხოვნა არაგონივრულია და სახეზეა პირგასამტეხლოს, როგორც შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის, შემცირების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი. ამ ნაწილში, პირგასამტეხლოს სახით მოპასუხისთვის 5 000.00 ლარის დაკისრება სრულად უზრუნველყოფს შესასრულებელი ვალდებულების დარღვევისათვის გონივრული, პროპორციული და სამართლიანი პირგასამტეხლოს ფუნქციის შესრულებას და შეესაბამება მოპასუხის მიერ დაგვიანებით შესრულებელი ვალდებულებისათვის პასუხისმგებლობის სახით დაწესებულ საზღაურს.

62. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების საჩივროლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი, რომლითაც სააგენტოს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხე კომპანიას დაეკისრა პირგასამტეხლო – 17 263.95 ლარის ოდენობით, მოპასუხის მიერ გასაჩივრებული იყო ნაწილობრივ, 9 775.49 ლარის ნაწილში;

ამდენად, გადაწყვეტილება მოპასუხეს არ გაუსაჩივრებია 7 488.46 ლარის ნაწილში (17 263.95 – 9 775.49). აღნიშნულისა და ამ გადაწყვეტილების ზემოთ მითითებულ პუნქტში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, კომპანიისათვის სააგენტოს სასარგებლოდ დაკისრებული პირგასამტეხლოს საბოლოო ოდენობა სააპელაციო სასამართლომ 12 488.46 ლარით (7 488.46 + 5 000.00) განსაზღვრა.

63. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სააგენტომ (მოსარჩელე) გაასაჩივრა საკასაციო საჩივრით. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით სააგენტოს სარჩელის სრულად დაკმაყოფილება (43 419.21 ლარის პირგასამტეხლოს სახით დაკისრება კომპანიისათვის) და შეგებებული სარჩელის უარყოფა.

64. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

65. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ხელშეკრულების არც მე-2, არც მე-3 მუხლი და არც 1-ლი და მე-2 დანართი არ განსაზღვრავდა კომპანიის მხრიდან სანიტარული ჭრის ჩატარების ვალდებულებას. კასატორი აღნიშნავს, რომ მეორე ეტაპით განსაზღვრული იყო მხოლოდ სანიტარული ჭრის ტყეკაფის მონიშვნის მასალების წარმოდგენა. მხოლოდ მონიშვნა არ გულისხმობს ჭრაზე გადაწყვეტილების მიღებას, ეს არის ტექნიკური სამუშაო, ხოლო გადაწყვეტილების მიღება შესაბამისი უფლებამოსილი პირის აქტით. კანონმდებლობა ასევე იცნობს ტყეკაფის გაუქმების შესაძლებლობასაც, თუ ჭრის შესახებ არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება. ამიტომ მხოლოდ მონიშვნის სამუშაოების შესრულების შესახებ დავალება არ გულისხმობს ჭრაზე ავტომატურად გადაწყვეტილების მიღებას და რომც გულისხმობდეს, ჭრის შესახებ გადაწყვეტილების მართლზომიერებისა თუ კანონიერების შემოწმება არ შედის კომპანიის უფლებამოსილებაში და მით უფრო, ვერ გახდება სახელმწიფო განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი. ტყის კოდექსის, ასევე, ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ №242-ე დადგენილება განსაზღვრავს ტყეკაფის განმარტებას. ტყეკაფი არის ტერიტორია, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ჭრა, მაგრამ ჭრის ჩატარებამდე მთელი რიგი ღონისძიებებია განსახორციელებელი. პირველ პირში, ხდება ტყეკაფის აღრიცხვის მასალების შედგენა, ტყეკაფის მონიშვნა, ტყეკაფის გამოყოფა, გახსნა და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ხე-ტყის ჭრა. კომპანიის ვალდებულება იყო მხოლოდ ხე-ტყის ტყეში მონიშვნა და არა მოჭრა.

66. მოპასუხე კომპანიის არგუმენტი, რომ სანიტარული ჭრა მხო-

ლოდ სპეციალური გამოკვლევის საფუძველზეა შესაძლებელი, სააგენტოს მიერ არ არის უარყოფილი, მაგრამ მოპასუხე ყურადღებას არ ამახვილებს მთავარ გარემოებაზე სპეციალური კვლევა ტარდება – ადგილზეც, როდესაც ხდება ხე-ტყის მონიშვნა, ანუ განისაზღვრება – ექვემდებარება თუ არა მონიშვნას ხე-ტყე. თუ იგი ასეთ – სპეციალურ შესწავლას არ ჩაატარებდა, გაურკვეველია როგორ მონიშნა 144 ჰა-ზე ტყეკაფები. თუკი დაეუშვებოდა, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის დავალება არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას, ხოლო თუ მიმწოდებელი თვლიდა, რომ მისთვის განსაზღვრული სამუშაოები ვერ შესრულდებოდა ხელშემშლელი გარემოებების გამო, მას ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა შემსყიდველი ორგანიზაციისათვის წერილობით ფორმით შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

67. აღნიშნული შესაძლებლობით კომპანიას არ უსარგებლია, მით უფრო, რომ მისთვის ტენდერში მონაწილეობის მიღების ეტაპიდან, ასევე, ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ცნობილი იყო შესასრულებელი სამუშაოს შესახებ, მაგრამ აღნიშნულზე არ მიუთითებია და ვერც მიუთითებდა, რამდენადაც კომპანიის არგუმენტი, რის გამოც, მან ვერ უზრუნველყო ხელშეკრულების შესრულება, არ წარმოადგენდა ხელშემშლელ გარემოებას. მოპასუხე კომპანიის არგუმენტი არ წარმოადგენს სსკ-ის 401-ე მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლს, რაც დადასტურდა სააგენტოს განკარგულებით კომპანიის მხრიდან სახელშეკრულებო პირობების არაჯეროვნად შესრულების გამო, შავ სიაში რეგისტრაციის შესახებ, სადაც სააგენტომ დაადასტურა კომპანიის მხრიდან ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულება.

68. კომპანიამ ერთი და იმავე პერიოდში მონაწილეობა მიიღო სააგენტოს მიერ გამოცხადებულ რამდენიმე ტენდერში. შესაბამისად, მან იკისრა ერთდროულად საკმაოდ დიდი სამუშაოების შესრულების ვალდებულება, რამაც განაპირობა სწორედ მისი მხრიდან ვალდებულებების ჯეროვნად შეუსრულებლობა.

69. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განსაზღვრა კომპანიის მიერ მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ღირებულება მე-2 და მე-3 ეტაპის სამუშაოების ღირებულების ნახევრით, რამდენაც მხარეთა შორის 2017 წლის 08 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა იმერეთის რეგიონში სავარაუდოდ 14 000 ჰა ფართობზე დაავადებული წაბლნარი ტყეების აღდგენა-განახლების პროგრამის ფარგლებში არსებული მდგომარეობის შესაფასებლად საპროექტო ტერი-

ტორიის სპეციალური გამოკვლევა და ტყის ეკოსისტემის აღდგენის პროექტის შემუშავება ამავე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ამდენად, შემსყიდველი ორგანიზაციის მიზანს სწორედ, აღნიშნული შედეგის მიღება წარმოადგენდა, რისთვისაც ხელშეკრულების საერთო ღირებულება განისაზღვრა 147 498.4 ლარით. ხელშეკრულების მე-3 მუხლი შეიცავდა დეტალურ დახასიათებას შესასრულებელი მომსახურების შესახებ, რომლის თანახმად, სამუშაოები დაიყო ოთხ ეტაპად. მე-2 და მე-3 ეტაპის სამუშაოები იდენტიფიცირების მიზნით დაფიქსირდა ცალ-ცალკე, მაგრამ 124.4 ლარი. შესაბამისად, ღირებულება განისაზღვრა ერთად, რამაც შეადგინა 81 124.4 ლარი. სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული სასამართლოს მიერ ამგვარი შეფასება, მით უფრო, სამუშაოების ღირებულების სამართლიანობის პრინციპით განსაზღვრა, რაც არ ემყარება სამუშაოების ღირებულების არც ხელშეკრულებით და არც სხვა რაიმე მეთოდით გაანგარიშებას.

70. სააგენტომ დაადასტურა მიმწოდებლის მხრიდან მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება, თუმცა განმარტა, რომ ვინაიდან ხელშეკრულებით მე-2 და მე-3 ეტაპები ერთიანად იყო დაანგარიშებული (ხელშეკრულების თანახმად, მე-2 და მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის ღირებულება განისაზღვრება ჯამში 81 124.4 ლარით, ისე, რომ არ არის დაკონკრეტებული ამ ორი ეტაპიდან თითოეულის ღირებულება), სააგენტო ვერ მოახდენდა მის ნაწილობრივ ანაზღაურებას.

71. ამასთან, მომსახურების მხოლოდ ნაწილის შესრულება, არ ნიშნავს მთლიანი მომსახურების ჯეროვან შესრულებას, რის გამოც, ასევე არ არსებობდა მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულების სააგენტოსათვის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი. კასატორის მოსაზრებით, სრულად არ იქნა გაზიარებული სააგენტოს პოზიცია და სააგენტოს დააკისრა კომპანიის სასარგებლოდ მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება – 40 562.2 ლარი, პირგასამტეხლოს დარიცხვაც მოხდა ნაწილობრივ, მხოლოდ 40 562.2 ლარის მიხედვით, რითაც შეილახა სააგენტოს ინტერესები. შესაბამისად, შეგებებული სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის გაზიარების პირობებშიც კი, უნდა დაკმაყოფილებულიყო მოთხოვნა პირგასამტეხლოს სრულად დაკისრების ნაწილშიც.

72. ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს სამინისტროს მიერ შექმნილი კომისიის, ასევე, ექსპერტის დასკვნა, რასთან დაკავშირებითაც სააგენტო აღნიშნავდა, რომ საექსპერტო დასკვნას შემსყიდველი ორგანიზაციისთვის სავალდებულო ძა-

ლა არ გააჩნია. შესაბამისად, შემსყიდველ ორგანიზაციას არ ჰქონდა მისი გათვალისწინების ვალდებულება. ისევე, როგორც კომისიის დასკვნებს – იგი გახლავთ მხოლოდ და მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტი, სხვა არაფერი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებლის მიერ აღწერილი ვითარება არ წარმოადგენს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებით დამდგარი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ან მისგან გამანთავისუფლებელ გარემოებას.

73. კასატორი უარყოფს მოპასუხე კომპანიის პოზიციას, რომ 2017 წლის 11 დეკემბრიდან 2018 წლის 29 მაისამდე ამზადებდა კონტროლის განმახორციელებელ ჯგუფი საბოლოო დასკვნას და აღნიშნავს, რომ ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემომწმება სააგენტოს მხრიდან ხორციელდებოდა ეტაპობრივად, ინსპექტირების ჯგუფების მიერ რაზეც შედგენილია სხვადასხვა აქტი: 2017 წლის 18 ოქტომბრის, 7 ნოემბრის, 23 დეკემბრის. ასევე, 2018 წლის 4 აპრილის, 24 და 29 მაისის აქტები. ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.1 პუნქტში გათვალისწინებული დათქმა, რომელზეც მიუთითებდა მოპასუხე კომპანია იგულისხმება უშუალოდ დასკვნის შედგენის პერიოდი. საბოლოო დასკვნის მომზადება არ ხორციელდებოდა 2017 წლის დეკემბრიდან 2018 წლის მაისამდე. შესრულებული სამუშაოს შემოწმება ხდებოდა პერიოდულად და დასკვნა მომზადდა 2018 წლის 29 მაისს. შესაბამისად, პირგასამტეხლოს დასარიცხი დღეები დათვლილია ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

74. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას პირგასამტეხლოს შემცირების ნაწილში და აღნიშნავს, რომ მოპასუხის მხრიდან სახეზეა ვალდებულების დარღვევა (არაჯეროვანი შესრულება და ვადაგადაცილება), რაც ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.1, 11.2 პუნქტების საფუძველზე წარმოშობს მოპასუხე კომპანიისათვის პირგასამტეხლოს დარიცხვის წინაპირობებს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით და არაჯეროვანი შესრულებისთვის ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, რამაც საერთო ჯამში შეადგინა 43419.21 ლარი.

75. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 30 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო საკასაციო სასამართლოს 2023 წლის 11 მაისის განჩინებით კი საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხ-

ლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, კერძოდ, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

სამოტივაციო ნაწილი:

76. საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

77. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

78. საქმეზე დადგენილია, რომ სააგენტომ სარჩელით მოითხოვა კომპანიისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება ხელშეკრულების მე-2, მე-3 და მე-4 ეტაპებით გათვალისწინებული სამუშაოების არაჯეროვანი შესრულებისა და ვადაგადაცილებისთვის, ხოლო კომპანიის შეგებებული სარჩელის მოთხოვნაა სააგენტოსათვის მე-2 და მე-3 ეტაპებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების საფასურის ანაზღაურების დაკისრება (რაც შეეხება მიუღებელი შემოსავლის სახით, მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებას, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რაც კომპანიას სააპელაციო საჩივრით აღარ გაუსაჩივრებია).

79. პირველი ინსტანციის სასამართლომ უარყო სააგენტოს მოთხოვნა მომსახურების მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნის ნაწილში. სარჩელი საფუძვლიანად იქნა მიჩნეული მომსახურების მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნის ნაწილში.

80. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მე-2 და მე-3 ეტაპებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება განსაზღვრუ-

ლი იყო, ჯამში, 81 124.4 ლარით ისე, რომ არ იყო დაკონკრეტებული ამ ორი ეტაპიდან თითოეულის ღირებულება, სასამართლომ მიიჩნია, რომ თითოეული ეტაპის ღირებულება უნდა განსაზღვრულიყო თანაბრად – 40 562.2 – 405 62.2 ლარით. შესაბამისად, პირგასამტეხლოს დაანგარიშებაც (ხელშეკრულების 11.1 პუნქტით გათვალისწინებული 0.1% ყოველ დღეზე) 40 562,2 ლარიდან უნდა მომხდარიყო, რაც 241 დღიანი ვადაგადაცილების გათვალისწინებით, 9 775,49 ლარს შეადგენდა. ამასთანავე, სასამართლომ მიიჩნია, რომ კომპანიას დამატებით უნდა დაკისრებოდა ხელშეკრულების 11.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო – ხელშეკრულების საერთო ღირებულების (147 498.4 ლარის) 0.5%-ის ოდენობით – 737.492 ლარი.

81. პირველი ინსტანციის სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია სააგენტოს მოთხოვნა მომსახურების მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ. მე-4 ეტაპის სამუშაოების ღირებულების (39 824.4 ლარი) და ვადაგადაცილებულ დღეთა რაოდენობის (151 დღე) გათვალისწინებით, მოპასუხეს დაეკისრა ხელშეკრულების 11.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო (0.1% ყოველ დღეზე) – 6 013.48 ლარი და ხელშეკრულების 11.2 პუნქტით გათვალისწინებულ პირგასამტეხლო (ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%) 737.492 ლარი.

82. კომპანიამ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა მხოლოდ მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაგადაცილების გამო, ხელშეკრულების 11.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს – 9 775.49 ლარის დაკისრების ნაწილში. გადაწყვეტილება სადავოდ არ არის გამხდარი იმ ნაწილში, რომლითაც კომპანიას პირგასამტეხლო დაეკისრა ამავე (მე-2) ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების არაჯეროვანი შესრულებისათვის (ხელშეკრულების 11.2 პუნქტის შესაბამისად – 737.492 ლარი). ასევე, კომპანიის მიერ სადავოდ არ არის გამხდარი მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების გამო, პირგასამტეხლოს დაკისრება ხელშეკრულების 11.1 (ვადაგადაცილებით შესრულება) და 11.2 (არაჯეროვანი შესრულება) პუნქტების საფუძველზე (6 013.48 + 737.492 = 6 750.922 ლარი).

83. სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია გარემოება, რომ მომსახურების/ნარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე, 2018 წლის 02 აპრილის მდგომარეობით მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის განეულია მე-2 და მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები, რომელთა ჯამური ღირებულება 81 124.40 ლარს შეადგენს. შესაბამისად, სსკ-ის 636-ე

მუხლების საფუძველზე, შემსყიდველს წარმოეშვა მიღებული მომსახურების საფასურის ანაზღაურების ვალდებულება.

84. რაც შეეხება პირგასამტეხლოს, უდავოა, რომ კომპანიას მე-2 ეტაპის სამუშაოები უნდა დაესრულებინა 2017 წლის 8 ოქტომბერს, ხოლო მე-3 ეტაპის სამუშაოები 30 დღის შემდეგ, ანუ 2018 წლის 09 ნოემბერს. დადგენილია, რომ 2017 წლის 8 ოქტომბრიდან 2018 წლის 02 აპრილამდე ვადაგადაცილებულ დღეთა რაოდენობა შეადგენს 174 დღეს და ხელშეკრულების 11.1 პუნქტით დადგენილი პირგასამტეხლოს დაანგარიშებაც, სწორედ, აღნიშნულ პერიოდზე უნდა მოხდეს, რაც განსახილველ შემთხვევაში, 7 057.80 ლარს შეადგენს ($40562.2\text{-ის } 0.1\% * 174 \text{ დღეზე}$).

85. ასევე, დადგენილია, რომ მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაგადაცილება (2017 წლის 09 ნოემბრიდან 2018 წლის 02 აპრილამდე) შეადგენს 144 დღეს, რომლის გათვალისწინებითაც ხელშეკრულების 11.1 პუნქტით დადგენილი პირგასამტეხლოს ოდენობა 5 840.95 ლარს ($40562.2\text{-ის } 0.1\% * 144 \text{ დღეზე}$) შეადგენს. ჯამში, მე-2 და მე-3 ეტაპებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაგადაცილებისათვის პირგასამტეხლოს ოდენობა 12 898.75 ლარს შეადგენს.

86. მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაგადაცილებისა და არაჯეროვანი შესრულებისთვის კომპანიისათვის დაკისრებულ პირგასამტეხლოსთან ($6\ 103.48 \text{ ლარი} + 737.492 \text{ ლარი}$) დაკავშირებით, ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზე, რომ, რადგან ნარდობის ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი თავად შემკვეთი იყო, ზემოთ აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით კომპანიას ამ ნაწილში, პირგასამტეხლო საერთოდ არ უნდა დაკისრებოდა, თუმცა, ვინაიდან გადანყევტილება აღნიშნულ ნაწილში კომპანიას სააპელაციო საჩივრით არ გაუსაჩივრებია, სააპელაციო პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის საფუძველზე, ვერ გადასინჯა გასაჩივრებული გადანყევტილების დასაბუთებულობა აღნიშნულ ნაწილში.

87. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 420-ე, 417-ე, 418-ე მუხლების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე აღნიშნა, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სააგენტოს ვალდებულების შეუსრულებლობით რაიმე ზიანი არ მისდგომია კომპანიას არამართლობიერად დაეკისრა მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების ვადაგადაცილებისათვის პირგასამტეხლო ($6013.48 + 737.49 \text{ ლარი}$).

88. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მე-2 და მე-3 ეტაპებით გათვალისწინებული სამუშაოების ვადაგადაცილებისათვის პირგასამტეხლოს სახით 12 898.75 ლარის მოთხოვნა არაგონივრულია და სახეზეა პირგასამტეხლოს, როგორც შეუსაბამოდ მაღალი

ოდენობის, შემცირების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი. ამ ნაწილში, პირგასამტეხლოს სახით მოპასუხისთვის 5 000.00 ლარის დაკისრება სრულად უზრუნველყოფს შესასრულებელი ვალდებულების დარღვევისათვის გონივრული, პროპორციული და სამართლიანი პირგასამტეხლოს ფუნქციის შესრულებას და შეესაბამება მოპასუხის მიერ დაგვიანებით შესრულებელი ვალდებულებისათვის პასუხისმგებლობის სახით დაწესებულ საზღაურს.

89. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი, რომლითაც სააგენტოს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხე კომპანიას დაეკისრა პირგასამტეხლო – 17 263.95 ლარის ოდენობით, მოპასუხის მიერ გასაჩივრებული იყო ნაწილობრივ, 9 775.49 ლარის ნაწილში; ამდენად, გადაწყვეტილება მოპასუხეს არ გაუსაჩივრებია 7 488.46 ლარის ნაწილში (17 263.95 – 9 775.49). აღნიშნულისა და ამ გადაწყვეტილების ზემოთ მითითებულ პუნქტში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, კომპანიისათვის სააგენტოს სასარგებლოდ დაკისრებული პირგასამტეხლოს საბოლოო ოდენობა სააპელაციო სასამართლომ 12 488.46 ლარით (7 488.46 + 5 000.00) განსაზღვრა.

90. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის პრეტენზიის ფარგლებში, საკასაციო პალატის შეფასების საკითხებს წარმოადგენს: კომპანიამ ჯეროვნად შეასრულა თუ არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მე-2-მე-3 ეტაპის სამუშაოები; არსებობს თუ არა პირგასამტეხლოს შემცირების წინაპირობები; არსებობს თუ არა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

91. საკასაციო პალატა მიუთითებს, საქმეზე დადგენილია, რომ 2017 წლის 8 ივნისს სააგენტოს და კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა იმერეთის რეგიონში, სავარაუდოდ, 14 000 ჰა. ფართობზე, დაავადებული ნაბლნარი ტყეების აღდგენა-განახლების პროგრამის ფარგლებში, არსებული მდგომარეობის შესაფასებლად საპროექტო ტერიტორიის სპეციალური გამოკვლევა და ტყის ეკოსისტემის აღდგენის პროექტის შემუშავება.

92. ხელშეკრულების თანახმად, შესრულება უნდა განხორციელებულიყო 4 ეტაპად: 1-ლი ეტაპით გათვალისწინებული იყო მოსამზადებელი სამუშაოები, საკვარტალე ქსელის პროექტი და ორთოფოტო გეგმების დეშიფრირების კონტურების შპპ-ფაილები; მე-2 ეტაპით – 2017 წელს ტყის მოვლის ღონისძიებების განხორციელების მიზნით შპს „დ. ვ“-ს ყოფილ სამოქმედო ტერიტორიაზე (ხელშეკრულების დანართი №1-ის თანახმად, 2005 წლის 10 აგვისტოს ჩატარებული კონკურსის საფუძველზე შეირჩა შპს „დ.ვ.“ და მისი

სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა 5 830 ჰექტარით. მოგვიანებით, გაუქმდა შპს „დ. ვ-სთან“ დადებული ხელშეკრულება) სანიტარული ჭრებისა და ძირნაყარი ხე-ტყის მონიშნული ტყეკაფების აღრიცხვის მასალების მომზადება; მე-3 ეტაპით – საველე სამუშაოების დასრულება; მე-4 ეტაპით – საბოლოო ანგარიშის შედგენა, რაც მოიცავდა: ა) საკვლევი ტერიტორიის თემატურ რუკებს; ბ) ტყის მოვლის ღონისძიებების (სანიტარული ჭრები და ძირნაყარი ხე-ტყის) განხორციელების გეგმასა და მოცულობებს; გ) შპს „დ.ვ.“-ს ყოფილ სამოქმედო ტერიტორიაზე უნებართვო ჭრების აღრიცხვის მონაცემებს; დ) ტყის აღდგენისათვის იდენტიფიცირებული პრიორიტეტული ფართობები აღდგენის ღონისძიებების მიხედვით; ე) ტყის აღდგენის პროექტებს; ვ) მომავალი 10 წლიანი პერიოდისთვის ტყის მართვის გეგმას.

93. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 147 498.40 ლარით. აქედან, პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაო შეფასდა 26 549.60 ლარით. მე-2 და მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები, ორივე ერთად – 81 124.4 ლარით, ხოლო მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები – 39 824.40 ლარით.

94. 1-ლი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა შესრულებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში; მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები – ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 კალენდარული დღის განმავლობაში; მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები – ხელშეკრულების გაფორმებიდან 150 დღის განმავლობაში და მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები – ხელშეკრულების გაფორმებიდან 210 დღის განმავლობაში.

95. მომსახურების მიღება უნდა წარმოებულიყო ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის სახით. ამასთან, აქტი გაფორმდებოდა კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების მხოლოდ დადებითი დასკვნის საფუძველზე. თუ გამოვლინდებოდა, რომ მომსახურება არ აკმაყოფილებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება ჰქონდა არ მიეღო ნაკლოვანი მომსახურება.

96. ხელშეკრულების მე-11 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ პირგასამტეხლოზე, რაც გათვალისწინებული იყო როგორც არაჯეროვანი შესრულების, ასევე, შესრულების ვადადარღვევით მიზიდებისთვის, კერძოდ: ხელშეკრულების 11.1 პუნქტის თანახმად, შემსყიდველი უფლებამოსილი იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებლისათვის დაეკისრებინა პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების

ღირებულების 0,1%-ის ოდენობით (ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობაში არ ჩაითვლებოდა იმ დღეების რაოდენობა, რომელიც საჭირო იყო კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ დასკვნის მომზადებისათვის); ხელშეკრულების 11.2 პუნქტის თანახმად, შემსყიდველი უფლებამოსილი იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არაჯეროვანი შესრულებისთვის, ყოველ კონკრეტულ ფაქტზე მიმწოდებლისათვის დაეკისრებინა პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით. ამ პუნქტის მოქმედების დროს გამოირიცხებოდა 11.1 პუნქტის მოქმედება.

97. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან კასატორს ზემოთდადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ არ წარმოუდგენია დასაბუთებული და დასაშვები საკასაციო პრეტენზია, მათ სსსკ-ის 407.2 მუხლის მხედვით საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა აქვთ.

98. კასატორის (სააგენტოს) პრეტენზიის ფარგლებში საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მე-2 და მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების მოპასუხის მიერ შესრულების საკითხზე, რომელ ნაწილშიც სააგენტოს წარმოემოხა კომპანიის სასარგებლოდ 81 124.40 ლარის ოდენობით სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება.

99. კასატორის მოსაზრებით, არ არსებობდა მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულების სააგენტოსათვის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი. მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება ცალკე არ იყო განსაზღვრული. სასამართლომ იგი განსაზღვრა მთლიანი ღირებულების ნახევრით 40 562.2 ლარით და პირგასამტეხლოს დარიცხვაც მოხდა ნაწილობრივ, მხოლოდ 40 562.2 ლარის მიხედვით, რითაც შეილახა სააგენტოს ინტერესები. ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს სამინისტროს მიერ შექმნილი კომისიის, ასევე, ექსპერტის დასკვნა, რასთან დაკავშირებითაც სააგენტო თავიდანვე აღნიშნავდა, რომ საექსპერტო დასკვნას შემსყიდველი ორგანიზაციისთვის სავალდებულო ძალა არ გააჩნია.

100. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის (სააგენტო) ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და აღნიშნავს, რომ როგორც საქმის მასალებით ირკვევა, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, სააგენტოს წარმომადგენელმა დაადასტურა მიმწოდებლის მხრიდან მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება, თუმცა, განმარტა, რომ ვინაიდან ხელშეკრულებით

მე-2 და მე-3 ეტაპები ერთიანად იყო დაანგარიშებული (ხელშეკრულების თანახმად, მე-2 და მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის ღირებულება განისაზღვრება ჯამში 81 124.4 ლარით, ისე, რომ არ არის დაკონკრეტებული ამ ორი ეტაპიდან თითოეულის ღირებულება), სააგენტო ვერ მოახდენდა მის ნაწილობრივ ანაზღაურებას.

101. საქმის მასალებით, ასევე დადგენილია, რომ სააგენტოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში დაქვემდებარებულ ტყის ფონდში მიმდინარე ტყის ინვენტარიზაციის შესახებ 2017 წლის 18 ოქტომბრის აქტის თანახმად (აქტი შედგა ადგილზე მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე) კონტრაქტორის (მოპასუხე კომპანია) მიერ მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები ნაწილობრივ შესრულდა – მხოლოდ ძირნაყარი ხე-ტყის აღრიცხვის კუთხით, ხოლო სანიტარული ჭრის ტყეკაფები საერთოდ არ იყო გამოყოფილი. ამასთან, ყველა შესწავლილ კვარტალში შესამჩნევი იყო უნებართვო ტყით სარგებლობის შედეგად დარჩენილი ძირკვები, რომელთაც არ ეტყობოდა აღრიცხვის ნიშნები (საღებავი, ჩამონათალი ან სხვა), რისი აღრიცხვაც კონტრაქტორს ტექნიკური დავალების თანახმად ევალებოდა. ამასთან, სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე, არსებობდა დავალების დაგვიანებით შესრულების საფრთხე.

102. სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფის 2017 წლის 07 ნოემბრის აქტის თანახმად, 2017 წლის 08 ივნისის ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 კალენდარული დღეში, ანუ 2017 წლის 8 ოქტომბერს უნდა დასრულებულიყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მე-2 ეტაპის სამუშაოები – შპს „დ. ვ-ს“ ყოფილ სამოქმედო ტერიტორიაზე სანიტარული ჭრების და ძირნაყარი ხე-ტყის აღრიცხვის მასალების წარმოდგენა. დღეის მდგომარეობით ეს სამუშაო შესრულებულია მხოლოდ ნაწილობრივ – წარმოდგენილია ძირნაყარი ხე-ტყის აღრიცხვის მასალები (დაფიქსირდა ხარვეზი კოორდინატებში, ეცნობა №06/23964 წერილით), ხოლო სანიტარული ჭრების მონიშნული ტყეკაფები წარმოდგენილი არ იყო.

103. 2017 წლის 11 დეკემბერს №12/11 წერილით მოპასუხე კომპანიამ სააგენტოს აცნობა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მე-2 ეტაპი, კერძოდ, ზესტაფონის სატყეო უბნის ტყის ინვენტარიზაციის საველე სამუშაოები, ძირნაყარი ხე-ტყის აღრიცხვა-დოკუმენტირება და სანიტარული ჭრების მონიშვნა-დოკუმენტირება დასრულებულია და მოითხოვა, მე-2 ეტაპის შესრულების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და განუული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

104. 2017 წლის 23 დეკემბერს, სააგენტომ შეამოწმა კომპანიის მიერ წარმოდგენილი მასალები და შემოწმების შედეგად დადგინ-

და, რომ კომპანიის მიერ წარმოდგენილი სანიტარული ჭრის ტყე-კაფებში ფიქსირდებოდა ხარვეზები, კერძოდ, რიც ხეებზე დამლანუმერაცია არასწორად იყო დატანილი (მონიშვნა განხორციელებული იყო ფესვის ყელის ზემოთ და სხვ.). ამ აქტის საფუძველზე 2018 წლის 29 იანვრის №06/1936 წერილით კომპანიას მოეთხოვა კორექტირებული მასალების წარმოდგენა.

105. 2018 წლის 19 თებერვალს კომპანიამ სააგენტოს წერილით მიმართა, სადაც მიუთითა, რომ სანიტარული ჭრების ჩატარება ამ ეტაპზე დააჩქარებდა სახეობათა ცვლის პროცესს და გამოიწვევდა სავალალო შედეგებს. დაავადების პრევენციის მიზნით სანიტარული ჭრები უშედეგო იქნებოდა. კომპანია ასევე უთითებდა, რომ სანიტარული ჭრების განხორციელება ამ ეტაპზე აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

106. სააგენტოს 2018 წლის 21 მარტის №06/5711 წერილით კომპანიას ეცნობა, რომ სააგენტო რჩებოდა იგივე პოზიციაზე, რაც დააფიქსირა 2018 წლის 29 იანვრის წერილში. კომპანიამ 2018 წლის 2 აპრილს სააგენტოს დამატებით წარუდგინა მასალები და მიუთითა, რომ მის მიერ აღმოფხვრილი იყო სააგენტოს 2018 წლის 29 იანვრის №06/1936 წერილით დაფიქსირებული ხარვეზები. აღნიშნული წერილის საფუძველზე შემსყიდველმა კვლავ განახორციელა გასვლითი შემოწმებები და 2018 წლის 5 აპრილის აქტით დაადგინა, რომ ტყეკაფებში (ლიტერის ფარგლებში) აღრიცხული იყო სხვადასხვა ჯიშის ყველა ზეხმელი, ფაუტი დაზიანებული ხეები, ასევე, ძირნაყარი. ტყეკაფებში აღრიცხვის სამუშაოები შესრულებული იყო კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, ტყეკაფში არ იყო აღრიცხული ხმობადი ხეები.

107. სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფის 2018 წლის 24 მაისის აქტის თანახმად, ჯგუფის მიერ შერჩევით ნანახი იქნა ხელშეკრულების შესაბამისად, სამუშაო გეგმით გათვალისწინებული შპს „დ. ვ-ს“ ყოფილ სამოქმედო ტერიტორიაზე – კვარტლებში არსებული კორომების სანიტარული მდგომარეობა და მიჩნეულ იქნა, რომ „ტყის მოვლისა და აღდგენის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №241 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, არ იყო მონიშნული ზეხმელი, ძლიერ ფაუტი და მავნებლებით ძლიერ დაავადებული ხეები. შესაბამისად, არ იყო მონიშნული სანიტარული ჭრის ტყეკაფები, რომელიც მხარეთა შორის 2017 წლის 08 ივნისის №1 ხელშეკრულების მე-2 ეტაპით იყო გათვალისწინებული. ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფის მიერ 2018 წლის 24 მაისს შედგენილ აქტში სააგენტოს წარმომადგენლებმა დააფიქსირეს ასევე ხარვეზი, რაც სანიტარული ჭრების სა-

ერთო მოცულობას ეხებოდა. აღნიშნულ აქტს არ დაეთანხმა მოპასუხე კომპანიის დირექტორი გ. ბ-ია.

108. 2018 წლის 4 ივნისის №06/04 წერილით სააგენტომ მოპასუხე კომპანიას აცნობა, რომ ვინაიდან, კომპანია არ ეთანხმებოდა სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფის მიერ 2018 წლის 24 მაისის აქტში გამოთქმულ შენიშვნებს და ხარვეზებს, ყოველგვარი დამატებითი ვადის განსაზღვრა მიმდინარე ეტაპზე შედეგის მომტანი არ იქნებოდა, რის გამოც, სააგენტო 2018 წლის 4 ივნისიდან ცალმხრივად წყვეტდა ხელშეკრულებას.

109. საკასაციო პალატა მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 12 ივლისის ბრძანებით შექმნილი იმერეთის რეგიონში „მელნისებური ავადმყოფობით“ გამოწვეული წაბლის ტყის კორუმების ძლიერ დეგრადაციასთან დაკავშირებული საკითხის შესწავლელი კომისიის 2018 წლის 31 ივლისის დასკვნას/რეკომენდაციას, რომლის სამართლებრივ მნიშვნელობას კასატორი სადავოდ ხდის (იხ., კასატორის პრეტენზია ამ გადაწყვეტილების პ. 77), თუმცა, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალში მტკიცების ტვირთის გადანაწილების სამართლიანი და ობიექტური სტანდარტი არსებობს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების თანახმად, სამართალწარმოება შეჯიბრებითობის საფუძველზე მიმდინარეობს. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან ეს ფაქტები, რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული. შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში სასამართლო შებოჭილია არა მარტო მხარეთა სასარჩელო მოთხოვნებისა თუ შესაგებლის ფარგლებით, არამედ მხარეთა მითითებებით, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს ამყარებს. ამ გარემოებათა დამტკიცება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით და ექსპერტთა დასკვნებით შეიძლება. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. მხარეებს მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების

ტვირთი თანაბრად ეკისრებათ.

110. განსახილველ საქმეზე დადგენილია, რომ სააგენტოს პრეტენზიები ეყრდნობა სააგენტოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში დაქვემდებარებულ ტყის ფონდში მიმდინარე ტყის ინვენტარიზაციის შესახებ 2017 წლის 18 ოქტომბრის აქტს (იხ., პ. 99), სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფის 2017 წლის 07 ნოემბრის აქტს (პ.100); ასევე მხარეთა მიმონერას (პპ: 101-106).

111. აღსანიშნავია, რომ კომპანია არ ეთანხმება სააგენტოს პრეტენზიებს (მაგ, სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფის 2018 წლის 24 მაისის აქტს არ დაეთანხმა მოპასუხე კომპანიის დირექტორი გ. ბია – პ.105). შესაბამისად, კომპანია უფლებამოსილია მისი მტკიცების ტვირთის ფარგლებში გააქარწყლოს სააგენტოს პრეტენზია მე-2-მე-3 ეტაპებით გათვალისწინებული სამუშაოებთან მიმართებით. ამასთან, ვინაიდან სააგენტოს პრეტენზიები ემყარება მისი ინიციატივით შექმნილი კომისიების აქტებს და მისივე წერილებს, რომლის სისწორესაც სადავოდ ხდიდა და სასამართლოშიც სადავოდ ხდის მოპასუხე კომპანია, ცხადია, მოპასუხის მიერ შეჯიბრებითობის პრინციპის ფარგლებში წარმოდგენილი მტკიცებულება მნიშვნელოვანია.

112. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოპასუხე კომპანიის 2018 წლის 4 ივნისის №06/04 წერილით დასმული საკითხის შესწავლის მიზნით კომისიამ იმსჯელა სატყეო სააგენტოს რიგი გადაწყვეტილებებისა და პროცესების მიზანშეწონილობაზე, მათ შორის, მიუთითა შემდეგი: „... კომისიისათვის გაუგებარი რჩება, რატომ არ გაითვალისწინა ინსპექტირების ჯგუფმა კომპანიის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, სადაც ახსნილი იყო ტყეკაფების მონიშვნის საფუძვლები, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კომპანიისათვის მიცემულ დავალებაში განსაზღვრული იყო მიზნობრიობა – სანიტარული ჭრისთვის ტყეკაფის მონიშვნა, რაც ამ უკანასკნელმა კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელა. კომისიამ ვერ მიიღო დასაბუთებული პასუხი, რა მიზანს ემსახურებოდა მთლიანი ტერიტორიის (5828 ჰა) მონიშვნის მოთხოვნა კომპანიისაგან და ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის მიზეზით ხარვეზის დადგენა. მხოლოდ ის არგუმენტი, რომ ხელშეკრულებით კომპანიას ევალებოდა 5 828 ჰა-ზე ტყეკაფის მონიშვნა, არ არის საკმარისი. კითხვაზე თუ რამდენად არის მიზანშეწონილი მთლიანობაში სააგენტოს ქმედებები და გაწეული ხარჯები, როგორც სააგენტო აცხადებს, უცხოელი ექსპერტების კვლევა მათი თხოვნით ჩატარდა, რომლის შედეგები საბოლოოდ მან არ გაიზიარა. ასევე არ გაიზიარა, თავად ამ კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია (რაც დიდ წილად ემთხვეოდა ზემოხსენებული კვლევის შედეგებს),

ამის პარალელურად სააგენტო აცხადებს, რომ შესაძლოა დამატებით სხვა ალტერნატიული კვლევები ჩაატაროს. მით უფრო, გაუგებარი ხდება, ასეთი თუნდაც მომავალში დაგეგმილი კვლევების გათვალისწინებლად ტყეკაფების მონიშვნის მოთხოვნა სრულ ტერიტორიაზე“. კომისიამ მიიჩნია, რომ 2018 წლის 24 მაისის ინსპექტირების ჯგუფის შედგენილი აქტი მიზანშეუწონელი და დაუსაბუთებელი იყო, არ იკვეთებოდა კონკრეტული არგუმენტები, რატომ ჩათვალა ჯგუფმა ისეთი გარემოება (მონიშნული ტყეკაფების მოცულობა), რომელიც კომპანიის მხრიდან დასაბუთებულად იყო ჩატარებული სპეციალური გამოკვლევის, სპეციალისტების დასკვნების მიხედვით და კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. კომისია დაეთანხმა ავსტრიის ტყის კვლევითი ცენტრის მიერ წარმოდგენილ კვლევასა და ასევე, ადგილობრივი სპეციალისტების (იგულისხმება მოპასუხე კომპანია) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ინფორმაციას ნაბლის დაავადებასთან დაკავშირებით ეფექტური მოვლითი ღონისძიებების თაობაზე. კომისიამ მიიჩნია, რომ საკითხი იყო ძალიან სენსიტიური და საჭიროებდა ფრთხილ მიდგომას. საქმეში არსებულმა ავსტრიელი სპეციალისტების კვლევამ და ადგილობრივი სპეციალისტების პოზიციამ ნათლად აჩვენა, რომ სანიტარული ჭრის გაუზრდელი დაგეგმვა მიზანშეუწონელი იყო და საჭიროებდა ხანგრძლივ დაკვირვებას. კომისიამ მიიჩნია, რომ 2017 წლის 08 ივნისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროს, რაც მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ სააგენტოს მიერ თავიდანვე არასწორად იქნა შეფასებული სამუშაოთა მოცულობა და ამ სამუშაოებისათვის საჭირო დრო, ასევე, მოპასუხე კომპანიამ ვერ შეაფასა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის საჭირო დრო და მონაწილეობა მიიღო ტენდერში. საბოლოოდ, კომისიამ წარმოადგინა შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები: ა) დაუსაბუთებელია სააგენტოს მიერ 5 828 ჰა-ზე ტყეკაფის მონიშვნის მოთხოვნა, ასევე სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფის 2018 წლის 24 მაისის აქტი; ბ) მართვის ორგანომ შეუფერხებლად გააგრძელოს მოვლის ღონისძიებები ავსტრიის ტყის კვლევითი ცენტრის მიერ შემოთავაზებული დასკვნებისა და ადგილობრივი სპეციალისტების მიერ წარდგენილი მდგომარეობის გათვალისწინებით. მართვის ორგანოს მიერ ნაბლნარი კორომების მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით, ნებისმიერი სახის მანიპულაცია უნდა მოხდეს მხოლოდ მეცნიერულად დადასტურებული კვლევების საფუძველზე.

113. დადგენილია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული

სამუშაო მოპასუხეს უნდა შეესრულებინა 4 ეტაპად, საიდანაც მე-2 ეტაპი მოიცავდა ორ ვალდებულებას: 2017 წელს ტყის მოვლის ღონისძიებების განხორციელების მიზნით შპს „დ. ვ-ს“ ყოფილ სამოქმედო ტერიტორიაზე (5 825 ჰა – სამოქმედო ტერიტორია) სანიტარული ჭრების ტყეკაფების აღრიცხვის მასალების მომზადებას და ძირნაყარი ხე-ტყის მონიშნული ტყეკაფების აღრიცხვის მასალების მომზადებას. მეორე ეტაპის სამუშაოები უნდა დასრულებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 კალენდარული დღეში, ანუ 2017 წლის 8 ოქტომბერს.

114. საქმეში წარმოდგენილი 2017 წლის 7 ნოემბრის აქტით ირკვევა, რომ 2017 წლის 7 ნოემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ მე-2 ეტაპის სამუშაოები შესრულებული იყო ნაწილობრივ, კერძოდ, წარმოდგენილი იყო ძირნაყარი ხე-ტყის აღრიცხვის მასალები, ხოლო სანიტარული ჭრების მონიშნული ტყეკაფების მასალები წარმოდგენილი არ იყო.

115. მოპასუხემ მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების დაზუსტებული მასალები სააგენტოს წარუდგინა 2017 წლის 11 დეკემბერს, რომელიც სააგენტომ 2017 წლის 23 დეკემბერს შეამოწმა. სააგენტოს 2017 წლის 23 დეკემბრის აქტით დგინდება, რომ 2017 წლის 11 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჯეროვნად ჰქონდა შესრულებული მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების ერთი ნაწილი – ძირნაყარი ხე-ტყის აღრიცხვის მასალების მომზადება და ხარვეზი დაუდგინდა მხოლოდ მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების იმ ნაწილს, რომელიც სანიტარული ჭრების მონიშნული ტყეკაფების მასალების მომზადებას ითვალისწინებდა. ამასთან, ხარვეზი მდგომარეობდა იმაში, რომ არასწორად იყო მარკირებული ხე-მცენარეები (რიგ ხეებზე დამლა-ნუმერაცია დაფიქსირებული იყო ფესვის ყელის ზემოთ).

116. კომპანიამ 2018 წლის 2 აპრილს სააგენტოს წარუდგინა მე-2 ეტაპის (მონიშნული სანიტარული ჭრების) კორექტირებული დოკუმენტაცია და მიუთითა, რომ მის მიერ აღმოფხვრილი იყო სააგენტოს 2018 წლის 29 იანვრის №06/1936 წერილით დაფიქსირებული ხარვეზი (ხემცენარეების არასწორი დამლა-ნუმერაცია). აღნიშნული წერილის საფუძველზე შემსყიდველმა კვლავ განახორციელა სამუშაოების საველე და დოკუმენტალური შემოწმება და 2018 წლის 5 აპრილის აქტით დაადგინა, რომ სანიტარული ჭრების ტყეკაფებში აღრიცხული იყო სხვადასხვა ჯიშის ყველა ზეხმელი, ფაუტი დაზიანებული ხეები, ასევე, ძირნაყარი. ტყეკაფებში აღრიცხვის სამუშაოები შესრულებული იყო კანონმდებლობის შესაბამისად. თუმცა, ტყეკაფში არ იყო აღრიცხული ხმობადი ხეები.

117. სააგენტოს 2018 წლის 29 იანვრის №06/1936 წერილი, რომ-

ლითაც მოპასუხეს მიეთითა გამოსასწორებელი ხარვეზი, ხმობადი ხეების სანიტარული ჭრებისათვის აღრიცხვის შესახებ მითითებას არ შეიცავდა.

118. ამდენად, სააგენტოს 2018 წლის 5 აპრილის აქტით დგინდება, რომ კომპანიამ 2018 წლის 2 აპრილისათვის გამოსასწორა სააგენტოს 2018 წლის 29 იანვრის №06/1936 წერილით დადგენილი ხარვეზი, თუმცა, სააგენტომ მიიჩნია, რომ შესრულება კვლავ ნაკლები იყო და შესრულების ნაკლი მდგომარეობდა მასში, რომ სანიტარული ჭრების ტყეკაფში არ იყო აღრიცხული ხმობადი ხეები. ხოლო, 2018 წლის 24 მაისის აქტში სააგენტომ მიუთითა, რომ მოპასუხეს არ ჰქონდა მონიშნული ზეხმელი, ძლიერ ფაუტი და მავნებლებით ძლიერ დაავადებული ხეები შპს „დ. ვ-ს“ ყოფილ მთელ სამოქმედო ტერიტორიაზე (5825 ჰა ფართობი), რაც სააგენტოს პირდაპირ ინტერესს წარმოადგენდა.

119. სანიტარული ჭრების ტყეკაფში ხმობადი ხეების აღურიცხაობის საფუძველად მოპასუხე კომპანიამ მიუთითა შემდეგი გარემოებები: სადავო ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანიამ განახორციელა ტყის დეტალური ინვენტარიზაცია და ფიტოპათოლოგიური კვლევა, რის საფუძველზეც სრულად 5 825 ჰა ფართობზე საითთაოდ ტყის უბნების მიხედვით დაიგეგმა ტყის აღდგენა-განახლების (გადარჩენის) სატყეო სამეურნეო ღონისძიებები გაბატონებული სახეობების გათვალისწინებით. ამ ღონისძიებების წესხაში ერთ-ერთ ღონისძიებად დადგენილია სანიტარული ჭრა, რისთვისაც ხორციელდება მოსაჭრელი ხეების აღრიცხვის და მონიშვნის სამუშაოები (ტყეკაფის მონიშვნა დოკუმენტირება).

120. ხელშეკრულებისა და ტექნიკური დავალების მიხედვით კომპანიას 5 825 ჰა ფართობზე უნდა შეესწავლა ტყის მდგომარეობა და მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით და დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა აღერიცხა და მოენიშნა სანიტარული ჭრით მოსაჭრელი ხეები (სანიტარული ტყეკაფის მონიშვნა-დოკუმენტირება). ამასთან, უნდა დაედგინა ამ ღონისძიების განხორციელების აუცილებლობა, როგორც ეს მოთხოვნილია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს „ტყის მოვლისა და აღდგენის წესის შესახებ“ №241 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე („ე“) სანიტარული ჭრა – უნდა განხორციელდეს სპეციალური გამოკვლევისა და წინასწარი აღრიცხვის საფუძველზე კორომების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობის შემთხვევაში და გულისხმობს განსაზღვრული უბნის ტერიტორიაზე ზეხმელი, ხმობადი, ძლიერ ფაუტი და მავნებლებით ძლიერ დაუზიანებული – ხეების მოჭრას“). სანიტარული მდგო-

მარეობის გაუმჯობესების აუცილებლობა გულისხმობს ტყის ჯან-სალი ნაწილის გადარჩენას დაავადებული ხეების მექანიკური მო-შორების (სანიტარიული ჭრა) გზით. იმის გათვალისწინებით, რომ ნაბლის სახეობის ხე-მცენარეები სამოქმედო ტერიტორიაზე 100% დაზიანებულია (დაავადებულია) ნაბლის კიბოთი და დაავადების ხა-რისხი ვარირებს ძლიერიდან – საშუალომდე სანიტარიული ჭრე-ბის, როგორც პირველი რიგის სატყეო სამეურნეო ღონისძიებად დაგეგმვის დასაბუთებული აუცილებლობა არ არსებობს, რაც დას-ტურდება ნაბლის დაავადების მართვის თანამედროვე პრაქტიკით და მათ შორის შემსყიდველის მიერ დაქირავებული ავსტრიელი ექ-სპერტების ექსპერტიზის დასკვნით (იხ: შესაგებლის დანართი: 6). აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა მომზადდა უშუალოდ ხელშეკ-რულებით განსაზღვრული 5 825 ჰა ფართობის შესწავლაზე დაყ-რდნობით და დასკვნით ნაწილში სანიტარიული ჭრა შეფასებულია როგორც ნაბლის ტყის გადარჩენის კონტრპროდუქტიული ღონის-ძიება. შესაბამისად, კომპანია ვალდებულია შესრულებას მო-ეკიდა განსაკუთრებული სიფრთხილით. სანიტარიული ჭრა, რო-გორც ტყის მოვლის ღონისძიება დაიგეგმა და განხორციელდა (სა-ნიტარიული ჭრის ტყეკაფების მონიშვნა) მხოლოდ 144,8 ჰა ფარ-თობზე და მხოლოდ ისეთ კორომებში, სადაც ღონისძიებას ექნე-ბოდა შედეგი.

121. ყოველივე ზ/აღნიშნული გამორიცხავდა სატყეო-სამეურ-ნეო ღონისძიების დაგეგმვის გარეშე სანიტარიული ჭრის ტყეკა-ფების მონიშვნის შესაძლებლობას ან აუცილებლობას. ამასთანა-ვე, არც ხელშეკრულებით და არც ტექნიკური დავალებით არ გან-საზღვრულა მოსანიშნი ტყეკაფების ფართობი (ან მოცულობა) და განისაზღვრა მხოლოდ სამოქმედო ტერიტორია 5 825 ჰა ოდენო-ბით. ამასთან, ამ ფართობზე დაავადებული ნაბლის ტყის კორომე-ბი შეადგენს დაახლოებით ნახევარს ანუ 2 900 ჰა-ს და გაურკვევ-ლია რის საფუძველზე ითხოვდა შემსყიდველი მთელი ფართობის მონიშვნას, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ მხოლოდ 2018 წლის 24 მაისის აქტში დააფიქსირა ინსპექტირების ჯგუფმა სანი-ტარიული ჭრის ტყეკაფების ფართობების სიმცირესთან დაკავში-რებული პრეტენზია-ხარვეზი. თავად სააგენტოს ინიციატივით მოწვეული ავსტრიელი ექსპერტების მიერ მომზადებულ დასკვნა-ში დაფიქსირდა, რომ შესაძლებელია ნაბლის კორომების გადარჩე-ნა დაავადების მართვის გზით და ნებისმიერი სანიტარული ჭრების განხორციელება, სპეციალური ლაბორატორიული კვლევის გარე-შე, დაავადებასთან ბრძოლაში კონტრპროდუქტიულად არის მიჩ-ნეული. იმ გარემოების შესაფასებლად, დაარღვია თუ არა მოპასუ-ხე კომპანიამ სანიტარული ჭრებისთვის ხმობადი ხეების აღრიც-

ხვის განუხორციელებლობით მომსახურების მე-2 ეტაპით გათვალისწინებული ვალდებულება, მხედველობაში იქნა მიღებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმერეთის რეგიონში „მელნისებური ავადმყოფობით“ გამოწვეული ნაბლის ტყის კორომების ძლიერ დეგრადაციასთან დაკავშირებული საკითხის შემსწავლელი კომისიის 2018 წლის 31 ივლისის დასკვნა, რომლითაც დარგის კომპეტენტური სპეციალისტებით დაკომლექტებული კომისია დაეთანხმა ავსტრიის ტყის კვლევითი ცენტრის მიერ წარმოდგენილ კვლევასა და ასევე, კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ინფორმაციას ნაბლის დაავადებასთან დაკავშირებით ეფექტური მოვლითი ღონისძიებების თაობაზე. კომისიამ მიიჩნია, რომ საკითხი იყო ძალიან სენსიტიური და საჭიროებდა ფრთხილ მიდგომას. კომისიის დასკვნის თანახმად, საქმეში არსებულმა ავსტრიელი სპეციალისტების კვლევამ და ადგილობრივი სპეციალისტების (შპს „მ“-ის) პოზიციამ ნათლად აჩვენა, რომ სანიტარული ჭრის გაუაზრებელი დაგეგმვა მიზანშეუწონელი იყო და საჭიროებდა ხანგრძლივ დაკვირვებას, კერძოდ, კომისიამ, სადავო საკითხის დეტალური შესწავლის შედეგად, დასკვნისა და რეკომენდაციის სახით დაადგინა: ა) დაუსაბუთებელია სააგენტოს მიერ 5 828 ჰა-ზე ტყეკაფის მონიშვნის მოთხოვნა, ასევე, სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფის 2018 წლის 24 მაისის აქტი; ბ) მართვის ორგანომ შეუფერხებლად გააგრძელოს მოვლის ღონისძიებები ავსტრიის ტყის კვლევითი ცენტრის მიერ შემოთავაზებული დასკვნებისა და ადგილობრივი სპეციალისტების მიერ წარმოდგენილი მიდგომების გათვალისწინებით. მართვის ორგანოს მიერ ნაბლნარი კორომების მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით, ნებისმიერი სახის მანიპულაცია უნდა მოხდეს მხოლოდ მეცნიერულად დადასტურებული კვლევების საფუძველზე.

122. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს იმ ნაწილში, რომ ზ/აღნიშნული დასკვნით კომისიურად არის განმტკიცებული კომპანიის პოზიცია იმის შესახებ, რომ მე-2 ეტაპით გათვალისწინებული „სამუშაოების დახარვეზება“ (2018 წლის 24 მაისის აქტით) სააგენტოს მხრიდან იყო დაუსაბუთებელი, რაც სააგენტოს 2018 წლის 24 მაისის აქტს არალეგიტიმურად აქცევდა. დამკვეთმა კი, 2018 წლის 4 ივნისის წერილით სწორედ, 24.05.2018 წლის აქტით გათვალისწინებული ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვიტა. კომპანიის აღნიშნული პოზიცია მე-2 და მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოებთან დაკავშირებით (იხ: გადანყევტილების 37-ე ფაქტობრივი გარემოება) ასევე დასტურდება საქმეში წარმოდგენილი ავსტრიელი ექსპერტების დასკვნითაც, რომელიც ადასტურებს საა-

გენტოს მხრიდან ხელშეკრულების ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტის დაუსაბუთებლობას. შესაბამისად, მოპასუხის მიერ მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების ფარგლებში სანიტარული ჭრის ტყეკაფებში ხმობადი ხეების აღურიცხავობა არ უნდა შეფასდეს შესრულების ხარვეზად, რადგან კომპანიის სახელშეკრულებო ვალდებულებას წარმოადგენდა დაავადებული ნაბლნარი ტყეების აღდგენა-განახლების პროგრამის ფარგლებში არსებული მდგომარეობის შესაფასებლად საპროექტო ტერიტორიის სპეციალური გამოკვლევა და ტყის ეკოსისტემის აღდგენის პროექტის შემუშავება (იხ: ხელშეკრულების პირველი მუხლი), რომლის ფარგლებშიც კომპანიამ მიიჩნია, რომ ხმობადი ნაბლის ხეების სანიტარული ჭრის ღონისძიება იყო გაუმართლებელი. მოპასუხის ამგვარი პოზიცია გაზიარებულია როგორც უცხოელი (ავსტრიელი) სპეციალისტების, ისე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმერეთის რეგიონში „მელნისებური ავადმყოფობით“ გამოწვეული ნაბლის ტყის კორომების ძლიერ დეგრადაციასთან დაკავშირებული საკითხის შემსწავლელი კომისიის 2018 წლის 31 ივლისის დასკვნით.

123. ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მე-2 და მე-3 ეტაპებით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებულად უნდა ჩაითვალოს 2018 წლის 2 აპრილს, როდესაც კომპანიამ გამოასწორა სააგენტოს 2018 წლის 29 იანვრის №06/1936 წერილით დადგენილი ხარვეზი და მოსარჩელეს კორექტირებული მასალები წარუდგინა.

124. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, და-

ვასკენათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამოორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

125. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს მხარისათვის განჭვრეტადი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადაწყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე Seryavin and Others v. Ukraine §§ 55-62).

126. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, განაპირობებს მის სამართლებრივ მოწესრიგებას სსკ-ის 629 I, 636-ე და 648-ე მუხლების საფუძველზე.

127. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს სამუშაოს შესრულების ტიპის ისეთ ხელშეკრულებას, როგორიცაა ნარდობა. ნარდობის ხელშეკრულება, ნასყიდობის ხელშეკრულების მსგავსად, ერთერთი ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული ხელშეკრულებაა სასაქონლო-ფულად ფასეულობათა ბრუნვის სფეროში. ნარდობის ხელშეკრულება აწესრიგებს

უშუალოდ წარმოების პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს, რადგან იგი დაკავშირებულია მენარდის ვალდებულებასთან – შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო და გადასცეს შემკვეთს შეთანხმებული საზღაურის მიღების პირობით შესრულებული სამუშაოს შედეგი (იხ. დამატებით: ზ. ძლიერიშვილი, წარდობის ხელშეკრულება, თბილისი, 2016, გვერდი 26).

128. სსკ-ის 629-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, წარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარდობა, როგორც სამუშაოს შესრულების ტიპის ხელშეკრულება, არის კონსენსუალური, ორმხრივი და სასყიდლიანი ხელშეკრულება. (მდრ: სუსგ №ას-240-2023, 21 მარტი, 2023 წ. პ.10).

129. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წარდობა დაკავშირებულია მენარდის ვალდებულებასთან – შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო და გადასცეს შემკვეთს შეთანხმებული საზღაურის მიღების პირობით შესრულებული სამუშაოს შედეგი. შემკვეთი კი სსკ-ის 648-ე მუხლის თანახმად, მოვალეა გადაუხადოს მენარდეს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ, თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ნაწილ-ნაწილ გადახდას“ (მდრ: სუსგ №ას-1522-2019, 12 თებერვალი, 2021 წელი, პ.34.).

130. საკასაციო პალატას მიაჩნია, კასატორს არ აქვს წარმოდგენილი დასაშვები (დასაბუთებული) საკასაციო პრეტენზია (მდრ: სუსგ №ას-1504-2022, 10 მარტი, 2023 წელი, პპ: 40-43) მე-2-მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისა და მათი ღირებულების ანაზღაურების ნაწილში. შესაბამისად, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს წინამდებარე გადაწყვეტილების პპ.55-56-ში განვითარებულ სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ ამ ნაწილში სააგენტოს წარმოეშვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით (ჯამური ღირებულება ორივე ეტაპისთვის 81 124.40 ლარს შეადგენს) ანაზღაურების ვალდებულება.

131. რაც შეეხება, პირგასამტეხლოს ნაწილში წარმოდგენილ საკასაციო პრეტენზიას, კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას პირგასამტეხლოს შემცირების ნაწილში და აღნიშნავს, რომ მოპასუხის მხრიდან სახეზეა ვალდებულების დარღვევა (არაჯეროვანი შესრულება და ვადაგადაცილება), რაც ხელშეკრულების მე-11 მუხლის 11.1, 11.2 პუნქტების საფუძველზე წარმოშობს მოპასუხე კომპანიისათვის პირგასამტეხლოს დარიცხვის წინაპირობებს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდე-

ნობით და არაჯეროვანი შესრულებისთვის ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, რამაც საერთო ჯამში შეადგინა, 43419.21 ლარი.

132. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, კასატორმა წარმოადგინა ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, შემდეგ გარემოებათა გამო:

133. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 417-ე მუხლი (პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის).

134. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემოწმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

135. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსი აღიარებს და ეფუძნება „pacta sunt servanda-ს“ (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს) პრინციპს, რომლის თანახმად ხელშეკრულების მხარემ, რომელმაც იკისრა ვალდებულება, უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით მისივე ნებით შეთანხმებული უფლებამოვალეობები. სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა. სამოქალაქო კანონმდებლობა ვალდებულების დარღვევის პრევენციისათვის ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით სამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც ვალდებულების შესრულებას ემსახურებიან და რომელთა შერჩევა მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. ასეთ საშუალებათა რიგს განეკუთვნება ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება პირგასამტეხლო (შდრ. სუსგ №ას-1079-2019, 30 სექტემბერი, 2019).

136. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლო წარ-

მოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა (შდრ. სუსგ №ას-1451-1371-2017, 13 ნოემბერი, 2018; №ას-848-814-2016, 28 დეკემბერი, 2016).

137. ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება. პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად (შდრ. სუსგ №ას-428-428-2018, 13 ივლისი, 2018; №ას-1158-1104-2014, 06.05.2015; №ას-1265-1187-2015, 10.02.2016).

138. საკასაციო პალატამ არაერთ გადანყევტილებაში განმარტა, რომ: „პირგასამტეხლოს მიზანია ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების დარღვევის თავიდან აცილება, ხოლო ვალდებულების დარღვევის პირობებში ე.წ. „პრეზუმირებული მინიმალური ზიანის“ ანაზღაურების უზრუნველყოფა, რაც, რაღა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ფაქტობრივი ზიანის ეკვივალენტ ფულად თანხას და არც ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას ემსახურება“ (შეადრ: სუსგ №ას-1597-2019, 13 დეკემბერი, 2019

ნელი).

139. პირგასამტეხლოს მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვევის როგორც იდენტიფიცირება, ისე მისი დადგენა შესაძლებელი, ხოლო ასეთი მოთხოვნის დაყენება კი არ უნდა მოდიოდეს შეუსაბამობაში საკანონმდებლო დანაწესებთან. პირგასამტეხლოს მოთხოვნის თვალსაზრისით ყურადსაღებია მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის საკითხი. ვალდებულების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს როგორც ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებაში, ასევე ვალდებულების შეუსრულებლობაში. პირგასამტეხლოს დაკისრებისათვის ვალდებულების დარღვევა (შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება) აუცილებლად მოვალის ბრალეულობით უნდა იქნეს გამოწვეული. თუ არ დადგინდება მოვალის ბრალი, მაშინ მის მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნასაც არ ექნება სამართლებრივი საფუძველი (იხ. სერგი ჯორბენაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 417, ველი 23-26). პირგასამტეხლოს დაკისრება ხდება ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. შესაბამისად, პირგასამტეხლოს დაკისრება მოაზრებულია მხოლოდ ძირითადი ან/და დამატებითი ვალდებულების დარღვევისას (იხ. გიორგი ვაშაქიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებაზე სისტემა, თბილისი, 2010, გვერდი. 232). მტკიცების ტვირთის განაწილების მხრივ კრედიტორმა უნდა ამტკიცოს ვალდებულების დარღვევა და პირგასამტეხლოს თაობაზე წერილობითი შეთანხმების არსებობა, ხოლო მოვალის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს ვალდებულების ჯეროვანი შესრულება ან მისი ბრალეულობის გამორიცხვა. (იხ. ქეთევან მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020, გვერდი 93).

140. საკასაციო პალატა დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტავს, რომ პირგასამტეხლოზე უფლება აქცესორული უფლებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს პირგასამტეხლო ძირითადი უფლების გარეშე. პირგასამტეხლო ძირითადი უფლების სამსახურშია. ამიტომაც დაუშვებელია პირგასამტეხლოს მოთხოვნის განხორციელება ძირითადი უფლების გარეშე (იხ. ქეთევან მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020, გვერდი 89). პირგასამტეხლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული (იხ: ირაკლი რობაქიძე, სახელმეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014წ., გვ. 590).

141. პირგასამტეხლოს აქცესორული ბუნება განაპირობებს იმ

ფაქტსაც, რომ მისი დაკისრების წინაპირობას წარმოადგენს მოვალის მიერ ვალდებულების ბრალეულად დარღვევა. პირგასამტეხლო უსაგნო იქნება, როცა მოვალის ბრალის გარეშე ვალდებულება ვერ შესრულდება ან ხელშეკრულება გაუქმდება. პირგასამტეხლოთი ვალდებულების უზრუნველყოფა სულაც არ ცვლის პასუხისმგებლობის საერთო საფუძველს. ამიტომაცაა, რომ თუკი ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, მაშინ მას არც პირგასამტეხლოს გადახდა დაეკისრება (იხ. ლადო ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, მუხლი 417, თბილისი, 2001, გვ. 489-490; ქეთევან მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020, გვერდი 89; სუსგ 31 მაისი, 2022 წ. საქმე №ას-1006-2021, პ.17).

142. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ კომპანიას მე-2 ეტაპის სამუშაოები უნდა დაესრულებინა 2017 წლის 8 ოქტომბერს, ხოლო მე-3 ეტაპის სამუშაოები 30 დღის შემდეგ, ანუ 2018 წლის 09 ნოემბერს. დადგენილია, რომ 2017 წლის 8 ოქტომბრიდან 2018 წლის 02 აპრილამდე ვადაგადაცილებულ დღეთა რაოდენობა შეადგენს 174 დღეს და ხელშეკრულების 11.1 პუნქტით დადგენილი პირგასამტეხლოს დაანგარიშებაც, სწორედ, აღნიშნულ პერიოდზე უნდა მოხდეს, რაც განსახილველ შემთხვევაში, 7 057.80 ლარს შეადგენს ($40562.2\text{-ის } 0.1\% * 174 \text{ დღეზე}$). ასევე, დადგენილია, რომ მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაგადაცილება (2017 წლის 09 ნოემბრიდან 2018 წლის 02 აპრილამდე) შეადგენს 144 დღეს, რომლის გათვალისწინებითაც ხელშეკრულების 11.1 პუნქტით დადგენილი პირგასამტეხლოს ოდენობა 5 840.95 ლარს ($40562.2\text{-ის } 0.1\% * 144 \text{ დღეზე}$) შეადგენს. ჯამში, მე-2 და მე-3 ეტაპებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაგადაცილებისათვის პირგასამტეხლოს ოდენობა 12 898.75 ლარს შეადგენს (იხ. წინამდებარე გადანწყვეტილების პპ.57-58).

143. მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაგადაცილებისა და არაჯეროვანი შესრულებისათვის კომპანიისათვის დაკისრებულ პირგასამტეხლოსთან (6 103.48 ლარი + 737.492 ლარი) დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ ყურადღება გამახვილა იმ გარემოებაზე, რომ, რადგან ნარდობის ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი თავად შემკვეთი იყო, კომპანიას ამ ნაწილში, პირგასამტეხლო საერთოდ არ უნდა დაკისრებოდა, თუმცა, ვინაიდან გადაწყვეტილება აღნიშნულ ნაწილში კომპანიას სააპელაციო საჩივრით არ გაუსაჩივრებია, სააპელაციო პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის საფუძველზე, ვერ გადასინჯა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა

აღნიშნულ ნაწილში. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 420-ე, 417-ე, 418-ე მუხლების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე აღნიშნა, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სააგენტოს ვალდებულების შეუსრულებლობით რაიმე ზიანი არ მისდგომია, კომპანიას არამართლზომიერად დაეკისრა მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების ვადაგადაცილებისათვის პირგასამტეხლო (6013.48 + 737.49 ლარი).

144. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მე-2 და მე-3 ეტაპებით გათვალისწინებული სამუშაოების ვადაგადაცილებისათვის პირგასამტეხლოს სახით 12 898.75 ლარის მოთხოვნა არაგონივრულია და სახეზეა პირგასამტეხლოს, როგორც შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის, შემცირების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი. ამ ნაწილში, პირგასამტეხლოს სახით მოპასუხისთვის 5 000.00 ლარის დაკისრება სრულად უზრუნველყოფს შესასრულებელი ვალდებულების დარღვევისათვის გონივრული, პროპორციული და სამართლიანი პირგასამტეხლოს ფუნქციის შესრულებას და შეესაბამება მოპასუხის მიერ დაგვიანებით შესრულებელი ვალდებულებისათვის პასუხისმგებლობის სახით დაწესებულ საზღაურს. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი, რომლითაც სააგენტოს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხე კომპანიას დაეკისრა პირგასამტეხლო – 17 263.95 ლარის ოდენობით, მოპასუხის მიერ გასაჩივრებული იყო ნაწილობრივ, 9 775.49 ლარის ნაწილში; ამდენად, გადაწყვეტილება მოპასუხეს არ გაუსაჩივრებია 7 488.46 ლარის ნაწილში (17 263.95 – 9 775.49). აღნიშნულისა და ამ გადაწყვეტილების ზემოთ მითითებულ პუნქტში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, კომპანიისათვის სააგენტოს სასარგებლოდ დაკისრებული პირგასამტეხლოს საბოლოო ოდენობა სააპელაციო სასამართლომ 12 488.46 ლარით (7 488.46 + 5 000.00) განასაზღვრა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პპ. 60-62).

145. კასატორი სადავოდ ხდის სასამართლოს მიერ სსკ-ის 420-ე მუხლის გამოყენების მართებულობას. შესაბამისად, საკასაციო პალატა ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობას შეაფასებს მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით, კერძოდ, რამდენად არსებობდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შემცირების კანონით გათვალისწინებული წინაპირობა.

146. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 420-ე მუხლის მიხედვით, პირგასამტეხლოს შემცირების უფლება სასამართლოს აქვს მინიჭებული. ეს ის იშვიათი გამოწვევის შემთხვევაა, როდესაც კანონი სახელშეკრულებო თავისუფლებაში ჩარევას დასაშვებად

მიიჩნევს, თუმცა, ამგვარი ჩარევა გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება (იხ. ს. ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2019 წელი, გვ. 800). კანონის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად, მაღალი პირგასამტეხლო არ მცირდება. შემცირებას მხოლოდ „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლო ექვემდებარება. პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია თუ არა, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება. ამასთან, შეფასების მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება პირგასამტეხლოს აშკარა შეუსაბამობა ვალდებულების დარღვევის შედეგებთან, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს პირგასამტეხლოს განსაკუთრებით მაღალი პროცენტიდან, ზიანის უმნიშვნელო ოდენობიდან, და ა.შ. მნიშვნელობა ენიჭება ნაკისრი ვალდებულების დარღვევაში მოვალის ბრალის ხარისხსაც, აგრეთვე გასათვალისწინებელია მოვალის ეკონომიკური მდგომარეობა. თუ მოსამართლე მივა იმ დასკვნამდე, რომ პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, იგი შეამცირებს მას იმ ოდენობამდე, რომელსაც ვალდებულების დარღვევის თანაზომიერად და სამართლიანად მიიჩნევს (შდრ. ირაკლი რობაქიძე, სახელშეკრულებო სამართალი, თანაავტორობით, თბილისი, 2014, გვ. 604, 605.).

147. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს შემცირება არ გულისხმობს მის გაუქმებას. პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველია, ერთი მხრივ, ის, რომ კრედიტორი პირგასამტეხლოს მიღებით არ გამდიდრდეს და მოვალეს არ დაანევს მძიმე ტვირთად პირგასამტეხლოს გადახდა, (შესაბამისად, პირგასამტეხლო არ იქცეს ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებად), ხოლო მეორე მხრივ კი, – პირგასამტეხლო იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირნონე და გონივრული. აღნიშნულში მოიაზრება სახელშეკრულებო თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება. აღსანიშნავია, რომ პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებათა ყოველმხრივი შეფასების შედეგად დგინდება და რაიმე განსხვავებული სტანდარტი, რომელიც განაზოგადებს პირგასამტეხლოს მათემატიკურ მაჩვენებელს სასამართლო პრაქტიკით არ არის დადგენილი. სასამართლომ უნდა დაიცვას ის სამართლიანი ბალანსი, რომელიც სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების დარღვევას მოჰყვა.

148. იმისათვის, რომ სასამართლომ შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, კრედიტორის მოთხოვნა პირგასამტეხლოს გადახდაზე წარმოშობილი უნდა იყოს, ე.ი. ძირითადი ვალდებულებ-

ბა უნდა იქნეს დარღვეული. პირგასამტეხლოს შემცირება მის წარმოშობამდე ანუ ძირითადი ვალდებულების დარღვევამდე, დაუშვებელია (შდრ. Friesecke, in Palandt, BGB Komm., 78 Aufl., 2018., §343, Rn.5). სწორედ დარღვევის მომენტიდან ეკისრება მოვალეს პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება და სწორედ ამ მომენტიდან ხდება იგი შესასრულებლად მძიმე ან შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. გარდა ამისა, სსკ-ის 420-ე მუხლის გამოყენებისათვის აუცილებელ წინაპირობად გვევლინება ის გარემოება, რომ პირგასამტეხლო არ უნდა იყოს უკვე გადახდილი მოვალის მიერ. უკვე გადახდილი პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ, გამოირიცხულია. აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოვალის მხრიდან პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნას ეფუძნება სწორედ იმას, რომ დაკისრებული პირგასამტეხლო შესასრულებლად მძიმეა მოვალისათვის. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მოვალე ნებაყოფლობით იხდის პირგასამტეხლოს, ამ გადახდით იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პირგასამტეხლო მას შეუსაბამოდ მაღლად არ მიაჩნია (შდრ. სუსგ №ას-1527-2018, 31 იანვარი, 2019 წელი).

149. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 420-ე მუხლის დანაწესი იმპერატიულია, შესაბამისად, მხარეებს არ გააჩნიათ უფლებამოსილება, თავიანთი შეთანხმებით გამორიცხოონ იგი. სსკ-ის 420-ე მუხლით გათვალისწინებული მოწესრიგება, არ გამოიყენება კანონით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოსთან მიმართებით.

150. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლო პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე, მოპასუხის მიერ დაყენებული მოთხოვნის საფუძველზე მსჯელობს. ასეთი მოთხოვნა შეიძლება მითითებული იქნეს, როგორც შესაგებელში, ასევე პირველ ინსტანციაში საქმის მომზადების დამთავრებამდე მოპასუხის მიერ აღძრულ შუამდგომლობაში. (შდრ: სუსგ №ას-576-2022, 7 ივლისი, 2022 წელი). ცალკეულ შემთხვევებში ასეთი მოთხოვნის დაყენება სარჩელითაცაა შესაძლებელი, მაგალითად, ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში ცვლილებების შეტანა (პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება). პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე მოთხოვნის დაყენებასთან ერთად, მხარემ უნდა დაასაბუთოს, რას ეფუძნება ასეთი მოთხოვნა, ანუ მტკიცების ტვირთი პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირების თაობაზე, ეკისრება ვალდებულ პირს (მოვალეს) (იხ. სუსგ №ას-888-2020, 10 დეკემბერი, 2020).

151. როგორც ვალდებულების დარღვევის მნიშვნელობა, სახელშეკრულებო ინტერესის შინაარსისა და ფარგლების განმარტება და დადგენილ პირგასამტეხლოს ოდენობასთან მისი ადეკვატურობა

(კრედიტორის მტკიცების ტვირთი), ისე ვალდებულების დარღვევის ხარისხის შეუსაბამობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან (მოვალის მტკიცების ტვირთი), არის უმნიშვნელოვანესი შეფასებითი კატეგორიები, რომელზეც თავად მხარეებმა უნდა შეუქმნან მოსამართლეს დასაბუთებული წარმოდგენა და მიანიჭონ მას მხარეთა ნების განმარტების შესაძლებლობა (იხ: ნათია ჩიტაშვილი, პირგასამტეხლოსა და ზიანის მოთხოვნათა სახელშეკრულებო ინტერესის უზრუნველყოფი ფუნქცია. შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020, გვ. 17; ასევე იხ.: სუსგ №ას-827-2021, 03.12.2021წ.).

152. პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველია, ერთი მხრივ, ის რომ კრედიტორი პირგასამტეხლოს მიღებით არ გამდიდრდეს და მოვალეს არ დააწევს მძიმე ტვირთად პირგასამტეხლოს გადახდა (შესაბამისად, პირგასამტეხლო არ იქცეს ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებად), ხოლო მეორე მხრივ კი – პირგასამტეხლო იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირწონე და გონივრული. აღნიშნულში მოიაზრება სახელშეკრულებო თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება (შდრ: სუსგ №ას-186-2021, 25.03.2021წ.; სუსგ №ას-535-2021, 29.10.2021წ.).

153. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პირგასამტეხლო, უპირველესად, კრედიტორის ინტერესების უზრუნველყოფი საკანონმდებლო მექანიზმია, რომელიც კრედიტორის სახელშეკრულებო რისკებს ამცირებს, თუმცა იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული კრედიტორის მხრიდან ამ ინსტიტუტის ფარგლებში უფლების ბოროტად გამოყენება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაფასებელი და ამავდროულად დასაცავი ღირებულებაა სახელშეკრულებო წონასწორობა/ბალანსი, ერთი მხრივ, პირგასამტეხლოს, როგორც სახელშეკრულებო თავისუფლების გამოხატულებას და, მეორე მხრივ, მოვალის დაცვას, როგორც ამ თავისუფლების ლეგიტიმურ შეზღუდვას შორის. ამდენად, პირგასამტეხლოს იურიდიული ძალა მხოლოდ მაშინ აქვს, თუ ის ამავდროულად უზრუნველყოფს მოვალის გონივრული ფარგლებით დაცვას (შდრ: სუსგ №ას-1336-2019, 30 მარტი, 2022; №ას-1928-2018, 31 ოქტომბერი, 2019 წ.).

154. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მოპასუხის შესაგებებლზე, სადაც მოპასუხე მიუთითებს, რომ „მოსარჩელე ვერ ახდენს კონკრეტიზაციას, თუ რა ფარგლებში იქნა მოპასუხის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულება არაჯეროვნად შესრულებული, ამასთან დაუსაბუთებელია პირგასამტეხლოს გაანგარიშების მეთოდიკა. საერთოდ ბუნდოვანი და დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრების მართლზომიერება-

სა და ოდენობასთან დაკავშირებით, კერძოდ, დაუსაბუთებელია ვადაგადაცილებული დღეების დათვლის კრიტერიუმები. ამასთან, არაა წარმოდგენილი პირგასამტეხლოს გამოთვლის მეთოდიკა, შესაბამისად, ასეთ მოცემულობაში მოპასუხე მოკლებულია შესაძლებლობას შეედავოს მოსარჩელეს პირგასამტეხლოს ოდენობის ნაწილში. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა დაუსაბუთებელი, უსაფუძვლოა და არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

155. საკასაციო პალატა ყურადღება გაამახვილებს მყარად დადგენილ სასამართლო პრაქტიკაზე, კერძოდ, როდესაც ხელშეკრულების მხარე არის მენარმე სუბიექტი, მისი პასუხისმგებლობის ხარისხი ბევრად აღემატება ფიზიკური პირის პასუხისმგებლობის ხარისხს, რომელიც შესაძლებელია იყოს ხელშეკრულების სუსტი მხარე, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას ვერ აცნობიერებს პირგასამტეხლოს შინაარსს და მის თანმდევ სამართლებრივ შედეგს. ამდენად, როდესაც საკითხი ეხება მენარმე სუბიექტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას, დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა არ უნდა იყოს მინიმალური ოდენობის. განსახილველ შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს მენარმე სუბიექტი, რომელიც თავისუფალი და გაცნობიერებული ნების გამოვლენის საფუძველზე დათანხმდა პირგასამტეხლოს კონკრეტულ ოდენობას და როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობაში კონტრაპირებულ მენარმე სუბიექტს, მისი სტატუსიდან გამომდინარე, ფიზიკური პირისგან განსხვავებული პასუხისმგებლობითა და სტანდარტით მოეთხოვება ვალდებულების სამართლებრივ შედეგებზე პასუხისგება (შდრ: სუსგ №ას-189-2022, 16 სექტემბერი, 2022 წ.პ.20-21). „საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ მოპასუხე სამენარმეო საქმიანობაში გამოცდილი იურიდიული პირია. „მენარმე სუბიექტი, რომელიც თავისუფალი და გაცნობიერებული ნების გამოვლენის საფუძველზე თანხმდება პირგასამტეხლოს კონკრეტულ ოდენობას, შემდგომში მოკლებულია შესაძლებლობას, მოითხოვოს შეთანხმებული პირგასამტეხლოს შემცირება, თუკი ამის თაობაზე კვალიფიციურ შესაგებელს არ წარადგენს“ (შდრ. სუსგ №ას-1451-1371-2017, 13 ნოემბერი, 2018 წელი). სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შემცირება და ამ მიზნით მხარეთა შორის თავისუფალი ნების გამოვლენის ფარგლებში მიღწეულ შეთანხმებაში სასამართლოს ჩარევა, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება იმ სუსტი კონტრაჰენტის ინტერესების დაცვას, რომელიც, ერთი მხრივ, ვალდებულების შესრულების იმედით თანხმდება მისთვის თუნდაც მიუღებელ პირგასამტეხლოს განაკვეთს და, მეორე მხრივ, სრულფასოვნად ვერ აფასებს სახელშეკრულებო რისკებს და ვალ-

დებულების დარღვევის თანამდევად დასაკისრებელი პირგასამტეხლოს მოსალოდნელ სამართლებრივ და ეკონომიკურ ეფექტს. სახელშეკრულებო ურთიერთობაში კონტრაპირებულ მენარმე სუბიექტს/იურიდიულ პირს, მისი სტატუსიდან გამომდინარე, ფიზიკური პირისგან განსხვავებული პასუხისმგებლობითა და სტანდარტით მოეთხოვება ვალდებულების დარღვევის სამართლებრივ შედეგებზე პასუხისგება. ხელშეკრულებაში იურიდიული პირის კონტრაპირებისას, სასამართლომ პირგასამტეხლო უნდა შეამციროს, მხოლოდ არგუმენტირებული შედავების არსებობის პირობებში (მდრ. სუსგ №ას-1417-2018, 16 ნოემბერი, 2020).

156. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის სათანადო შედავებისა და მისივე მტკიცების ტვირთის არაჯეროვნად რეალიზების პირობებში, არ არსებობდა სასამართლოს მიერ სსკ-ის 420-ე მუხლის დანაწესის გამოყენების შეაძლებლობა.

157. საქმეზე დადგენილია, რომ სააგენტომ სარჩელით მოითხოვა კომპანიისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება ხელშეკრულების მე-2, მე-3 და მე-4 ეტაპებით გათვალისწინებული სამუშაოების არაჯეროვანი შესრულებისა და ვადაგადაცილებისთვის, ხოლო კომპანიის შეგებებული სარჩელის მოთხოვნაა სააგენტოსათვის მე-2 და მე-3 ეტაპებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების საფასურის ანაზღაურების დაკისრება (რაც შეეხება მიუღებელი შემოსავლის სახით, მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებას, გასაჩივრებული გადანყვებილებით შეგებებული სარჩელის ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რაც კომპანიას სააპელაციო საჩივრით აღარ გაუსაჩივრებია).

158. პირველი ინსტანციის სასამართლომ უარყო სააგენტოს მოთხოვნა მომსახურების მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნის ნაწილში. სარჩელი საფუძვლიანად იქნა მიჩნეული მომსახურების მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნის ნაწილში. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მე-2 და მე-3 ეტაპებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება განსაზღვრული იყო, ჯამში, 81 124.4 ლარით ისე, რომ არ იყო დაკონკრეტებული ამ ორი ეტაპიდან თითოეულის ღირებულება, სასამართლომ მიიჩნია, რომ თითოეული ეტაპის ღირებულება უნდა განსაზღვრულიყო თანაბრად – 40 562.2 – 405 62.2 ლარით. შესაბამისად, პირგასამტეხლოს დაანგარიშებაც (ხელშეკრულების 11.1 პუნქტით გათვალისწინებული 0.1% ყოველ დღეზე) 40 562,2 ლარიდან უნდა მომხდარიყო, რაც 241 დღიანი ვადაგადა-

ცილების გათვალისწინებით, 9 775,49 ლარს შეადგენდა. ამასთანავე, სასამართლომ მიიჩნია, რომ კომპანიას დამატებით უნდა დაეკისრებოდა ხელშეკრულების 11.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო – ხელშეკრულების საერთო ღირებულების (147 498.4 ლარის) 0.5%-ის ოდენობით – 737.492 ლარი. პირველი ინსტანციის სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია სააგენტოს მოთხოვნა მომსახურების მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ. მე-4 ეტაპის სამუშაოების ღირებულების (39 824.4 ლარი) და ვადაგადაცილებულ დღეთა რაოდენობის (151 დღე) გათვალისწინებით, მოპასუხეს დაეკისრა ხელშეკრულების 11.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო (0.1% ყოველ დღეზე) – 6 013.48 ლარი და ხელშეკრულების 11.2 პუნქტით გათვალისწინებულ პირგასამტეხლო (ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%) 737.492 ლარი.

159. კომპანიამ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა მხოლოდ მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაგადაცილების გამო, ხელშეკრულების 11.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს – 9 775.49 ლარის დაკისრების ნაწილში. გადაწყვეტილება სადავოდ არ არის გამხდარი იმ ნაწილში, რომლითაც კომპანიას პირგასამტეხლო დაეკისრა ამავე (მე-2) ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების არაჯეროვანი შესრულებისათვის (ხელშეკრულების 11.2 პუნქტის შესაბამისად – 737.492 ლარი). ასევე, კომპანიის მიერ სადავოდ არ არის გამხდარი მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების გამო, პირგასამტეხლოს დაკისრება ხელშეკრულების 11.1 (ვადაგადაცილებით შესრულება) და 11.2 (არაჯეროვანი შესრულება) პუნქტების საფუძველზე ($6\,013.48 + 737.492 = 6\,750.922$ ლარი).

160. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ კომპანიის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის ფარგლებში შეაფასა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა ხელშეკრულების მე-2 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაგადაცილების გამო, კომპანიისათვის ხელშეკრულების 11.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს – 9 775.49 ლარის დაკისრების ნაწილში. ამასთან, სააპელაციო პრეტენზიის არარსებობის გამო, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა ხელშეკრულების 11.2 პუნქტით გათვალისწინებული (არაჯეროვანი შესრულებისათვის) და მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების გამო ხელშეკრულების 11.1 და 11.2 პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს, ჯამში, 6 750.922 ლარის დაკისრების მართლზომიერებაზე.

161. უდავოა, რომ კომპანიას მე-2 ეტაპის სამუშაოები უნდა და-

ესრულებინა 2017 წლის 8 ოქტომბერს, ხოლო მე-3 ეტაპის სამუშაოები 30 დღის შემდეგ, ანუ 2018 წლის 09 ნოემბერს. დადგენილია, რომ 2017 წლის 8 ოქტომბრიდან 2018 წლის 02 აპრილამდე ვადაგადაცდილებულ დღეთა რაოდენობა შეადგენს 174 დღეს და ხელშეკრულების 11.1 პუნქტით დადგენილი პირგასამტეხლოს დაანგარიშება, სწორედ, აღნიშნულ პერიოდზე უნდა მოხდეს, რაც განსახილველ შემთხვევაში, 7 057.80 ლარს შეადგენს (40562.2-ის 0.1% * 174 დღეზე). ასევე, დადგენილია, რომ მე-3 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაგადაცდილება (2017 წლის 09 ნოემბრიდან 2018 წლის 02 აპრილამდე) შეადგენს 144 დღეს, რომლის გათვალისწინებითაც ხელშეკრულების 11.1 პუნქტით დადგენილი პირგასამტეხლოს ოდენობა 5 840.95 ლარს (40562.2-ის 0.1% * 144 დღეზე) შეადგენს. ჯამში, მე-2 და მე-3 ეტაპებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაგადაცდილებისათვის პირგასამტეხლოს ოდენობა 12 898.75 ლარს შეადგენს.

162. მე-4 ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაგადაცდილებისა და არაჯეროვანი შესრულებისთვის კომპანიისათვის დაკისრებულ პირგასამტეხლოსთან (6 103.48 ლარი + 737.492 ლარი) დაკავშირებით, ვინაიდან გადანყვევტილება აღნიშნულ ნაწილში კომპანიას სააპელაციო საჩივრით არ გაუსაჩივრებია, სააპელაციო პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის საფუძველზე, ვერ გადასინჯა გასაჩივრებული გადანყვევტილების დასაბუთებულობა აღნიშნულ ნაწილში.

163. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მე-2 და მე-3 ეტაპებით გათვალისწინებული სამუშაოების ვადაგადაცდილებისათვის პირგასამტეხლოს სახით 12 898.75 ლარის მოთხოვნა არაგონივრულია და სახეზეა პირგასამტეხლოს, როგორც შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის, შემცირების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი. ამ ნაწილში, პირგასამტეხლოს სახით მოპასუხისთვის 5 000.00 ლარის დაკისრება სრულად უზრუნველყოფს შესასრულებელი ვალდებულების დარღვევისათვის გონივრული, პროპორციული და სამართლიანი პირგასამტეხლოს ფუნქციის შესრულებას და შეესაბამება მოპასუხის მიერ დაგვიანებით შესრულებელი ვალდებულებისათვის პასუხისმგებლობის სახით დაწესებულ საზღაურს. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვევტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი, რომლითაც სააგენტოს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხე კომპანიას დაეკისრა პირგასამტეხლო – 17 263.95 ლარის ოდენობით, მოპასუხის მიერ გასაჩივრებული იყო ნაწილობრივ, 9 775.49 ლარის ნაწილში; ამდენად, გადანყვევტილება მოპასუხეს არ გაუსაჩივრებია 7 488.46 ლარის ნაწილში (17 263.95 – 9 775.49). აღნიშნულისა და ამ გადანყვევტილე-

ბის ზემოთ მითითებულ პუნქტში განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, კომპანიისათვის სააგენტოს სასარგებლოდ დაკისრებული პირგასამტეხლოს საბოლოო ოდენობა სააპელაციო სამართლომ 12 488.46 ლარით ($7\,488.46 + 5\,000.00$) განასაზღვრა.

164. შესაბამისად, კასატორის (მოსარჩელე) საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ საფუძლიანია, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება კი ნაწილობრივ დაუსაბუთებელი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების საფუძველია.

165. სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძველები. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე.

166. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კრედიტორის და მოვალის მტკიცების ფარგლებს, ასევე ვალდებულების დარღვევის შინაარსის გათვალისწინებით, სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ($7\,057.80 + 5\,584.95 + 6\,103.48$ ლარი + 737.492) ჯამში 19734.72 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდა, რაც განსახილველ შემთხვევაში წარმოადგენს მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების ადეკვატურ, გონივრულ და სამართლიან ოდენობას.

167. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. მოსარჩელეს პირველი ინსტან-

ციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი აქვს 1303 ლარი, სააპელაციო სასამართლოში – 2013.50 ლარი, ხოლო საკასაციო სასამართლოში კი 5602.75 ლარი. ვინაიდან სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მოპასუხეს უნდა დაეკისროს კასატორის სასარგებლოდ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სახით 2,368.16 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ჯ ი ტ ა:

1. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 და მე-6 პუნქტების გაუქმებით მიღებული იქნეს ნაწილობრივ ახალი გადაწყვეტილება.

3. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

4. შპს „მ.“-ს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს პირგასამტეხლო 19734.72 ლარის ოდენობით.

5. შპს „მ.“-ს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 2,368.16 ლარის ანაზღაურება.

6. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

7. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-153-2023

13 ივლისი, 2023 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: გ. მიქაუტაძე (თავმჯდომარე),
რ. ნადარაია (მომხსენებელი),
თ. ზამბახიძე**

დავის საგანი: პირგასამტეხლოს შემცირება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ჩ-ამ“ (შემდეგში – მოსარჩელემ) სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (შემდეგში – მოპასუხის) მიმართ, პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნით.

1.1. მოპასუხემ წერილობით წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით, შპს „ჩ-ას“ სარჩელი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ პირგასამტეხლოს შემცირების შესახებ დაკმაყოფილდა. შპს „ჩ-ას“ მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს სახით 100 ლარის გადახდა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 07 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.1. 2014 წლის 18 ივნისს გამყიდველს – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და მყიდველს – შპს „ჩ-ას“ შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ... ტერიტორიაზე მდებარე ექვსი ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდებით: ...; ...; ...; ...; ...; ... ხელშეკრულების 2.1 პუნქტის თანახმად, მყიდველი ვალდებული იყო გადაეხადა საპრივატიზებო თანხა – 49 300 ლარის ოდენობით, ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში. ნასყიდობის ხელშეკრულებით განისაზღვრა მყიდველის ვალდებულებები, მათ შორის: 3.1.4 ქვეპუნქტის თანახმად, მყიდველი ვალდებული იყო ნიადაგის ნაყოფიერებისა და ხარისხის შენარჩუნება-გაუმჯობესების მიზნით, 5 წელიწადში ერთხელ, ნიადაგის ანალიზის შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი/დასკვნა წარედგინა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის; 3.1.9 ქვეპუნქტის თანახმად, მყიდველი ვალდებული იყო 3.1.4 და 3.1.5 ქვეპუნქტებით დადგენილი თითოეული ვალდებულების შესრულების ვადის ამონურიდან არაუგვიანეს 30 დღისა გამყიდველისათვის წარედგინა სამინისტროს მიერ გაცემული წერილი, რომელიც დაადასტურებს 3.1.4 და 3.1.5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას.

5.2. ნასყიდობის ხელშეკრულების 6.5 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების 3.1.3; 3.1.4; 3.1.5; 3.1.7; 3.1.8 და 3.1.9 ქვეპუნქტებით განსაზღვრული თითოეული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მყიდველს დაეკისრებოდა პირგასამტეხლო – 500 ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.3. სადავო გარემოებას არ წარმოადგენდა ის, რომ შპს „ჩ-ამ“ 3.1.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნიადაგის ანალიზის დოკუმენტი სამინისტროში წარადგინა ვადაგადაცილებით – 2019 წლის 22 ივლისს, ნაცვლად 2019 წლის 18 ივნისისა, რისთვისაც ხელშეკრულების 6.5 პუნქტის შესაბამისად, მხარეს დაეკისრა პირგასამტეხლო – 500 ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რაც ვალდებულების შესრულების თარიღისათვის შეადგენდა – 17 000 ლარს (34 დღე). უდავოა, რომ კომპანიამ ვადაგადაცილებით შეასრულა ხელშეკრულების 3.1.9 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება, კერძოდ, სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტი 2019 წლის 18 ივლისის ნაცვლად სააგენტოში წარდგენილია 2019 წლის 24 ივლისს, რისთვისაც ხელშეკრულების 6.5 პუნქტის თანახმად, კომპანიას დაეკისრა პირგასამტეხლო – 500 ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან 2019 წლის

19 ივლისიდან ყოველ ვადაგადაცელებულ დღეზე, რაც 2019 წლის 24 ივლისის მდგომარეობით შეადგენდა – 3 000 ლარს (6 დღე).

5.4. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ჩ-ამ“ ჯეროვნად არ შეასრულა მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები. კერძოდ, მონინალმდეგე მხარის მიერ ნიადაგის ანალიზის დოკუმენტი წარდგენილი იქნა შეთანხმებული ვადების დარღვევით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება:

5.5. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. პალატამ განმარტა რომ, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით პირგასამტეხლო მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით მიღწეული შეთანხმებაა, იგი არ წარმოადგენს მხარეთა აბსოლუტურ უფლებას და კვალიფიციური შედავების პირობებში, სასამართლო უფლებამოსილია შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობით პირგასამტეხლოს თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით.

5.4. პალატის მითითებით, სასამართლომ გაითვალისწინა საქმის კონკრეტული გარემოებები, მხარეთა შორის ხელშეკრულებით წარმოშობილი ვალდებულებები, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა დარღვევების გათვალისწინებით და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა, შეუსაბამოდ მაღალი და არაგონივრული იყო. შესაბამისად, სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას დარიცხული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად მიჩნევის შესახებ და მიუთითა, რომ პირგასამტეხლოს ოდენობა სწორად განისაზღვრა 100 ლარით.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 07 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო საჩივრის მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

6.1. კასატორის მითითებით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა ხელშეკრულების არსებითი პირობები, რომელთა შეუსრულებლობისთვის ხელშეკრულების მონაწილე

მხარეს წარმოეშვა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ანაზღაურების ვალდებულება. მართალია, კანონმდებლობა ითვალისწინებს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების შესაძლებლობას, თუმცა, პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს. კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნულ გარემოებებზე სასამართლოს არ უმსჯელია და არ დაუკონკრეტებია, თუ რატომ მიიჩნია შეუსაბამოდ მაღალ პირგასამტეხლოდ შეთანხმებული თანხა.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 24 თებერვლის განჩინებით სსსკ-ის 396-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 2023 წლის 06 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

8. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარ-

ღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსა-მართლებრივი ნორმის გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და ნაწილობრივ დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

10. მოსარჩელის მოთხოვნაა, მხარეთა შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის გამო, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მოპასუხისათვის დაკისრება. ეს სამართლებრივი შედეგი მიიღება 417-ე-418-ე (პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის; ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, გარდა ამ კოდექსის 625-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა; შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას) მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობების შესრულების შემთხვევაში. კერძოდ, ეს წინაპირობები შემდეგია: ა) მხარეთა შორის ხელშეკრულების დადება; ბ) პირგასამტეხლოზე წერილობითი შეთანხმება; გ) ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.

11. მოცემულ შემთხვევაში, კასატორის ძირითადი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა მხარეთა მიერ შეთანხმებული პირგასამტეხლოს ოდენობა დაუსაბუთებლად შეამცირეს.

12. უდავოა, რომ მხარეთა შორის 2014 წლის 18 ივნისს მხარეებს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ... ტერიტორიაზე მდებარე ექვსი ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. მყიდველი ვალდებული იყო გადაეხადა საპრივატიზაციო თანხა – 49 300 ლარის ოდენობით, ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში. ნასყიდობის ხელშეკრულებით განისაზღვრა მყიდველის ვალდებულებები, მათ შორის: 3.1.4 ქვეპუნქტის თანახმად, მყიდველი ვალდებული იყო ნიადაგის ნაყოფიერებისა და ხარისხის შენარჩუნება-გაუმჯობესების მიზნით, 5 წელიწადში ერთხელ, ნიადაგის ანალიზის შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი/დასკვნა წარედგინა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის; 3.1.9 ქვეპუნ-

ქტის თანახმად, მყიდველი ვალდებული იყო 3.1.4 და 3.1.5 ქვეპუნქტებით დადგენილი თითოეული ვალდებულების შესრულების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 30 დღისა გამყიდველისათვის წარედგინა სამინისტროს მიერ გაცემული წერილი, რომელიც დაადასტურებს 3.1.4 და 3.1.5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას. ნასყიდობის ხელშეკრულების 6.5 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების 3.1.3; 3.1.4; 3.1.5; 3.1.7; 3.1.8 და 3.1.9 ქვეპუნქტებით განსაზღვრული თითოეული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მყიდველს დაეკისრებოდა პირგასამტეხლო – 500 ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. სადავო გარემოებას არ წარმოადგენდა ის, რომ შპს „ჩ-ამ“ 3.1.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნიადაგის ანალიზის დოკუმენტი სამინისტროში წარადგინა ვადაგადაცილებით 2019 წლის 22 ივლისს, ნაცვლად 2019 წლის 18 ივნისისა, რისთვისაც ხელშეკრულების 6.5 პუნქტის შესაბამისად, მხარეს დაეკისრა პირგასამტეხლო – 500 ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რაც ვალდებულების შესრულების თარიღისათვის შეადგენდა – 17 000 ლარს (34 დღე). უდავოა, რომ კომპანიამ ვადაგადაცილებით შეასრულა ხელშეკრულების 3.1.9 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება, კერძოდ, სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტი 2019 წლის 18 ივლისის ნაცვლად სააგენტოში წარდგენილია 2019 წლის 24 ივლისს, რისთვისაც ხელშეკრულების 6.5 პუნქტის თანახმად, კომპანიას დაეკისრა პირგასამტეხლო – 500 ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან – 2019 წლის 19 ივლისიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რაც 2019 წლის 24 ივლისის მდგომარეობით შეადგენდა – 3 000 ლარს (6 დღე).

13. სადავო არაა მხარეთა შეთანხმებით დადებული ხელშეკრულების პირობები, უფლებები და ვალდებულებები. უდავოა ასევე მოსარჩელისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ 2019 წლის 01 აგვისტოს აქტში მითითებული ვადადარღვეული დღეების რაოდენობა. სადავოა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გამო მოპასუხისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა.

14 საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს, ანუ პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმა-

ში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს იძულებითი ხასიათის სანქცია ეკისრება. პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად (იხ. სუსგ №ას-428-428-2018, 13 ივლისი, 2018 წელი).

15. რაც შეეხება პირგასამტეხლოს ოდენობას, მისი განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება“ (იხ. სუსგ № ას-816-767-2015, 19.11.2015წ.).

16. სსკ-ის 420-ე მუხლის (სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო) მიხედვით, პირგასამტეხლოს შემცირების უფლება სასამართლოს აქვს მინიჭებული. მართალია, პირგასამტეხლოს განსაზღვრა მხარეთა უფლებაა და აღნიშნული კუთხით მოქმედებს სახელშეკრულებო ურთიერთობებში დამკვიდრებული მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპი, თუმცა, აღნიშნული მუხლი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, მხარის მოთხოვნის საფუძველზე იმსჯელოს და შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების მიუხედავად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს შემცირება არ გულისხმობს მის გაუქმებას. პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველია, ერთი მხრივ, ის, რომ კრედიტორი პირგასამტეხლოს მიღებით არ გამდიდრდეს და მოვალეს არ დაანევს მძიმე ტვირთად პირგასამტეხლოს გადახდა, (შესაბამისად, პირგასამტეხლო არ იქცევა ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებად), ხოლო მეორე მხრივ კი, – პირგასამტეხლო იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირწონე და გონივრული. აღნიშნულში მოიაზრება სახელშეკრულებო თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება. აღსანიშნავია, რომ პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებათა ყოველმხრივი შეფასების შედეგად დგინდება და რაიმე განსხვავებული სტანდარტი, რომელიც

განაზოგადებს პირგასამტეხლოს მათემატიკურ მაჩვენებელს სასამართლო პრაქტიკით არ არის დადგენილი. სასამართლომ უნდა დაიცვას ის სამართლიანი ბალანსი, რომელიც სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების დარღვევას მოჰყვას.

17. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლოს შემცირების კანონისმიერი შესაძლებლობა ემსახურება სახელშეკრულებო ურთიერთობებში იმ სუსტი მხარის ინტერესების დაცვას, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას ვერ აცნობიერებს პირგასამტეხლოს შინაარსსა და მის თანმდევ სამართლებრივ თუ ეკონომიკურ შედეგებს. შესაბამისად, პირგასამტეხლოს შემცირებისას, მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, თუ რამდენად აცნობიერებდა მითითებულ პირობას მხარე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას.

18. საკასაციო პალატა პირველ რიგში შეაფასებს თუ რამდენად კვალიფიციური შედავება განახორციელა მოპასუხემ მოსარჩელის მიმართ და აღნიშნავს, რომ სასამართლო მხოლოდ კვალიფიციური შედავების არსებობის შემთხვევაშია უფლებამოსილი შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობის თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით. ამდენად, პირგასამტეხლოს გონივრულობის კვლევას სასამართლო მოვალის კვალიფიციური შესაგებლის არსებობის შემთხვევაში ახორციელებს და მის გარეშე შეუძლებელია დადგინდეს რამდენად შეუსაბამო და არაგონივრულია პირგასამტეხლოს ოდენობა სახელშეკრულებო ინტერესის ხელყოფის მასშტაბთან.

19. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ძირითად აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ მართალია, მხარეები შეთანხმდნენ პირგასამტეხლოს ოდენობაზე წერილობითი ფორმით, თუმცა, შეთანხმება დადებული იყო სახელმწიფო ორგანოსა და კერძო კომპანიას შორის, სადაც ხელშეკრულების ფორმა შემუშავებული იყო მოპასუხის მიერ. მოსარჩელე კი, როგორც სუსტი მხარე, იძულებული იყო ხელი მოეწერა შეთავაზებული ფორმულირებისთვის, იმისდა მიუხედავად, ეთანხმებოდა თუ არა ჯარიმის გონივრულობას. მოსარჩელე ასევე მიიჩნევდა, რომ მის მიერ ვალდებულებების დაგვიანებით შესრულებას არ გამოუწვევია არავითარი ზიანი.

20. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება და გარკვეულ ნიშნულამდე დაყვანა არ წარმოადგენს საერთო სტანდარტს. კანონის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგადაც, მაღალი პირგასამტეხლო არ მცირდება. შემცირებას მხოლოდ „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლო ექვემდებარება. პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია თუ არა, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფას-

დეს კონკრეტული საქმის თავისებურების გათვალისწინებით, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების მხედველობაში მიღებით, როგორიცაა: სახელშეკრულებო ურთიერთობათა მხარეები, ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, ვალდებულების დამრღვევის ბრალეულობის ხარისხი, დარღვევის სიმძიმე და მოცულობა, კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხე და კრედიტორის მოლოდინი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. იმ შემთხვევაში თუ სასამართლო დაკისრებულ პირგასამტეხლოს შეაფასებს როგორც შეუსაბამოდ მაღალს, მან უნდა განსაზღვროს პირგასამტეხლოს ისეთი ოდენობა, რომელიც იქნება დარღვევის თანაზომიერი და გონივრული. რაც შეეხება დარღვევის თანაზომიერი და გონივრული ოდენობის პირგასამტეხლოს განსაზღვრას, აღნიშნულიც ასევე უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ზემოთმოთხილული გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად.

21. პალატას მიაჩნია, რომ როდესაც ხელშეკრულების მხარე არის მენარმე სუბიექტი, მისი პასუხისმგებლობის ხარისხი ბევრად აღემატება ფიზიკური პირის პასუხისმგებლობის ხარისხს, რომელიც შესაძლებელია იყოს ხელშეკრულების სუსტი მხარე, რომელიც ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას ვერ აცნობიერებს პირგასამტეხლოს შინაარსს და მის თანმდევ სამართლებრივ შედეგს. ამდენად, როდესაც საკითხი ეხება მენარმე სუბიექტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას, დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა არ უნდა იყოს მინიმალური ოდენობის და ის არ უნდა ატარებდეს სიმბოლურ ხასიათს. პალატა აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევებში უმნიშვნელოვანესია დარღვევის პროპორციული პირგასამტეხლოს განსაზღვრა, რაც იქნება გარანტი იმისა, რომ პირგასამტეხლომ არ დაკარგოს თავისი ძირითადი ფუნქცია – ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველყოფის პრევენცია და განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურების შესაძლებლობა.

22. განსახილველ შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენს მენარმე სუბიექტი, რომელიც თავისუფალი და გაცნობიერებული ნების გამოვლენის საფუძველზე დათანხმდა პირგასამტეხლოს კონკრეტულ ოდენობას და როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობაში კონტრაპირებულ მენარმე სუბიექტს, მისი სტატუსიდან გამომდინარე, ფიზიკური პირისგან განსხვავებული პასუხისმგებლობითა და სტანდარტით მოეთხოვება ვალდებულების სამართლებრივ შედეგებზე პასუხისგება. პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეს მხოლოდ 5 წელიწადში ერთხელ ჰქონდა ვალდებულება ნიადაგის ნაყოფიერებისა და ხარისხის შე-

ნარჩუნება-გაუმჯობესების მიზნით, ნიდაგის ანალიზის შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი/დასკვნა წარედგინა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის, ხოლო შემდეგ 30 დღის ვადაში ევალეზოდა სააგენტოსთვის მხოლოდ სამინისტროს მიერ გაცემული წერილის წარდგენა იმის შესახებ, რომ შეასრულა 3.1.4-3.1.5 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები. მიუხედავად ამისა, მოპასუხემ აღნიშნული ვალდებულებები ორივე შემთხვევაში შეასრულა ვადის დარღვევით, ამასთან, არ მიუთითებია ამ პირობათა ვადაში შესრულების ხელისშემშლელ გარემოებებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელე უპასუხისმგებლოდ მოეკიდა მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები არ ქმნის დარიცხული პირგასამტეხლოს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ განსაზღვრულ ოდენობამდე შემცირების საფუძველს.

23. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სარჩელით მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა ქვემდგომი სასამართლოების მიერ არაპროპორციულად შემცირდა, რის გამოც უნდა განისაზღვროს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირწონე და გონივრული ოდენობა, რომელიც არ გამოიწვევს კრედიტორის გამდიდრებას, ამავედროულად პირგასამტეხლოს არ დაუკარგავს თავის ძირითად ფუნქციას – ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველყოფის პრევენციას და განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურების შესაძლებლობას. თუმცა, საკასაციო პალატა თავის მხრივ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ვალდებულების სრულად შეუსრულებლობას არ ჰქონია ადგილი, მოსარჩელის მიერ ვალდებულება ვადის დარღვევით, მაგრამ შესრულდა, რის გამოც მიიჩნევს, რომ პირგასამტეხლოს თანაზომიერ, საპირწონე და გონივრულ ოდენობად უნდა ჩაითვალოს პირგასამტეხლო – 200 ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. საქმეში უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომლის თანახმადაც, ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობამ შეადგინა 40 დღე, მოსარჩელისათვის დასაკისრებელი პირგასამტეხლო უნდა განისაზღვროს 8000 (40X200) ლარით.

24. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს,

რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და 2019 წლის 01 აგვისტოს №4/46027 აქტით დაფიქსირებული დარღვევისათვის პირგასამტეხლოს გონივრული ოდენობა განისაზღვროს 8000 ლარით (40X200).

25. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

26. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან გათავისუფლებული იყო მოპასუხე, გადახდება მოსარჩელეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომლის დაკმაყოფილებაზეც მოსარჩელეს ეთქვა უარი. განსახილველ შემთხვევაში, რამდენადაც მოპასუხე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან და, ამასთან, მისი საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოსარჩელეს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის – 720 (320+400) ლარის გადახდა. ხოლო, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 360 ლარი, პირველი ინსტანციის სასამართლოში მპს „ჩ-ას“ მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის ასანაზღაურებლად მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 07 დეკემბრის განჩინება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „ჩ-ას“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. შპს „ჩ-ას“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს 8000 ლარის გადახდა;
5. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს (...) შპს „ჩ-ას“ (...) სასარგებლოდ დაეკისროს 360 ლარი, პირველი ინსტანციის სასამართლოში შპს „ჩ-ას“ მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის ასანაზღაურებლად;
6. შპს „ჩ-ას“ (...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის – 720 (320+400) ლარის გადახდა;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. სოლიდარული მოვალეობი

სოლიდარული პალდეპულება

გადანყვეთილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1033-2021

23 მარტი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2015 წლის 2 აპრილს შპს „ა. ბ“-მ (შემდგომში „შპს“ ან „პირველი მოპასუხე“) ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ვ. ვ. ძისგან (შემდგომში „გამყიდველი“ ან „უძრავი ქონების გამყიდველი“) შეიძინა ქ. თბილისში, ... ქ. (ყოფ ...) №29-ში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ: №...).

2. 2015 წლის 3 აგვისტოს, შპს-სა და მ. გ-ძეს (შემდგომში „მოსარჩელე“) შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად, შპს-მ იკისრა თანხის გადახდის სანაცვლოდ მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ ...) მშენებარე კორპუსში 51.00 კვ.მ საცხოვრებელი ფართის მოსარჩელისთვის საკუთრების უფლებით გადაცემა.

3. ხელშეკრულების თანახმად, საცხოვრებელი ფართის ღირებულება განისაზღვრა 22 950 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარში (გადახდის დღისათვის არსებული ეროვნული კურსის მიხედვით). ამასთან, დადგინდა ნასყიდობის საფასურის პერიოდული გადახდის წესი. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მოსარჩელემ შპს-ს გადაუხადა 17 600 აშშ დოლარი.

4. მოსარჩელეს პირველი მოპასუხისგან საკუთრებაში საცხოვრებელი ფართი არ მიუღია.

5. 2016 წლის 15 თებერვალს შპს-სა და უძრავი ქონების გამყიდველს შორის შეწყდა 2015 წლის 2 აპრილს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება და უძრავი ქონება დაუბრუნდა გამყიდველს.

6. 2016 წლის 15 თებერვალს გამყიდველმა სადავო ქონება მიჰყიდა შპს „ბ. დ-ს“ (შემდგომში „მეორე მოპასუხე“, „მოპასუხე კომპანია“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“).

7. მოსარჩელის მოთხოვნა

6.1. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში პირველ და მეორე მოპასუხეების (შემდგომში ორივე ერთად ტექსტში მოხსენებული, როგორც „მოპასუხეები“) მიმართ და მოითხოვა მათთვის სოლიდარულად 17 600 აშშ დოლარის დაკისრება.

6.2. მოსარჩელის განცხადებით, იგი პირველი მოპასუხის მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ასრულებდა მანამ, სანამ შეიტყობდა სადავო უძრავი ქონების მეორე მოპასუხეზე გასხვისების შესახებ. 2015 წლის ნოემბრის ჩათვლით, მოსარჩელეს გადახდილი აქვს 17 600 აშშ დოლარი, რაც სოლიდარულად გადასახდელად უნდა დაკისრებოდა მოპასუხეებს.

7. მოპასუხეთა პოზიცია

7.1. პირველმა მოპასუხემ სარჩელზე წარადგინა შესაგებელი, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ ცნო და განმარტა, რომ მასსა და ქონების გამყიდველს შორის არსებული ხელშეკრულება მართალია შეწყდა, მაგრამ იმ პირობით, რომ შპს გააგრძელებდა საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას, თუმცა ეს არ მომხდარა, რადგან ქონება გამყიდველმა გაასხვისა მეორე მოპასუხეზე, რომელმაც გააგრძელა მშენებლობა. ხოლო პირველ მოპასუხეს მოსარჩელისა და სხვა პირების მიერ ჩარიცხული თანხები გახარჯული აქვს მიზნობრივად, საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისთვის.

7.2. მეორე მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ იგი წინამდებარე საქმეში არასათანადო მოპასუხეა, ვინაიდან მასსა და მოსარჩელეს შორის არანაირი სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არსებობდა. მან სადავო ქონება შეიძინა გამყიდველისგან, რაშიც გადახდილი აქვს ნასყიდობის შესაბამისი საფასური. ამდენად, მეორე მოპასუხე ქონების კეთილსინდისიერი შემძენია და მოსარჩელის მიმართ არანაირი ვალდებულება არ ეკისრება.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

8.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა და მეორე მოპასუხეს აეკრძალა ქ. თბილისში, ... ქ. (ყოფ ...) №29-ში მდებარე 35.19 კვ.მ მშენებარე ფართის (სართული 5. ბ. №12) (ს/კ: ...) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

9.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით წარდგენილი სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: პირველ მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ დაეკისრა 17 600 აშშ დოლარის გადახდა.

10. მოსარჩელისა და პირველი მოპასუხის სააპელაციო სა-

ჩივრები

10.1. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა როგორც მოსარჩელემ, ასევე პირველმა მოპასუხემ.

10.2. მოსარჩელემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო პირველმა მოპასუხემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

11. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

11.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით პირველი მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ხოლო მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად; მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრა 17 600 აშშ დოლარის გადახდა.

11.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-6 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

11.3. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ. აღნიშნული კი ცხადყოფს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის უფლება პირველი მოპასუხის მიერ ქონების გამყიდველისთვის უკან დაბრუნების დროს არა მხოლოდ არსებობდა, არამედ ახალ შემძენზე ისეთივე ფორმით გადავიდა, როგორიც ეს თავდაპირველ სამშენებლო კომპანიას გააჩნდა. იგივე სამართლებრივი ლოგიკა მოქმედებს 2016 წლის 15 თებერვალს ქონების გამყიდველის მიერ მოპასუხესთან დადებული გარიგების მიმართ, რა დროსაც მან ახალ სამშენებლო კომპანიას გადასცა უძრავი ქონება. სასამართლოს მოსაზრებით, მართალია, ქონების გამყიდველი განსახილველ საქმეში მხარე არ არის და სასამართლო მისი ვალდებულების მოცულობის და საფუძვლების თაობაზე ვერ იმსჯელებს, თუმცა ცხადია, რომ იგი სადავო სამართალურთიერთობაში გარკვეულწილად „გამტარი“ რგოლს ასრულებდა, რა დროსაც მოსარჩელის მოთხოვნები არ შეიძლება გაქარწყლებულად მივიჩნიოთ, აღნიშნულს თვალნათლივ, ასევე, ისიც ადასტურებს, რომ ამჟამად ის სამართლებრივი სიკეთე (უძრავი ქონება) რომელიც მოსარჩელეს თანხის გადახდის სანაცვლოდ უნდა მიეღო, ქონების ახალი შემძენის, მეორე მოპასუხის საკუთრებაშია.

11.4. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, პირველმა მოპასუხემ ისე გადააკისრა ქონების გამყიდველს მოსარჩელის წინაშე არსებული ვალდებულება, რომ მოსარჩელემ ამის შესახებ არაფერი იცოდა, ტრანზაქციას არ დათანხმებია და არც მოგვიანებით მოუწონებია, ამიტომ თავდაპირველი მოვალე (ანუ შპს) პასუხისმგებლობისგან ვერ გათავისუფლდებოდა. შესაბამისად, სახეზე იყო სამოქალაქო კოდექსის 203-ე და 204-ე მუხლებით განმტკიცებული ვალის გადაკისრების ყველა სამართლებრივი წინაპირობა.

11.5. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მეორე მოპასუხემ უძრავ ქონებაზე არსებული უფლებრივი ნაკლის შესახებ, სულ მცირე, მშენებლობის დაწყებიდან რვა თვის შემდეგ იცოდა, რის შესახებაც პრეტენზია არ განუცხადებია, არც მისი გამოსწორება უცდია და არც ხელშეკრულებიდან გასვლა მოუთხოვია, რაც ნიშნავს, რომ მან მიიღო და დაეთანხმა აღნიშნულ უფლებრივ ნაკლს, ამიტომ იგი სსკ 463-ე მუხლის შესაბამისად, შპს-სთან ერთად სოლიდარულ მოვალეს წარმოადგენდა. ის გარემოება, რომ ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებები არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მხარის ვალდებულებისგან გათავისუფლების სფუძველს არ ქმნიდა, ვინაიდან მოპასუხეს, როგორც მენარმე სუბიექტს, გონივრული წინდახედულობის ფარგლებში არა მხოლოდ საჯარო რეესტრის ამონაწერის, არამედ უძრავი ქონების შეძენამდე მისი უფლებრივი მდგომარეობის უფრო ფართოდ მოკვლევის ვალდებულება ჰქონდა.

12. მეორე მოპასუხის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

12.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მეორე მოპასუხემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის იმ სახით დაკმაყოფილების მოთხოვნით, როგორც ეს პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვიტა.

12.2. კასატორის განცხადებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის 203-ე, 204-ე მუხლები და არასწორად დაასკვნა, რომ სახეზე იყო ვალის გადაკისრების ყველა სამართლებრივი წინაპირობა მაშინ, როდესაც, მსგავსი ხელშეკრულება მხარეთა შორის არ არსებობდა. სასამართლომ ისე მიიჩნია მოპასუხე კომპანია თანხის გადახდაზე უფლებამოსილ პირად, რომ არ მიუთითებია რაიმე მატერიალურ-სამართლებრივ ნორმაზე, რომელიც სარჩელის დაკმაყოფილებას დაედებოდა საფუძვლად. კასატორი სადავო უძრავი ქონების კეთილსინდისიერი შეძენისა და ქონების შეძენისას მისთვის ცნობილი არ ყოფილა მესაკუთრის რაიმე უფლებრივი ნაკლის, საკუთრების უფ-

ლების შეზღუდვის ან/და რაიმე ვალდებულების არსებობის შესახებ. ამასთან, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას რაიმე საჩივარი ნასყიდობის საგანთან მიმართებით წარდგენილი არ ყოფილა, არც რეესტრში დარეგისტრირებულა რაიმე სანივთო უფლება. მოსარჩელემ და შპს-მ თავად გადანყვიტეს სამართლებრივი ურთიერთობა მარტივი წერილობითი ხელშეკრულების ფორმით დაერეგულირებინათ, რის გამოც მოპასუხისთვის შეუძლებელი იყო აღმოეჩინა მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება. საკასაციო სამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის, რომ საჯარო რეესტრში აღრიცხული მონაცემების მიმართ დაინტერესებულ პირს აქვს უტყუარობის, ნამდვილობის, როგორც კანონიერად შექმნილი მონაცემების მოლოდინი, კანონიერი ნდობა და ასეთ პირობებში, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული შემძენს დააკისრო ვალდებულება, რომელიც უძრავ ნივთთან არ იყო დაკავშირებული და არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ამდენად, მოპასუხეს მოსარჩელესთან არანაირი სახელშეკრულებო ან კანონისმიერი სამართლებრივი ურთიერთობა არ აქვს.

13. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

13.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

13.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 16 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

14. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადანყვევტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადანყვევტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამ-

ტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

15. საკასაციო პალატა საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან მართლებით წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

16. კასატორის ძირითადი საკასაციო პრეტენზია ემყარება იმას, რომ სააპელაციო სასამართლომ იგი პირველ მოპასუხესთან ერთად არასწორად მიიჩნია სოლიდარულ მოვალედ, ასევე არასწორად დაასკვნა, რომ ადგილი ჰქონდა პირველი მოპასუხის მიერ მეორე მოპასუხისთვის ვალის გადაკისრებას.

17. თავდაპირველად, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ და მხარეთა მიერ შეუდავებელ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: თანხის გადახდის სანაცვლოდ საკუთრების უფლების გადაცემისა და ვალდებულების შესახებ 2015 წლის 3 აგვისტოს ხელშეკრულება გაფორმდა მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის; მოსარჩელეს 22 950 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, უნდა მიეღო საცხოვრებელი ფართი პირველი მოპასუხის მიერ აშენებულ ბინაში; ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის ნაწილი, 17 600 აშშ დოლარი მოსარჩელეს გადახდილი აქვს, თუმცა მას საცხოვრებელი ფართი არ გადასცემია; მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში გარიგებით განსაზღვრულ ფართზე რაიმე უფლებრივი შეზღუდვა საჯარო რეესტრში არ დაფიქსირებულა, რეესტრში არც აღნიშნული ხელშეკრულება დაურეგისტრირებიათ მხარეებს. უდავოდ დადგენილია ისიც, რომ 2016 წლის 16 თებერვალს პირველმა მოპასუხემ შეძენილი ქონება დაუბრუნა გამყიდველს, რომელმაც იმავე დღეს ქონება გაასხვისა მეორე მოპასუხეზე (ახალ სამშენებლო კომპანიაზე), თუმცა აღნიშნულის შესახებ მოსარჩელისთვის ინფორმაცია არავის მიუწოდებია, არც რაიმე სახის ხელშეკრულება გაფორმებულა მოსარჩელესა და ახალ კომპანიას შორის; მას შემდეგ რაც მოსარჩელემ შეიტყო უძრავი ქონების მეორე მოპასუხის საკუთრებაში გადასვლის შესახებ, შეწყვიტა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, ორივე მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა სასამართლოს და გადახდილი თან-

ხის, 17 600 აშშ დოლარის, მათთვის სოლიდარულად გადახდის დაკისრება მოითხოვს.

18. საკასაციო სასამართლო ასევე დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ წინამდებარე საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად გადასახდელად დაეკისრათ 17 600 აშშ დოლარი, პირველ მოპასუხეს არ გაუსაჩივრებია. ამდენად, წარდგენილი საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში, სასამართლო იმსჯელებს და შეაფასებს, მხოლოდ მეორე მოპასუხისთვის დაკისრებული ვალდებულების შესახებ, ანუ წარმოადგენდა თუ არა მეორე მოპასუხე (პირველ მოპასუხესთან ერთად) თანხის გადახდაზე უფლებამოსილ პირს – სოლიდარულ მოვალეს.

19. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სოლიდარული ვალდებულების არსებობა (კრედიტორთა ან მოვალეთა სიმრავლე) რამდენიმე წინაპირობას უკავშირდება: უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, ვალდებულების ერთ-ერთ მხარეზე რამდენიმე პირის მონაწილეობა. ამასთან, იმის მიხედვით, თუ ვალდებულების რომელ მხარეზე მონაწილეობს სოლიდარულად რამდენიმე პირი, თითოეულს ერთი და იმავე მოვალის მიმართ შეიძლება გააჩნდეს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება, ანდა თითოეულმა მათგანს ერთი და იმავე კრედიტორის მიმართ დაეკისროს ვალდებულების შესრულების ვალდებულება. მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ ისინი კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე იყვნენ პასუხისმგებელი. აღნიშნული ურთიერთობიდან გამომდინარე, თითოეული სოლიდარული მოვალე კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის მთლიან დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს ვალდებული. მოვალეთა ეს ცალკეული ვალდებულებები, სწორედ ერთი საერთო მიზნით (კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის დაკმაყოფილებით) არიან დაკავშირებულნი და ერთ მთლიანობას ქმნიან (იხ. სუსგ საქმე №ას-467-2020 25.06.2021წ).

20. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სოლიდარული ვალდებულება პრაქტიკაში პირთა სიმრავლის ყველაზე გავრცელებული სახეა. სოლიდარულ მოვალეთა ცნებას კანონმდებელი სსკ-ის 463-ე მუხლში აყალიბებს. ნორმის დანაწესით, თუკი რამდენიმე მოვალემ ვალდებულება უნდა შეასრულოს ისე, რომ თითოეულმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მთლიანი ვალდებულების შესრულებაში, ხოლო კრედიტორს ვალდებულების მხოლოდ ერთგვარადი შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს, მათ სოლიდარული მოვალეები ეწოდებათ.

21. მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის აუცი-

ლებელია, რომ ისინი კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე იყენენ პასუხისმგებელი. აღნიშნული ურთიერთობიდან გამომდინარე, თითოეული სოლიდარული მოვალე კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის მთლიან დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს ვალდებული, რაც იმაში გამოიხატება, რომ კრედიტორს საკუთარი შეხედულებისამებრ ნებისმიერი მოვალისაგან თანაბრად უნდა შეეძლოს ვალდებულების მთლიანი ანდა ნაწილობრივი შესრულების მოთხოვნა. (შდრ. Gebauer, in Sorgel, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., 2010, §421, Rn.16). მოვალეთა ეს ცალკეული ვალდებულებები, სწორედ ერთი საერთო მიზნით (კრედიტორის ერთი და იმავე შესრულების ინტერესის დაკმაყოფილებით) არიან დაკავშირებულნი და ერთ მთლიანობას ქმნიან. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება, ნიშნავს მთლიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის დასასრულსა და კრედიტორის ერთიანი ინტერესის დაკმაყოფილებას, რომელიც მას ვალდებულების შესრულების მიმართ გააჩნდა. სოლიდარული ვალდებულების შემთხვევაში თითოეულ სოლიდარულ მოვალეს ვალდებულების მთლიანი შესრულების ვალდებულება ეკისრება. მოვალეთა სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ მთლიანი ვალდებულების შესრულება, პრაქტიკულად, მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს შეუძლია. სსკ-ის 463-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ბოლო კრიტერიუმი იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტორს ვალდებულების შესრულების მოთხოვნა მხოლოდ ერთხელ შეუძლია (იხ. სუსგ საქმე №ას-467-2020 25.06.2021წ).

22. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის ყველაზე გავრცელებული საფუძველია ხელშეკრულება. იმისათვის, რომ ხელშეკრულების საფუძველზე სოლიდარული ვალდებულება წარმოიშვას, აუცილებელია, რომ რამდენიმე პირმა სოლიდარულად იკისროს პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე. სოლიდარულმა მოვალეებმა კრედიტორთან ხელშეკრულება შესაძლოა ერთდროულად ან ცალ-ცალკე გააფორმონ. შესაძლებელია სოლიდარული ვალდებულების შეთანხმების შემდეგ, კრედიტორთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ერთ-ერთი მოვალე შემდეგ შევიდეს ვალდებულებაში სოლიდარულ მოვალედ (შდრ. Gebauer, in Sorgel, BGB Kommentar, Schuldrecht 3/3, 13. Aufl., 2010, §421, Rn.6). მთავარია, კრედიტორთან გაფორმებული შეთანხმება ნათლად ადასტურებდეს თითოეული მოვალის სურვილს – სხვა მოვალეებთან ერთად სოლიდარულად აგონ კრედიტორის წინაშე პასუხი. (შდრ. Looschelders, in Staundinger, BGB Komm 2012, Buch II, §421, Rn.53). სოლიდარული ვალდებულების შე-

სახებ შეთანხმებას იმ შემთხვევაშიც ექნება ადგილი, როდესაც ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ კრედიტორს საკუთარი სურვილისამებრ მთლიანად ანდა ნაწილობრივ შეუძლია ნებისმიერი მოვალისაგან მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, ხოლო ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება, დანარჩენებსაც ათავისუფლებს შესრულების ტვირთისაგან. (შდრ. K.Schreiber, Die Gesamtschuld, Jura 1989, s.354.) (შდრ: სუსგ №ას-599-2019, 04.12.2019; №ა1158-1104-2014, 06.05.2015 წ.).

23. ზემოაღნიშნული განმარტებებისა და საქმის მასალებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას იმის შესახებ, რომ მეორე მოპასუხე პირველ მოპასუხესთან ერთად მოსარჩელის მიმართ სოლიდარულად ვალდებულ პირს წარმოადგენს.

24. როგორც უკვე აღინიშნა, დადგენილია, რომ მოსარჩელეს სახელშეკრულებო ურთიერთობაში პირველ მოპასუხესთან იმყოფებოდა და მას რაიმე სახის (სახელშეკრულებო) კავშირი მეორე მოპასუხესთან არასდროს ჰქონია. საქმის მასალებით არც ის გარემოება დასტურდება, რომ მეორე მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ რაიმე ვალდებულება ჰქონდა შესასრულებელი. ის გარემოება, რომ მეორე მოპასუხემ იმავე მიზნით (საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისთვის) შეიძინა უძრავი ქონება, როგორც ეს პირველ მოპასუხეს ჰქონდა შეძენილი, ასევე ფაქტი იმის შესახებ, რომ ამჟამად აღარ არსებობს პირველი მოპასუხის საკუთრების უფლება სადავო ქონებაზე და აღნიშნული ქონება მეორე მოპასუხის ხელშია გადასული, ვერ გახდება სოლიდარულ მოვალედ კასატორის (პირველი მოპასუხის) მიჩნევისა და ამ საფუძვლით სარჩელის სრულად დაკმაყოფილების წინაპირობა.

25. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მართალია, მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებლობა მოსარჩელისთვის არ წარმოადგენს საკუთრების უფლების მოპოვების შემაფერხებელ გარემოებას, თუმცა მეორე მოპასუხის მიერ უძრავი ქონების შეძენის მიზნებისთვის, აღნიშნული ფაქტი ნამდვილად ქმნის შემძენის კეთილსინდისიერების პრეზუმფციას, ვინაიდან შემძენისთვის რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე მათი უზუსტობა არ დამტკიცდება.

26. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, სადავო ქონების შეძენისას მას იცავდა რეესტრის ჩანაწერების მიმართ უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია (საჯარო რეესტრის უმთავრესი დანიშნულებაა სწორად ასახოს რეგისტრაციას დაქვემდებარებული ყოველგვარი უფ-

ლება, მათ შორის საკუთრების უფლება და მათი მდგომარეობა. საჯაროობის პრინციპი კი გულისმობს იმას, რომ რეგისტრაციის მომენტიდან იძენს ამგვარი უფლება იურიდიულ ძალას მესამე პირებისათვის. კანონმდებლობა უშვებს საჯარო რეესტრის სისწორის პრეზუმფციას, რაც ნიშნავს იმას, რომ მესამე პირებისათვის რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. ამდენად, საჯარო რეესტრი, ერთი მხრივ, სამოქალაქო ბრუნვის გარანტიის ფუნქციას ასრულებს, ხოლო, მეორე მხრივ, იგი სრულ კონსენსუსშია სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებულ ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპთან. კონფლიქტი წარმოიშობა მაშინ, როდესაც რეესტრში რეგისტრირებული უფლება არ შეესაბამება ამ უფლების ნამდვილ შინაარსს, ხოლო მესამე პირისათვის ეს ფაქტი უცნობია. მესამე პირთა დაცვის გარანტიები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვიებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვიებელი არ იყო მესაკუთრე. მოცემული ნორმა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას, როგორც მესამე პირთა დაცვის საშუალებას, ამასთან, უშვებს საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებაში ხარვეზის შესაძლებლობას, თუმცა, მიუხედავად ამისა, იცავს ისეთ შემძენს, რომელიც ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. შემძენის ინტერესების დაცვის გარანტიებს შეიცავს ასევე სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლი, რომლის მე-2 ნაწილის მიხედვით, იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგების საფუძველზე სხვა პირისაგან იძენს რომელიმე უფლებას და ეს უფლება გამსხვიებლის სახელზე იყო რეესტრში რეგისტრირებული, რეესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა, რომ ჩანაწერი უზუსტოა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული კონფლიქტი კანონმდებელმა სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლების მიხედვით, შემძენის სასარგებლოდ გადანაცვითა, რაც ნიშნავს იმას, რომ მესაკუთრეს აქვს უფლება შესაბამისი საზღაური მოითხოვოს არამართლზომიერი გამსხვიებლის მიმართ, ხოლო კეთილსინდისიერ შემძენს უნარჩუნდება საკუთრების უფლება (იხ. სუსგ საქმე №ას-189-182-2013, 16 იანვარი, 2014 წელი). ასევე გასაზიარებელია საკასაციო საჩივრის ავტორის მსჯელობა იმის შესახებ, რომ შემძენს არ უნდა მოეთხოვოს იმაზე მეტის ცოდნა, რაც გონივრულ შესაძლებლობებს სცილდება. უფლების შემძენს ტვირთად აწევს არა ყოველგვარი უზუსტო მონაცე-

მის ცოდნა, არამედ მხოლოდ ისეთის, რაც ექვის ქვეშ აყენებს უფლების შეძენის ნამდვილობას.

27. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მეორე მოპასუხემ სადავო ქონება შეიძინა უფლებრივად უნაკლო სტატუსით (იგი არ იყო დაყადაღებული ან დატვირთული რაიმე ვალდებულებით), შესაბამისად, გაზიარებული ვერ იქნება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა შემძენის არაკეთილსინდისიერებასთან მიმართებით და ამ საფუძვლით მისი პირველ მოპასუხესთან ერთად თანხის გადახდაზე ვალდებულ პირად მიჩნევის შესახებ.

28. საკასაციო სასამართლო, ასევე, ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას იმის შესახებ, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 203-ე და 204-ე მუხლების შესაბამისად (ვალის გადაკისრება) არსებობდა მეორე მოპასუხისთვის თანხის გადახდის დაკისრების წინაპირობა, ვინაიდან, უძრავი ქონების შეძენის შემდეგ, მოთხოვნები და უფლებები მეორე მოპასუხეზე ისეთივე მდგომარეობაში გადავიდა, როგორც ეს პირველი მოპასუხის ხელში იყო.

29. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 203-ე მუხლი ანეს-რიგებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ვალის გადაკისრება ვლინდება კრედიტორსა და მესამე პირს შორის დადებული გარიგების საფუძველზე, სადაც ცალსახაა მესამე პირის მიერ ვალდებულების საკუთარ თავზე აღების თაობაზე კრედიტორის ნება. აღნიშნული გარიგების სამართლებრივი შედეგია ის, რომ მესამე პირი იკავებს მოვალის ადგილს, ანუ აღნიშნული გარიგებით თავდაპირველი მოვალის მიმართ ვალდებულება წყდება და კრედიტორს თავდაპირველი მოვალის მიმართ მოთხოვნის უფლება აღარ გააჩნია. შესაბამისად, მესამე პირსა და კრედიტორს შორის ურთიერთობის ვალის გადაკისრებად კვალიფიკაციის მიზნებისათვის, აუცილებელია, ცალსახად და არაორაზროვნად დადგინდეს კრედიტორის ნება, რომ მესამე პირმა მოვალის ადგილი დაიკავოს (კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, ქეთევან მესხიშვილი, გვ. 26).

30. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ პირველი მოპასუხე, როგორც მოსარჩელის მიმართ ვალდებული პირი (მოვალე), რაიმე სახის ხელშეკრულებით სხვა მოვალეს არ ჩაუნაცვლებია. პირველ და მეორე მოპასუხეებს შორის არ გაფორმებულა მსგავსი სახის გარიგება, საიდანაც ცალსახად დადგინდებოდა მეორე მოპასუხის (როგორც მესამე პირის) მიერ ვალდებულების საკუთარ თავზე აღების შესახებ კრედიტორის ნება. მეტიც, 2015 წლის 2 აპრილის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც პირველმა მოპასუხემ ფიზიკური პირისგან შეიძინა ქონება, 2016 წლის 15 თებერვალს შეწყდა და ქონება უკან დაუბრუნ-

და გამყიდველს, რომელმაც იმავე დღეს გაასხვისა იგი ახალ მესაკუთრეზე, ანუ მეორე მოპასუხეზე. აღნიშნული კი, ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს ვალის გადაკისრების სამართლებრივი რეჟიმის ამ ურთიერთობაზე გავრცელებას.

31. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ (მეორე მოპასუხისთვის თანხის დაკისრების ნაწილში) დაუსაბუთებელია, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს. ამასთან, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

32. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹-ე მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

33. განსახილველ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა და მეორე მოპასუხეს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მდებარე, ქ. თბილისი, ... ქ. №29, ფართი (მშენებარე), სართული 5, ბ. №12, 35 კვ.მ ფართი (ს/კ: ...) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

34. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის მიზანს სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება წარმოადგენს. შესაბამისად, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში სარჩელი მეორე მოპასუხის მიმართ არ დაკმაყოფილდა, აღარ არსებობს მის მიმართ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობა, რის გამოც საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინება.

35. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გა-

დანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამასთან, იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადანყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადანყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 53-ე, 408-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ბ. დ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 15 ივლისის გადანყვეტილება და ახალი გადანყვეტილებით:
 - 2.1. მ. გ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შპს „ა. ბ“-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს 17 600 აშშ დოლარის გადახდა;
 3. შპს „ა. ბ“-ს მ. გ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ, სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 1 347.9 ლარი;
 4. შპს „ა. ბ“-ს მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს ბიუჯეტში;
 5. მ. გ-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სასარგებლოდ დაეკისროს სააპელაციო საჩივარზე გადასახდელი და გადავადებული ბაჟი – 704 აშშ დოლარი
 6. მ. გ-ძეს შპს „ბ. დ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 2743 ლარი;
 7. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც შპს „ბ. დ-ს“ (...) აეკრძალა უძრავი ქონების, მდებარე ქ. თბილისი, ... (ყოფილი ...) ქ. 29, სართული 5, ბინა 12, ფართი 35.19 კვ.მ. ს/კ:... გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა;
 8. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge